ბერდო გოიშვილი, ვალერი ჩხეიძე,

საქართველოს სასაზღვრო სივრცის გეოგრაფია

სახელმძღვანელო სამხედრო
სასწავლებლებისათვის

„განათლება“
თბილისი 2001

УДК 991.2/.3 გ629

სახელმძღვანელო — „საქართველოს სასაზღვრო სივრცის გეოგრაფია“ — პირველად გამოდის. იგი შედგება ექვსი თავისაგან და დამატებებისაგან. წინამდებარე წიგნი შედგენილია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შემუშავებული სასწავლო პროგრამის მიხედვით. განკუთვნილია სასაზღვრო ძალების ოფიცერთათვის, სამხედრო სასწვლებლებისათვის, სპეციალისტებისა და დაინტერესებულ პირთათვის.

რედაქტორი: აკადემიკოსი გ.გიგაური

რეცენზენტები:
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი: ზ. ტატაშიძე.
პროფესორი: ჯ.კეკელია

ISBN 99928-54-39-1

გამომცემლობა „განათლება“

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	5
შესავალი	6
თავი I. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები	11
1.1. საქართველო – თურქეთის თანამედროვე საზღვარი	12
1.2. საქართველო – სომხეთის თანამედროვე საზღვარი	13
1.3. საქართველო – აზერბაიჯანის თანამედროვე საზღვარი	15
1.4. საქართველოს თანამედროვე საზღვარი რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკასთან	17
1.5. საქართველოს გეოპოლიტიკური ვითარება	20
თავი II. საქართველოს სახელმწიფო საზღვრების ზოგად ისტორიულ-გეოგრაფიულ და კარტოგრაფიული აღწერა	26
2.1. ჩრდილო-დასავლეთი ხაზი. აფხაზეთ-ჯიქეთი	26
2.2. ჩრდილოეთის ხაზი.	
ა) დვალეთი	29
ბ) საზღვარი დარიალის ხეობაში	30
2.3. აღმოსავლეთის საზღვარი	33
2.4. სამხრეთის საზღვარი	36
2.5. სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი. მესხეთი ანუ ზემო ქართლი	37
2.6. საქართველოს დასავლეთი საზღვარი. შავი ზღვა	40
2.7. კარტოგრაფიული წყაროები	41
თავი III. სასაზღვრო სივრცის ბუნებრივი პირობები და რესურსები	44
3.1. რელიეფის თავისებურება	44
3.2. სასაზღვრო სივრცის გეოლოგიური აგებულება	49
3.3. მინერალური რესურსები	53
3.4. შავი ზღვა, ტერიტორიული წყლები, გამოყენებისა და დაცვის პრობლემები	62
3.5. ჰავა და კლიმატური რესურსები	64
3.6 შიგა წყლები, წყლის რესურსები	66
3.7. ნიადაგები და ნიადაგური რესურსები	71
3.8. მცენარეული საფარი	73
3.9. ცხოველთა სამყარო	80
3.10. გარემოს ეკოლოგიური ვითარება და დაცვის პრობლემები ...	84

თავი IV. სასაზღვრო სივრცის მოსახლეობა – ქვეყნის საზღვრის დაცვის მნიშვნელოვანი ფაქტორი 87
თავი V. საქართველოს სასაზღვრო სივრცის მეურნეობის ძირითადი ნიშნები 91
5.1. მიწის რესურსები და მიწათსარგებლობის პრობლემები 92
5.2. მრეწველობა. მისი როლი სასაზღვრო სივრცის მეურნეობაში 95
5.3. ტრანსპორტის როლი სასაზღვრო სივრცის მეურნეობაში 99
5.4. კავშირგაბმულობა 103
5.5. საკურორტო მეურნეობა და ტურიზმი 104
თავი VI. სასაზღვრო სივრცის შიგატერიტორიული სხვაობანი 105
6.1. აფხაზეთი 105
6.2. ზემო სვანეთი (მესტიის რაიონი) 117
6.3. ქვემო სვანეთი (ლენტეხის რაიონი) 140
6.4. რაჭა 143
6.5. ხევი 155
6.6. ხევსურეთი 162
6.7. ფშავ-მთიულეთი 169
6.8. თუშეთი 176
6.9. კახეთი
ა) კახეთის კავკასიონი 187
ბ) ქიზიყი 192
6.10. ქვემო ქართლი 200
6.11. სამცხე-ჯავახეთი 204
6.12. აჭარა 218
6.13. კოლხეთი (შავიზღვისპირეთი) 225
დამატებანი
1. წიგნში გამოყენებული ტერმინების განმარტებანი 230
2. სახელმწიფო საზღვრის დადგენის ზოგადი პრინციპები და თვალსაზრისები 232
3. მეკვლე ცხოველთა შესახებ 235
ლიტერატურა 242

წინასიტყვაობა

საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებამ სულ სხვა გეოგრაფიულ და პოლიტიკურ გარემოში მოაქცია ჩვენი ქვეყანა. ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად შეცვალა ჩვენი დამოკიდებულება ქვეყნის ტერიტორიისა და საზღვრების მიმართ, რაც ორ უმთავრეს მომენტთან არის დაკავშირებული: 1. ტერიტორიის სტრატეგიულ-გეოგრაფიულ შეფასებასა და 2. საზღვრის ზონის დაცვის პრინციპებსა და ფორმებთან. ე. ი. უნდა შეგვწევდეს უნარი შევაფასოთ და განვსაზღვროთ დაცვის საგნის და ობიექტის საერთო-სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური ღირებულება.

ამ მიზნით წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს პროფესიონალი მესაზღვრის მომზადების ერთ-ერთ სასწავლო საშუალებას. მასში გათვალისწინებულია ის სასწავლო პროგრამა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ.

სასაზღვრო სივრცე ჩვენი ქვეყნის ის ტერიტორიაა, რომელიც მოიცავს ხმელეთს, შავი ზღვის აკვატორიას, შიდა წყლებს და საჰაერო სივრცეს. ყოველივე ამას დაცვა და პატრონობა სჭირდება, რომ დავიცვათ და მოვუაროთ ამისათვის უნდა ვიცოდეთ თუ რა დავიცვათ, რა სტრატეგიული და ტაქტიკური თავისებურებებით ხასიათდება საზღვრისპირა, კონკრეტული გეოგრაფიული გარემო.

შესავალ ნაწილში მოცემულია საქართველოს სასაზღვრო სივრცის გეოგრაფიის არსი და ამოცანები, ზოგადად არის განხილული თუ რა კავშირი აქვს მას სამხედრო გეოგრაფიასთან. გარდა ამისა გაანალიზებულია ამ ახალი დარგის წარმოშობის ობიექტური აუცილებლობა.

პირველ თავში განხილულია საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები, საქართველოს გეოპოლიტიკური გარემო. მეორე თავში მოცემულია ჩვენი ტერიტორიისა და საზღვრების ზოგადისტორიულ-გეოგრაფიული და კარტოგრაფიული ცნობები. მესამე თავი ეძღვნება სასაზღვრო სივრცის ბუნებრივ პირობებსა და რესურსებს. განხილულია რელიეფის თავისებურებანი, მინერალური ნედლეული და არამადნეული საბადოები, შავი ზღვა, ტერიტორიული წყლები, ჰავა, კლიმატური რესურსები, შიგა წყლები, ნიადაგები, მცენარეულობა და ცხოველთა სამყარო, გარემოს ეკოლოგიური ვითარება და დაცვის პრობლემები. მეოთხე თავში მოცემულია

სასაზღვრო სივრცის განსახლება, მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა, მათი ტერიტორიული განლაგება, მათი დინამიკა. მეხუთე თავი მოიცავს სასაზღვრო სივრცის მეურნეობის ძირითად ნიშნებს, აგროპოლიტიკას, მრეწველობას და მის ადგილს სასაზღვრო სივრცეში; ტრანსპორტს, კავშირგაბმულობას, საკურორტო მეურნეობას და ტურიზმს. მეექვსე თავი ეხება შიგა ტერიტორიულ სხვაობებს. განხილულია სასაზღვრო სივრცეში მოქცეული რეგიონები.

როგორც ყოველ პირველ ცდას, წინამდებარე ნაშრომსაც ალბათ ექნება გარკვეული ხარვეზები. მიუხედავად ამისა, ვიმედოვნებთ, რომ ის სარგებლობას მოუტანს მომავალი პროფესიონალი მესაზღვრეების მომზადების საქმეს.

შესავალი

ქვეყნის ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელიც თავისი ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური პირობებით უშუალოდ ემიჯნება სახელმწიფო საზღვარს და ქმნის სამხედრო თვალსაზრისით ტაქტიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებებს, სასაზღვრო სივრცე ეწოდება. საქართველოს სინამდვილეში, მისი რელიეფის თავისებურებებიდან გამომდინარე, ამ სივრცის სიგანე საზღვრიდან პირობითად 15-20 კმ-ს სიგანეზე ვარირებს. სწორედ აქ ხდება საზღვრის დარღვევის მცდელობა, რაც ძირითადად ორი გარემოებით არის მოტივირებული: 1. ეკონომიკური და 2. პოლიტიკური.

სასაზღვრო სივრცის გეოგრაფია სამხედრო გეოგრაფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განხრაა. თვით სამხედრო გეოგრაფია გეოგრაფიულ მეცნიერების დარგია. ეს ბუნებრივია, რადგან გეოგრაფთა წინაშეც დგას საკითხი სამხედრო საქმეში ამ მეცნიერების როლისა და მიზნის შესახებ. იცვლება დრო, იცვლება დამოკიდებულება და მოთხოვნები სამხედრო გეოგრაფიის მიმართაც.

სამხედრო გეოგრაფიის შემადგენელი ნაწილი — სასაზღვრო სივრცის გეოგრაფია, მოიცავს ფუნდამენტურ ცნებებს და ემყარება იმ გამოცდილებას, რაც ამ დარგის მეცნიერული გამოკვლევების შედეგად დაგროვდა. სასაზღვრო სივრცის გეოგრაფია წარმატებით იყენებს გეოდეზიის, ტოპოგრაფიის, კარტოგრაფიის, და ფიზიკურ-სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფიულ ცოდნას. ამასთან იგი მჭიდროდ უკავშირდება სამხედრო

სტრატეგიისა და ტაქტიკის ამოცანებს, ყოველივე იმას, რაც ძირითადად სასაზღვრო სივრცის გეოგრაფიულ და პოლიტიკურ ფასეულობათა დარღვევის მცდელობის აღკვეთასთანაა დაკავშირებული.

სამხედრო საქმეში გეოგრაფიული პირობების სტრატეგიული და ტაქტიკური შეფასებისას პირველ რიგში აუცილებელია ტერიტორიის თავისებურებათა შესწავლა და ზოგადგეოგრაფიული ელემენტებიდან იმ არსებითის გამოყოფა, რაც სამხედრო ოპერაციებისთვის იქნება მნიშვნელოვანი. აქედან გამომდინარე, ტერიტორიის გეოგრაფიული შესწავლა ითვალისწინებს ისეთი მთავარი ფაქტორების გამოყოფას და დახასიათებას, როგორიცაა: მდებარეობა, რელიეფი, ჰავა, მდინარეები, ტბები, ნიადაგები, მცენარეულობა, ცხოველები, მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობა და სხვა.

რელიეფზე საუბრისას აუცილებლად უნდა შეფასდეს ქედების, მთების, ვაკეების, დაბლობების, ცალკეული მწვერვალების, ხეობების, უღელტეხილების ციცაბო და დამრეცი კალთები, ტერასები, ღია და დახშული ტაფობები, გადასასვლელთა აბსოლუტური სიმაღლე და მისადგომები, ქედებისა და ქედებს შორის გასასვლელი ადგილები, წყალგამყოფების გავრცელება. ამასთან საჭიროა ადგილის ჰავის თავისებურებების ცოდნა. შიგა წყლების დახასიათებისას უნდა ვიცოდეთ ჰიდროგრაფიული ქსელი, შეგვეძლოს მდინარეთა სათავეების, შესართავების, შენაკადების, მდინარის სისწრაფის და ფონის განსაზღვრა.

სამხედრო გეოგრაფიაში ყოველი გეოგრაფიული ფაქტი და მოვლენა ინტერესს იწვევს არა როგორც თავისთავადი რამ, თვითმიზანი მათი წარმოშობისა და განვითარების შესწავლისა, არამედ მხოლოდ, როგორც საშუალება სამხედრო მოქმედებისათვის, როგორიცაა: ჯარების მოძრაობა, დაბანაკება, საბრძოლო ოპერაციები და ამასთან დაკავშირებული ყველა სხვა საბრძოლო მოვლენის სარბიელი. სამხედრო გეოგრაფია გარემოს გამოყენებითი თვალსაზრისით იკვლევს. აღსანიშნავია, რომ ეს თვალსაზრისი ერთობ ცვალებადია. სამხედრო მეცნიერების, ტექნიკის და ხელოვნების განვითარებასთან ერთად იცვლება შეხედულებანი ამა თუ იმ ფორმის რელიეფის, ბუნებრივი რესურსებისა და ტერიტორიის გამოყენებაზე. სამხედრო თვალსაზრისით სხვადასხვა დროსა და გარემოში ხდება გეოგრაფიული ცნებების გადაფასება.

სამხედრო გეოგრაფიისათვის ცნობების მოგროვება უძველესი დროიდან დაიწყო, რადგან ყველა დროში ყველა ხალხს სამხედრო საქმიანობაში

საქართველოს სასაზღვრო სივრცე

სჭირდებოდა მონაცემები ქვეყნის ტერიტორიის, მოსახლეობისა და ეკონომიკის შესახებ, მაგრამ ამ ცნობათა დაგროვება უსისტემოდ ხდებოდა. ნაპოლეონის დროის ომების შემდეგ ცხადი გახდა, რომ ომის წარმატებით წარმოებისათვის აუცილებელია სამხედრო მოქმედებათა თეატრის საფუძვლიანი შესწავლა. XIX საუკუნის შუა ხანებში შესაძლებელი შეიქნა დიდი ხნის დაგროვილი სამხედრო-გეოგრაფიული მასალების სისტემაში მოყვანა, რის შედეგადაც სამხედრო გეოგრაფია მეცნიერების მნიშვნელოვან დარგად იქცა.

სამხედრო გეოგრაფიის ერთ-ერთ ფუძემდებლად მიჩნეულია ანრი ჟომინი. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსული გეოგრაფიული მეცნიერების წინაშე. მისი წინადადებით დაარსდა რუსეთში სამხედრო აკადემია, სადაც პირველივე წლებიდან ფუნქციონირებს სამხედრო გეოგრაფიის კათედრა. პირველი რუსი სამხედრო გეოგრაფია პოდპოლკოვნიკი პ. იაზიკოვი. სამხედრო გეოგრაფიის ჩასახვას რუსეთში მტკიცე საფუძველი ჩაუყარა რუსეთის იმპერიის სამხედრო აკადემიის პროფესორმა დიმიტრი ალექსის ძე მილიუტინმა (1816-1890 წწ). იგი თავის ნაშრომში საკმაო მასალას გვაწვდის პირველ სამხედრო გეოგრაფთა მოღვაწეობის შესახებ. ესენია: პრუსიის კაპიტანი ჰომიერი, პრუსიის არტილერიის კაპიტანი ადოლფი, შვეიცარიელი ვენტურინი, მაგდებურგის სკოლის პასტორი ჰანცოგი, მაინიკე, მალთუსი, ანდრე, რუდტორფი, ჰერცოგი კარლი, ბენიკენი, სენსირის სამხედრო სკოლის მასწავლებელი თეოფილ ლავალიე და სხვები. რევოლუციის შემდგომ საბჭოთა პერიოდში რუს სამხედრო გეოგრაფთა შორის გამოირჩევა ა. სნესარევი.

როგორც ვხედავთ, სამხედრო გეოგრაფია მეცნიერების ძველი დარგია, რომლის კვლევის ძირითადი სფერო ოდითგანვე ტერიტორიის თავისებურება, მოსახლეობა, მათი სამეურნეო საქმიანობა, სარწმუნოება და პოლიტიკური ორიენტაცია იყო.

ცნობილია, რომ ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს — ტერიტორიას, ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს, სათბობის და ნედლეული რესურსების სიუხვეს — გარკვეული მნიშვნელობა აქვს სამხედრო საქმეში. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია არა მარტო საკუთარი ქვეყნის, არამედ მეზობელი სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური და გეოგრაფიული პირობების ცოდნა. ყოველივე ამასთან ერთად, სასაზღვრო სივრცის გეოგრაფია უნდა მოიცავდეს სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ზუსტ ანალიზსაც.

სასაზღვრო სივრცის გეოგრაფიას ყველა ფაქტი და მოვლენა ერთნაირად აინტერესებს, იმდენად, რამდენადაც ბუნებისა და მეურნეობის ყველა ფაქტორი საზღვრის დაცვის ინტერესების სფეროში ექცევა.

ამრიგად, გეოგრაფიული ფაქტორებისა და მოვლენების შესწავლა ორ მხარეს მოიცავს: ა) კონკრეტული ტერიტორიის გეოგრაფიულ შესწავლას და ბ) სახელმწიფოს ტერიტორიის ზოგადგეოგრაფიულ თავისებურებათა პოლიტიკურ და ტაქტიკურ შეფასებას. პირველი მიმართულება ითვალისწინებს ასევე შიგატერიტორიული სხვაობის დიფერენცირებულ შესწავლასაც.

თავი I. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები

სუვერენული სახელმწიფოს სამართლებრივი საფუძველია ტერიტორია, საზღვრები, ალამი, გერბი, ჰიმნი და კონსტიტუცია. ქვეყნის საზღვრის პრობლემა სახელმწიფოს პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. მოწესრიგებული სასაზღვრო ზოლი, რომელიც მეცნიერულ და სამართლებრივ საფუძველს ემყარება, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის დაცვისა და რაციონალური გამოყენების მნიშვნელოვან გარანტიას ქმნის.

საქართველოს სასაზღვრო სივრცეს ტერიტორიის განაპირა მდებარეობა უკავია. იგი მოქცეულია კავკასიონის ყელის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის აღმოსავლეთით, ევროპასა და აზიას შორის. სასაზღვრო სივრცე ძირითადად კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის თხემის სამხრეთითაა (მთა აგეფსთადან — დასავლეთით, მთა ტინოვროსომდე — აღმოსავლეთით) გადაჭიმული; მხოლოდ მთების ზილგახოხისა და შავკლდეს შორის მოქცეულ მონაკვეთზე ნაწილობრივ კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდზეც გადადის (მდ. თერგის, ასას, არღუნისა და სულაკის — ანდის ყუისუს აუზებში). მისი საზღვრები ვრცელდება: ჩრდილოეთით — ჩ. გ. 43°35'25" და ა. გრ. 40°23'31"-ზე; აღმოსავლეთით — ჩ.გ. 41°7' და ა. გრ. 46°44'32"-ზე, სამხრეთით — ჩ.გ. 41°02'58" და ა. გრ. 46°30'-ზე; დასავლეთით — ჩ.გ.43°23'31" და ა. გრ. 40°00'30"

ჩრდილოეთით უკიდურესი წერტილია მთა აიბგა (650 მ.), უკიდურესი სამხრეთი წერტილი მინგეჩაურის წყალსაცავთან მდინარე ივრის შესართავია (83 მ.), უკიდურესი აღმოსავლეთი წერტილი მდინარე ალაზანთან მდინარე აგრიჩაის შესართავთანაა, ხოლო უკიდურეს დასავლეთი მდინარე ფსოუს შესართავია შავ ზღვასთან.

საზღვრის უკიდურეს წერტილებს შორის მაქსიმალური დაშორება სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ 616,5 კმ-ია, მაქსიმალური სიგანე — 201 კმ-ია. საქართველოს საზღვრის საერთო სიგრძე 1916 კმ-ია, აქედან ზღვის სანაპირო ხაზის სიგრძე 308 კმ, ხოლო სახმელეთო საზღვარი 1608 კმ-ია.

საქართველოს აზერბაიჯანის რესპუბლიკა ესაზღვრება 402,2 კმ-ზე, სომხეთ-საქართველოს საზღვრის სიგრძე 194,4 კმ-ია, თურქეთ-საქართველოს საზღვარი 240,8, რუსეთთან კი — 915 კილომეტრია.

საქართველოს სასაზღვრო სივრცის ფართობი 28,8 ათასი კმ^2-ია, ხოლო ტერიტორიული წყლების ჩათვლით 35,9 ათას კმ^2-ს შეადგენს.

ვინაიდან საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის სამართლებრივი აქტები ტოპოგრაფიულ ანალიზს ეფუძნება, ამიტომ სასაზღვრო ზოლს არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით აღვწერთ.

1.1. საქართველო-თურქეთის დღევანდელი საზღვარი

საქართველოს დღევანდელი საზღვარი თურქეთთან, მისი მოხაზულობა და სიგრძე დელიმიტირებული და დემარკირებულია რუსეთსა და თურქეთს შორის 1921 წლის 16 მარტს დადებული ხელშეკრულებით. საზღვრის ეს მონაკვეთი 1992 წლის 26 მაისამდე ითვლებოდა სსრკ-თურქეთის საზღვრად და მას იცავდა სსრ კავშირის სასაზღვრო ჯარი. გასამხედროებული მეთვალყურეობა ხდება საზღვრის მთელ ზოლზე, რომლის სიგრძეა 240,8 კმ. აქ 297 სასაზღვრო ნიშნულია, ე. ი. ყოველ 800 მეტრში არის სასაზღვრო ნიშნული და სათვალთვალო.

პროფესორი ჯ. კეკელია ასე აგვიწერს საქართველო-თურქეთის დღევანდელ საზღვარს: შავ ზღვაზე საქართველოს ტერიტორიული წყლების საზღვრის ხაზი მართობულად ებჯინება სოფელ სარფს და მას შუაზე ჰყოფს. სარფის ზევით საზღვრის ხაზი 30^0-იანი ფერდობით ადის წყალგამყოფი თხემის ფერდზე და მწვერვალის (1218 მ.) გავლით მიემართება მწვერვალ უგურზე (1168 მ.). ეშვება ჭოროხის ხეობაში სოფელ კირნათთან, შემდეგ მდინარე ჭოროხის გასწვრივ სოფ. თექინედან აღმოსავლეთით, ხეობის ავლით მთა ბაშთურქის (1712 მ.) და სამი მწვერვალის (2151 მ., 1937 მ., 1278 მ.) გავლით ეშვება მდინარე მაჭახელას ხეობაში, კვეთს მას და ფერდობით ადის შავშეთის ქედის თხემზე მთა მურათყანის (1888 მ.) მიმართულებით, რომლის შემდეგ სასაზღვრო ხაზი მიუყვება ამავე ქედს, გაივლის მთა კორდას (2371 მ.), იმერხევის მთას (2537 მ.), მთა რკინისკარს (2376 მ.), კვირალის უღელტეხილს და ადის არსიანის ქედზე. სამხრეთიდან 800 მეტრის შემდეგ მიადგება მთა კენჩაულს (2992 მ.), თხემით გადის მთა ბიუკდაგს (2038 მ.), მთა ხირხატისციხეს (2586 მ.), უღელტეხილ ქვისტახტს (2420 მ.), კვეთს მდინარე გრამანისწყლის მარჯვენა შენაკადს სათავიდან 1500 მეტრში და ხორმანის ქედის სამხრეთი დაბოლოებიდან ეშვება მდინარე გრამანისწყლის ხეობაში, მიდის აღმოსავლეთით და ერთი კილომეტრის შემდეგ წყალგამყოფიდან ეშვება მდინარე

ჭანჭახის წყლის ხეობაში, მიუყვება მას და თურქეთის სოფელ არმურტვერენეს არ მისული ჭანჭახის წყლისავე ხეობიდან უხვევს მარცხნივ. 500 მეტრის შემდეგ მიემართება აღმოსავლეთით მდინარე ფოცხოვისწყლის ხევში და გასდევს მას. უხვევს ჯაყისწყლის ხეობაში და სოფელ სავაშირიდან ადის მთა აირილიანბაშზე (2582 მ.), ეშვება მდინარე კაზამეთის წყლის ხეობაში. მისი შესართავიდან გასდევს მდინარე მტკვარს თურქულ სოფელ კერტენოკოიმდე. უხვევს აღმოსავლეთით 2036 მეტრის სიმაღლის მთამდე (მურაყვალის ქედზე) და ეშვება ხოზაფინის ტბაში. ტბაზე საზღვრის- ხაზის სიგრძე 5 კილომეტრია. ტბიდან საზღვარი 35 გრადუსიანი დახრილობის ფერდობით ადის მთა ბალიკამდე (2340 მ.), გაუყვება გეკთაფინის ქედის თხემს, გაივლის მთა გეკდაგს (2790 მ.), გეკდაგის უღელტეხილს (2360 მ.), მთა ზიარეთს (2803 მ.) და მთავრდება მთა ერკატარას (3008 მ.) აღმოსავლეთით 2981 მეტრის სიმაღლის მთაზე.

1.2. საქართველო-სომხეთის თანამედროვე საზღვარი

საქართველოს და სომხეთს შორის დასავლეთი საზღვარი იწყება მთა ერკატარის (3008 მ.) ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე (1275 მეტრში) უსახელო მწვერვალიდან (2981 მ.). ამ მწვერვალის 30^0-იანი დაქანების თხემით საზღვრის ხაზი ეშვება 2829 მეტრი სიმაღლის უნაგირაზე, იმავე დახრილობის თხემით ადის მთაზე. გაივლის ნიშნულებს 2825,9 მ., 2822, 5 მ. სწორხაზოვნად ეშვება ჩრდილო-აღმოსავლეთით 2748,0 მეტრი სიმაღლის ნიშნულზე და 2600 მეტრის შემდეგ მიადგება 2568,4 მ. ნიშნულს, საიდანაც სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით (ერთ კილომეტრში) გაივლის უნაგირას (2224,0 მ.), მცირე ტბების უბანს (აქ არსებული ოთხი ტბიდან, ჩრდილოეთით მდებარე ერთი ტბა მოქცეულია ჩვენს საზღვრებში), აქედან ადის 35^0-იანი ფერდობით თხემზე, და გაივლის 2602,7 მეტრი სიმაღლის მთას. აქ საზღვრის ხაზი იღებს სამხრეთ-აღმოსავლეთ მიმართულებას და 2546,9 მეტრი სიმაღლის მთიდან გასდევს ჩილდირის ქედის თხემს 2505 მეტრი სიმაღლის მთამდე. აღმოსავლეთით ეშვება ფერდობზე, აქედან სამი კილომეტრის შემდეგ გაივლის 2357,9 მეტრი სიმაღლის მთას, საიდანაც ერთი კილომეტრის შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთით (2366,3 მეტრი სიმაღლის მთის გავლით) მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. 2448, 6 მეტრი სიმაღლის მთიდან უხვევს აღმოსავ-

ლეთით მწვერვალ ორტულუდაგზე (2445,6 მ.), ციცაბო ფერდობით ეშვება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ვაკეზე. გაივლის ნიშეულებს (2280,9 მ., 2206,4 მ.), კვეთს მადატაფის ტბაში ჩამდინარე მდინარეს (სეზონურს) სათავესთან და იმავე მიმართულებით ადის მთა ოკიუზდაგზე (2441,58). აქედან საზღვრის ხაზი მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან 500 მეტრში აუვლის სომხურ დასახლებას, მიემართება 2163,4 მეტრი სიმაღლის ბორცვზე. აქედან 500 მეტრის შემდეგ კვეთს ჟდანოვო-გუკასიანის საავტომობილო გზას, გადის 2178, 5 მ. სიმაღლის ბორცვზე (სოფელ კალინინოდან 1050 მეტრის დაშორებით), შემდეგ ვიწრო წყალგამყოფის გავლით (სოფელ სარაგიუხის ნანგრევებიდან ჩრდილოეთით 800 მეტრში) უახლოვდება მთა აჩკასარს (3196 მ.) და ეშვება მდინარე ყარანდიხდერეს ხევში, მიუყვება მას და სოფელ ირგან-ჩაიდან 2 კმ-ში მკვეთრად უხვევს სამხრეთით. 1 კმ-ის შემდეგ მიემართება აღმოსავლეთისაკენ, გასდევს მდინარე სავუგბულახს და ჩრდილო მიმართულებით მიდის მდინარე ყარასუს სათავემდე. აქ უკვე მკვეთრად უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთით და გასდევს წყალგამყოფ სერს ტყის პირზე, ეშვება სოფელ საატლოს სამხრეთით, უვლის მას სამხრეთიდანვე და ჩრდილოეთის მხრიდან მიუყვება მშრალ ხევს, ადის 1929 მ. სიმაღლის მთაზე, აკეთებს მცირე რკალს ჩრდილოეთისკენ და გაივლის ლოქის უღელტეხილს (1848 მ.), შემდეგ გასდევს წყალგამყოფ სერს, 2122 მეტრი სიმაღლის მთას, მიუყვება თხემს, გაივლის მთა ოსინოვაიას და ეშვება მგლის ჭიშკრის უღელტეხილზე (1787 მ.), აქედან კი მიუყვება გზის პირს და მთა დეზაკარის ტყით დაფარული თხემით ეშვება 1430 მეტრი სიმაღლის ბორცვზე. შემდეგ ეშვება ახკერპ-სტეფანავანის საავტომობილო გზაზე, კვეთს მას სოფელ ახკერპიდან 2800 მეტრში, კვლავ მიუყვება ტყის კონტურს, უვლის სამხრეთიდან სოფლებს ხოჯორნის, ბარდაძორს. სომხეთის ქედის დაბოლოებიდან ეშვება მდინარე დებედაზე, მიუყვება მას და სოფელ მამაის შემდეგ მდინარე დებედადან უხვევს მარჯვნივ და ადის მთა ტანადაგზე (800 მ.). აქედან ბაპაყარის ქედის თხემით გაივლის 959 მეტრის სიმაღლის მთას, მ. ტჯრსს (883 მ.), მისდევს თხემს და მწვერვალ ბაპაყარის სამხრეთით 1000 მეტრში უნაგირაზე მთავრდება.

საზღვრის ამ მონაკვეთში მოქცეულია: ნინოწმინდის, დმანისის, ბოლნისის და მარნეულის რაიონების ტერიტორიის ნაწილები. აქ განლაგებულია 61 სოფელი, აქედან ნინოწმიდის რაიონის 10 სოფელი, დმანისის 24

სოფელი და მარნეულის 27 სოფელი. განსახლების მხრივ ეს რაიონები გამოირჩევა მოსახლეობის აღწარმოების მაღალი დონით. აქ მეთვრამეტე საუკუნიდან იმიგრანტებად გვევლინებიან თათრები ირანიდან. ხოლო მეცხრამეტე საუკუნიდან ინტენსიურად სახლდება სომეხი მოსახლეობა გადმოსული თურქეთიდან, რასაც განსაკუთრებით ხელს უწყობდა რუსეთი. ყაღიზმანისა და ყარსის რეგიონებიდან აყრილ ლტოლვილმა სომხებმა ახალქალაქის მიმართულებით საზღვარი ათასობით გადმოლახა, რომელთა ნაწილი აქვე დასახლდა. სომეხი მოსახლეობის სამხრეთიდან შემოსახლების პროცესი გრძელდებოდა 1917 წლამდე. გამუდმებით ხდებოდა ქართული ნასოფლარებისა და საძოვარ-სახნავ-სავარგულების ათვისება მათ მიერ. ამ რაიონებში 1989 წლის მონაცემებით წამყვანი ადგილი უკავია აზერბაიჯანულ მოსახლეობას 60%-მდე. სომეხი მოსახლეობის წილზე მოდის 17%, ბერძნებზე 7,1%, რუსებზე 4,3%, ქართველებზე 7,7%.

15 კმ სიგანის სასაზღვრო ზოლში გამოიყოფა 1) ნინოწმინდა-კალინინოს მიდამოები, რომელიც ძირითადად ზღვის დონიდან 2000 მეტრზე ან უფრო მაღლა მდებარეობს. აქ არის 10 საშუალო სიდიდის სოფელი და ერთი რაიონული ცენტრი — ნინოწმინდა.

2) მეორე ზოლი ზ. დ. 1000-1800 მეტრის სიმაღლეზეა. აქ განლაგებულია 24 დასახლებული პუნქტი.

3) მესამე ზოლი ზ. დ. 400-1000 მეტრამდეა, სადაც 27 სოფელია.

1.3. საქართველო-აზერბაიჯანის ღღევანდელი საზღვარი

1996 წლის მონაცემებით საქართველოს საზღვარი აზერბაიჯანთან იწყება იმ წერტილიდან, რომლის კორდინატებია ჩრდილოეთი განედის 40°17'50" და აღმოსავლეთი გრძედის 41°17'50". ამ წერტილიდან საზღვარი მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთით მწვერვალ ბაბაყარამდე (700 მ.), ეშვება აღმოსავლეთით 440 მეტრი სიმაღლის წერტილამდე, უხვევს ჩრდილოეთით და 1100 მეტრის შემდეგ ეშვება მდინარე ხრამზე გადებულ ხიდზე (წითელ ხიდზე). წითელი ხიდიდან ჩრდილოეთით მიემართება მდინარე მტკვრისკენ და კვეთს მას (ჩ.გ.41°20'46" და ა.გ. 45°05'56"). ამ წერტილიდან ჩრდილო აღმოსავლეთი მიმართულებით მიდის სარწყავ არხამდე და ამავე არხის აყოლებით (რომელიც სოფელ რუისბოლოსა და სოფელ სადახლოს შორის გადის) კვეთს რკინიგზას, შემდეგ არხისავე

მიმართულებით მიდის ჯანდარის ტბის პირზე, სწორხაზოვნად ჰკვეთს მას ჩრდილო-აღმოსავლეთით და კვლავ მიემართება ამავე მიმართულებით, უხვევს ჩრდილოეთით და მწვერვალ ყარათეფედან (725 მ.) აღმოსავლეთით მიუყვება გზას, აქედან ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით ადის წყალგამყოფ სერზე და ამ სერითვე მწვერვალ უდაბნოსა (878 მ.) და პატარა უდაბნოს (766 მ.) დასავლეთიდან შემოვლით, საზღვრის ხაზი გზის გაყოლებით მიემართება იაილაჯის ქედზე, მისივე თხემით გადის მწვერვალ გიოგთებეზე (829 მ.) გეოდეზიურ წერტილამდე (648 მ.), შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთით უსახელო ტბამდე (მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით 800 მეტრში), საიდანაც მკვეთრად უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე თხემის გეოდეზიური წერტილისაკენ (615 მ.). თხემითვე გაივლის მთა აღაჯიგს, გეოდეზიურ წერტილებს (494 მ., 466 მ.), ჰკვეთს ყაჯირის სტეპს და ადის ჩობანდაგის ერთ-ერთ მწვერვალ უჩბულაკზე (817 მ.), შემდეგ მთა ჩობანდაგის (890 მ.), მ. ყარადიუზის (798 მ.), მ. ტახტაფას (763 მ.) და სიმაღლეების (657 მ., 504 მ.) გავლით იმავე ქედის თხემიდან ეშვება მდინარე იორზე. ივრის გაყოლებით საზღვრის ხაზი მიდის სოფელ კესამანთან და ადის 310 მეტრის სიმაღლის მთაზე, აქედან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ჭრის ელდარის სტეპის სამხრეთ ნაწილს, მიდის მდინარე ივრის პირზე, მიუყვება ბურუნკოვაკის სარწყავ არხს და მისი ბოლოდან სწორხაზოვნად მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სიმაღლემდე (415 მ.). აქედან ჯერ მდინარე მლაშე წყლის ხეობით და შემდეგ აჯისუს ხეობიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით მიდის მდინარე ალაზნის მეანდრულ მუხლთან (ჩ. გ. 41°06'30") და (ა. გ. 46°38'43"). აღნიშნული წერტილიდან საზღვრის ხაზი გასდევს მდინარე ალაზანს და მანქანა-ტრაქტორების ფარეხიდან (რომელიც ჯერ-ჯერობით არსებობს) ჩრდილოეთის მიმართულებით აუყვება მდინარე ულკანსუს, შემდეგ მაზმიჩაის ხეობით მიდის მაჩხალროსოს უღელტეხილზე (2800 მ.) მთა ტონოვროსოსთან (3337 მ.).

საზღვრის სიგრძე აზერბაიჯანთან 404,6 კმ-ია, საზღვრის გასწვრივ 15 კმ სიგანის ზოლში განლაგებულია 78 სოფელი და ერთი ქალაქის ტიპის დასახლება ლაგოდეხი. განსახლების ეს ზოლი მოიცავს ხუთი ადმინისტრაციული რაიონის (გარდაბნის, საგარეჯოს, სიღნაღის, დედოფლის წყაროს, ლაგოდეხის) ტერიტორიების ნაწილებს. 1989 წლის მო-

ნაცემებით ამ ზოლში ცხოვრობდა 87095 ადამიანი. აქედან 40 სოფელში ჭარბობს ქართველი მოსახლეობა (78%), 25 სოფელში აზერბაიჯანელები, 8 სოფელში ოსები, 3-ში სომხები და 2-ში რუსები.

1.4. საქართველოს თანამედროვე საზღვარი რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკასთან

საქართველოს უკიდურესი დასავლეთით საზღვარი იწყება შავ ზღვაზე მდ. ფსოუს შესართავთან (ჩ. გ. 43°23'32" , ა. გ. 40°00'30"). ამ ნაწილში, საქართველო 72 კმ-ზე ესაზღვრება კრასნოდარის მხარეს. მდ. ფსოუს შესართავიდან საზღვრის ხაზი მიუყვება მდინარეს და ადის აცეტუკის ქედზე მდებარე მთა აგეფსტაზე (3256 მ), მიუყვება მის თხემს, გაივლის 2791 მ. სიმაღლის მთას, შემდეგ მდინარეების მზიმთასა და ავადხარას წყალგამყოფი სერით ახუკდარის გადასასვლელს, ღებულობს ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებას და ადის კავკასიონის ცენტრალური ქედის წყალგამყოფზე, მიუყვება მას, გაივლის მთა აჯარას. აქედან სამხრეთ-აღმოსავლეთით 100 კმ შემდეგ მიადგება საქართველო-სტავროპოლის მხარის საზღვრის უკიდურეს აღმოსავლეთ წერტილს.

შემდეგ, კავკასიონის ქედის თხემით, საქართველო ესაზღვრება ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას. 173 კმ სიგრძის ეს საზღვარი მიუყვება კავკასიონის ქედის წყალგამყოფს, გაივლის დამხურცის უღელტეხილს, მთა ჩამხარას (2664 მ.), უღელტეხილებს: ჩამხარას (2486 მ.), აძათს (2497 მ.), სანჩაროს (2589 მ.), ალაშტრახუს (2723 მ.), ლაბას (2575 მ.), 2928-ის სიმაღლის მთას, უღელტეხილ მაგანას (2265 მ.), 2794 მ-ის სიმაღლის მთას, უღელტეხილ წყარგეხულირს (2539 მ.), აქედან აკეთებს რკალს და ჩრდილოეთის მიმართულებით მიემართება 3451 მ. სიმაღლის მთამდე. მიუყვება კვლავ თხემს, გაივლის ნაურის უღელტეხილს (2839 მ.), 3489 მეტრის სიმაღლის მთას, კიზგიჩის უღელტეხილს (2997 მ.) და ზოგი სიმაღლის (3443 მ., 3434 მ.) გავლის შემდეგ მიდის მარუხის უღელტეხილზე (2746 მ.), ყარაჩაიას მწვერვალიდან (3892 მ.) მიემართება სამხრეთით და შემდეგ აღმოსავლეთისკენ მთა ერწახოზე (3910 მ.), კვლავ მიუყვება კავკასიონის მთავარ ქედს, გაივლის მთა საფურუჯუს (3786 მ.), მთა ჯუგუტურულჩატს, პტიშის უღელტეხილს (2995 მ.), ჩრდილო-აღმოსავლეთით მთა დონბაიულგენს (4046 მ.), მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთით, შემდეგ ჩრდილო-

დასავლეთით გაივლის მთა ხაკელს (3645 მ.), ქლუხორის უღელტეხილს (2781 მ.), აკეთებს რკალს ჩრდილოეთისაკენ და ნახარის უღელტეხილის გავლით მიდის მთა გვანდრაზე (3984 მ.), გაივლის უღელტეხილებს დალარს (3291 მ.) და ჩიპერს (3264 მ.) აქ მთავრდება საზღვარი ყარაჩაი-ჩერქეზეთთან.

საზღვრის შემდეგი მონაკვეთით საქართველო ესაზღვრება ბალყარეთსა და ყაბარდოს. იგი იწყება ჩიპერაზაუს (3264 მ.) უღელტეხილიდან. გაივლის დონღუზ-ორუნბაშის (3203 მ.), ბეჩოს (3367 მ.) უღელტეხილებს და მთა შხელდას (4368 მ.). შემდეგ მთა ჩატინთაუსთან (4411 მ.) მკვეთრად უხვევს ჩრდილოეთით, გაივლის მთა კავკასოს (4280 მ.), ჯანტუგანის (3483 მ.), გარვაშის (3769 მ.), მესტიის (3757 მ.), ლეხზირის (3687 მ.), ტვიბერის (3607 მ.), კიტლოდის (3629 მ.), სემის (3769 მ.), ცანერის (3887 მ.) უღელტეხილებს. აქედან საზღვარი გაივლის შოთა რუსთაველის სახელობის მწვერვალს (4859 მ.), მწვერვალ შხარას (5068 მ.) შემოუვლის ჩრდილოეთიდან და გადის შიროვცეკის (3434 მ.), გეზევცეკის (3462 მ.) უღელტეხილებზე. გეზევეცკის აღმოსავლეთით 4 კმ-ში მთავრდება 120 კმ სიგრძის საზღვარი ყაბარდო-ბალყარეთთან.

გეზევცეკის უღელტეხილიდან კავკასიონის ქედის გაყოლებით იწყება საქართველოს საზღვარი ჩრდილოეთ ოსეთთან. ამ მონაკვეთის სიგრძე 170 კმ-ია. გეზევცეკიდან საზღვრის ხაზი მიუყვება გებევცეკის (3461 მ.), გურძიევცეკის (3349 მ.), მამისონის (2820 მ.) უღელტეხილებს, სამხრეთით გაივლის მდინარეების ჭანჭახისა და მამისონის წყალგამყოფზე (კოზიკომრახის ქედზე). აქედან კედარის (2952 მ.), ძედოს (2994 მ.), ზეკარის (3506 მ.), ბახფანდაგის (3037 მ.), კუთხას (2995 მ.), როკის (2995 მ.) უღელტეხილების და მთა ვიციგპარსის (3573 მ.) გავლით მიემართება ჩრდილოეთით, შემდეგ თრუსოს (3132 მ.) უღელტეხილიდან მიუყვება ხოხის ქედის თხემურ ნაწილს და მწვერვალ ყაზბეგიდან (5033 მ.) მიემართება ჯერ ჩრდილოეთით, შემდეგ აღმოსავლეთით მთა კაიჯონისა (3914 მ.) და 3159 მ. სიმაღლის გავლით ეშვება თერგის ხეობაში, კვეთს მას, ადის ოხნურის ქედზე. აქ მთავრდება საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთის შორის არსებული საზღვარი.

ოხნურის ქედის უსახელო მთიდან (3330 მ.), რომლის კოორდინატებია ჩ.გ. 42°50'10" და ა.გ. 44°41'50", აღმოსავლეთით საქართველო 137 კმ-ზე ესაზღვრება ჩეჩნეთსა და ინგუშეთს.

ოხნურის ქედიდან საზღვრის ხაზი მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთით, გაივლის მთა მალაჩეჩკარტს (3669 მ.), მთა შანს (4451 მ.), ბაჩახოს (4291 მ.), კვლავ მიემართება სამხრეთ-დასავლეთისაკენ, აკეთებს რკალს და მთა შახარასთან (3691 მ.) უხვევს ჩრდილოეთით, გაივლის ორ უსახელო უღელტეხილს, შემდეგ საჯიხვის ღელეს (3725 მ.), სალაშქროს ღელეს (3647 მ.), მარტინის მთას (3898 მ.), არჯელომის ქედის თხემით და მთა ტერხკარტის (3209 მ.) გავლით ეშვება მდინარე ასას ხეობაში, კვეთს მას, აქედან მთების მახისმაღალისა (3890 მ.) და ცუზუნკორტის გავლით მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთით, კვეთს მდინარე არლუნს, ადის მუცოს ქედზე, შემდეგ თებულოს ქედის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის თხემზე, უხვევს დასავლეთით თუშეთის ქედისკენ, მისივე თხემის და მთების: კამიტოს (4261 მ.), დონისმთის (4174 მ.), უსახელო მწვერვალის (3965 მ.) გავლით მიდის დიკლოს მთამდე (4285 მ.).

დიკლოს მთიდან სამხრეთით საქართველოს 143 კმ-ზე ესაზღვრება დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა.

დიკლოს მთიდან საზღვრის ხაზი მიემართება სამხრეთით ბუცაბაცის ქედის თხემით. მთა სარმაგ-ღელეს (2596 მ.) და უღელტეხილის გავლით კვეთს მდ. ანდიის-ყოისუს, შემდეგ ახტალის ქედის თხემით და მთების პატარანაბადის (3252 მ.), ენჩოს (3304 მ.), შავიკლდის (3578 მ.) გავლით მიუყვება კავკასიონის ცენტრალურ ქედს, ყადორის (2363 მ.) უღელტეხილს, მთა ნინიკას-ციხეს (3116 მ.), აქედან უხვევს სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით და მთავრდება აღმოსავლეთით ტინოვროსოს მთაზე (3385 მ.).

1989 წლის მონაცემებით საქართველოს ჩრდილო საზღვრისპირა ზოლში 260 სოფელში ცხოვრობდა 72410 მოსახლე. ეროვნების მიხედვით 180 დასახლებულ პუნქტში 70%-ზე მეტი ქართველი ცხოვრობდა, 35 დასახლებულ პუნქტში ასევე 70%-ზე მეტი ოსი, 10-ში სომეხი, 9-ში აფხაზი, 8-ში რუსი, დანარჩენში კი შერეულია 3 ან 4 ეროვნების მოსახლეობა. თუ ამ ზოლს შევხედავთ განსახლების ისტორიულ-ეთნოგრაფიული და მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, აქ შესაძლოა გამოიყოს 9 უბანი:

1. **მდ. ფსოუ-შავიზღვისპირა უბანი.** 14 დასახლებული პუნქტი, მოსახლეობის რაოდენობა 13287 კაცი. ცხოვრობენ: აფხაზები 3,2%, ქართველები 22,2%, რუსები 25%, სომხები 11,7%;

2. **დოურ-ანჩხოს (ბზიფის სათავეების) უბანი.** აქ 11 დასახლებული პუნქტია, სადაც 1989 წლის მონაცემებით მოსახლეობის საერთო რაოდენობაა 250. 11 სოფლიდან ექვსში ცხოვრობენ რუსები, ერთში აფხაზები, ოთხში ჭარბობენ ქართველები. დანარჩენში შერეულია 4 ეროვნების მოსახლეობა.

3. **აფხაზეთ-სვანეთის (გენწვიშ-საკენის) უბანი.** 1991 წლის სტატისტიკური მონაცემებით 18 დასახლებულ პუნქტში ცხოვრობდა 2500 კაცი, რომელთა 99% ქართველია.

4. **სვანეთის უბანი.** ეს არის ზემო სვანეთი 134 დასახლებული პუნქტით. დაბა მესტიით, სადაც 2763 მცხოვრებია. მთლიანად ზემო სვანეთში 14709 ადამიანი ცხოვრობს. სულ ქართველები.

5. **ღები-გლოლას (ზემო რაჭის) უბანი.** აქ არის 4 სოფელი და კურორტი შოვი (ლაპარაკია 15 კმ. სიგანის ზოლზე) ცხოვრობენ ქართველები, რომელთა რაოდენობაა 1542.

6. **კვაისა-როკის უბანი** მოიცავს მდინარე ჯეჯორას, მდ. კეშელთას და მდ. ლიახვის ზემო წელის ხეობებს. 1989 წლის მონაცემებით აქ ცხოვრობდა 3321 კაცი. არის 23 დასახლებული პუნქტი, მათ შორის დაბა კვაისა 2271 მოსახლით. მოსახლეობის 81% ოსია.

7. **მდ. თერგის ზემო წელის (ყაზბეგის) უბანი** მოიცავს მდ. თერგის ზემო წელს. მისი მოსახლეობა 1924 კაცს შეადგენს. 8 სოფელში ოსებია, დანარჩენში — ქართველები.

8. **შატილ-ომალოს უბანი.** მოიცავს მდ. ასას ზემო წელს, მდინარეების არგუნის, ანდაკის, თუშეთისა და პირიქითა ალაზნის ხეობებს. აქ არის 15 დასახლებული პუნქტი 336 კაცით. ცხოვრობენ მხოლოდ ქართველები.

9. **ნაფარეულ-შილდის უბანი.** მოიცავს მდინარე ალაზნის მარცხენა მხარესა და კავკასიონის ქედს შორის მოქცეულ ტერიტორიას. აქ 21 დასახლებულ პუნქტში ცხოვრობს 32219 ადამიანი. ოთხ დასახლებულ პუნქტში ჭარბობენ ოსები, ერთში აზერბაიჯანელები (სოფ. კაბალო), დანარჩენში 80% ქართველია.

1.5. საქართველოს გეოპოლიტიკური ვითარება

საქართველოს მსოფლიო რუკაზე სრულიად განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდებარეობა უკავია. მისი მოსაზღვრე ქვეყნებია ჩრდილოეთიდან — რუსეთი და მის ფედერაციაში შემავალი ყარაჩაი-ჩერქეზეთი,

ყაბარდო-ბალყარეთი, ჩრდილოეთი ოსეთი, ჩეჩნეთი, ინგუშეთი, დაღესტანი, აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან აზერბაიჯანი, სამხრეთიდან — სომხეთი და თურქეთი. საქართველო შემაერთებელი ხიდია ევროპასა და აზიას შორის, ამიტომაც ინტერესი ჩვენი ქვეყნის მიმართ დიდია.

ყარაჩაი-ჩერქეზეთი — შედის რუსეთის ფედერაციის სტავროპოლის მხარის შემადგენლობაში. მისი ფართობი 14,1 ათასი კმ²-ია, მოსახლეობა 1985 წლის აღწერით 390 ათასი კაცი. მდებარეობს კავკასიონის ჩრდილოეთ კალთაზე, მთავარი კავკასიონის ქედის თხემიდან კავკასიონის მთისწინეთამდე. ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ჩერკესკი. სხვა ქალაქებიდან აღსანიშნავია ყარაჩაევსკი და თებერდა.

ყარაჩაელებისა და ჩერქეზთა წინაპრები აღნიშნულ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ. ყარაჩაელები ბალყარელების მონათესავე ხალხია. ლაპარაკობენ ყარაჩაი-ბალყარულ ენაზე, რომელიც განეკუთვნება თურქულ ენათა ყივჩაღურ ჯგუფს. ჩერქეზები ადიღეელების საერთო სახელწოდებაა. ლაპარაკობენ ყაბარდო-ჩერქეზულ ენაზე, რომელიც კავკასიურ ენათა აფხაზურ-ადიღეურ ჯგუფს მიეკუთვნება.

ყაბარდო-ბალყარეთი — რუსეთის ფედერაციაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკაა. მისი ფართობია 12,5 ათასი კმ², მოსახლეობა 1985 წლის აღწერით 715 ათასი კაცი, დედაქალაქი ნალჩიკი. მდებარეობს კავკასიონის ჩრდილოეთი კალთის ცენტრალურ ნაწილში და ყაბარდოს დაბლობზე. ყველაზე მაღალ სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ ნაწილში ცხოვრობენ ბალყარელები. ეს არის გვერდითი და მთავარი ქედების ზონა. მდინარეთა ქსელი წარმოდგენილია თერგით, მალკით, ბაქსანით, ჩეგემით და ჩერეკით. ყაბარდოელები 45.6%-ია, ბალყარელები 9%. ბალყარელები აქ უძველეს დროიდან ცხოვრობენ. ბალყართა ენა განეკუთვნება თურქულ ენათა ჯგუფს. XIII-XIX საუკუნეებში ტერიტორიის დაბლობ ადგილებში მცხოვრებ ადიღეელებს ყაბარდოელები უწოდეს. მათი ენა აფხაზურ-ადიღურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება. ყაბარდოელები ძირითადად ცხოვრობენ ტერიტორიის ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ბალყარელებიც და ყაბარდოელებიც მუსულმანები არიან. მიუხედავად იმისა, რომ მათი რელიგია ისლამია, შემორჩენილია აგრეთვე ქრისტიანული და წინაქრისტიანული რწმენა-წარმოდგენები. ბალყარელები მეგობრულად და კეთილმეზობლურად არიან განწყობილნი საქართველოს მიმართ. ხშირად ამაყობენ ქართული წარმოშობით, აქ შენარჩუნებულია ქართული არქიტე-

ქტურის ძეგლები (თამარის ციხე და სხვა).

ჩეჩნეთი ანუ დღევანდელი იჩქერია, მდებარეობს კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, მის აღმოსავლეთ ნაწილში, უჭირავს აგრეთვე ჩეჩნეთის ვაკე. დედაქალაქია ჯოხარ-გოლა (გროზნო). ჩეჩენი მოსახლეობა 508,9 ათასი კაცია. ჩეჩნების გარდა, ცხოვრობენ რუსები, დაღესტნელები, სომხები, თათრები. ჩეჩნები ამ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან (პალეოლითიდან) სახლობენ. მეათე საუკუნის შემდეგ ჩეჩნეთში ქრისტიანული სარწმუნოებით დაინტერესება აღინიშნება, მეთექვსმეტე საუკუნიდან მძლავრობს ისლამი, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან გაბატონებულ სარწმუნოებად იქცა. ამჟამად ისინი მუსულმანი-სუნიტები არიან. მეთვრამეტე საუკუნეში აქ მცხოვრები ნახჩოს ტომიდან ჩამოყალიბდა ეთნიკური ჩეჩენი, რომელიც მთის სოფელ ჩეჩენთანაა დაკავშირებული. შამილის დამარცხებისა და სამოცწლიანი ომის დამთავრების შემდეგ, ჩეჩნეთი 1859 წლიდან შევიდა რუსეთის შემადგენლობაში. ჩეჩნეთის ეკონომიკური საფუძველი ნავთობია, ენაა ჩეჩნური, რომელიც კავკასიურ-იბერიულ ენათა ნახურ ჯგუფს მიეკუთვნება. ჩეჩნეთი ორ ნაწილად, დიდ და პატარა ჩეჩნეთად იყოფა. 1991 წლიდან იბრძვის დამოუკიდებლობისათვის. შეიქმნა იჩქერიის რესპუბლიკა. ჰყავს პრეზიდენტი. რუსეთმა იჩქერია სცნო რესპუბლიკად, ოღონდ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში.

ინგუშეთი — დასავლეთით ესაზღვრება ჩეჩნეთს და მოიცავს მთისწინეთსა და ბარის ზონას, აგრეთვე ცენტრალური კავკასიონის ხეობებს.

1970 წლის აღწერით ინგუშების რაოდენობა 158 ათასი კაცი იყო. ინგუშეთმა, როგორც ჩეჩნეთმა თავი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა და დარჩა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, დედაქალაქია ნაზრანი. ინგუშების ენა ჩეჩნური ენის მსგავსია და მიეკუთვნება ნახურ ენათა ჯგუფს. ისინი მუსულმან-სუნიტები არიან და როგორც ჩეჩნები, ამ მხარის ძირძველ მოსახლეობას მიეკუთვნებიან. აქაც ხალხის სახელწოდება სოფელ ანგუშიდან (ინგუში) მოდის. მეურნეობის მთავარი დარგები მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მებაღეობაა.

1943-1944 წლებში ინგუშები, ჩეჩნები და ბალყარელები გაასახლეს შუა აზიაში, საიდანაც დააბრუნეს 1957 წელს.

ჩრდილოეთი ოსეთი. ოსი ხალხის ჩამოყალიბება ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებიდან დაიწყო სკვითურ-სარმატულ-ალანური ტომების შერევით

კავკასიის აბორიგენ მოსახლეობასთან. X-XIII საუკუნეებში ჩრდილოეთი კავკასიის ცენტრალურ ნაწილში შეიქმნა ძლიერი ოსური ფეოდალური სახელმწიფო, ხოლო XIII-XIV საუკუნეებში თათარ-მონღოლთა და თემურ ლენგის შემოსევის გამო ოსებმა მთებს მიაშურეს და იქ დასახლდნენ. VI საუკუნეში ოსეთში ვრცელდება ქრისტიანობა, XVII-XVIII საუკუნეებში ოსების ერთმა ნაწილმა ისლამი მიიღო. ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა შედის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. მდებარეობს კავკასიონის ჩრდილოეთ კალთაზე, უჭირავს 8 ათასი კმ^2, მოსახლეობაა 612 ათასი კაცი (1985 წ.), დედაქალაქი ვლადიკავკაზი (ყოფილი ძაუჯიკაუ). ჩრდილოეთ ოსეთის მოსახლეობა ძირითადად ოსებია, ცხოვრობენ აგრეთვე რუსები, ინგუშები, სომხები, ქართველები, უკრაინელები, ყუმუხები.

დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა შედის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. ფართობია 50,3 ათასი კმ^2, მოსახლეობა — 1588 ათასი კაცი (1977 წლის აღწერის მონაცემებით), დედაქალაქი — მაჰაჩკალა. მდებარეობს ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში, აღმოსავლეთით ეკვრის კასპიის ზღვა. ტერიტორიის 3/4 კავკასიონის ქედის ფარგლებშია. დაღესტანში დაახლოებით 30 ეროვნება ცხოვრობს. მოსახლეობის რელიგიური მრწამსი ისლამია. განვითარებულია კვებისა და საკონსერვო მრეწველობა, ელექტროენერგეტიკა, ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვება, ქიმიური მრეწველობა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკა — დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომელიც ამიერკავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, ჩრდილოეთიდან ესაზღვრება დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა, დასავლეთიდან სომხეთი და ჩრდილო-დასავლეთიდან საქართველო, სამხრეთიდან ირანი, აღმოსავლეთიდან — კასპიის ზღვა. ფართობი 86,6 ათასი კმ^2, მოსახლეობა 5.514 ათასი კაცი (1974 წ.), დედაქალაქი ბაქო.

აზერბაიჯანი მდიდარია წიაღისეულით, განსაკუთრებით ნავთობითა და აირით.

მოსახლეობა ძირითადად აზერბაიჯანელებია. ცხოვრობენ აგრეთვე რუსები, სომხები, დაღესტნელები, ებრაელები, უკრაინელები, თათრები. მოსახლეობა აქ უძველესი დროიდან ცხოვრობს. ესენი იყვნენ ატროპატენისა და ალბანეთის მკვიდრი მოსახლეობა, რომლებიც, შემდეგ ჩამოყალიბებული, აზერბაიჯანელი ხალხის ორ ძირითად ეთნიკურ სუბსტრატს წარმოადგენდნენ.

ალბანელები იბერიულ-კავკასიური მოდგმისა იყვნენ, ატროპატენელები — ირანულისა. აზერბაიჯანელთა უმრავლესობა ისლამის მიმდევარია.

აზერბაიჯანმა, ისევე როგორც საქართველომ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ,მოიპოვა დამოუკიდებლობა. აშენებს დემოკრატიულ ქვეყანას, ჰყავს პრეზიდენტი. ის ერთ-ერთი დიდი და ძლიერი მეზობელია საქართველოსი.

სომხეთის რესპუბლიკა მდებარეობს ამიერკავკასიის სამხრეთ ნაწილში. ჩრდილოეთიდან მას ესაზღვრება საქართველო, აღმოსავლეთიდან აზერბაიჯანი, სამხრეთიდან — ირანი, დასავლეთიდან თურქეთი. ფართობია 29.9 ათასი კმ^2, მოსახლეობა 3.267 ათასი კაცი (1984 წ.), დედაქალაქი — ერევანი. სომხეთი, ისევე როგორც აზერბაიჯანი, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად. არის დსთ-ს წევრი. სომხეთი საქართველოს სამხრეთით მოსაზღვრე, ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფოა უძველესი კულტურითა და დამწერლობით. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მონოფიზიტები (სომხურ-გრიგორიანელები) არიან. მდებარეობს სამხრეთ კავკასიონის ვულკანურ მთიანეთში. მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. ძირითადი მოსახლეობა სომხებია. სომხეთი განვითარებული, მრავალმხრივი და მრავალდარგოვანი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა.

თურქეთის რესპუბლიკა - რუსეთის შემდეგ ჩვენი ყველაზე დიდი მეზობელი ქვეყანაა. მდებარეობს დასავლეთ აზიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. ტერიტორიის დაახლოებით 97% მდებარეობს მცირე აზიის ნახევარკუნძულზე, 3% ევროპაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ჩრდილო-აღმოსავლეთით მას სომხეთი და საქართველო ესაზღვრება, აღმოსავლეთით — ირანი, სამხრეთ-აღმოსავლეთით ერაყი და სირია, ჩრდილო-დასავლეთით ბულგარეთი და საბერძნეთი. ჩრდილოეთით აკრავს შავი ზღვა, დასავლეთით ეგეოსის ზღვა, სამხრეთით — ხმელთაშუა ზღვა. დედაქალაქია ანკარა, სახელმწიფო ენაა თურქული.

ფულის ერთეული თურქული ლირა. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი.

თურქეთი მთიანი ქვეყანაა. მოიცავს მცირე აზიის მთიანეთს და ნაწილობრივ სომხეთის მთიანეთს. ევროპულ ნაწილში ჭარბობს ბორცვიანი ვაკეები. დიდი დაბლობია ქვეყნის სამხრეთ ნაწილში. მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. ძირითადი მოსახლეობა თურქებია. ქვეყნის ჩრდი-

ლო-აღმოსავლეთით ცხოვრობენ ქართველები (ლაზები და სხვანი). თურქეთში სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობენ არაბები, ჩერქეზები, აზერბაიჯანელები, თურქმენები, ბულგარელები, ალბანელები, ბერძნები და სხვა. თურქეთი დიდი ქვეყანაა, ხანგრძლივი ისტორიული წარსულით. დღეს ის მძლავრი ინდუსტრიული სახელმწიფოა. შედის ევროკავშირის შემადგენლობაში.

რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა. საქართველოს მეზობელ ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი და ძლიერი რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკაა. ორასზე მეტი წლის განმავლობაში საქართველო იყო ჯერ რუსეთის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. დღევანდელი რუსეთის ფედერაცია მოიცავს უზარმაზარ ტერიტორიას. გამოირჩევა მსოფლიოში თავისი სამხედრო პოტენციალით. მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. ის ძლიერი ინდუსტრიულ-აგრარული, მდიდარი კულტურისა და ხანგრძლივი ისტორიის ქრისტიანული ქვეყანაა. მისი დედაქალაქია მოსკოვი.

საქართველო მოქცეულია ძლიერ სახელმწიფოებს შორის, ამდენად შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს აზიისა და ევროპის ეკონომიკურ ურთიერთობაში. იგეგმება „აბრეშუმის გზა“, დაიწყო ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გატანა აზერბაიჯანიდან ჩვენს ტერიტორიაზე გავლით. ვითარდება საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია. შესაბამისად იზრდება სტრატეგიული ინტერესი ჩვენი ტერიტორიისადმი. საქართველო მეტად რთულ გეოპოლიტიკურ გარემოშია, რაც მისი გეოგრაფიული მდებარეობითაა განპირობებული.

თავი II. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ზოგადისტორიულ-გეოგრაფიული და კარტოგრაფიული აღწერა

საუკუნეების განმავლობაში საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები ტომობრივი მოსახლეობის საზღვრებს არაერთხელ გასცდენია. ძლიერების ხანაში, IX-XIII საუკუნეებში, განსაკუთრებით კი XII საუკუნეში, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს, საქართველოს პოლიტიკური გავლენა მთელს კავკასიაზე ვრცელდებოდა. თვით ბუნებამ შექმნა საქართველოს ბუმბერაზი დარაჯი კავკასიონის მთავარი ქედი ჩრდილოეთით და მაღალი მთების ზღუდე სამხრეთით, დასავლეთით მის ტერიტორიას შავი ზღვა საზღვრავს, ხოლო აღმოსავლეთით კი მდინარეების ზოლი აქვს შემოვლებული. როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს „საქართველოს ერთს საუცხოოდ გარშემოზღუდვილს ქვეყანას წარმოადგენს. ამ პირობების წყალობით შესძლო ქართველმა ერმა თავისი ხანგრძლივი ისტორიული არსებობის დროს მრავალი, ხშირად გაცილებით უფრო ძლიერი მტრების მოგერიება და თავისის ეროვნების დაცვა, ეს გარემოება საქართველოს მტრებსაც ესმოდათ და ამიტომ არა-ერთხელ ყოფილა, რომ ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ მონაპირე კუთხის დაპყრობა და ჩამოშორებაც უცდიათ“.

საქართველოს ბუნებრივი საზღვრების დაცვას, ყოველთვის და განსაკუთრებით დღეს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რამეთუ მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ერის არსებობისათვის.

როგორი იყო საქართველოს საზღვრები ისტორიულად და როგორია ის თანამედროვე პირობებში, სად გადის საქართველოს საზღვრები ამჟამად, შეესაბამება თუ არა საერთაშორისო სამართალს, რუსეთთან დადებული ხელშეკრულება თუ საბჭოთა პერიოდში დადგენილი (დაკანონებული) საზღვრები, ისე რომ თავისუფალი, დამოუკიდებელი ქართველი ერის პოლიტიკური უფლებები არ შეილახოს და სამართლიანობა აღდგენილ იქნას. ამ მიზნით განვიხილოთ ისტორიულად საქართველოს ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი, სამხრეთი და დასავლეთი საზღვრები.

2.1. ჩრდილო-დასავლეთი ხაზი. აფხაზეთ-ჯიქეთი

საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთით, საქართველოს ის-


ეთნოგრაფიული საქართველო
(აწინდელ საზღვრებში)
1. ჯიქეთი
2. ლეჩხუმი
3. მაღრან-დეალეთი
4. ორუსო
5. ხევი
6. მთიულეთი
7. ქსნისხევი
8. ხანდო
9. ჭართალი
10. გუდამაყარი
11. ხევსურეთი
12. ფშავი
13. თუშეთი
14. თიანეთი
15. ერწო
1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
აფხაზეთი
სვანეთი
სამეგრელო
რაჭა
იმერეთი
ქართლი
კახეთი
ქიზიყი
გურია
ჯავახეთი
ადჭარა
სომხეთი
ბრიალეთი

საქართველოს თანამედროვე
პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფა
ბათუმი
ქობულეთი
ზუგდიდი
ფოთი
ოზურგეთი
ხონი
ტყიბული
ცაგერი
ამბროლაური
ონი
ლაგოდეხი
ახმეტა
ბორჯომი
ახალციხე
ადიგენი
ასპინძა
ახალქალაქი
ნინოწმინდა
ბოლნისი
დმანისი
ბაღდათი
ვანი
ზესტაფონი
ჭიათურა
ქუთაისი
ზესტაფონი
ბაღდათი
ოზურგეთი
ბათუმი
ქობულეთი
ფოთი
ზუგდიდი
ონი
ამბროლაური
ცაგერი
ტყიბული
ბორჯომი
ახალციხე
ადიგენი
ასპინძა
ახალქალაქი
ნინოწმინდა
ბოლნისი
დმანისი
ბაღდათი
ვანი
ზესტაფონი
ჭიათურა
ქუთაის

ტორიული მხარე — აფხაზეთი მდებარეობს. როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს „ისტორიული ცნობების მიხედვით, მე-19 საუკუნეში ჩვენი ტერიტორიის მოსაზღვრე ხაზი მეზობელ ქვეყნებს შორის ძალიან ჩრდილოეთით მდებარეობდა, იგი იწყებოდა მდ. ყუბანის შესართავიდან და იმ ადგილიდან, სადაც კავკასიონის მთავარი ქედის დასაწყისია. იმ დროს ჯიქეთი, ალანთა ქვეყანაც აფხაზეთს ეკუთვნოდა და დუაბზე და ტუაფსეც აფხაზთა საკუთრება იყო". არსებული საბუთებით ირკვევა, რომ საზღვრის ხაზი მდ. ბზიფის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე გამყოფ ქედზე უნდა ყოფილიყო გავლებული, ხოლო ამ ადგილიდან მოყოლებული აფხაზეთის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გადახრილი საზღვრის ხაზი კავკასიონის მთავარ ქედს მისდევდა და ახლაც მიდის სვანეთისაკენ. 1840 წელს ატეხილი ამბოხებისა და 1867 წლის აფხაზეთის აჯანყების შემდეგ რუსეთმა ადგილობრივი მოსახლეობა აჰყარა და ოსმალეთში გადაასახლა. რუსეთი შავი ზღვის პირას ადგილობრივ მკვიდრთა, განსაკუთრებით კი ქართველთა საწინააღმდეგო პოლიტიკას აწარმოებდა. ქართველებს აქ დასახლება და უძრავი ქონების შეძენა აკრძალული ჰქონდათ. სახლდებოდნენ რუსი ჩინოვნიკები და სხვა ეროვნების ხალხები. რუსეთის ამგვარი პოლიტიკის შედეგად საქართველოს ჩრდილო-დასავლეთით ქართველების გვერდით სხვებიც დამკვიდრდნენ.

2.2. ჩრდილოეთი ხაზი.

ა) დვალეთის მონაკვეთი

საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის ხაზი აფხაზეთის შემდეგ სვანეთში გადის. ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ ზღუდეს — კავკასიონის მთავარ ქედს მისდევს, გადადის რაჭაში და კვლავ კავკასიონის მთავარ ქედს მიუყვება დვალეთამდე. დვალეთი კავკასიონის მთავარსა და პირიქითა ქედებს შორის იყო მოქცეული და საქართველოს მოსაზღვრე უკიდურესი ჩრდილოეთი ქვეყანა იყო. XVIII საუკუნეში დვალეთიც საქართველოს იურისდიქციაში იყო და მასთან პოლიტიკურად, სარწმუნოებრივად, კულტურით და ეკონომიკურადაც ყოფილა დაკავშირებული. XIX საუკუნეში დვალეთი თბილისის გუბერნიის საზღვრებში იყო მოქცეული და ამ გუბერნიის მთიულეთის ოლქს ეკუთვნოდა. შემდეგ რუსეთის მთავრობამ დვალეთი ანუ არდონის ხეობა საქართველოს ჩამოაშორა და თერგის

ოლქს შეუერთა, და თუ წინათ საქართველოს საზღვრის ხაზი ხოხის მთის (ადაი ხოხი) და არხოტის მთის (არხონი) შუაში გადიოდა, ამჟამად მან კარგა მანძილით გადმოინაცვლა სამხრეთისკენ. დვალეთის აღმოსავლეთით საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი ისევ კავკასიონის მთავარ ქედზე გადის და მხოლოდ დარიალის ხეობასთან იგი ქედის იქითაც გადადის. ამ საზღვარმაც საკმაო ცვლილებები განიცადა.

ბ) საზღვარი დარიალის ხეობაში

საქართველოს საზღვრის ყველაზე უფრო გრძელი მონაკვეთი გადის ჩრდილოეთის ზონაში, იგი საქართველოს მიჯნავს მთელი ჩრდილოეთი კავკასიისაგან (დაღესტანი, ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ჩრდილოეთი ოსეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი, კრასნოდარის მხარე). ძირითადად საზღვარი გადის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, მაგრამ საქართველოს ზოგიერთი კუთხე (თუშეთი, პირიქითა ხევსურეთი, ხევი) აღნიშნული ქედის გადაღმაც მდებარეობს. ჩრდილოეთ კავკასიასთან საქართველოს აკავშირებს მრავალი გზა-უღელტეხილი, რომელთა შორის უძველესი დროიდან დღემდე პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობით გამოირჩეოდა დარიალის ჭიშკარი და კასრის კარი. ეს უკანასკნელი მდებარეობს დვალეთის ტერიტორიაზე, დვალეთისა, რომელიც საქართველოს ეკუთვნოდა, მაგრამ ისტორიული ბედუკუღმართობის შედეგად მისი უდიდესი ნაწილი დავკარგეთ და ჩრდილოეთ ოსეთის ფარგლებში მოექცა. რაც შეეხება დარიალს, ცნობილია მისი რამდენიმე სახელწოდება — არაგვის კარი, დარუბალი, დარიალი, დარიელი, დარიალანი, დარიაელი — სხვადასხვა ეპოქის ისტორიული წყაროებისა და ხალხური ნომინაციის მიხედვით. მათ შორის პირველი უკავშირდება მდინარის სახელწოდებას — მდ. თერგს არაგვი ერქვა (მოხევეები დღესაც ასე ეძახიან) და შესაბამისად არაგვის ხეობიდან გასასვლელს არაგვის კარი ეწოდებოდა, მეორე სახელწოდება დარიალი სპარსულიდან მოდის და ნიშნავს ალანთა კარს, ე.ი. ალანეთში გასასვლელს.

დარიალის ჭიშკარს საქართველოს ხელისუფლება ყველა ეპოქაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და მის გამაგრებაზე ზრუნავდა. უფრო ადრე თუ არა, ფარნავაზის მეფობის ეპოქიდან (IV-III სს ძვ. წ.) მაინც, ამ ისედაც ძლიერ ბუნებრივ სიმაგრეში შენდებოდა ციხე-კოშკები, ზღუდეები თუ გვირაბები. აღნიშნული კლდეკარის მეშვეობით ფარნავაზი

საქართველოს ჩრდილო საზღვარი 1783 წელს



მასშტაბი 1 სმ-ში 4 ვერსი

კავშირს ამყარებდა ძურძუკეთთან (ახლანდელი ჩეჩნეთი და ინგუშეთი) და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ქვეყნებთან. ლეონტი მროველის ცნობით, ძვ. წ. II ს-ში მირვან მესამემ ძურძუკებთან ბრძოლის შემდეგ „შეაბნა კარნი ქვიტკირითა, და უწოდა სახელად დარებალ“. ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასალმა ოსთა და ყივჩაყთა დამარცხების შემდეგ დარიალის ხეობაში „აღაშენნა მას ზედა გოდოლნი მაღალნი და დაადგინნა მცველად მახლობელნი იგი მთიელნი. არა ხელეწიფების გამოსლვად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაყთა თვინიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა“. ანალოგიურ ღონისძიებებზე მიგვითითებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. დავითმა „აღიხუნა ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისა და კავკასიისა მთისათანი“. დარიალის გამაგრებაზე ზრუნვისა და მნიშვნელობის დამადასტურებელია ვახუშტის ცნობაც იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ მირვან მესამემ ამ ჭიშკარს შეაბა კარი და ქმნა სიმაგრე ხაზართა (იგულისხმებიან სკვითები) და ოვსთათვის, რათა უმისოდ ვერღარა ვიდნენ (და არს სახელი ესე მომრევი). ამის ქუეით ნასასახლევი მეფეთა ოდეს გაილაშქრიან ოვსეთად, მუნ დაადგიან“.

დარიალის ხეობის დიდი ნაწილი ხევის დღევანდელი ყაზბეგის რაიონის ფარგლებში შედის. მისი ზუსტი და მკაფიო აღწერილობა მოცემული აქვს ვახუშტი ბაგრატიონს.

ვახუშტის ნაშრომის შემდეგ საყურადღებოა ლეონ მელიქსედ-ბეგის მიერ 1886 წელს გამოცემული „საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა“. მის I და II რედაქციაში შეტანილია ცალკე პუნქტები: „აღწერა დიდო-ქისტისა, ღლიღვთ-ზურზუკისა, თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და ხევისა“.

არსებული წყაროების, ლიტერატურისა და რუკების განხილვის საფუძველზე ირკვევა, რომ საქართველო-ოსეთის საზღვარი სხვადასხვა ეპოქაში ცვალებადობას განიცდიდა. საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია ზოგჯერ სოფ. ჩმიმდე და სოფ. ბალთამდეც კი ვრცელდებოდა. თვით საბჭოურ პერიოდშიც სოფ. ჩმი და ლარსი, ჯარიახის (არმხის) ხეობასთან ერთად, ყაზბეგის რაიონის ფარგლებში შემოდიოდა (1944 წლიდან — ინგუშების გადასახლებიდან დაბრუნებამდე). მყარი ისტორიული საზღვარი კი დარიალის ხეობის ბოლოში — ზემო ლარსის მისადგომებთან გადიოდა. ძველი თაობის მოხევეთა გამოკითხვით დადგინდა, რომ სასაზღვრო ზონას ერქვა ბახტარი, იქ აღმართულ ციხეს კი ბახტრის ციხე. XIX ს-ში, როდესაც ამ

ციხემ თავდაცვითი ფუნქცია დაკარგა, ის სალოცავად აქციეს და „ბახტრის წმინდა გივარგი“ შეარქვეს. საზღვარი გადიოდა ბახტრის იმ ადგილზე, სადაც უზარმაზარი ლოდები ძევს და გზა მოსახვევს აკეთებს. ამ ადგილს მოხვეებმა შეარქვეს დიდღორღი (ე. ი. დიდი ქვები), რომლის უკან შემორჩენილია საგუშაგო კოშკის საძირკველი. ამ ადგილიდან ზემო ლარსამდე დაახლოებით 0,8 კმ-ია.

2.3. აღმოსავლეთი საზღვარი

საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეს მტკვრამდე ჰერეთი ეწოდებოდა. ჩრდილო-აღმოსავლეთით საქართველო დაღესტანს ესაზღვრებოდა. აქ საზღვრად დაღესტნის მთები, კავკასიონის მთავარი უღელტეხილი და ალაზნის შენაკადების გამყოფი ქედი იყო. სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს კი აზერბაიჯანი საზღვრავდა. ამ მეზობელ ქვეყნიდან ძველი ჰერეთი გამიჯნული იყო ალაზნისა და ივრის შესართავით. აქედან საზღვარი მიემართებოდა ჩრდილოეთისაკენ, მდ. ალაზნის გასწვრივ იმ ადგილამდე, სადაც მდინარე აგრიჩაი (გიშის წყალი) ერთვის ალაზანს, შემდეგ საზღვარი გიშის წყალს გასწვრივ მიუყვებოდა სათავემდე და ადიოდა კავკასიონის წყალგამყოფ ქედზე. ასე აღწერენ საქართველოს ამ კუთხის — ჰერეთის საზღვრებს ვახუშტი ბატონიშვილი (1735 წ) და ბურნაშევი (1784 დ.) მათ მიერ შედგენილ რუკებზე გატარებული საზღვრის ხაზის შესაბამისად.

ვახუშტის მიხედვით მდინარე გიშის წყალი გამოდის ხევიდან იმ ადგილას, სადაც დღეს მდებარეობს დასახლებული პუნქტი გიში. მას სამხრეთ გაგრძელებაზე ებმიან სოფლები ოხუთი და ქოხმუხი, მარცხენა სანაპიროზე კი ნუხა. აქ ფერდობზე მდებარეობს გუმბათიანი ეკლესია, ბორცვებზე მონიშნულია ციხის ნანგრევები. აქედან მდ. გიშის წყალი მიემართება სამხრეთ-დასავლეთისაკენ და ერთვის მდინარე აგრიჩაის, რომელიც სათავეს იღებს კავკასიონის ქედზე. ზემო წელში მას ეწოდება გიშჩაი. სოფელ კუდულას აღმოსავლეთით იგი უხვევს დასავლეთისაკენ და აქედან უკვე აგრიჩაი ჰქვია. ძველ დროს აგრიჩაიც გიშის წყლის სახელწოდებით იყო ცნობილი, ამიტომაც არის, რომ სახელწოდება აგრიჩაის ვახუშტის რუკაზე ვერ ვხვდებით. ივანე ჯავახიშვილიც საზღვრის ხაზის ამ მდებარეობას ადასტურებს.

გიშის წყლის შესართავიდან საზღვარი მდინარე ალაზნის გაყოლებით

აღმოსავლეთ საქართველო XVII-XVIII საუკუნეებში

სქემატური რუკა



მიემართებოდა სამხრეთით (მერიდიანული მიმართულებით) მდინარე ივრის შესართავამდე, სადაც ხორონთა მდებარეობდა. შემდეგ საზღვრის ხაზი პირდაპირ გადიოდა მტკვარზე და მიუყვებოდა მას მარჯვენა შენაკადამდე — მდინარე აღსტაფურამდე (დღევანდელი მდ. აღსტაფამდე).

XIX საუკუნის ბოლოსათვის საქართველოს ამ კუთხეში საზღვრის ხაზი რამდენადმე განსხვავებული იყო. კერძოდ, საზღვრის ხაზი კავკასიონიდან — მწვერვალ ტახტალადან (ახლანდელ მწვერვალ კირაკაიდან — 3165 მ.) მწვერვალ არანასზე (2879 მ.) გავლით ჩამოდიოდა მდინარე კაშკაჩაის ხეობაში. ჩრდილო-დასავლეთიდან ჩამოუდიოდა სოფელ ბილიჯიქს და სოფელ ბაიდარლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 2.5 კმ-ის შემდეგ კვეთდა მდინარე გიშის წყალს (აგრი-ჩაი), აქედან მწვერვალ კოზლუდაგზე გავლით გადადიოდა მთა საბათ-ლოზე, ეშვებოდა ტბა აჯინაურამდე, კვეთდა მას და კონჯიშინის ქედის (ხარაბახარის, იგივე ხოჯაშენის ქედის) წყალგამყოფის გავლით, მისი ბოლოდან დასავლეთით ეშვებოდა მდინარე ალაზნის მეანდრულ უბანში, შემდეგ სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით კვეთდა მდინარე იორს, ადიოდა პალანტეიკანის ქედზე, მისი წყალგამყოფით მიემართებოდა იაილაჯიხის ქედამდე, შემდეგ მისი ცენტრიდან რკალად უხვევდა სამხრეთით და ჩამოდიოდა მდ. მტკვარზე, იქ, სადაც მას ერთვის მდ. აღსტაფა; მიუყვებოდა მტკვარს და კვეთდა მას ხრამის შესართავთან, შემდეგ მისდევდა ხრამს 5 კმ-ზე და ადიოდა მთა ბაბაყარაზე. ჰერეთის ეს უკიდურესი აღმოსავლეთი კუთხე, რომელიც ზაქათალას ოლქს ეკერის, კამბეჩოვანის ანუ ქიზიყის სახელით არის ცნობილი. მისი საზღვარი იყო „სამხრეთით უფადარი და წინამინდორი ხორანთამდე“. წინამინდორი იყო ის ველი, რომელიც სამხრეთით ივრისა და ალაზნის შესართავთან მთავრდებოდა. როგორც ივანე ჯავახიშვილი აღწერს, „საქართველოს სამხრეთით მოსაზღვრე ქვეყნის აღმოსავლეთის კიდეს იმ ადგილიდან მოყოლებული, სადაც საზღვრის ხაზი იორ-ალაზნის შესართავიდან მტკვარზე გადიოდა ყარაიამდე, ჯეირან-ჩუღურეთის ველის სახელი ერქვა. შემდეგ კი ყარაია ეწოდება. ჰერეთის ამ მხარეს საზღვრად ჰქონდა ჩრდილო-დასავლეთით მთა გეოეჯი მწარე წყლამდე, ხოლო სამხრეთით მწარე წყალი, ე. ი. დაახლოებით იმ ადგილამდე სადაც აღსტაფურას წყლის შესართავია. ჰერეთის იმ ნაწილს, რომელიც ბოლო დროს ყარაიად იწოდებოდა, დასავლეთ-სამხრეთით უკვე ქვემო ქართლი ეკვროდა და ამ ადგილიდან მოყოლებული სწორედ ეს ქვეყანა იყო იმავე

დროს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარი და მონაპირე კუთხე. ქვემო ქართლის აღმოსავლეთი ნაწილი და საზღვარი იმავე დროს გარდაბანის საერისთავოს ნაწილი და საზღვარი იყო და მას საზღვრავდა აღმოსავლეთით მტკვარი და ხუნანის გამართებით ბერდუჯის აღმოსავლეთის მცირე მთა. მაშასადამე, ქვემო ქართლის ანუ ეხლანდელი ბორჩალოს მაზრის აღმოსავლეთის საზღვრად ჯერ მდინარე მტკვარია დაახლოებით ყიზყალას ნანგრევების ცოტა სამხრეთ-აღმოსავლეთით, ხოლო შემდეგ ქურდვაჭრის ხეობის ქედი, რომელიც დებედას აღმოსავლეთით მდებარეობს და დებედას შემდინარეების გამყოფელი მთა არის.

საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვარი სამხრეთ-აღმოსავლეთით საქართველოს პოლიტიკური სისუსტის დროსაც, XVIII საუკუნეში იქ კი არ თავდებოდა, სადაც ქვემო ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი იყო, არამედ გაცილებით უფრო შორს მიდიოდა, თავი რომ დავანებოთ განჯისა და ერევნის სახანოებს, რომლებიც მეფე ერეკლეს ყმადნაფიცები იყვნენ, ყაზახი, შამშადილი, შამქორი საქართველოსთან უმჭიდროესად იყვნენ დაკავშირებულნი".

2.4. სამხრეთი საზღვარი

ძველი საქართველოს სამხრეთ მხარეს — ქვემო ქართლს გუგარენი ეწოდებოდა, XI საუკუნის ქართველ ისტორიკოსს, ლეონტი მროველს ქართლის საზღვრად მოხსენებული აქვს „აღმოსავლეთ ჰერეთი და მდინარე ბერდიოჯისი... სამხრეთით მთა, რომელიც მიჰყვება ბერდიოჯის მდინარის თავსა". მაშასადამე, ამ დროს ტაშირიც, ლორეც, ბამბაკიც და შამშადილიც, ბოლნის-დმანისის ხეობანიც ქართლის კუთვნილება და ნაწილი ყოფილა. საქართველოს ამ კუთხეს გარეშე მტრისაგან თავდაცვის დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამიტომაც იყო, რომ მთელ ამ მხარეს ქართული სახელმწიფო სამართლის მიხედვით „მეწინავე სადროშო" ეწოდებოდა. საქართველოს ამ მართლაც „მეწინავე სადროშოს" სამხრეთით ერთადერთი საფარის, დარაჯის ფუნქცია ჰქონდა, სპარსეთიცა და ოსმალეთიც მუდამ ამ კუთხის დაპყრობას ლამობდნენ. ქართველობას მის შესანარჩუნებლად სიცოცხლე არ დაუზოგავს. საქართველოს სამხრეთით სომხეთისაგან გამყოფ ხაზად ითვლებოდა ერევნის მთები, რომელთაც „ბამბაკის მთები" ეწოდებოდა. ამას ადასტურებს 1743 წლის ქართულ-რუსული რუკა და ბურნაშევის მიერ 1784 წელს შედგენილი რუკა. ამრიგად, 1783

წელს რუსეთთან ხელშეკრულების დადების ჟამს, საზღვარი ჩვენსა და სომხეთს შორის ერევნის ანუ „ბამბაკის მთებზე“ გადიოდა. ქვემო ქართლი, „ვითარცა საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ქვეყანა“ და „მოწინავე სადროშო“ სტრატეგიული მდებარეობის გამო, ხშირად ბრძოლისა და თავდასხმის ასპარეზი იყო. ამიტომაც ის ხშირად მოწინააღმდეგის ხელში გადადიოდა, მაგრამ მაინც ინარჩუნებდნენ თავის ეკონომიკურ, კულტურულ და სულიერ მდგომარეობას. აქ, თავისი ქვეყნიდან დევნილი და ქართველი მეფეების მიერ შეფარებული სომხებიც სახლდებოდნენ.

მთლიანობაში საქართველოს სომხეთთან საზღვარი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ასე უნდა იქნეს წარმოდგენილი: მდინარე შამხორის წყლის მტკვართან შესართავი ადგილიდან (წერტილიდან) საზღვარი მიემართება მდინარეების ასრიკჩაისა და ძეგამის წყლის წყალგამყოფ ქედზე (დღევანდელი ჩინალდაგის ქედზე), საიდანაც გადმოდიოდა სევანის ქედზე (შახდაგის ქედზე) და სევანის ჩრდილოეთი მხრიდან მიემართებოდა ერევნის (ბამბაკის ანუ ჰამბაკის) ქედისაკენ, საზღვრის ხაზი გადიოდა მის თხემზე. შემდეგ, როგორც ვახუშტი აღნიშნავს, საზღვარი „მოადგების“ მთას, რომელიც „ძევს ჩრდილოეთითა და სამხრეთით“, ე.ი. ჯავახეთის ქედის სამხრეთ დაბოლოებას. გეოგრაფიული თვალსაზრისით ეს წერტილი უნდა მდებარეობდეს უღელტეხილზე, რომელსაც ამჟამად ჰქვია კარახჩაი (2104 მ.), საიდანაც საზღვარი მიემართებოდა დასავლეთით და მთავრდებოდა სოფ. გულთაშენის ნანგრევებთან.

2.5. სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი. მესხეთი ანუ ზემო ქართლი

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს ზოგადად ზემო ქართლი ეწოდებოდა, საკუთრივ კი მესხეთს ეძახდნენ. მესხეთი ბევრ სხვადასხვა თემს შეიცავდა. აღმოსავლეთიდან რომ გამოვყვეთ, მის სანაპირო თემებად შემდეგი ადგილები იყო: ჯავახეთ-აბოცი, არტაჰან-კოლა, კლარჯეთი, ტაოოლთირი და თორთუმ-ისპირი. კლარჯეთის სამხრეთ-დასავლეთით ზღვის პირას ტრაპიზონამდე უკვე ლაზისტანი ანუ ჭანეთი იყო. ვახუშტი ბაგრატიონი აღწერს აქ მოქცეულ ტერიტორიასა და საზღვრებს. ეს უბანი საქართველოსი მოიცავდა მთლიანად სამცხე-საათაბაგოს.

აბოცი ჯავახეთის სამხრეთით მდებარეობდა და ვითარცა მესხეთისა და ქვემო ქართლის შუამდებარე თემი, ზოგჯერ მესხეთს ეკუთვნოდა, მაგრამ

ხშირად, განსაკუთრებით XVII-XVIII სს-ში, ქვემო ქართლის საზღვრებში იყო მოქცეული. აბოცს ხშირად პალაკაციოსსაც ეძახდნენ, ხოლო ვახტანგ VI დროს ყაიყული ეწოდებოდა. ივ. ჯავახიშვილი ეყრდნობა რა ვახუშტის მონაცემებს, აღნიშნავს, რომ აბოცს ტაშირისაგან „ჰყოფს მთა ირჯანისა, აწ ყარალაჯად წოდებული". ამავე სახელს უწოდებენ ამ მთას დღესაც. მას მერიდიანული მიმართულება აქვს (ჩრდი-ლოეთ-სამხრეთი), მაღალია, „თოვლიანი და უტყეო და კალთა ბალახოვანი". (ვახუშტი).

მაშასადამე, აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, „აბოცის სამხრეთის საზღვარი იწყება იქ, სადაც ირჯანის ანუ ყარალაჯისა და ბერდუჯის (ბეზობდალის) მთების შესაყარია. აქედან ხაზი მიდის ბაბას მთების ქედ-ქედ დიდ აღაბაბას მწვერვალამდე. შემდეგ უკვე საკუთრივ მესხეთის საზღვარი იწყება და იმ ძველად ყარსის მთებად წოდებული მთავარი წყალგამყოფი მთების ქედს მისდევს, რომელიც მტკვრისა და ჭოროხის შემდინარეების აუზს არეზის აუზისაგან ყოფს და მერე ოლთისის ოლქის სამხრეთ-აღმოსავლეთს საზღვარს ქმნის. შემდეგ საზღვარი მიდის ძველ დროს ირიჯლუს მთებად წოდებულ ჭოროხისა და არეზის შემდინარეების წყალგამყოფი მთების ქედზე, შემდეგ ჩრდილო-დასავლეთით უხვევს, სანამ ლაზისტანის საზღვარს არ მიადგება".

ამგვარად, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი საზღვრის შიგნით მოქცეული იყო შემდეგი ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები: შავიზღვისპირეთი, ჭოროხისა და მტკვრის აუზის ზემო წელი. აქედან შავიზღვისპირეთში შედიოდა აჭარა, ქობულეთი, ლიღვანა, ჭანეთი ანუ ლაზიკა (ლაზისტანი); ჭოროხის რაიონი მოიცავდა შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს, ბასიანს, ისპირს, თორთუმს; მტკვრის აუზის ზემო წელი კი - სამცხეს, ჯავახეთს, არტაანს (არდაგანს), კოლას, აბოცს (ანუ პალაკაციოს). ოსმალეთმა ომითა თუ სხვა ხერხებით ნელ-ნელა მოახერხა ამ რეგიონის ხელში ჩაგდება. 1783 წელს ერეკლე მეორე რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებაში მოითხოვდა აღნიშნული ტერიტორიის დაბრუნებას.

1828 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ საქართველოს ფარგლებში ისევ შევიდა ქობლიანი, ოძრხე (აბასთუმანი), ახალციხე, აწყური, ასპინძა, ხერთვისი, ახალქალაქი, ჭარმაგი, ფოცხოვი, აბოცი (პალაკაციო) და ერუშეთი.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ პარიზის ზავით შემოერთებულ იქნა აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კოლა-არტაანი და ტაოს

ჩრდილოეთი ნაწილი — ოლთისი. საზღვრის მიღმა დარჩა ჭანეთი ანუ ლაზისტანი და ჭოროხის ზემო წელში მდებარე ნაწილი.

ამრიგად, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი უბნის საზღვრის ხაზი მთლიანობაში შემდეგ მოხაზულობას ღებულობდა: უკიდურესი აღმოსავლეთი წერტილიდან, სოფ. გულთაშენიდან საზღვარი მიემართებოდა ჩრდილო-დასავლეთით მწვერვალ დიდ აღაბაბამდე (3042 მ.) და ჩილდირის ტბის სამხრეთით სოფ. ტაშბაშის გავლით სამხრეთიდან უვლიდა ლავაშის ტბას და იქვე, უსახელო მდინარის ხეობით მიდიოდა ჩრდილო-დასავლეთით ჩილდირის ქედზე მდებარე უსახელო მწვერვალამდე (3125 მ.), შემდეგ ეშვებოდა სამხრეთ-დასავლეთით სოკალთუთანის უღელტეხილზე (2240 მ.), საიდანაც წყალგამყოფი სერით მწვერთალ ბუღას (2718 მ.) გავლით მიემართებოდა ალახიუკბერის (ყარსის) ქედის სერით სამხრეთ-დასავლეთისაკენ, უღელტეხილ ეშაკმეიდანის (2478 მ.) გავლით მიდიოდა მწვერვალ გუმბრზე (კუმრი 2845მ.), საიდანაც წყალგამყოფ ქედზე გადადიოდა მწვერვალ სოგანლიდაგამდე (2085 მ.). აქედან ხანის უღელტეხილის გავლით საზღვრის ხაზი სამხრეთ-დასავლეთით მიუყვებოდა ჩახირბაბას (ბაბას) თხემს და ადიოდა მწვერვალ ოიუკ-ტაშზე (2852 მ.), შემდეგ მისდევდა მის თხემს და მდინარე არაქსის აუზსა და მდინარე ჭოროხის შენაკადების — თორთუმის და ოლთისის წყალგამყოფ ქედს, გადიოდა აქ მდებარე მწვერვალებს: კაბიჩანს (2667 მ.), ყარაპაზარს (3133მ.), კაშკუშლა-ობაზს (3147 მ.), ონუსბაბას (3248 მ.), უღელტეხილ ხორტოკს (3045 მ.) და სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით, მწვერვალ სულაკით (2978 მ.) და წყალგამყოფი თხემის შემდეგ კვეთდა მდინარე ჭოროხს (სოფ. ხოფისტასა და ქიფაისს შორის) და ადიოდა პონტოს ქედის სერზე, სადაც ლაზისტანის საზღვარი იყო. აქედან მთა რკინის პალოს (3478მ.) (აღმ. გრძედი 40°28' და ჩრდ. განედი 40°32') გავლით საზღვარი მიემართება მდ. კოლოპოტამოსის (კალაპოტამოსის) და მაქის (მაკის) წყალგამყოფ სერზე, შემდეგ ეშვებოდა შავ ზღვაზე, დასახლება ოფის ჩრდილო-აღმოსავლეთით 5 კმ-ში სოფელ კელალისთან.

ამ ადგილიდან ზღვის სანაპიროთი მანძილი ბათუმამდე 150 კმ იყო.

დღეს საქართველოს ფარგლებს გარეთ მოქცეულია ამ კუთხის ძირძველი მიწები, რომელთა ფართობი შეადგენს: ლაზისტანის — 3925 კმ²; ართვინის — 2933 კმ²; არდაგანის — 5724კმ²; ოლთისის — 3040 კმ²,

სულ სამხრეთ-დასავლეთ უბანში საქართველოს დღევანდელ საზღვრებს მიღმა დარჩენილია 15,622 კმ² ტერიტორია. ამგვარად, არტაანისა და ოლთისის ოლქები, რომლებიც ძველად კოლა-არტაანისა და ტაოს ჩრდილოეთ ნაწილს წარმოადგენდნენ, საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს ეკუთვნოდა.

2.6. საქართველოს დასავლეთი საზღვარი (შავი ზღვისპირეთი)

საქართველოს ტერიტორია დასავლეთით შავი ზღვით ისაზღვრება. თუ შავი ზღვის სახელის ეტიმოლოგიას გადავხედავთ, ჩანს, რომ უძველეს დროში ქართველი ტომები მას უბრალოდ „ზღუას“ უწოდებდნენ, სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს „სპერას ზღუას“ (აქ მცხოვრები ქართველი ტომების სასპერების მიხედვით), ხოლო შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილს (ბათუმსა და დღევანდელ ახალ ათონს შორის) „ზღვის ყურეს“. შემდეგ ბერძნების გავლენით მას „პონტოს ზღვის“ სახელით იხსენიებენ. ასეა VIII საუკუნიდან XVII-საუკუნემდე, ხოლო მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან თურქების ზეგავლენით დამკვიდრდა ტერმინი „შავი ზღვა“.

ქართველთა წინაპრები შავი ზღვის სანაპიროზე უხსოვარი დროიდან სახლობენ. მისდევდნენ ნაოსნობასა და თევზჭერას. ნაოსნობას ეწეოდნენ არა მარტო ზღვაში, არამედ ზღვის სანაპიროს გასწვრივ და ზღვაში ჩამდინარე ზოგიერთ მდინარეზეც. როგორც ისტორიკოსები ქსენოფონტე და ჰიპოკრატე აღნიშნავდნენ, საქართველოში ზღვაოსნობის კვალი შეიმჩნევა ნეოლითურ ხანაში მდინარეების — ფსოუსა და კისტრიკის მიდამოებში. შუა ფეოდალურ ხანაში ქართველთათვის ნაოსნობა უკვე ჩვეულებრივი ამბავი იყო. XV საუკუნიდან საქართველოში საბრძოლო ხომალდებსაც აგებენ. ქართველთა ნავები საკმაოდ შორს დაცურავდნენ. ქართული საზღვაოსნო ტერმინოლოგიაც უძველესი დროიდან ჩნდება.

თუ სად გადიოდა საქართველოს საზღვრები შავიზღვისპირეთში, რა ტერიტორიას მოიცავდა ის, ამაზე ისტორიული წყაროები შემდეგს გვაუწყებენ:

ძვ. წ. VII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში შეიქმნა სახელმწიფო, რომელსაც ქართველები ეგრისს უწოდებდნენ. მის შემადგენლობაში შედიოდა აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის დიდი ნაწილი. შავ ზღვაზე მისი საზღვრები მდინარე

ყუბანიდან ტრაპიზონამდე იყო გადაჭიმული. X საუკუნეში ჩვენი ქვეყნის შავიზღვისპირეთის (ეგრის-აფხაზეთის სამეფოს) ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი ნიკოფსიამდე აღწევდა. რთული ვითარება იყო საქართველოს საზღვრისპირა უკიდურეს სამხრეთით, რადგან აქ ბიზანტიის ძალისხმევით საზღვრის ხაზი ხშირად იცვლებოდა. XIII საუკუნეში საზღვარი რიზეს დასავლეთით გადიოდა. შემდეგ თურქ-ოსმალთა შემოტევის დროს ეს საზღვარი დაირღვა, ხოლო რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომ (1877-1878 წწ), საზღვრის ხაზმა მდინარე მაზიმ-ჩაიზე გადმოინაცვლა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ თურქებმა მაკრიალის ხეობის სოფლები დაიპყრეს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საქართველოს შავიზღვისპირა საზღვრებში დარჩა ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც მდინარე ფსოუსა და სოფელ სარფს შორისაა მოქცეული.

2.7. კარტოგრაფიული წყაროები

საქართველოს მიმართ წარმოებული განუწყვეტელი ომების შედეგად განადგურდა მნიშვნელოვანი ლიტერატურული თუ მეცნიერული წყაროები, რომელთა შორის თავად-აზნაურთა მამულების ამსახველი რუკებიც მრავლად უნდა ყოფილიყო. ამიტომ ჩვენ არ გაგვაჩნია უძველესი რუკები.

ძველ უცხოურ (იტალიურ, ესპანურსა და ფრანგულში) კარტოგრაფიულ მასალებში უხვად არის კარტოგრაფიული ინფორმაცია საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის (კავკასიის ყელის) შესახებ. მათი უაღრესად მცირე მასშტაბის გამო, ისტორიული საზღვრების აღწერა შეუძლებელია.

ადრე ქართველ ერს თავისი ქვეყნის ტერიტორიისა და საზღვრების შესახებ მხოლოდ ზეპირი და წერილობითი წყაროები ჰქონდა. XVII საუკუნიდან ჩნდება საზღვრის ერთიანი მიმოხილვის საშუალებები (რუკები), რომლის ისტორიულ-კარტოგრაფიული რესტავრაციით შესაძლებელი ხდება მაშინდელი ვითარების ზუსტი სურათის წარმოდგენა.

საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრის პირველ კარტოგრაფიულ მასალას, რომელიც მეცნიერთა და კარტოგრაფთა მონაცემებით დამაკმაყოფილებელია, გვაძლევს ვახუშტი ბაგრატიონი 1735-1745 წლებში შექმნილი რუკებით.

XVIII საუკუნეში და XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე რუსეთის

იმპერია ვახუშტი ბაგრატიონის რუკების საფუძველზე ქმნიდა ასლებს. ამის მაგალითია რუსეთის სამხედრო-სამეცნიერო არქივში დაცული საქართველოს რუკის 1743 წელს გადაღებული ასლი (№ 505 „ივერსკაია ზემლია"). რუსეთის ელჩმა ბურნაშევმა 1784-1786 წლებში ახალი ინფორმაციის საფუძველზე შეადგინა საქართველოს რუკები. უფრო ადრე საქართველოს ტერიტორიის ფართობის შესახებ მონაცემები არ არსებობდა, რადგან გაზომვითი სამუშაოების ჩატარება შეუძლებელი იყო კარტომეტრიული მეთოდების არარსებობის გამო.

1802 წელს რუსეთმა პირველი მოსამზადებელი ტოპოგრაფიული სამუშაოების ჩასატარებლად საქართველოში მოავლინა სამხედრო ტოპოგრაფები დრენიაკინი და დროზე, რომლებმაც ამავე წელს შეადგინეს ქართლის ტერიტორიის ამსახველი პირველი ორვერსიანი რუკა (1:210000 მასშტაბში). უფრო ზუსტი კარტოგრაფიული პროდუქციის შექმნას საფუძველი დაედო 1846-47 წლებში. ამ საქმეს ხელმძღვანელობდა სამხედრო ტოპოგრაფი ი. ხოძკო.

XIX საუკუნის სამოცდაათიან წლებში შეიქმნა ხუთვერსიანი რუკები, სადაც ზუსტად იყო გამოყოფილი გუბერნიათა ტერიტორიები და საზღვრები. გუბერნიებისა და მაზრების ტერიტორიების ფართობთა გაზომვის მიზნით ჩატარდა კარტომეტრიული სამუშაოები.

1886 წელს კავკასიის სამხედრო-ტოპოგრაფიული განყოფილების სამხედრო ტოპოგრაფმა, პოდპოლკოვნიკმა ნ. პ. ვინიკოვმა თავიდან გამოთვალა კავკასიის ტერიტორიის გუბერნიების, მაზრების, მხარეების, ოლქების, საპოლიციო უბნების ფართობი. მისი მონაცემებით XIX საუკუნის ბოლოსათვის საქართველოს ტერიტორიის სავარაუდო ფართობი შეადგენდა 102,0 ათას კმ^2-ს. 1900 წელს მანვე განმეორებით გაზომა გუბერნიების ფართობები. საქართველოს ფართობს გამოაკლო ყარსისა და ყაღიზმანის ოლქების ფართობი და 89,281 ათასი კმ^2-ით განსაზღვრა. რუსეთის მხრივ იგნორირებული იყო მის მიერ ანექსირებული მიწების (კერძოდ საქართველოს) ყოფილი სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული ნიშნები. ამის გამო, რუსეთის მიერ შედგენილ რუკებზე დაყრდნობა დელიმიტაციისას არ გამოდგება. უნდა ვისარგებლოთ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით შედგენილი საზღვრის თანამედროვე რუკებით და მათი გამოყენებით ჩავატაროთ კარტოგრაფიული სამუშაოები. მხოლოდ ასე შეიძლება დადგინდეს საქართველოს ტერიტორიის ფართობის დინამიკის სურათი.

ჯ. კეკელიას გამოთვლით ძვ. წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარში საქართველოს ტერიტორიის ფართობი შეადგენდა 140,4 ათას კმ² I-IV საუკუნეებში – 134,2, IX-X საუკუნეებში – 131,0, XIII საუკუნის დასაწყისში – 205,3, XVII საუკუნის მეორე ნახევარში 133,1, XIX საუკუნის ბოლოსათვის 102,0 ათას კმ².*

თუ საქართველოს ტერიტორიის საზღვრების მოხაზულობის დინამიკას დავაკვირდებით, გავარკვევთ, რომ XIX საუკუნის ბოლომდე, ჩვენი ტერიტორიის ისტორიული ფართობი 130-135 ათას კმ²-ის ფარგლებში ვარირებდა და გარკვეული სტაბილურობითაც ხასიათდებოდა.

ამჟამად, სახელმწიფო ტერიტორიის და საზღვრის შესწავლისათვის ჩვენს ქვეყანას მდიდარი კარტოგრაფიული მასალა გააჩნია. ისინი ორი სახისაა: 1. ზოგადგეოგრაფიული, რომელიც შეიცავს სამიმოხილვო რუკებს და სახელმწიფო ტოპოგრაფიული (მსხვილმასშტაბიანი) რუკები; 2. სპეციალური ანუ თემატიური რუკები.

---

*ფართობები გამოთვლილია შესაბამისი პერიოდის რუკებზე

თავი III. სასაზღვრო სივრცის ბუნებრივი პირობები და რესურსები

3.1. რელიეფის თავისებურება

საქართველოს სასაზღვრო სივრცის ფარგლებში მოქცეული რელიეფი და მისი ძირითადი ფიზიკურ-გეოგრაფიული ოლქები და ქვეოლქები გეოლოგიური და გეოგრაფიული თავისებურებებით მეტად მრავალფეროვანია. შესაბამისად, მრავალგვარია მისი სტრატეგიული და ტაქტიკური შეფასების ამოცანებიც. ამასთან, კონკრეტული ადგილის რელიეფის თავისებურების ცოდნა მნიშვნელოვან წინაპირობას ქმნის სასაზღვრო ძალების ოპერატიული საქმიანობის სწორად წარმართვის საქმეში.

მთელს სასაზღვრო სივრცეში, დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, რელიეფი მკვეთრად განსხვავებული ფორმებითა და სიმაღლით ხასიათდება.

რელიეფის ფორმებით და ბუნების სხვა ძირითადი ნიშნებით, სასაზღვრო სივრცე ვრცელდება სამ უმთავრეს ოროგრაფიულ ერთეულში: კავკასიონის მთიანეთში, მთათაშორის ბარის პერიფერიულ ნაწილსა და სამხრეთ მთიანეთში.

თავის მხრივ ამ ძირითად ერთეულებში გამოიყოფა თავისებური ფიზიკურ-გეოგრაფიული ოლქები და ქვეოლქები:

I. კავკასიონის მთიანეთის ოლქი

ქვეოლქები:

1. **დასავლეთ კავკასიონის;**
2. **შუა კავკასიონის;**
3. **აღმოსავლეთ კავკასიონის.**

II. მცირე კავკასიონის ოლქი

ქვეოლქები:

1. **მესხეთის;**
2. **ჯავახეთის.**

III მთათაშორისი ბარის ოლქი

ქვეოლქები:

1. **კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა;**
2. **ქვემო ქართლის ვაკის;**

3. იორ-ავჯინოურის;
4. ალაზან-გიშის წყლის.

კავკასიონის მთიანეთის ოლქი. კავკასიონის ქედის ღერძული ნაწილის მთელს სიგრძეზე (მ. აგეფსტადან მ. ტონოვროსომდე) გადაჭიმულია საქართველოს სახელმწიფო საზღვარი. კავკასიონის ქედს ახასიათებს მკვეთრად გამოხატული ხაზობრივი გავრცელება. საქართველოს საზღვრებში მოქცეულია მისი მთლიანი სიგრძის მხოლოდ 48,2%.

კავკასიონის ქედის ძირითადი ოროგრაფიული სახე ხასიათდება მკვეთრად გამოხატული წყალგამყოფის ნიშნებით (საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 3000-3500 მ.). მაქსიმალურ სიმაღლეს აღწევს სვანეთში (მ. შხარა — 5261 მ.). მას ბევრად არ ჩამორჩება გვერდით ქედზე აღმართული მყინვარწვერი (5033 მ.). წყალგამყოფ ქედზე ყველაზე მეტად ცნობილია ჯვრისა (2379 მ.) და მამისონის (2820 მ.) უღელტეხილები.

კავკასიონის მთიანეთის ოლქში მოქცეულია კავკასიონის სამხრეთი და ჩრდილოეთი კალთები. სივრცობრივად იგი ყველა მიმართულებით სცილდება საქართველოს ფარგლებს, მხოლოდ სამხრეთით არის შემოსაზღვრული მთისწინეთით. ოლქისათვის დამახასიათებელია კარგად გამოხატული სიმაღლებრივი ლანდშაფტური ზონალურობის სრული სპექტრი: დაბალი და საშუალო მთა-ტყის, მაღალი მთის მთა-მდელოს, და მაღალი მთის გლაციალურ-ნივალური ლანდშაფტები, შესაფერისი ქვეტიპებითა და სახეებით.

დასავლეთი კავკასიონის ქვეოლქი მოიცავს საქართველოს კავკასიონის სამხრეთი კალთას მდინარეების: ფსოუს, ბზიფის, გუმისთის, კელასურის, კოდორის, ენგურის, რიონის და სხვა აუზების ფარგლებში. დამახასიათებელია საშუალო და მაღალმთიან მთა-ხეობათა რელიეფის გაბატონება, ნოტიო კლიმატის, მყინვარების ფართო გავრცელება, რელიეფის ინტენსიურად დანაწევრება წყალუხვი მდინარეების (ბზიფის, გუმისთის, კელასურის, კოდორის, ღალიძგის, ენგურის, ხობის, რიონის, ცხენისწყლის, ყვირილის და სხვა) ღრმად ჩაჭრილი ხეობებით, რომელთა შორის აღმართულია ალპური ლანდშაფტური მაღალი ქედები და მასივები (გაგრის, ბზიფის, ჩხალთის, კოდორის, ეგრისის, სვანეთის, ლეჩხუმის, რაჭის და სხვა), კარსტული ლანდშაფტები უხვი მიწისქვეშა და მიწისზედა ფორმებით,

კოლხური ტიპის ფართოფოთლოვანი და მუქ-წიწვოვანი ტყეები, ლანდშაფტური სიმაღლებრივი ზონალურობის სრული სპექტრი, დაწყებული ბორცვიან-სერებიანი მთისწინეთის წითელმიწა, ყვითელმიწა და ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგზე ჩამოყალიბებული კოლხური ტყის ლანდშაფტიდან, დამთავრებული მაღალ მთის გლაციალურ-ნივალური ლანდშაფტით. ქვეოლქი იყოფა 13 ფიზიკურ-გეოგრაფიულ რაიონად.

შუა კავკასიონის ქვეოლქი. უჭირავს კავკასიონის სამხრეთ და ჩრდილოეთ კალთაზე მდინარეების ლიახვის, ქსნის, არაგვისა და ივრის ზემო და შუა აუზები, აგრეთვე ალაზნის, თერგის, ასას, არლუნის, პირიქითი ალაზნისა და თუშეთის ალაზნის აუზები. წარმოდგენილია მაღალმთიანი კლდოვან-თხემიანი რელიეფით, თანამედროვე გამყინვარებით, ჭიუხებით, შიშველი კლდეებით, ქვაყრილებით, ძველი მყინვარული ფორმებით, ახალგაზრდა ვულკანური წარმონაქმნებით. ეს არის კავკასიონის თხემური ზონა, სადაც გაბატონებულია უმეტესად ყინვისმიერი გამოფიტვა, მყინვარებითა და თოვლით ნაშალი მასალის გადაადგილება და დაგროვება ფერდობებსა და მთის ძირებში. ამ ტიპის რელიეფის ქვემოთ, მეზოზოურ და კაინოზოურ ნაოჭა ფლიშურ წყებებზე, ჩამოყალიბებულია უმეტესად მერიდიანული და სუბმერიდიანული, ნაწილობრივ განედური მიმართულების ეროზიულ-დენუდაციური მთა-ხეობათა რელიეფი, საშუალო და მაღალმთიანი ქედებისა (ჯავის, გუდისის, ხარულის, ალევის, გუდამაყრის, მთიულეთის, ქართლის, ხოხის, ყუროს, კიდეგანის, ხევსურეთის, პირიქითას და სხვა) და მთის მდინარეების განივი და გასწვრივი ხევ-ხეობების კომპლექსი. ქვეოლქისათვის დამახასიათებელია თანამედროვე მყინვარები (ნაკლები, ვიდრე დასავლეთ კავკასიონის ქვეოლქში), კოლხურ მცენარეულობას მოკლებული ფართოფოთლოვანი ტყეები და აქა-იქ მუქწიწვოვნები, ლანდშაფტების სიმაღლებრივი ზონალურობა, დაწყებული მთისწინეთის მთის ყავისფერ ნიადაგებზე განვითარებული შიბლიანის ლანდშაფტიდან, დამთავრებული გლაციალურ-ნივალური ლანდშაფტით, სუბალპური მაღალბალახეულობის არარსებობა და ფიჭვნარისა და ფიჭვნარ-არყნარის ფართოდ გავრცელება (თუშეთი, ხევსურეთი). ქვეოლქში გამოიყოფა 11 ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონი.

აღმოსავლეთ კავკასიონის ქვეოლქი. სივრცობრივად თითქმის მთლი-

ანად კახეთის კავკასიონის სამხრეთ კალთას შეესაბამება. აღმოსავლეთით აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც ვრცელდება. აქ არის საშუალო და მაღალმთიანი კავკასიონის მთავარი ქედის მოკლე, ციცაბო, ეროზიული განშტოებები (ნაქერდა, საყორნე, ანდარაზანი, საჯიხვე, გირგალი, მსხალგორი და სხვა) და მდინარე ალაზნის მარცხენა შენაკადების (სტორი, ლოპოტა, ჩელთი, დურუჯი, ბურსა, ავანისხევი, შოროხევი, კაბალი, ბაისუბანი, ჭართლის ხევი, ანწლი, მაწიმის წყალი და სხვა) ღრმად ჩაჭრილი ეროზიული ხეობები.

იშვიათია ძველი გამყინვარების ფორმები. თანამედროვე გამყინვარება არ არის. მკვეთრად არის გამოხატული სელური ღვარები, ბევრია კოლხეთისა და თალიშის მცენარეულობის რელიქტები. გაბატონებულია მთა-ტყისა და მთა-მდელოს ლანდშაფტის ტიპები. ქვეოლქში გამოყოფილია 2 ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონი.

მცირე კავკასიონის ოლქი. მთიანი რელიეფის ფორმებითა და შეფარდებითი სიმაღლით ბევრად განსხვავდება კავკასიონის მთიანეთისაგან. მის შემადგენლობაში შემავალი ქედების (მესხეთის, არსიანის, სამსარის, ჯავახეთის) საშუალო სიმაღლე 2000 მ. არ აღემატება, ხოლო უმაღლესი მწვერვალის — დიდი აბულის სიმაღლეა 3305 მ. ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს სამცხისა და შიდა აჭარის ქვაბულებს, ჯავახეთის, დმანისის და გომარეთის პლატოებს.

ოლქი წარმოდგენილია მეზოზოური და პალეოგენური დანალექი და ვულკანური ქანებით აგებული ნაოჭა, საშუალო და მაღალმთიანი მესხეთის, შავშეთის, თრიალეთის, ლოქის ქედებისა და შუა ხრამის მთათა კვანძით. გაბატონებულია მთა-ტყის, წყვეტილად გვხვდება მთა-მდელოს და საერთოდ არ არის გლაციალურ-ნივალური ლანდშაფტი. ოლქის დასავლეთ ნაწილში ჭარბობს ნოტიო ჰავა და კოლხური ტიპის ტყეები, აღმოსავლეთში კი ზომიერად ნოტიო ჰავა და კოლხური ტყის მცირე ფრაგმენტებია.

მესხეთის ქვეოლქი. მოიცავს ახალციხის ქვაბულს და ერუშეთის ვულკანურ მთიანეთს, დამახასიათებელია მთიანი, ვაკეფსკერიანი ტერასული ქვაბულისა და რელიეფის ვულკანური ფორმების გავრცელება (ერუშეთი), კონტინენტური ჰავა, ფრიგანოიდური მცენარეულობა ქვაბულში და სუბ-

ალპიური მდელოები (აქა-იქ მეჩხერი ქსეროფილური ტყეები) ვულკანურ მთიანეთში.

ჯავახეთის ქვეოლქი. უჭირავს ახალქალაქის, გომარეთის, დმანისის ვაკეები, წალკის ქვაბული და ბედენის პლატო, სამსარის, ჯავახეთისა და ნიალისყურის ქედები. ქვეოლქისათვის ნიშანდობლივია მაღლა აზიდული ვაკე-ლავური პლატოები, ვულკანური კონუსები და ნაზკონტურებიანი ვულკანური ქედები, ვიწრო და ღრმა კანიონები და ქვაბულები, მკაცრზამთრიანი კონტინენტური კლიმატი, მთა-კონტინენტური რეჟიმის მდინარეები, ტბებისა და ლავური ვოკლუზების სიუხვე, უტყეობა. მთის შავმიწა ნიადაგებზე განვითარებულია მთის სტეპები და გასტეპებული მდელოები, მაღალ მთებში სუბალპური და ალპური მდელოები.

კოლხეთის დაბლობის ოლქი. სასაზღვრო სივრცეში მოქცეულია კოლხეთის ზღვისპირა ვაკე-დაბლობი.

მისი ტერიტორია ვრცელდება შავი ზღვის პირას, დაახლოებით ქალაქ სოხუმიდან ქალაქ ქობულეთამდე. იგი ოლქის ყველაზე დაბალი ნაწილია. ახასიათებს ახალგაზრდა ალუვიურ-აკუმულაციური ნალექებით აგებული ბრტყელზედაპირიანი დაბლობი-ვაკე, რომელიც პერიფერიაში ოდნავ ამაღლებული და დაბალბორცვიან-ტერასულია, ნოტიო სუბტროპიკული ჰავა, მდორე ვაკის მდინარეები და ნარიონალები, ქვიშიანი დიუნები, ნიადაგ-გრუნტის ჭარბად დანესტიანება და ისლიანი და ისილიან-ტორფიანი ჭაობები, უმთავრესად მურყნარი დაჭაობებული ტყეები ჭაობიან და ლამიან-ჭაობიან ნიადაგებზე. უფრო ამაღლებულ დრენირებულ აღმოსავლეთ ნაწილში სუბტროპიკული ეწერი ნიადაგებია ტიპური კოლხური ტყის ნარჩენებით. ქვეოლქის უდიდესი ნაწილი კულტურულ ლანშაფტს უჭირავს.

ქვემო ქართლის ვაკის ქვეოლქი. მოიცავს თბილისის ქვაბულის ფსკერს, გარდაბნისა და მარნეულის ვაკეებს და იაღლუჯის მაღლობს. მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებაა ბრტყელი, აკუმულაციური, სუსტად დახრილ-დანაწევრებული ვაკისა და მშრალი ხევ-ხეობებით დასერილი მოვაკებულთხემიანი სერი, მშრალი სუბტროპიკული ზომიერად თბილი სტეპის ჰავა, წაბლა ნიადაგები (ზოგან დამლაშებული და ბიცობიანი), ურიანი სტეპის, ჯაგეკლიანებისა და ნახევრად უდაბნოს ლანდშაფტები.

ქვეოლქის უდიდესი ნაწილი ათვისებულია.

იორ-აჯინოურის ქვეოლქი. ამ ოლქის — იერის ზეგანისათვის დამახასიათებელია მეოთხეული და კაინოზოური ნალექებით აგებული დაბალი ანტიკლინური სერებისა და მათ შორის მოთავსებული სინკლინური ტაფობების შეთანაწყობა, შემაღლებულ-ვაკისებრი, ტალღისებრი, სუსტად დანაწევრებული რელიეფი, მშრალი ხევები, ტალახის ვულკანები, მშრალი სუბტროპიკული კონტინენტური კლიმატი, პერიოდული მდინარეების მეჩხერი ჰიდროგრაფიული ქსელი, მლაშე ტბები, შავმიწა, წაბლა, ტყის ყავისფერი და ღია მურა ნიადაგები გაჯიანი, დამლაშებული და ბიცობიანი სახესხვაობებით, სტეპისა და ჯაგეკლიანი სტეპის მცენარეულობა, არიდული, ნათელი და ტუგაის ტყეები.

შესაძლოა, ქვეოლქის შემადგენლობაში პირობითად შეყვანილი იქნეს ელდარის ნახევარუდაბნოს ვაკე დაბლობი. რეგიონის მნიშვნელოვანი ნაწილი ათვისებულია, დანარჩენი ზამთრის საძოვრებია.

ალაზან-გიშის წყლის ქვეოლქი საქართველოს ფარგლებში შემოდის დასავლეთი ნაწილით — საკმაოდ ჩაკეტილი, დამრეცი, სუსტად ტალღისებრი აკუმულაციური ალაზნის ვაკით. დამახასიათებელია ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავა, უმთავრესად ალუვიური უკარბონატო და მდელოს-კარბონატული ნიადაგებით, აგრეთვე დამლაშებულ და შავმიწა ნიადაგებზე ჩამოყალიბებული ჯაგ-ეკლიან მდელო-სტეპის მცენარეულობა, ტუგაისა და დაბლობის ტყის ფრაგმენტები.

ეს ქვეოლქი თითქმის მთლიანად ათვისებულია.

3.2. სასაზღვრო სივრცის გეოლოგიური თავისებურება

საქართველოს სასაზღვრო სივრცეში რთული რელიეფი მისი გეოლოგიური აგებულებით არის განპირობებული. საქართველო მდებარეობს ევრაზიის ალპური დანაოჭების სარტყელში. მის გეოლოგიურ აგებულებაში შედარებით ნაკლებად მონაწილეობენ უძველესი კამბრიულისწინა და პალეოზოური ასაკის ნალექები. უმთავრესად მეზოზოური და კაინოზოური ნალექებია გავრცელებული. საქართველოს ტერიტორია დანაოჭების ინტენსივობის მიხედვით ცალკეულ გეოტექტონიკურ ერთეულებად იყოფა. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ განლაგებულია: კავკასიონის მთა-

ვარი ქედის ანტიკლინორიუმი, კავკასიონის სამხრეთი ფერდის ნაოჭა სისტემა, საქართველოს ბელტი, აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემა, ართვინ-ბოლნისის ბელტი, ლოქ-ყარაბახის სუსტად დანაოჭებული ზონა.

კამბრიულისწინა ასაკის ქანები, სხვადასხვა კრისტალური ფიქლები და გნეისები, საქართველოს ფარგლებში ნაკლებადაა გავრცელებული (კავკასიონის მთავარი ქედის ანტიკლინორიუმში, საქართველოს ბელტის ცენტრალურ ნაწილში — ძირულის მასივი, ართვინ-ბოლნისის ბელტის ჩრდილოეთ ნაწილში — ხრამის მასივი, ლოქ-ყარაბახის ზოლის ჩრდილოეთ ნაწილში — ლოქის მასივი). აქ ყველგან ვხვდებით ჰერცინული ასაკის სხვადასხვა გრანიტოიდების დიდ სხეულებს და ფუძეინტრუზივებს. კამბრიულისწინა ასაკის ფილიტების სერიას უთანხმოდ ადევს ზედა პალეოზური წარმონაქმნები. როგორც ჩანს, პალეოზოურ დროში ამ ზოლში ზღვა იყო, ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა იურულ პერიოდში. ზედა პალეოზოურშივე დაიწყო ლაბილური ჩაძირვა და ზღვის ფსკერის (გეოსინკლინის) დანაოჭება. ამ გეოსინკლინური აუზიდან ყველაზე ადრე კავკასიონის შუა ნაწილი ამოიწია, მას კუნძულის სახე ჰქონდა.

პალეოზოური დანაოჭების შედეგად შეიქმნა ორი ფილაქნური ტიპის გეოტექტონიკური ერთეული: ჩრდილოეთით — სკვითური ფილაქანი, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს კავკასიონის მთავარი ქედის ანტიკლინორიუმი (მან ძლიერი ცვლილება განიცადა ალპური ოროგენეზისის დროს), სამხრეთით — ამირკავკასიის ფილაქანი (შუალედი მასივი), რომელიც მოიცავს საქართველოს ბელტს, ართვინ-ბოლნისის ბელტს და ლოქ-ყარაბახის ზონას. ამ ორ ფილაქანს ერთმანეთისაგან ყოფდა კავკასიონის სამხრეთი ფერდის გეოსინკლინი.

იურული ეპოქა (დაახლოებით 140 მლნ წლის წინათ) იწყება საყოველთაო ტრანსგრესიით. კავკასიონის სამხრეთ ფერდზე ილექება თიხაფიქლების სქელი (5 კმ) გეოსინკლინური სერია; სამხრეთ ნაწილში ქვედა იურულ ფიქლებს ადევს ბაიოსური ასაკის სქელი (3.5 კმ) პორფირიტული წყება. ბათური სართული ლოკალურადაა წარმოადგენილი რეგრესიული ნახშირიანი წყებით (ტყვარჩელი, მაგანა, ბზიფი). ამ დროს აქ მოხდა დანაოჭება.

საქართველოს ბელტზე იურული ნალექები მხოლოდ ძირულის მასივის კიდეებზე შიშვლდება, მას კუთხური უთანხმოებით მოჰყვება ბაიოსური პორფირიტული წყება, რომელიც ძლიერ გავრცელებულია ძირუ-

ლის მასივის ჩრდილოეთით (ოკრიბა, ხრეითი, ჯავა).

სამხრეთით ლოქისა და ხრამის მასივებზე ქვედა იურული ტერიგენული ქანები უმეტესად თიხა-ფიქლებია. ლოქის მასივზე მათ უთანხმოდ ადევს შუა იურული პორფირიტული წყება (ბაიოსური, ბათური ასაკისა).

ბათურ დანაოჭებას უკავშირდება ძლიერი გრანიტოიდული ინტრუზიული მოქმედება, რაც ვლინდება სამხრეთი ფერდის გეოსინკლინში (კელასურის, გორაბის, სანჩარო-კარდივაჩის, კირარის, აბაკურის, ეცერის), ძირულის მასივში (ხევის ინტრუზივი), ლოქის მასივში (ფოლადაურის ინტრუზივი) მათი არსებობით.

შუა იურულ ნალექებს, სამხრეთი ფერდის გეოსინკლინის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, თანხმობით მოყვება ზედა იურული ფლიშური ნალექები. დანარჩენ ტერიტორიაზე ისინი ტრანსგრესიულად და უთანხმოდაა განლაგებული.

ცარცული სისტემის ნალექები მეტად მრავალფეროვანია. ამ პერიოდში საქართველოს უმეტესი ტერიტორია ისევ იძირება და ზღვაში კირქვიანი წყებები ილექება. ქვედა ცარცული ნალექები ტრანსგრესიულად ადევს ძველ წარმონაქმნებს (სამხრეთ ფერდზე და ნაწილობრივ საქართველოს ბელტზე).

ცარცულ პერიოდში მოხდა ამიერკავკასიის ერთიანი ფილაქნის გაყოფა ორ ბელტად, მესხეთისა და თრიალეთის ქედების ზოლში ჩაისახა აჭარა-თრიალეთის გეოსინკლინი რიფტის ან სიღრმული რღვევების მეშვეობით. გეოსინკლინის ჩრდილოეთით (ახლანდელი აჭარა-თრიალეთის ზონის) ჩამოყალიბდა საქართველოს ბელტი, სამხრეთით - ართვინ-ბოლნისის ბელტი. აჭარა-თრიალეთის გეოსინკლინში ცარცულ ქანებზე ძველი ქანები არა გვაქვს.

კაინოზოური ერა მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა უპირველესად იმით, რომ ამ დროისათვის დაიწყო ალპურ მთათა სისტემის წარმოშობა. ეს სისტემა გარს ერტყა დედამიწას გიბრალტარის სრუტიდან მოყოლებული ინდოჩინეთამდე. შემდეგ ამავე ასაკის მთები გასდევს ამერიკის დასავლეთ ნაპირებს და მთელ წყნარ ოკეანეს რკალად ერტყმის.

მრავალფეროვანია პალეოგენური სისტემის ნალექები.

საქართველოს რელიეფის ჩამოყალიბება ზედა პალეოგენური დროიდან იწყება და დღემდე განუწყვეტლივ ცვლილებებს განიცდის. ნეოგენში და

ნაწილობრივ მეოთხეულში კი აღინიშნებოდა მძლავრი ვულკანური ამოფრქვევები. ამ დროს წარმოიშვა იალბუზისა და მყინვარწვერის ვულკანები, ამჟამად ჩამქრალი ვულკანებია მესხეთისა და თრიალეთის ქედებზე, ჯავახეთის ზეგანზე.

გეოლოგიური ქრონოლოგია
4.5 – 4.6 – 3.5 მილიარდი წელი

არქაული (0.5 – 2.6 მილიარდი წელი)

ა) (აფებეური) ქვედა-შუა პროტეროზოული (2.6 – 1.7 მილიარდი წელი)

ბ) რიფული ზედა პროტეროზოული (1.7 – 0.5 მილიარდი წელი)

გ) ფანეროზოული (0.57 მილიარდი წელი)

პალეოზოური

კამბრიული (570-500 მილიონი წელი)
ორდოვიკი (500-410 მილიონი წელი)
სილურული პერიოდი (430-405 მილიონი წელი)
დევონური სისტემა (405-350 მილიონი წელი)
კარბონული (350-285 მილიონი წელი)
პერმული სისტემა (285-230 მილიონი წელი)

მეზოზოური

ტრიასული სისტემა (230-10 – 195-5 მილიონი წელი)
იურული პერიოდი (195-5 – 137-5 მილიონი წელი)
ცარცული სისტემა (137-70 მილიონი წელი)

კაინოზოური

პალეოგენი (67-3 – 25-1 მილიონი წელი)
ნეოგენი (25-1 მილიონი წელი)

დანაოჭების ძირითადი ეტაპები

ბაიკალური (გვიანი კამბრიული და ქვედა პალეოზოური) 900-1100 მილიონი წელი

კალედონური (ქვედა პალეოზოურში) 395 – 500 – 620 მილიონი წელი

ვარიული (შუა, ზედა პალეოზოურში) 210 – 395 მილიონი წელი

ალპური (მეზოზოურში და კაინოზოურში)

ა) კიმერიული (მეზოზოურში) (იურულში და ქვედა ცარცში)

ბ) ლარამიული (მეზოზოურისა და კაინოზოურის ზღვარზე)

გ) ალპური (კაინოზოურში)

3.3 მინერალური რესურსები

გეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად სასაზღვრო სივრცეში აღმოჩენილი და შესწავლილია მრავალი სახის სასარგებლო წიაღისეულის საბადო, მაგრამ ბევრი მათგანის მარაგი არ არის სამრეწველო მნიშვნელობისა. თავისი გამოყენებით გამოირჩევა სათბობ-ენერგეტიკული, შავი და ფერადი ლითონების, სამთო-ქიმიური ნედლეულისა და საშენ მასალათა საბადოები. ზოგიერთი მადნის მოპოვება კი XX საუკუნეში დაიწყო.

სასაზღვრო სივრცეში მოქცეულია სათბობის მხოლოდ ახალციხის მურა ნახშირის საბადო, რომლის მარაგი 70 მლნ ტ-ს აღემატება და ტყვარჩელის ქვანახშირის საბადო. კოლხეთის სანაპირო ზოლში არსებობს ტორფის რამდენიმე საბადო. ტორფი გამოიყენება სასუქად, ძირითადად – მეცხოველეობაში; მისი საერთო მარაგი 60 მლნ. ტონაზე მეტია.

ნავთობიანი რაიონები გამოვლენილია ივრის ზეგანზე და კოლხეთის ზღვისპირა დაბლობზე. საზღვრისპირა ზოლში მდებარეობს მირზაანის, პატარა შირაქის, სუფსისა და ჭალადიდის საბადოები, რომლებიც მცირედებიტიანია. ბოლო წლებში ინტენსიურად დაიწყო გაზისა და ნავთობის საძიებო სამუშაოების ჩატარება.

შავი ლითონების საბადოები ცნობილია ბოლნისის რაიონში.

რკინა – (ჰემატიტი) ფოლადაურში (ეს საბადოები ნაწილობრივ გამომუშავებულია წარსულში). შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს მიუყვება მაგნეტიტური ქვიშაქვების ზოლი (სოფელ სუფსის მიდამოებში), რომელიც რკინის განსაკუთრებით დიდ რაოდენობას შეიცავს. კავკასიონის სამხრეთ

ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲡᲐᲒᲔᲜᲔᲠᲝ ᲒᲔᲒᲛᲐ

(ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔ)
(ᲡᲘᲒᲠᲫᲔ)
ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲥᲕᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲤᲘᲤᲘᲡ
ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲥᲕᲐᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲤᲘᲤᲘᲡ
ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲥᲕᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲤᲘᲤᲘᲡ
ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲥᲕᲐ
ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲥᲕᲐ
ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲥᲕᲐ
ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲥᲕᲐ
ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲥᲕᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲖᲝᲜᲐ
ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲥᲕᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲖᲝᲜᲐ
ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲥᲕᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲖᲝᲜᲐ
ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲥᲕᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲖᲝᲜᲐ
ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲥᲕᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲠ



გრანიტი

გრანიტი იკვეთება დიაბაზის ძარღვით.



გრანიტი კვეთს კრისტალურ ფიქალს

გრანიტი მინდვრის შპატის პორფირული კრისტალებით



გრანიტპორფირი



კვარციანი დიორიტი



მიგმატიტი

გნეისი მსხვილი ქარსების გამონაყოფებით

ფერდზეც გვაქვს რკინის მადნის გამოვლინებები. აღსანიშნავია მესტიის რაიონში სოფ. ნაკრის და ნენსკრის წყალგამყოფ ქედზე კირარის მაგნეტიტური გამოვლინება.

ფერადი ლითონების საბადოები საქართველოში სამ ფორმაციას მიეკუთვნება: სპილენძ-თუთია-კოლჩედანურს (მადნეული — წითელი სოფლის, ქვემო ბოლნისის, თამარისის, დავით გარეჯის); სპილენძ-პიროტინიანს — გვხვდება კავკასიონის სამხრეთი ფერდის ნაოჭა სისტემაში. გვაქვს მრავალრიცხოვანი გამოვლინებები აფხაზეთში, სვანეთში, კახეთში. აღსანიშნავია ზესხოს საბადო ლენტეხის რაიონში. ძარღვულ სპილენძ-პოლიმეტალური საბადოები, რომლებიც უმთავრესად კონცენტრირებულია აჭარის მადნეულიან რაიონში (მერისი). ამ ფორმაციებიდან მნიშვნელოვანია მადნეულის სპილენძ-ტყვია-თუთიის საბადო, რომლის ბაზაზეც მუშაობს მადნეულის სამთო კომბინატი. დღეს მას უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ოქროს შემცველობის გამო. დანარჩენი მადანგამოვლინებები მადნის სიმცირის გამო არ მუშავდება.

ტყვია და თუთია. მათი მადანგამოვლინება ცნობილია საქართველოს ყველა გეოტექტონიკურ ზონაში. სამრეწველო მნიშვნელობა მხოლოდ კვაისის (სამაჩაბლო) ტყვია-თუთიის საბადოს აქვს. აქ გამოვლენილია კიდევ ორი მადნიანი ველი, რაც ზრდის საბადოს პერსპექტივებს. 1988-89 წლების გამოკვლევებმა აქ ოქროს შემცველობაც დააფიქსირა.

ბოლნისის რაიონში ტყვია-თუთიის გამადნება დაკავშირებულია სპილენძის გამადნებასთან (მადნეულის სპილენძ-ტყვია-თუთიის საბადო).

დარიშხანი — კავკასიონის სამხრეთ ფერდის ნაოჭა სისტემაში ცნობილია არსენოპირიტისა და რეალგარ-აუროპიგმენტის საბადოები, რომელთაგან უმთავრესია ცანის საბადო (ლენტეხის რაიონი) და ლუხუნის (ლუხუმის) საბადო ქვემო რაჭაში (ამბროლაურის რაიონი). როგორც ცანის, ისე ლუხუნის საბადოებში გამოვლენილია ოქროს შემცველობა, რაც კომპლექსური დამუშავებისას მათ უფრო პერსპექტიულს ხდის.

ვერცხლისწყალი და სტიბიუმი. ვერცხლისწყლის საბადოები და მრავალრიცხოვანი გამოვლინებები გავრცელებულია კავკასიონის სამხრეთი ფერდის გასწვრივ, ვხვდებით რაჭაში (ტალახიანის გამოვლინება). მნიშვნელოვანია აფხაზეთში ახეისა და ავადხარის საბადოები, სამაჩაბლოში გვაქვს ვერცხლისწყლის მცირემასშტაბური გამოვლენა (ერწოს საბადო).

სტიბიუმი — კავკასიონის სამხრეთ ფერდზეევა სტიბიუმის მადანგამოვლენები, რომელთაგან მნიშვნელოვანია ზემო რაჭაში არსებული ზოფხითოს საბადო.

ოქრო — საქართველოში ოქრო გვხვდება როგორც ქვიშრობებში, ისე სხვა ელემენტებთან კავშირში. ქვიშრობებში საკმაოდ მაღალხარისხიანი ოქრო გვაქვს ენგურისა (ლასილი) და ცხენისწყლის ხეობებში, მინარევის სახით კი მადნეულის სპილენძ-პოლიმეტალურ საბადოში. ცანის არსენოპირიტის, ლუხუნის რეალგარ-აურიპიგმენტის საბადოებში და სხვა. ამათგან მნიშვნელოვანია მადნეულის საბადო (ბოლნისის რაიონი), საიდანაც ხდება ოქროს მოპოვება. ამდენად საქართველო მიეკუთვნება იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს, სადაც ხდება ოქროს მოპოვება.

სამთო-ქიმიური ნედლეული

ანდეზიტი — საქართველოში ანდეზიტის საბადოები მრავლადაა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ბაკურიანისა და ყაზბეგის. ამჟამად მუშავდება ბაკურიანის საბადო. ბაკურიანის ანდეზიტის საწარმოში მუავაგამძლე პროდუქციას — ანდეზიტის ფქვილს ამზადებენ. აქვე კეთდება სხვადასხვა ნაკეთობები.

ბარიტი — ბარიტის სამრწეველო საბადოები განლაგებულია კავკასიონის სამხრეთი ფერდის ნაოჭა სისტემის გაგრა-ჯავის ზონაში და ართვინ-ბოლნისის ბელტის ბოლნისის მადნეულ რაიონში. სამხრეთ ფერდზე გვხვდება ორი ტიპის საბადოები: ძარღვული, ბაიოსის პორფირიტულ წყებაში და ფენობრივი, დაკავშირებული ზედა იურული ასაკის კირქვებთან. ბარიტის ძარღვული საბადოებიდან

მნიშვნელოვანია: ხაიშის, ჩორდის საბადოები, რომელთა დამუშავება მიმდინარეობს. ბარიტის ფენობრივი საბადოა აფშრის საბადო აფხაზეთში. ბოლნისის რაიონში ბარიტის მინერალიზაცია დაკავშირებულია კოლჩედანურ-პოლიმეტალურ გამადნებასთან.

ბენტონიტური თიხები - აღსანიშნავია ასკანის (დასავლეთ საქართველოში) თიხის საბადო. თიხას იყენებენ ნავთობგადასამუშავებელ ქარხნებში და საყალიბე მასალად ლითონჩამომსხმელ საწარმოებში, ასკანის პროდუქციას კი — ნავთობ- და აირმომპოვებელ, მანქანათმშენებელ, ცხიმების, ღვინის, ქიმიურ მრწეველობაში და სხვა.

დიატომიტი — დიატომიტის საბადო გვაქვს ახალციხის რაიონში. ქისათიბის მაღალხარისხოვანი დიატომიტის საბადო განლაგებულია ზედანეოგენური ასაკის ვულკანოგენურ გოდერძ-ქისათიბის წყებაში. დიატომიტს იყენებენ ცემენტის, პლასტმასის და სხვა წარმოებაში. მისგან მზადდება საფილტრე ფხვნილი, რომელიც საჭიროა ღვინის, ლუდის, შაქრის და მრეწველობის სხვა დარგებისათვის.

არამადნეული წიაღისეული

აქატი — ახალციხის რაიონის ვულკანურ ქანებში მრავლად არის აქატის საბადოები. მოპოვებული აქატი ხმარდება ზუსტი ხელსაწყოების, საათების წარმოებასა და საიუველირო საქმეს.

კვარც-მინდვრისშპატიანი ქვიშები — საქართველოში ცნობილია მინისა და საყალიბე ქვიშის რამდენიმე საბადო. ესენია: ბავკითის, ქროლის, საფარისღელის. ამ საბადოების ქვიშები ვარგისია თეთრი მინის დასამზადებლად და ლითონჩამომსხმელ წარმოებაში.

შესამოსი, მოსაპირკეთებელი მასალა — მოგვეპოვება მათი მეტად მრავალფეროვანი და მდიდარი საბადოები. საქართველოში არის მარმარილო (სალიეთი, ლოპოტა, დიზი), პორფირიტები, გაბრო, ტუფოლავები (ბოლნისის ტუფი). ამუშავებენ დოლომიტებს, საფლუსე კირქვების, ცეცხლგამძლე თიხების და ქალცედონის საბადოებს. ჩვენი ქვეყანა მდიდარია აგრეთვე სხვადასხვა სახის ბუნებრივი

საკედლე მასალების საბადოებითაც. ესენია: ცემენტის ნედლეული, ააგურე თიხები, კირქვები (კირის საწარმოები), მეტად მნიშვნელოვანია ალგეთის ლითოგრაფიული ქვის საბადო, რომლის პროდუქცია მიეწოდებოდა ზესაღი შენადნობების მწარმოებელ ქარხნებს.

3.4. შავი ზღვა, ტერიტორიული წყლები, გამოყენებისა და დაცვის პრობლემები

საქართველოს დასავლეთის საზღვარი გადის შავ ზღვაზე, რომლის სანაპირო ზოლი ჩვენს საზღვრებში ვრცელდება მდინარე ფსოუს შესართავიდან სოფელ სარფამდე. ამ ზოლის სიგრძე საქართველოს ფარგლებში 316 კილომეტრია.

შავი ზღვა შიდა კონტინენტური აუზია, რომელიც შეერთებულია ხმელთაშუა ზღვასთან ბოსფორ-დარდანელის სრუტეებითა და მარმარილოს ზღვით. შავი ზღვის სარკის ფართობი 423.000 კმ^2-ია. ზღვის მაქსიმალური სიგრძეა 1149 კმ., უდიდესი სიგანე 611 კმ, საშუალო სიღრმე 1271 მ-ია, მაქსიმალური კი (თითქმის ცენტრში) 2245 მ.. ზღვის მარილიანობა 17-18 პრომილეს ფარგლებში ცვალებადობს. სანაპირო ზოლში ჩამდინარე მდინარეთა გავლენით მარილიანობა კიდევ უფრო ნაკლებია. ზღვის ზედაპირის წყლის საშუალო წლიური ტემპერატურა ოდესასთან +11-დან +11,4^0, ბათუმთან კი +15,5-დან +18^0, ზამთრობით შავი ზღვის ზედაპირული წყლები სამხრეთ ნაწილში (თურქეთის ნაპირთან) ინარჩუნებს 8-9^0 და უფრო მაღალ ტემპერატურასაც, ხოლო ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ხშირად იყინება. ზღვის ღია ნაწილში ზედაპირული წყლების ზამთრის ტემპერატურის მინიმუმი +6,6^0 არის, — ზაფხულის მაქსიმუმი კი +27^0.

შავი ზღვის განსაკუთრებული თვისება, რომელიც მას მსოფლიოს ყველა ზღვისაგან განასხვავებს, არის წყლის თავისებური ფენობრიობა. 100-150 მეტრის სისქის მქონე ზედაპირული ფენა სიმკვრივის მხრივ კონტრასტულად განირჩევა (მსუბუქია) მის ქვეშ მდებარე წყლის მასისაგან. ეს განსხვავება იმდენად მკვეთრია, რომ წყლის აღრევა აღნიშნულ ფენებს შორის თითქმის არ ხდება. სწორედ ფენობრიობით აიხსნება გოგირდწყალბადის უხვი შემცველობა მის ღრმა ნაწილში.

საქართველოს ფარგლებში სანაპირო ხაზი შეჭრილ-შემოჭრილია (აფხაზეთის სანაპირო), სადაც გამოიყოფა ბიჭვინთის, სუფსის, წითელი

დასახელება	სიგრძე კმ	აუზის ფართობი (კმ²)	საშუალო წლიური ჩამო-ნადენი (კმ²)
შავი ზღვის აუზი			
ჭოროხი*	438	22100	8.9
რიონი	327	13400	12.6
ენგური	213	4360	5.9
ცხენისწყალი	176	2120	2.8
ხობისწყალი	150	1340	1.6
ყვირილა	140	3630	2.8
კოდორი	117	2030	4.1
ბზიფი	110	1510	3.1
სუფსა	108	1130	1.5
ტეხურა	101	1040	1.4
აჭარის წყალი	90	1540	1.6
ნატანები	60	657	1.1
ხანისწყალი	57	914	017
ღალიძგა	53	488	0.4
კინტრიში	45	291	0.5
კასპიის ზღვის აუზი			
მტკვარი*	1364	188000	18.1
თერგი*	623	43200	9.6
ალაზანი	351	11800	3.5
იორი	320	4650	0.5
ქცია			
ხრამი	201	8340	1.8
არაგვი	112	2740	1.8
ალგეთი	118	763	0.1
ლიახვი	115	2440	1.5
ქსანი	84	885	0.5
ფარავანი	74	2350	0.6
ფოცხოვის წყალი*	64	1840	0.7
თუშეთის ალაზანი	59	825	0.7
პირიქითა ალაზანი	49	368	0.3

*აღნიშნულია მონაცემები სათავიდან შესართავამდე.

შუქურისა და კოდორის ნახევარკუნძულები (კონცხები) მათ შორის მოქცეული მიუსერის, ახალი ათონის, სოხუმისა და ოჩამჩირის უბეებითა და ყურეებით.

შავი ზღვის ფსკერი საქართველოს ნაპირთან საკმაოდ ციცაბოდ ეშვება სიღრმისაგან. ეს განსაკუთრებით ეხება აფხაზეთის უბანს, სადაც 2000-მეტრიანი იზობათი ხმელეთის ნაპირიდან სულ 57 კილომეტრით არის დაშორებული; შესაბამისი მანძილი ფოთისათვის 180 კილომეტრია. სანაპირო ზოლის ფსკერის წყალქვეშა რელიეფი გართულებულია ნახეობარებით და დელტებით, რომლებიც აგრძელებენ ყველა მნიშვნელოვანი მდინარის ზედაპირულ ხეობებს. საქართველოს ნაპირის გასწვრივ, მისგან გარკვეულ მანძილზ=ე, გადის დინება, რომელიც მიმართულია ანატოლიიდან ჯერ აღმოსავლეთისაკენ (თითქმის სოფელ სარფამდე), შემდეგ კი ჩრდილოეთისაკენ (ოჩამჩირემდე) და ჩრდილო-დასავლეთისაკენ (აფხაზეთის ნაპირის მთელი დანარჩენი მონაკვეთისკენ). აფხაზეთის მონაკვეთში ზღვის ტალღების მოქმედების შედეგად, უშუალოდ ხმელეთის ვიწრო ზოლში სანაპირო ნატანი (რიყნარი, ქვიშა) გადაადგილდება ზემოაღნიშნული დინების საწინააღმდეგო მიმართულებით (ჩრდილო-დასავლეთიდან — სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ), რაც განაპირობებს კონცხების არსებობას მნიშვნელოვანი მდინარეების შესართავების სამხრეთით.

3.5 ჰავა და კლიმატური რესურსები

საქართველოს სასაზღვრო სივრცის შედარებით მცირე ტერიტორიაზე დედამიწის ზედაპირზე არსებული ჰავის თითქმის ყველა ზონაა — დაწყებული ნოტიო სუბტროპიკულიდან, დამთავრებული მარადი თოვლისა და მყინვარების ზონით.

ჰავის ნაირგვარობას განსაზღვრავს, ერთის მხრივ, მისი მდებარეობა სუბტროპიკული ზონის ჩრდილოეთ საზღვარზე — შავსა და კასპიის ზღვებს შორის, მეორეს მხრივ — რელიეფის განსაკუთრებული სირთულე. ჰავის ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებს სხვადასხვა მიმართულებისა და სიმაღლის ქედები. კავკასიონი საქართველოს იცავს ცივი ჰაერის უშუალოდ ჩრდილოეთიდან შემოჭრისაგან, შავი ზღვა კი აზომიერებს ტემპერატურის მერყეობას და ხელს უწყობს ნალექების დიდი რაოდენობით მოსვლას, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში.

ჰავის ფორმირებაში მონაწილეობს როგორც ზომიერ, ისე სუბ-

ტროპიკულ სარტყელში განვითარებული ატმოსფერული პროცესები. ჰაერის მასები საქართველოში უმთავრესად დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან იჭრება. სამხრეთიდან ხშირად შემოდის თბილი ჰაერის მასები.

ჰაერის ტემპერატურა ადგილის ჰავის თავისებურების მაჩვენებელი ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია. იგი დიდი კონტრასტებით გამოირჩევა. ყველაზე თბილი ზამთარი კოლხეთშია — ჰაერის ყველაზე მაღალი საშუალო ტემპერატურა სოხუმშია (+18^0), ხოლო დაბალი კავკასიონის თხემზე (-12,5^0). მზის ნათების ხანგრძლივობა ზამთარშიც დიდია და წელიწადში საშუალოდ 1958-2520 საათს შეადგენს.

ცირკულაციის, რადიაციისა და ოროგრაფიული ფაქტორების ერთობლივი მოქმედება განაპირობებს ტერიტორიის ტენიანობის საკმაოდ დიდ კონტრასტებს. სასაზღვრო ზოლის დიდი ნაწილი ატმოსფერული ნალექების სიუხვით გამოირჩევა. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 400-4500 მმ. ფარგლებში იცვლება, დიდია დღე-ღამეში მოსული ნალექების რაოდენობაც. ნალექები მთაში სიმაღლის მიხედვით ყველგან არ მატულობს, პირიქით, ზოგან კიდევაც მცირდება (სვანეთი, ჯავახეთის პლატო და სხვა). ნალექების მაქსიმუმი დასავლეთ საქართველოში ზამთარში ან შემოდგომაზეა, მინიმუმი — გაზაფხულზე ან ზაფხულში. აღმოსავლეთ საქართველოში კი მაქსიმუმი გაზაფხულზე ან ზაფხულის დასაწყისშია, მინიმუმი — ზამთარში.

დასავლეთიდან შემოჭრილი წყლის ორთქლით გაჯერებული ჰაერის მასები უხვსა და ხანგრძლივ ნალექებს იძლევა შავი ზღვის სანაპიროზე და მის მოსაზღვრე მთებზე. დასავლეთ საქართველოში ნალექების განაწილებაში შემდეგი კანონზომიერება შეიმჩნევა: კოლხეთის დაბლობზე ზღვიდან დაშორება ნალექების რაოდენობის შემცირებას იწვევს, კავკასიონისა და მესხეთის ქედების კალთებზე სიმაღლის მატება ნალექების რაოდენობის ზრდას განაპირობებს. ქედებს შორის მომწყვდეულ ხეობებსა და ქვაბულებში ნალექები ნაკლები რაოდენობით მოდის. აფხაზეთში ზღვის სანაპიროზე ნალექები ნაკლებია ვიდრე აჭარის სანაპიროზე.

აჭარის ზღვის სანაპიროზე და მესხეთის ქედის ზღვისკენ მიქცეულ კალთებზე აღნუსხულია ნალექთა უდიდესი რაოდენობა.

საქართველოს აღმოსავლეთი სასაზღვრო სივრცე გამოირჩევა ნალექების ნაკლები რაოდენობით, რაც წლის განმავლობაში არათანაბრად ნაწილდება.

3.6. შიგა წყლების რესურსები

საქართველოში შიგა წყლები (მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, მყინვარები, მიწისქვეშა წყლები, ჭაობები) ფართოდაა გავრცელებული.

მდინარეთა გავრცელება და საზრდოობა კანონზომიერ კავშირშია ზედაპირის სიმაღლებრივ განვითარებასა და ჰავის პირობებთან. საქართველოში მდინარეთა ქსელი არათანაბრადაა განაწილებული. სულ 25075 მდინარეა (საერთო სიგრძე 54768 კმ), აქედან 17 ათასზე მეტი (32572 კმ სიგრძის) დასავლეთ საქართველოშია. 7649 (22194 კმ სიგრძის) — აღმოსავლეთ საქართველოში. მდინარეთა უმეტესობას 25 კმ-ზე ნაკლები სიგრძე აქვს. საქართველოს მდინარეები ეკუთვნიან შავი (დასავლეთ საქართველოს) და კასპიის (აღმოსავლეთ საქართველოს) ზღვების აუზებს.

შავი ზღვის აუზს მიეკუთვნებიან ის მდინარეები, რომლებიც ჩამოედინებიან კავკასიონის სამხრეთ-დასავლეთი ფერდობებიდან — რიონი შენაკადებით, ცხენისწყალი, ტეხურა. აგრეთვე ხობი, ენგური, ბზიფი, ფსოუ; მესხეთის ქედიდან — აჭარისწყალი, კინტრიში, ნატანები, სუფსა. აღსანიშნავია ჭოროხის ქვემო დინება, რომელსაც საქართველოს ფარგლებში აჭარის წყალი ერთვის; ლიხის ქედის დასავლეთ კალთაზე ჩამონადენი — ყვირილა და მისი შენაკადი ძირულა (ყვირილა რიონის მარცხენა შენაკადია).

აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა მდინარე ქმნის მდ.მტკვრის ერთიან სისტემას და ჩაედინება კასპიის ზღვაში. მტკვარი საქართველოს უდიდესი მდინარეა, ქვეყნის ტერიტორიაზე მხოლოდ მისი შუაწელია (405 კმ ფარგლებში), სათავეს თურქეთში იღებს და კასპიის ზღვას ერთვის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. მთავარი შენაკადებია ფოცხოვისწყალი, ლიახვი, ქსანი, არაგვი, ფარავანი, ალგეთი, ქცია-ხრამი მაშავერათი და დებედით. მინგეჩაურის წყალსაცავის შექმნამდე მტკვრის უდიდესი შენაკადი იყო ალაზანი იორთან ერთად. ამჟამად ისინი მინგეჩაურის წყალსაცავს ერთვიან. კასპიის ზღვის აუზს ეკუთვნის აგრეთვე მდინარეები თერგი (საქართველოს ფარგლებში 85 კმ-ზე მიედინება), პირიქითა ალაზანი და თუშეთის ალაზანი.

საქართველოს მდინარეები საერთოდ მთის წყალუხვ მდინარეთა ტიპს მიეკუთვნებიან. ისინი თუმცა დიდი სიგრძით არ გამოირჩევიან, მაგრამ მეტწილად დიდი ენერგეტიკული სიმძლავრით ხასიათდებიან; ამიტომ მათ განსაკუთრებული სახალხო-სამეურნეო და ენერგეტიკული მნიშვნელობა აქვთ.

შავი ზღვის აუზის მდინარეები მკვეთრად განსხვავდებიან კასპიის ზღვის აუზის მდინარეებისაგან. ამ აუზების განსხვავებულმა ჰავამ სხვადასხვა ტიპის მდინარეები წარმოშვა. ამ ორ აუზს ერთმანეთისაგან ყოფს ლიხის, მესხეთისა და არსიანის ქედები.

შავი ზღვის აუზის ქსელი, ატმოსფერული ნალექების სიუხვის გამო, გაცილებით უფრო ხშირია, ვიდრე კასპიის ზღვის აუზისა.

საქართველოს მდინარეები საზრდოობენ მყინვარების, თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. დასავლეთ საქართველოს მდინარეების უმრავლესობას მყინვარები და მარადი თოვლი ასაზრდოებს. ამიტომ ისინი გაცილებით უფრო წყალუხვნი არიან, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეები.

დასავლეთ საქართველოს სასაზღვრო სივრცეში უამრავი პატარა მდინარეა, რომლებიც ჭაობისა და წვიმის წყლით საზრდოობენ და უშუალოდ ჩაედინებიან შავ ზღვაში. დასავლეთ საქართველოში გვაქვს კარსტული მდინარეები (აფხაზეთში, რაჭაში), რომლებიც ხშირად კირქვის მაღალი ქარაფებიდან გადმოსჩქეფენ და შესანიშნავ ჩანჩქერებს ქმნიან.

დასავლეთ საქართველოს მდინარეები ხასიათდებიან ზაფხულის წყალდიდობით, რადგან საზრდოობენ მაღალი მთის ზონაში თოვლისა და მყინვარების დნობით მიღებული წყლებით.

აღმოსავლეთ საქართველოში მდინარეებს საპირისპირო რეჟიმი აღენიშნება — გაზაფხულზე წყალდიდობაა, ზაფხულში წყალმცირობა. მდინარე მტკვარს ახასიათებს მთის კონტინენტური წყლის რეჟიმი, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მდინარის დონის მომატება ხდება სამხრეთ საქართველოს მთიანეთში თოვლის დნობისა და გაზაფხულის ინტენსიური თავსხმა წვიმების შედეგად.

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ზამთრის რეჟიმითაც. აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეებზე ზამთრობით ყინულსაფარი საკმაოდ ხშირია, დასავლეთ საქართველოს მდინარეებზე კი, მაღალმთიანი ზოლის გარდა იგი იშვიათია.

ჰიდროენერგიის მარაგით — ე. წ. „თეთრი ნახშირით“ საქართველო ევროპის ისეთ ქვეყნებზე უფრო მდიდარია, როგორებიცაა: საფრანგეთი, იტალია, შვეიცარია, ავსტრია. თეორიულად ჩვენთან 159.4 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგიის გამომუშავებაა შესაძლებელი. საქართვე-

ლოს წყლის რესურსები კომპლექსურადაც გამოიყენება, ე. ი. არა მარტო ელექტროენერგიის მისაღებად, არამედ მოსარწყავადაც. ჰიდროტექნიკის თანამედროვე მიღწევათა გამოყენებით ჩვენი ქვეყნის მდინარეებზე შეიძლება აიგოს დიდი და საშუალო სიდიდის ათეულობით ჰესი, რომლებიც თესებთან შედარებით გაცილებით იაფ ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ და დიდად დაზოგავენ სათბობს. მიუხედავად ამისა, საქართველოში ჰიდრორესურსების გამოყენების დონე დღეს მეტად დაბალია.

საქართველოში არის წყაროებისა და მიწისქვეშა წყლების დიდი საექსპლუატაციო მარაგი. საყოფაცხოვრებო წყალმომარაგება უმეტესად მიწისქვეშა წყლების ხარჯზე ხორციელდება.

მიწისქვეშა წყლები მრავალგვარია, როგორც სიღრმითი მდებარეობის, ისე ჩაწოლის ფორმის და ფიზიკურ-ქიმიური თვისებების მხრივაც. მთიანეთს შორის ზოლში ძირითადად არტეზიული წყლებია. აქ 16 არტეზიულ აუზს გამოყოფენ. კავკასიონისა და მესხეთ-თრიალეთის ნაოჭა ზონაში უმთავრესად უწნევო მიწისქვეშა წყლებია. კარსტული ზონისათვის დამახასიათებელია მიწისქვეშა მდინარეები, ვოკლუზური წყაროები, რომელთა დებიტი რამდენიმე კუბური მეტრია წამში. ასეთივე მძლავრი დებიტის წყაროები (ლავური ვოკლუზები) დამახასიათებელია ჯავახეთის ვულკანური მთიანეთისა და დანაპრალებული ლავებით აგებული სხვა რაიონებისათვის. საქართველო გამოირჩევა მინერალური წყლების სიმრავლითა და მრავალგვარობით. აქ არის მინერალური წყლების გამოსავალთა 500-ზე მეტი ჯგუფი. ქიმიური შედგენილობის მიხედვით ეს წყლები იყოფა ჰიდროკარბონატულ, ქლორიდულ, სულფატურ და შერეულ ჯგუფებად, ხოლო აირის შემცველობის შესაბამისად არის ნახშირმჟავა და არანახშირმჟავა ტიპისა. ნახშირმჟავა აირით გაჯერებული ჰიდროკარბონატული ჯგუფის წყლები თავმოყრილია კავკასიონის მაღალმთიან ზოლში და მესხეთ-თრიალეთის ქედების შუა ნაწილში. კავკასიონის სამხრეთ კალთაზე ამ ტიპის 200-ზე მეტი წყაროა.

საყოველთაოდ ცნობილია მინერალური წყლები: ბორჯომი, საირმე, ნაბეღლავი, ზვარე, ძაუ, უწერა, შოვი, ლუგელა, სქური და სხვა.

მნიშვნელოვანია საქართველოს თერმული წყლები, რომლებიც საკმაოდაა გავრცელებული აფხაზეთსა და თბილისის მიდამოებში. მათი გამოყენების პერსპექტივა მეტად მნიშვნელოვანია ჩვენს სახალხო მეურნეობაში.

ტბები

სასაზღვრო სივრცეში ბევრი ტბაა, მათი უმეტესობა ძალიან პატარაა. აქ არსებული ტბები გამოირჩევიან მრავალფეროვანი გენეზისით. გვხვდება ტექტონიკური, მყინვარული (ყველაზე დიდი რაოდენობით), მდინარეული, სანაპირო, კარსტული, სუფოზური, შეგუბებული, მეწყრული და ანთროპოგენური ტბები. ისინი ძირითადად საზრდოობენ თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. ჭარბობს მტკნარი ტბები, რომელთა ნაწილი მეტად მცირე მარილს შეიცავს, მაგრამ არის მლაშე ტბებიც. ასეთებია ივრის ზეგნის ტბები.

ბევრია ტბა ჯავახეთის ზეგანზე, სადაც მათი რიცხვი დაახლოებით 86-ია, ამათგან აღსანიშნავია ფარავანი, ტბაწყური, ხანჩალი, საღამოს ტბა, ხოზაფინი (კარწახი). ისინი ვულკანურ ქვაბულებშია და ლავის ღვარებით არის შეგუბებული.

ფართობით ყველაზე დიდია ფარავნის ტბა, მოცულობით — ტბაწყურის, ხოლო სიღრმით რიწის ტბა. იგი უღრმესია ამიერკავკასიის ტბებს შორის.

ფარავნის ტბა. მდებარეობს ახალქალაქის აღმოსავლეთით. ღრმა არ არის. ტბიდან გამოედინება მტკვრის მარჯვენა შენაკადი მდ. ფარავნის წყალი. ატმოსფერულ ნალექებთან ერთად ფარავნის ტბას უხვი წყაროები ასაზრდოებს. ტბის წყალი მტკნარია და მდიდარია თევზით, განსაკუთრებით კალმახითა და ხრამულით, ფარავანში ხელოვნურად მოშენებულია ჭაფალა.

ხოზაფინი (კარწახი). მდებარეობს საქართველოს და თურქეთის საზღვარზე. საქართველოს ფარგლებშია ტბის მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთი ნახევარი. ტბას ჩრდილოეთიდან ერთვის მდინარე კარწახი და რამდენიმე ნაკადული. ხოზაფინი წყალმარჩხია. მისი წყალი მომლაშოა, ამიტომ აქ თევზი არ გვხვდება.

ტბაწყური. მდებარეობს ახალქალაქის ჩრდილოეთით და მაღალი ვულკანური მთებით არის შემოსაზღვრული. ჩრდილო-დასავლეთიდან ტბაში შეჭრილია ნახევარკუნძული, რომელზეც გაშენებულია სოფელი ტბაწყური. ტბიდან წყალი გაედინება მიწისქვეშა გზით. ის საზრდოობს წყაროებითა და ატმოსფერული ნალექებით. წყალი მუქი მწვანე ფერისაა. მდიდარია თევზით, ბევრია ხელოვნურად მოშენებული კალმახი.

კოლხეთის დაბლობზე მდებარე ტბებიდან მნიშვნელოვანია პალიას-

ტომის ტბა. „პალიასტომი“ ბერძნულად უძველეს შესართავს ნიშნავს. მართლაც შორეულ წარსულში ტბის ადგილას შავი ზღვის ყურე მდებარეობდა და მასში ჩაედინებოდა რიონი. დროთა განმავლობაში ეს ყურე თანდათან გამოეყო ზღვას და ტბად გადაიქცა. ტბაში ჩაედინება მდინარეები: ფიჩორა, თხორინა და შავი წყალი, ხოლო მისგან გამოედინება მდინარე კაპარჭინა.

სასაზღვრო სივრცის მნიშვნელოვანი ტბები

დასახელება	სარკის ფართობი, კმ^2	სიმაღლე ზღვის დონიდან, მ	წყლის მოცულობა, მლნ მ^3	უდიდესი სიღრმე, მ
ფარავანი	37.5	2073	90.8	3.3
ხოზაფანი (კარწახი)	26.3	1799	19.3	1.0
პალიასტომი	18.2	0.3	52.0	3.2
ტაბაწყური	14.2	1997	221.0	40.2
ხანჩალი	13.3	1928	6.4	0.7
ჯანდარის ტბა	10.6	291	61.0	7.2
მათადაფა	8.78	2108	9.5	1.7
საღამოს ტბა	4.81	1996	7.7	2.3
რიწის ტბა	1.49	884	94.0	101
ყელის ტბა	1.28	2914	31.7	63

კოლხეთის დაბლობის ზოგიერთი ტბა ნამდინარევია. ასეთები ბევრია მდინარე რიონის გაყოლებით. მათ მეტად მცირე სიღრმე, ნალისებრი მოყვანილობა აქვთ, მათში წყალი მტკნარია. ასეთი ტბებიდან აღსანიშნავია ჯაპანის ტბა.

კავკასიონის კალთებზე არსებული ტბების უმრავლესობა მეოთხეული გამყინვარების მერეა გაჩენილი. ბევრი კარსტულ ქვაბულში მდებარეობს, გვხვდება ლავის დაგუბებისა და მთის ჩამონგრევის შემდეგ წარმოშობილი ტპებიც.

ყელის ტბა. მდებარეობს ცენტრალურ კავკასიონზე, ყელის მაღალმ-

თიან ზეგანზე გაჩენილია ვულკანურ ტაფობში. ტბის სამხრეთი ნაწილიდან მდინარე ქსანი გამოედინება. ზამთარში ტბა ყინულით იფარება და მხოლოდ შუა ზაფხულში დნება. ტბაში თევზი არ ბინადრობს. მისი წყალი გამჭვირვალეა და სასმელადაც ვარგისია.

რიწის ტბა. მდებარეობს მდ. ბზიფის აუზში. იგი წარმოიშვა მთა ფშეგიშხის ფერდობის ჩამოქცევისა და მდ. ლაშიფსეს დაგუბების შედეგად. ჩამოქცევამ გადაკეტა ხეობა, შემდეგ წყალი დაგუბდა და ხეობის გადაკეტილი მონაკვეთი ტბად იქცა. რიწა შედარებით პატარა, მაგრამ ღრმა ტბაა. მისი მაქსიმალური სიღრმე 101 მეტრია. მასში ჩაედინება მდ. ლაშიფსე და ხუთი სხვა პატარა ნაკადი კავკასიონიდან. ტბიდან გამოედინება მხოლოდ მდინარე იუფშარა, რომელიც გამოსვლისას დიდ მანძილზე მიწის ქვეშ გადის. რიწის ტბაში ბინადრობს კალმახი.

ჭაობები

ჭაობებს სასაზღვრო სივრცეში განსაკუთრებით დიდი ფართობი უკავია კოლხეთის დაბლობზე (225 ათას ჰა-ზე მეტი). მცირე ჭაობებია ჯავახეთის ვულკანურ მთიანეთში (გაჩიანის, ავჭალის, ხანჩალის, მადათაფის, სულდისა და სხვა), გვხვდება საქართველოს სხვა რაიონებშიც. აფხაზეთში გვაქვს ოჩამჩირის ჭაობები. იგი მდებარეობს ქალაქ ოჩამჩირესა და სოფ. ანაკლიას შორის. ამ ჭაობებიდან აღსანიშნავია ანაკლია 1.5 მ სისქის ტორფის ფენით და ბებესირის ტბების ირგვლივ მდებარე ტორფიანი ჭაობი.

რიონის ქვედა დინების ჭაობები ვრცელდება ნატანებსა და ანაკლიას შორის და აღმოსავლეთითაც.

აჭარის ჭაობები ვრცელდება შავი ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ მდინარეთა შესართავებში. აქ ყველაზე დიდი ფართობი უჭირავს ქობულეთსა და ნატანებს შორის მდებარე ჭაობებს. ტორფის სისქე 8-9 მ-ს აღწევს.

3.7. ნიადაგები და ნიადაგური რესურსები

სასაზღვრო სივრცის ტერიტორიის გეოლოგიური აგებულების, რელიეფისა და ჰავის მრავალფეროვნებამ განაპირობა ნიადაგების დიდი სიჭრელე. აქ გამოიყოფა 12 სახის ძირითადი ნიადაგები:

1. ყინვარ-თოვლიანი საფარის ქვეშ არსებული ფრაგმენტული ნიად-

აგები ძირითადად გავრცელებულია ცენტრალური კავკასიონის ნაწილში — სვანეთის, რაჭის ჩრდილოეთით, ნაწილობრივ გვხვდება აღმოსავლეთ კავკასიონის ნაწილშიც;

2. მთა-მდელოს კორდიანი ნიადაგები გვხვდება დასავლეთ კავკასიონის სასაზღვრო სივრცის მთელს სიგრძეზე, ცენტრალურ კავკასიონზე;

3. მთის, ტყე-მდელოს ნიადაგები განვითარებულია პირიქითა ალაზნის, მთიანი აჭარისა და ნაწილობრივ მესხეთის სასაზღვრო ზოლში;

4. მთის შავმიწა ნიადაგები ვიწრო ზოლად გვხვდება ჯავახეთის ზეგნის უკიდურეს სამხრეთით გუგუთის გამტარი პუნქტის აღმოსავლეთით;

5. ყომრალი ნიადაგები გვხვდება მხოლოდ სადახლოს სასაზღვრო გამტარი უბნის მიდამოებსა და მის დასავლურ ნაწილში 20 კმ-ის მანძილზე;

6. წითელმიწა ნიადაგებია განვითარებულია აჭარის შავი ზღვისპირა ნაწილსა და წინამთების ზოლში სოფ. სარფამდე;

7. ყვითელმიწა ეწერ-ლებიანი ნიადაგები განვითარებულია ოჩამჩირის მიდამოებიდან მდ. ენგურამდე და ზუგდიდის მიდამოებში;

8. ჭაობიანი ნიადაგები გავრცელებულია ზღვის პირას — ხობიდან მოყოლებული სამხრეთით, ქობულეთის მიდამოების ჩათვლით. ასეთი ნიადაგები ნაწილობრივ წარმოდგენილია აგრეთვე ახალქალაქის უკიდურეს სამხრეთით;

9. უკიდურეს აღმოსავლეთით, მდ. ალაზნისა და მინგეჩაურის სასაზღვრო სივრცეში გავრცელებულია ყავისფერი ნიადაგები;

10. სამხრეთ-აღმოსავლეთ სასაზღვრო სივრცეში მდ. ივრის მარცხენა მხარეზე და გარეჯის მიდამოებში ძირითადად ყავისფერი ნიადაგური საფარია. ანალოგიურ ნიადაგს ვხვდებით მესხეთის სამხრეთითაც;

11. ყვარლისა და ლაგოდეხის მიდამოებში გავრცელებულია ბიცობიანი ნიადაგების კომპლექსი;

12. სასაზღვრო სივრცის ბარში ალუვიური ნიადაგებია ფართოდ გავრცელებული. მათი საერთო ფართობი არც თუ ისე დიდია. მთიან მხარეებში კი ისინი მხოლოდ მდინარეთა ხეობებშია წარმოდგენილი.

3.8. მცენარეული საფარი

მდიდარი და მრავალფეროვანია საქართველოს სასაზღვრო სივრცის მცენარეული საფარი. ეს აიხსნება საქართველოს ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული, მათ შორის კლიმატური პირობების მრავალგვარობით და სხვადასხვა გენეზისის ფიტოლანდშაფტების შესაყარზე მისი მდებარეობით. აქ შედარებით მცირე ტერიტორიაზე განვითარებულია მრავალფეროვანი მცენარეული ფორმაციები — აღმოსავლეთ საქართველოს მშრალი რაიონების მთისწინეთის ნახევრად უდაბნოდან და კოლხეთის ამაღე სარტყლის ტენიანი, თითქმის სუბტროპიკული კლიმატის დაბურული ტყეებიდან დაწყებული, მაღალი მთების მკაცრი კლიმატის თავისებური მცენარეულობით დამთავრებული. რელიეფის დანაწევრებამ და ქედების რთულმა კონფიგურაციამ საქართველოში განაპირობა ეკოსისტემების გეოგრაფიული და ეკოლოგიური იზოლაცია. ამით აიხსნება ადგილობრივი ენდემიზმის მაღალი დონე.

საქართველოში იზრდება 50000-მდე სახეობის ველური და გაველურებული ფარულ- და შიშველთესლოვანი და 83000-მდე სპოროვანი მცენარე (დაახლოებით 75 სახეობის გვიმრანაირი, 600 სახეობის ხავსი, 600 სახეობის მლიერი, 5000 სახეობის სოკო, 2000-მდე სახეობის წყალმცენარე).

აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველოს კლიმატის არსებითმა განსხვავებამ განაპირობა მათი მცენარეული საფარის სხვადასხვგვარობა, რაც ვერტიკალური სარტყლურობის სტრუქტურაშიც ვლინდება. დასავლეთ საქართველოში საერთოდ არ არის სემიარიდული და არიდული მცენარეულობის უტყეო სარტყელი. ტყეებით დაფარულია ვაკეები და მთისწინეთის ფერდობები ზღვის ნაპირიდანვე, აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით აქ ნაკლებადაა გამოხატული სუბნივალური მცენარეულობის ლანდშაფტები. ამიტომ დასავლეთ საქართველოში მხოლოდ 4 ძირითადი სარტყელია: ტყის (ზღვის

დონიდან 1900 მ-მდე), სუბალპური (1900-2500 მ), ალპური (2500-3100 მ) და ნივალური (3100 მ-ზე ზევით).

აღმოსავლეთ საქართველოში ვერტიკალური სარტყლურობა უფრო რთულია. აქ 6 ძირითადი სარტყელია. ნახევრად უდაბნოების, მშრალი ველებისა და არიდული მეჩხერი (ნათელი) ტყეების (150-600 მ), ტყის (600-1900მ), სუბალპური (1900-2500 მ), ალპური (2500-3000 მ), სუბნივალური (3000-3500 მ) და ნივალური (3500 მ-ზე ზევით). სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ტყის და სუბალპურ სარტყლებში ალაგ-ალაგ განვითარებულია აგრეთვე სემიარიდული ეკოსისტემების უტყეო ფორმაციები, რომლებშიც ჭარბობს მთის ველების მცენარეულობა.

აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობებსა და მთისწინეთში ტყეები განვითარებულია მხოლოდ მტკვრის, ივრის, ალაზნის, ქციის ქვემო წელის გასწვრივ. მათში ჭარბობს მუხა, ტირიფის სახეობები, ზოგან თუთა, თელა, ქაცვი და სხვ. ალაზნის დაბლობის ტყეებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ლაფანი. ეს ტყეები მდიდარია ლიანებით (ეკალღიჭი, ღვედკეცი, კატაბარდა, ჯიქა და სხვ.). ნათელ ადგილებში უხვადაა მაყვალი.

აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობები (ელდარის და სხვ.) უჭირავს ნახევრად უდაბნოებს, რომლებშიც ალაგ-ალაგ ჩართულია ბოცობიანი ფრაგმენტები.

რამდენადმე მაღლა, ნაკლებად მშრალი კლიმატის პირობებში, განვითარებულია მშრალი ველები — ურიანები. უფრო იშვიათია აბზინდიან-ვაციწვერიანი და წივანიან-ვაციწვერიანი ველები. აქ დამახასიათებელია აგრეთვე არიდული ნათელი ტყეები, რომელშიც ხშირად ჭარბობს საკმლის ხე და ღვია, ზოგან აკაკის ხე, ქართული ნეკერჩხალი, ბერყენა, ბრონწეული და სხვ. ნათელი ტყეები ამჟამად გაჩანაგებულია. მათი ნაშთები დაცულია ვაშლოვანის ნაკრძალში და შირაქის რამდენიმე ხევ-ხმელში (ლეკისწყალი, ბულათმოდენი).

მშრალი ველებისა და ნათელი ტყეების სარტყელში გავრცელებულია ჯაგეკლიანები-ბუჩქნარები, რომლებიც შექმ-

ნილია ძირითადად ძეძვისაგან, ზოგან შავჯაგასაგან, კოწახურისაგან, გრაკ-ლასაგან და სხვ. ისინი უმეტესად არიდული და სემიარიდული ტყეების ანთროპოგენური დერივატებია.

აღმოსავლეთ საქართველოს სასაზღვრო სივრცის ტყეები მრავალ-ნაირია, ისინი იცვლებიან ვერტიკალური პროფილის, რელიეფის პირობებ-ისა და ტენიანობის შესაბამისად. ტყის სარტყლის ქვედა ნაწილში ჭარ-ბობს მუხნარი, რაიონის მეორე იარუსში იზრდება ჯაგრცხილა, ზოგან აგრეთვე ზღმარტლი, კუნელი, ტყემალი, თამელი, ასკილი, გრაკლა, თრიმლი, კურდღლისცოცხა და სხვ. ალაზნის მარცხენა ნაპირთან, უფრო ტენიან პირობებში გავრცელებულია აგრეთვე წაბლი, რცხილა, ბოკვი, ურთხელი და სხვ. ხეობებში ქვეტყეში იზრდება ჯონჯოლი, უცვეთელა, თხილი და სხვ.; ხეებზე შემოხვეულია ჩვეულებრივი და პასტუხოვის სურო.

ზემოთ ეს ტყეები იცვლება მუხნარ-რცხილნარით, რცხილნარით, რცხ-ილნარ-წაბლნარით. ტყის სარტყლის შუა და ზედა ნაწილებში (გან-საკუთრებით ჩრდ. ექსპოზიციის ფერდობებზე) გაბატონებულია მონოდომ-ინანტური, მაღალი წარმადობის ტყეები, რომლებიც შექმნილია აღმოსავ-ლური წიფლისაგან. ზოგან წიფელს ერევა თელა, ცაცხვი, ნეკერჩხალი, იფანი და სხვ. სამხრეთ ექსპოზიციის ფერდობებზე, ზღვის დონიდან 1500 მ მაღლა ალაგ-ალაგ ვითარდება მაღალმთის მუხისაგან შექმნილი ტყეები. აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში, წიფლნართან ერთად, ტყის შუა და ზედა ნაწილებში ფართოდაა გავრცელებული ნაძვნარი, რომლებსაც ზოგან (უმთავრესად უფრო ნათელ ფერდობებზე) ენაცვლება ფიჭვნარი, ბორჯომის სამხრეთ-დასავლეთ მთებში იგი კიდევაც დომინირებს. ფიჭვნარი ჭარბობს თუშეთშიც.

აღმოსავლეთ საქართველოს ტყის სარტყლის ბუნებრივი მცენარეუ-ლობა ძალიან დაზარალდა ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ზეგავლენ-ით. განსაკუთრებით ძლიერი ანთროპოგენური გავლენა განიცადა ტყის სარტყლის ქვედა საფეხურების მცენარეულობამ; ამჟამად თითქმის მთე-ლი ტერიტორია უჭირავს ბაღ-ვენახებს, სახნავ-სათესებს და სათიბ-სა-ძოვრებს.

დასავლეთ საქართველოში, კოლხეთის დაჭაობებულ დაბლობზე, ზღვის დონიდანვე იწყება მურყნარები და ლაფნარები. ნაკლებად ტენიან ადგ-ილებში გავრცელებულია მუხნარები, რცხილნარები, წაბლნარი. ეს ტყეები მდიდარია ლიანებით, უმთავრესად ეკალღიჭით.

აფხაზეთში, შავი ზღვის სანაპიროზე, იზრდება ბიჭვინთის ფიჭვი. ბიჭვინთის კონცხის უნიკალური ფიჭვნარი დაცულია როგორც ბუნების ძვირფასი ძეგლი. იქვე გვხვდება ხმელთაშუაზღვისპირეთის ფლორის სხვა წარმომადგენლებიც.

კოლხეთის მთისწინეთის ლადშაფტებიც ძლიერ შეცვლილია ადამიანის ზემოქმედებით: ველური მცენარეულობა აქ თითქმის არ შემორჩა. განსაკუთრებით უკანასკნელ ათწლეულებში კოლხეთის დაბლობზე (ზოგიერთი ჭაობიანი ნაკვეთის გამოკლებით) და მთისწინებზე დიდ ფართობებზე მოჰყავთ ინტროდუცირებული სუბტროპიკული ხეხილი და ტექნიკური კულტურები (ჩაი, ციტრუსები, ტუნგი, დაფნა, ეთერზეთოვანი და სხვ. მცენარეები). დეკორაციის მიზნით აშენებენ ევკალიპტს, პალმას, ოლეანდრს და სხვ.

ტყის სარტყლის ქვედა ნაწილში (500-600 მ-მდე) ფერდობები უჭირავს მუხნარს (რომელსაც ქმნის ქართული და იმერეთის მუხა), წაბლნარსა და რცხილნარს; უფრო მაღლა — ძირითადად წიფლნარს, ხოლო 1000 მ-დან — წიფლნარ-მუქწიწვოვან ტყეებს, აქ ჭარბობს წიფელი, ნაძვი და სოჭი. ხელუხლებელი წიფლნარები და მუქწიწვოვანი ტყეები ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ ნაკრძალებში და ძნელად მისადგომ ადგილებში.

დასავლეთ საქართველოს ტყეებისათვის დამახასიათებელია რელიქტური გართხმული ბუჩქების, მათ შორის მარადმწვანეების (შქერი, წყავი, ბაძგი და სხვ.) ხშირი ქვეტყე, ზოგიერთ რაიონში (განსაკუთრებით აფხაზეთსა და სამეგრელოს კირქვიან მთებში) გვხვდება ბზა, რომელიც იზრდება უმთავრესად ხეობების ტყის მეორე იარუსში. როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტყიან მთებში ხშირად გვხვდება ისეთი ძვირფასი ხემცენარეები, როგორიცაა უთხოვარი, დათვისთხილი, უხრავი. ბაწარას ხეობაში, ალაზნის ზემო დინებაში, შემორჩენილია კარგად შენახული უთხოვრიანები, აქ შეხვდებით 30 მ-ზე მაღალ და 1,5 მ სისქის უთხოვარს.

ტყეს საქართველოს ტერიტორიის 39,7% უკავია. ტყით დაფარულია 2,75 მილიონი ჰა. აქედან 95%-ზე მეტი ნიადაგდამცველი და წყალმარეგულირებელი ტყეებია, სადაც ტყის ჩვეულებრივი ექსპლუატაცია დაშვებულია. 461 ათასი ჰა. ძალზე გამეჩხერებული და დეგრადირებულია. 1,06 ათასი ჰა. წაბლის ტყეა, 0,45 მლნ. ჰა. წიწვოვანი, დანარჩენი ტყეები სხვა ფოთლოვანებს უჭირავს.

მაღალმთიანეთში კარგადაა გამოხატული სუბალპური, ალპური, სუბნივალური და ნივალური სარტყლები. სახეობებით განსაკუთრებით მდიდარია სუბალპური სარტყლის მცენარეული საფარი. აქ სიმაღლის მატების კვალდაკვალ მცირდება ხეებისა და ბუჩქების რაოდენობა. სუბალპური სარტყლის ქვედა საზღვარი 1800-2000 მ-ია. ამ სიმაღლიდან ტყე თანდათანობით უთმობს პოზიციებს მეჩხერ „პარკულ" კორომებს (არყი, მაღალმთის ბოყვი, ცირცელი), ტანბრეცილ ტყეებს, მაღალბალახეულ ფორმაციებს და მდელოებს. ხემცენარეთაგან სუბალპური სარტყელს აღწევს წიფელი, სოჭი, ნაძვი, ფიჭვი, აღმოსავლური მუხა და სხვა. სუბალპური სარტყლის ზედა საზღვარი გადის დაახლოებით ხემცენარეების გავრცელების კლიმატურ მიჯნაზე. ადგილობრივი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების მიხედვით, ეს მიჯნა მერყეობს 2350-2650 მ-მდე. ადამიანის სამეურნეო ზეგავლენის შედეგად სუბალპურ სარტყელში ტყის მცენარეულობა ბევრგან თითქმის მოსპობილია. აღმოსავლეთ საქართველოში სუბალპური მუხნარები გავრცელებულია უფრო ნათელ და მშრალ ფერდობებზე, ბალახოვანი საფარი ამ ტყეებში მდელოსნაირია. მისთვის დამახასიათებელია აგრეთვე ის სახეობები, როგორიც ტყის პირებზე იზრდება. იქ, სადაც ტყის მცენარეულობა განადგურებულია, განვითარებულია სუბალპური მდელოები.

საქართველოს სუბალპური სარტყლისათვის დამახასიათებელია მაღალმთის ტანბრეცილი ტყეები, უმთავრესად არყნარები და ცირცელარყნარები. უფრო ნაკლებად არის გავრცელებული (ძირითადად დასავლეთ საქართველოში) ტანბრეცილი წიფლნარები. სუბალპურ ტყეებს თავისებური იერი აქვს. ხეები გადახრილია ფერდობის მიმართულებით. მეჩხერი ტყეებისაგან განსხვავებით, ტანბრეცილი ტყეები აღწევს ტყის მცენარეულობის გავრცელების უკიდურეს საზღვრებს. ამავე დროს ალაგ-ალაგ (განსაკუთრებით თოვლის ზვავების გამოვლენის ადგილებში) დაბლა ეშვება და ტყის სარტყელში იჭრება. დასავლეთ საქართველოს მთებში გავრცელებულია რელიქტური, ენდემური ხეები და ბუჩქები (მედვედევის არყი, პონტოური მუხა, იმერული ხეჭრელი და სხვ.), შექმნილია სუბალპური ნახევრად გართხმული, მეჩხერი ტყეები.

საქართველში მაღალმთის გართხმულ ბუჩქნარებს ქმნის დეკა და ღვიის ზოგიერთი სახეობა. დეკიანებს სუბალპურ სარტყელში (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში) დიდი ფართობები უჭირავს ძირითადად

2100-2200 მ ზევით, ზოგან ალპურ სარტყელშიც ადის. დეკიანები გარვცელებულია ჩრდილოეთ ფერდობებზე, ღვიიანები — ნათელ სამხრეთ ფერდობებზე.

მაღალბალახეულობა ვრცელდება უმთავრესად სუბალპური სარტყლის ქვედა ნაწილში, შედარებით ნაკლებად — დაქანებულ ფერდობებზე, ნოყიერ, ტენიან ნიადაგებზე, ხშირად ის ხევებითა და ხრამებით ტყის სარტყელშიც ჩამოდის. ზოგჯერ მაღალბალახეულობა ვრცელდება გაჩეხილი და გამეჩხერებული ტყის ადგილას. მაღალბალახეულობას ძირითადად ქმნის ქოლგოსანთა (განსაკუთრებით დიყი, დუცი), რთულყვავილოვანთა (თავყვითელა, დათვიმხალა, მზიურა და სხვ) ან კიდევ ბაიასებრთა (დეზურა, ტილჭირი) სახეობები. მაღალბალახეულობაში ბევრი ენდემურია. საქონლის ნაბინავრებზე წარმოიქმნება მეორეული მაღალბალახეულობა — ლაშქარა, ჩვეულებრივი ღოლო, ჭინჭარი, ქოლგოსანთა ზოგიერთი სახეობა და სხვ.

სუბალპური მდელოები გავრცელებულია როგორც მაღალმთის გამეჩხერებულ ტყეებში, ისე ტყის ზედა საზღვართან, არსებობს ძირითადად პარკოსან-მარცვლოვან-ნაირბალახოვანი (ნამიკრეფია, შვრიელა, სამყურა, მარმუჭის სახეობები და სხვ.) და ფართოფოთლოვან-ნაირბალახოვანი (უძოვარა,ფრინტა,ბაიას სახეობები და სხვ.) მდელოები. პირველი ტიპის მდელოები ვითარდება შედარებით მშრალ ადგილებში, მეორე და მესამე — ტენიან ადგილებში. ამავე სარტყელში ალპური სარტყლიდან იჭრება ძიგვიანები და ჭრელწივანიანები. სუბალპური მდელოები ხშირად წარმოიქმნება ნატყევარებზე.

ალპური სარტყლისათვის, რომელიც საქართველოში 2400-2650 მ-იდან 3000-3100 მ-დეა, დამახასიათებელია ბალახოვანი მცენარეულობა. უფრო ხშირია მკვრივკორდიანი მარცვლოვანებისაგან შექმნილი თანასაზოგადოებები: ძიგვიანები — ნაკლებად დაქანებულ ფერდობებზე და გავაკებულ ადგილებში, ჭრელწივანიანები — სამხრეთის ციცაბო, მშრალ ფერდობებზე, კობრეზიანები და ისლიანები — ქედების თხემებზე, საიდანაც ზამთრის ქარი თოვლს ხვეტავს, გართხმულწივანიანები — ქედების თხემებზე და ჩრდილოეთ ფერდობებზე.

ფართოდაა გავრცელებული აგრეთვე ნაირბალახოვანი მდელოს ფორმაციები.

ალპური სარტყლის ზედა ზოლში, სწორ რელიეფზე, ძველ მყინ-

ვარულ ცირკებზე განვითარებულია ალპური ხალები — დაბალი მცენარეული თანასაზოგადოებები, როგორებსაც ქმნის მარმუჭები, მაჩიტები, ფესვმაგრები და სხვ.

გართხმული ბუჩქნარები — დეკიანები, იშვიათად მოცვიანები, კეწერიანები, ტირიფიანები — ალპურ სარტყელში გავრცელებულია ჩრდილოეთ და დასავლეთ ფერდობებზე. ზამთარში გაყინვისაგან მათ თოვლის საფარი იცავს. სამხრეთ ფერდობებზე, სადაც თოვლი დიდხანს არ ჩერდება, გავრცელებულია ღვიიანები.

სუბალპური და ალპური მდელოები გამოყენებულია სათიბად და საძოვრად.

სუბნივალური სარტყელი აღმოსავლეთ და ცენტრალურ კავკასიონზე მდებარეობს 2900-3100 მ-იდან მუდმივი თოვლის ხაზამდე.

ნივალური სარტყელი იწყება 3500-3700 მ-დან. ამ სარტყლის მცენარეული სამყარო ძალიან ღარიბია. თოვლისა და ყინულისაგან თავისუფალ ადგილებში იზრდება ხავსები, მღიერები და თითო-ოროლა ყვავილოვანი მცენარე.

კლდე-ნაშალთა მცენარეულობა საქართველოში გვხვდება ყველა სარტყელში, მთისწინეთიდან დაწყებული ნივალური სარტყლით დამთავრებული. ქვედა სარტყლებში კლდე-ნაშალის მცენარეულობას შედარებით მცირე ფართობი უჭირავს, აქ იგი ხშირად ვითარდება ეროზიის შედეგად. ალპურ, სუბნივალურ და ნივალურ სარტყლებში კლდე-ნაშალთა მცენარეულობა უმეტესად პირველადია და ფართოდ არის გავრცელებული.

წყლისა და ჭაობის მცენარეულობა საქართველოში განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული კოლხეთის დაბლობზე. არც ისე დიდი ხნის წინათ აქ ვრცელი ფართობი ეჭირა დაჭაობებულ მურყნარებს, აგრეთვე ისლიან-თეთრხავსიან (სფაგნუმიან) ჭაობებს. ამჟამად მურყნარები ძირითადად გაჩეხილია, ჭაობები ამოშრობილია. ტბის ნაპირები და თხელი წყლები კოლხეთში დაფარულია ლერწმის, ლაქაშის და სხვ. რაყებით. მდგარ და მდოვრე წყლებში, გარდა წყალმცენარეებისა, იზრდება დუმფარა, წყლის პერი, წყლის ვაზი, წყლის კაკალი, წყლის ბაია; ჭაობებში — ისლის, ჭილის სახეობები, წყლის ზამბახი და სხვ. აქ გვხვდება მეტად საინტერესო რელიქტური მცენარე — სამეფო გვიმრა.

აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობებში, წყალსატევების დაჭაობებულ ნაპირებზე გავრცელებულია ლერწმისა და ლაქაშის რაყები. ნახე-

ვარუდაბნოების ზონაში ტენიან ადგილებში იზრდება მარილის ამტანი მცენარეები.

მთებში წყლისა და ჭაობის მცენარეულობას შედარებით ნაკლები ფართობი უკავია. აქ იგი გავრცელებულია უმთავრესად ტაფობებში და ლავურ პლატოებზე, განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოს ვულკანურ პლატოზე, სიმაღლის მატებასთან ერთად წყლისა და ჭაობის მცენარეულობა თანდათანობით ღარიბდება: ალაგ-ალაგ გვხვდება ისლიანი და თეთრხავსიან-ისლიანი ჭაობის მცირე ფართობები.

წყაროსეული ჭაობები გვხვდება მთის კალთებზეც — უმთავრესად სუბალპურ სარტყელში და ალპური სარტყლის ქვედა ნაწილში. ამ ჭაობებში, გარდა სხვადასხვანაირი ხავსისა, ისლისა, ჭილისა და ჭაობისათვის დამახასიათებელი სხვა მცენარეებისა, იზრდება მახრჩობელა, დიდბაია, ფურისულა.

3.9 ცხოველთა სამყარო

საქართველოს სასაზღვრო სივრცეში ცხოველთა სამყარო მრავალფეროვანია. ძირითადად წარმოდგენილია პალეოარქტიკის ოლქის ხმელთაშუა ზღვის ქვეოლქის ელემენტებით, მაგრამ ჩრდილოეთ ნაწილში მრავლად გვხვდება ევროპა-ციმბირის ქვეოლქის წარმომადგენლები, სამხრეთ-აღმოსავლეთის უბანში კი — ცენტრალური აზიის ქვეოლქის ფაუნის სახეობები ან მათი მონათესავე ფორმები.

საქართველოში ცნობილია ძუძუმწოვრების 100-მდე სახეობა, ფრინველების — 330-ზე მეტი, ქვეწარმავლების — 48, ამფიბიების — 11 და თევზების 160-მდე სახეობა. გვხვდება უხერხემლო ცხოველების ათასობით სახეობა. მათი სრული შემადგენლობა ჯერ კიდევ არ არის დადგენილი. ცხოველები გავრცელებული არიან ზონალურად, თუმცა დიდი ეკოლოგიური ვალენტობის მქონე სახეობები ხშირად რამდენიმე ზონაშიც ბინადრობენ.

ალპური ზონის (კავკასიონის ქედი და მცირე კავკასიონი) ძუძუმწოვრებიდან აღსანიშნავია დაღესტნური და კავკასიური ჯიხვები, რომლებიც ბინადრობენ კავკასიონის მთამაღალზე და კავკასიურ ენდემებს წარმოადგენენ. პირიქითა ხევსურეთსა და ალაგ-ალაგ თუშეთში არის ნიამორი, რომელიც გადაშენების გზაზე მდგომი სახეობაა და შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში". როგორც მთავარ კავკასიონზე, ისე მცირე

ფეთრული კვერნა

ჯიბეები. ლაგოდების ნაკრძალი.

ამიერკავკასიური ჯიქი

ფალა ფალი

კავკასიონზე, ფართოდაა გავრცელებული არჩვი, ალპურ მდელოებზე გვხვდება პრომეთეს მემინდვრია, გუდაურსა და მის მიდამოებში ბინადრობს გუდაურული მემინდვრია. ხევსურეთში ცხოვრობს დაღესტნური ომანა. ალპური მდელოების ზოგ ადგილში გვხვდება კავკასიური ბიგა, გრძელკუდა კბილთეთრა. ზოგიერთი მტაცებელი აქ ტყის ზონიდან ადის.

ალპურ ზონაში ბევრია ფრინველი, აღსანიშნავია მცირე კავკასიონის ბინადარი კასპიური შურთხი. კავკასიონის მთამალალზე ფართოდაა გავრცელებული კავკასიური შურთხი, ზოგან არის კაკაბი. ამავე ზონაში ბინადრობენ მთის არწივი, ორბი და ბატკანძერი (სამივე შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში"). ალპურ ზონაში გვხვდება მაღრანი, ჭკა, კავკასიური სტვენია, მთის ტოროლა, ალპური ჭვინტაკა და სხვა. ქვეწარმავლებიდან აღსანიშნავია კავკასიური კლდის ხვლიკი, ზოგან ანკარა და სხვ. ამფიბიებიდან საყურადღებოა ამიერკავკასიის ბაყაყი, კავკასიური ჯვრიანა. მაღამლმთის მდინარეებსა და ტბებში იცის კალმახი, ბევრია ნაირგვარი მწერები, მოლუსკები.

ტყის ზონას საქართველოში საკმაოდ ვრცელი ფართობი უკავია. იგი ქვეყნის დასავლეთ ნაწილში კავკასიის სამხრეთ კალთებზე იწყება და მაჭისწყალზე (ლაგოდეხის მახლობლად) მთავრდება. ამ ზონაში ერთიანდება კავკასიის სამხრეთი ფერდობი, დაწყებული დასავლეთ საქართველოში 500 მ-იდან სუბალპურ მდელოებამდე, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში — 800 მ-იდან სუბალპურ მდელოებამდე. ამავე ზონაში შედის ქართლ-იმერეთის, თრიალეთისა და გომბორის ქედების ტყეები. ამ ზონის ძუძუმწოვრებიდან აღსანიშნავია გარეული ღორი, შველი, ირემი, მგელი, რომელიც თითქმის ყველგან არის და ზოგან ალპურ მდელოებამდე აღწევს. მრავალგანაა ტურა, ამ-

იერკავკასიის მთის მელა. ფართოდაა გავრცელებული ტყის კატა, ფოცხვერი, თითქმის ყველგან გვხვდება მურა დათვი, ამიერკავკასიის მაჩვი, კავკასიური ყვითელყელა კვერნა. ბზიფის ხეობაში უმნიშვნელო რაოდენობით არის კავკასიური წაულა, მრავალგანაა წავი, მაგრამ თითო-ოროლა. თითქმის ყველგან არის დედოფალა. ტყეებსა და ტყისპირებში გვხვდება კურდღელი, რომელიც ზოგან ალპურ მდელოებამდე ადის. როგორც ფოთლოვან, ისე წიწვოვან ტყეებში ფართოდაა გავრცელებული კავკასიური ციყვი, თერგის სათავის ტყეებში მცირე რაოდენობითაა კავკასიური თრია. თითქმის ყველგან გვხვდება ძილგუდა და ღნავი. თერგის სათავესთან, გუდაურთან, სვანეთში, აფხაზეთში ბინადრობს კავკასიური თაგვანა. ამავე ზონისათვის დამახასიათებელია ყვითელყელა ტყის თაგვი. შატილის მიდამოებში ბინადრობს დაღესტნური ომანა. გურია-აჭარის ქედზე ხშირია პონტოური მემინდვრია, მრავალგანაა წყლის მემინდვრია. ზოგიერთ ადგილას გვხვდება სურამული, დაღესტნური, ბუჩქნარის, ამიერკავკასიური თოვლა და მცირეაზიური მთის მემინდვრია. ფართოდ არიას გავრცელებული ზღარბი, თხუნელა, კავკასიის ბიგა. რადეს ბიგა ბინადრობს ბაკურიანის მისადევრებსა და ლაგოდეხის რაიონში, ქუთაისის მახლობლად. მრავალგანაა კავკასიური კბილთეთრა. ლაგოდეხის რაიონში, გუდამაყრის ხეობასა და ანანურის მიდამოებში გვხვდება სპარსული კბილთეთრა, აბასთუმნის მიდამოებში — მცირე კბილთეთრა, მცხეთაში — მეჰელის ცხვირნალა. ზუგდიდსა და მის მიდამოებში ბინადრობს ყურგრძელი და მღამიობი, თბილისში, ზუგდიდსა და აჭარაში — ფრთაგრძელი ღამურა. ბორჯომის ხეობასა და აფხაზეთში — გიგანტური მეღამურა, ქუთაისში, ფოთსა და აჭარაში გავრცელებულია მცირე მეღამურა. თბილისიდან და ბორჯომის ხეობიდან ცნობილია მაჩქათელა.

ტყის ზონა საკმაოდ მდიდარია ფრინველით. ფართოდაა გავრცელებული კავკასიური როჭო (კავკასიური ენდემია და შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში"). ტყეების მეტად განსაზღვრულ უბნებსა და ქვედა სარტყელში (750 მ-მდე), მეტწილად კი ჭალის ტყეებსა და ბუჩქნარ-ბარდნარებში, ბინადრობს ჩვეულებრივი ანუ კოლხური ხოხობი. მრავალგანაა გვრიტი, ქედანი. ტყეებისა და ტბორების სანაპიროებზე ბინადრობენ მელოტა, წყლის ქათამი, ზოგან დასავლეთის ლიანა, მცირე ქათამურა, ჭაობიანსა და ნოტიო ადგილებში მიმოფრენისას გვხვდება პრანწია, შავულა, ჭაობის კოკორინა, ევროპული დიდი კრონშნეპი, ტყის ქათამი, ჩიბახუ, გოჭა და

სხვ.; წყალსატევების სანაპიროებში — ჩვეულებრივი და მდინარის თოლიები, ზოგ ადგილში ბინადრობენ ღორიხვები, მურტალები, წყალსატევებთან კი რუხი ბატი, გარეული იხვი, ევროპული ჟერო, ივეოსი (გვხვდება მიმოფრენისას). ერთეულების სახითაა იშვხვარი ანუ შავი ყარყატი. აქვე გვხვდება თეთრი ყარყატი, რუხი, თეთრი და ღამის ყანჩები, შავარდენი, გავაზი, კავკასიური ქორი, კავკასიური მიმინო, ჭაობის ბოლობეჭედა, ევროპული ძერა. მდინარეთა სანაპიროების მაღალ ხეებზე ბუდობს ფსოვი (გადაშენების გზაზე მდგომი სახეობაა), გორაკ-ბორცვიან ადგილებში ფასკუნჯი, ულრან ტყეებში — სვავი. აქა-იქ გვხვდება ჩია და დიდი მყივანი არწივები. მრავალგან ბინადრობენ კაკაჩა, ზარნაშო, ტყის ბუ, გუგული, ოქროსფერი კვირიონი, ალკუნი, ჩვეულებრივი მაქცია, ნამგალა, შავი, მწვანე და დიდი ჭრელი კოდალები, რუხი ყვავი, ჭილყვავი, კაჭკაჭი, ჩხიკვი, შოშია, მოლაღური, კულუმბური, ჩიტბატონა, სტვენია, კოჭობა, ნისკარტმარწუხა, ნიბლია, სახლის ბელურა, ბაღის გრატა, ტოროლა, ევროპული წყალწყალა, ბზეწვია, მთის მწყერჩიტა, წითელფრთიანი კლდეცოცია, მგლინავა, სინეგოგა, წიწკანა, წივწივა, რემეზი, რამდენიმე სახეობის ღაჟო, ყვითელთავა ნარჩიტა, კავკასიური ყარანა, რამდენიმე სახეობის მეჩალია, დიდი ბუტბუტა, ასპუჭაკა, ჩხართვი, შავი შაშვი, ჯიჯღი, ჩიჩხინაკი, კლდის შაშვი, მელორღია, ბულბული, გულწითელა, ჭვინტა, ჭინჭრაქა, სოფლისა და ქალაქის მერცხლები და სხვ.

ტყის ზონის ქვეწარმავლებს შორის საყურადღებოა კავკასიური ჯოჯო, გველხოკერა, ბოხმეჭა, ზოლებიანი, საშუალო, მარდი და მდელოს ხვლიკები, ზოგან კლდის ხვლიკიცაა, ბევრგანაა გველბრუცა, ჩვეულებრივი და წყლის ანკარა; მუცელყვითელა, წენგოსფერი, გრძელი ფერადი და ოთხზოლიანი მცურავები, მცირე არეალის მქონე სახეობები — კავკასიური და ცხვირრქოსანი გველგესლა და ხმელთაშუა ზღვის კუ შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში“. ამფიბიებიდან აღსანიშნავია ენდემური კავკასიური სალამანდრა, მცირეაზიური ტრიტონი და სხვ.

ბიოლოგიურ რესურსებში იგულისხმება ცოცხალი ბუნების მიერ წარმოქმნილი რესურსები — მცენარეულობა და ცხოველთა სამყარო. თავის მხრივ მცენარეული რესურსები ტყისა და ბალახეული მცენარეებისაგან შედგება.

ტყე საქართველოს ერთ-ერთი მთავარი ბუნებრივი სიმდიდრეა. მას ქვეყნის ტერიტორიის ოცდათვრამეტ პროცენტზე მეტი უკავია. საქართველოს

ტყეების 97% მთების ფერდობებზეა, რომელთა ნაწილი დიდი დახრილობით გამოირჩევა.

ამიტომ მათ უმთავრესად დამცავი (წყალდამცავი, ნიადაგდამცავი, საკურორტო) მნიშვნელობა აქვს. ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, განსაკუთრებით 1990-98 წ.წ., ტყეები გაიჩეხა, რამაც ასეულ-ათასობით ჰექტარი მიწა მეურნეობისათვის გამოუსადეგარი გახადა. ამჟამად ჩვენს ტყეებს დიდი საფრთხე ემუქრება.

საქართველოს ბალახეული მცენარეულობა ბუნებრივი საკვები ბაზაა მეცხოველეობისათვის. სუბალპური და ალპური მდელოების ბალახოვან საფარს იყენებენ ზაფხულში საძოვრად და თივის დასამზადებლად. ველის ბალახოვან მცენარეებს კი — ცხოველთა საკვებად უმთავრესად ზამთარში. ჩვენს ქვეყანაში სათიბ-საძოვრების საერთო ფართობი 1,8 მილიონი ჰექტარია, რომლის 3/4 საზაფხულო საძოვრებზე მოდის. საქართველოში საზამთრო საძოვრების ნაკლებობაა. საბჭოთა პერიოდში ზამთრობით ჩრდილოეთ კავკასიის საძოვრებს ვიყენებდით.

საქართველოს ფაუნისტური რესურსები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, მაგრამ მისი სარეწაო მნიშვნელობა რაოდენობრივი სიმცირის გამო, მეტად შეზღუდულია. დღეს ნაკრძალებში ბუნებრივად მრავლდება ირემი, შველი, ჯიხვი.

ერთგვარი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საქართველოს მტკნარი წყლისა და შავი ზღვის იქტიოფაუნას. თევზჭერის 90% შავი ზღვის სანაპირო წყლებზე მოდის. გარდა ამისა, თევზჭერა ხდებოდა: ფარავნის, ჯანდარის, საღამოს, ტაბაწყურის, პალიასტომის, ბაზალეთის ტბებსა და თბილისის, ხრამის, შაორის, სიონის ხელოვნურ წყალსატევებში, აგრეთვე მდინარეებში: მტკვარში, ხრამში, არაგვში, ალაზანში, რიონში, ენგურში, კოდორში, შავწყალში და სხვა.

3.10 გარემოს ეკოლოგიური ვითარება და დაცვის პრობლემები

საქართველოს რელიეფი, ზღვა, ჰავა, წყლები, ნიადაგი, მცენარეული საფარი, ცხოველთა სამყარო, წიაღისეულ სიმდიდრესთან ერთად შეადგენენ ბუნებრივ რესურსებს. მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ სახალხო მეურნეობისათვის. წყალუხვი და სწრაფი მდინარეები ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკის მთავარი წყაროა. ულევი და უცვლელი არაფერი არ არის, ამიტ-

ომ ბუნებას სათუთად უნდა მოვეპყრათ. იმას, რაც გვაქვს, გაფრთხილება, გონივრული, რაციონალური გამოყენება და დაცვა უნდა.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ განსაკუთრებით დასაცავია ბუნების შემდეგი ობიექტები: 1) წიალისეული, წყლის რესურსები – შავი ზღვა, ტბები, მდინარეები (მიწისქვეშა, თერმული, მინერალური წყლები), წყაროები, პარკები, დიდხნოვანი ხეები და სხვა იშვიათი მცენარეები; 2) მცენარეულობა და გარეულ ცხოველთა სამყარო, განსაკუთრებით გადაშენების პირას მყოფნი; 3) კულტურისა და არქიტექტურის ძეგლები; 4) შინაურ ცხოველთა და კულტურულ მცენარეთა ენდემური ჯიშები; 5) ბუნების ცალკეული კუთხეები, რომლებიც გამოირჩევიან იშვიათი სილამაზით და დიდი მნიშვნელობა აქვთ ჯანმრთელობის დაცვის საქმეში; 7) ნაკრძალები, ეროვნული პარკები თუ ბიოსფერული ნაკრძალები.

საქართველოში შექმნილია თექვსმეტი ნაკრძალი (საერთო ფართობი – 168734 ჰა). მუშავდება პროგრამები სხვადასხვა კუთხეებში (სვანეთი, თუშეთი და სხვ) ეროვნული პარკების თუ ბიოსფერული ნაკრძალების შექმნისა. ცოცხალი თუ არაორგანული ბუნების უმნიშვნელოვანესი ობიექტები, რომელთაც განსაკუთრებული დაცვა სჭირდება, წითელ წიგნშია შეტანილი. უნდა ხდებოდეს მათი მკაცრი დაცვა.

ჩვენი ბუნება განსაკუთრებულ საფრთხეშია. გაკაფული და განადგურებულია უამრავი ტყის მასივი, რამაც გამოიწვია მეწყრული მოვლენები, ღვარცოფები, დაშრა წყაროები. ხშირი იყო მადნეული თუ არამადნეული საბადოების გაუმართლებელი ექსპლუატაცია. ბევრი მათგანი ან მთლად გამოლეულია ან გამოლევის ზღვარზეა. თითქმის გადაშენების გზაზეა ისეთი გარეული ცხოველები, როგორიცაა ნიამორი, ჯიხვი, კავკასიური დათვი. მდინარეებში ნადგურდება თევზი (კალმახი, ორაგული). ბუნებას არ უყვარს უხეში ჩარევა. მასთან გონივრული და რაციონალური მიდგომაა საჭირო.

ეკოლოგია ჩვენი ყოფის თავისებურ სიმბოლოდ იქცა, იგი ცხოვრების ყველა სფეროში შეიჭრა და სახალხო მეურნეობის მრავალ დარგს დაუკავშირდა. შეიქმნა ლანდშაფტური, სამრეწველო, აგრარული, გლობალური, სოციალური ეკოლოგია. გარემოში მიმდინარე მოვლენებისადმი მიზეზშედეგობრივი მიდგომის პრინციპი დიდი ხანია დამკვიდრდა სპეციალისტ-ბუნებისმეტყველთა შორის. რაც შეეხება ფართო საზოგადოებას და განსაკუთრებით ახალგაზრდობას, ხშირ შემთხვევაში ისინი არასაკმარისად არიან გათვით-

ნობიერებული თანამედროვე ეკოლოგიის პრაქტიკულ საკითხებში.

ადამიანისა და ბიოსფეროს ურთიერთობა რთული და მრავალმხრივი პროცესია. გარემოზე ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი პროცესები შეუქცევად ხასიათს ღებულობს და ხშირად ტრაგიკული შედეგებიც მოსდევთ: მეცხოველეობის განვითარებას და გადამეტებულ ძოვებას საძოვრების დეგრადირება მოჰყვა, მიწათმოქმედებას — ნიადაგების გამოფიტვა, ირიგაციაზე გადასვლას — მიწების დამლაშება და ტერიტორიის დაჭაობება. ადამიანის საარსებო გარემო იცვლება იმითაც, რომ დღეს არსებული არასრულყოფილი ტექნოლოგიები არ იძლევა ნედლეულის უდანაკარგოდ გადამუშავების საშუალებას, ამიტომ სახალხო მეურნეობის ყველა სახის პროდუქციას, მოპოვებული ნედლეულის 10%-ზე ნაკლები ხმარდება, დანარჩენი კი გარემოში იფანტება და აბინძურებს მას.

ნავთობის მოპოვებისა და ტრანსპორტირებისას ჰიდროსფეროში უამრავი ნავთობი იღვრება, რის შედეგადაც ოკეანის აკვატორიის 1/5 ნავთობის აპკითაა დაფარული. ეს მნიშვნელოვნად აბრკოლებს ფოტოპლანქტონის ფოტოსინთეზურ აქტივობას და ზღვის მცენარეულობისა და ბინადართა ცხოველმოქმედებას. ჟანგბადის ძირითადი წყაროა ტყე და საერთოდ ხმელეთის მცენარეულობა. მათმა განადგურებამ ჟანგბადის რაოდენობის შემცირებაც გამოიწვია, განსაკუთრებით ინდუსტრიულ რაიონებში. ჟანგბადის შემცირების პარალელურად ატმოსფეროში მატულობს მავნე გაზების შემცველობა. ეს კი იწვევს ინფრაწითელი სხივების გადამეტებულ შთანთქმას, რაც ატმოსფეროს ტემპერატურის მომატების მიზეზია.

ეს მოვლენები საქართველოშიც აღინიშნება. ბინძურდება შავი ზღვა და შიდა წყლები, გროვდება წარმოების ნარჩენები, იჩეხება ტყეები, არასწორი ექსპლუატაციის შედეგად ნადგურდება სასარგებლო წიაღისეული, ენერგეტიკული რესურსები. ყოველივე ამან კი შესაძლოა სრულიად შეცვალოს ჩვენი გარემო და ის უდაბნოდ, გაუკაცრიელებულ ადგილად აქციოს.

საჭიროა ნათლად წარმოვიდგინოთ, რომ გარემოს მდგომარეობისა და ეკონომიკური განვითარების საკითხები ერთმანეთში მჭიდროდ არიას გადახლართული; ისინი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთიან პრობლემებს ქმნიან. დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა ბრძოლა ბუნების გადასარჩენად, იმ უნიკალური ლანდშაფტებისათვის, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს შენარჩუნებისათვის, რომელიც ასე ლამაზსა და მიმზიდველს ხდის ჩვენ ქვეყანას.

თავი IV. სასაზღვრო სივრცის მოსახლეობა - ქვეყნის საზღვრის დაცვის მნიშვნელოვანი ფაქტორი

ქართველები მიეკუთვნებიან იბერიულ-კავკასიურ ენობრივ ჯგუფს და 1979-85 წლებში შეადგენდნენ ქვეყნის მთელი მოსახლეობის ორ მესამედზე მეტს. დანარჩენ ეროვნებათაგან ყველაზე მრავალრიცხოვანი იყვნენ სომხები 9%, რუსები 7,4, აზერბაიჯანელები 5,1, ოსები 3,2, ბერძნები 1,9, აფხაზები 1,7%. აღსანიშნავია, რომ არაქართველი მოსახლეობა უფრო ქალაქად იყო თავმოყრილი, ვიდრე სოფლად. 1998 წლისათვის სომეხთა, აზერბაიჯანელთა და ოსთა რაოდენობამ იმატა.

მნიშვნელოვანია აგრეთვე მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება. საქართველო მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა. ყურადღებას იქცევს მოსახლეობის არათანაბარი განაწილება — მთიანი რაიონები ნაკლებადაა დასახლებული. მთაგორიანი რელიეფი, მცირე- მიწიანობა და მკაცრი ჰავა ნაკლებად ხელსაყრელია მეურნეობის განვითარებისათვის და მოსახლეობის დამკვიდრებისათვის. ურბანიზაციის პროცესმა ხელი შეუწყო მთის მოსახლეობის მიგრაციას ბარად, ხოლო საბჭოთა პერიოდში, მთავრობის მიერ გატარებულმა არასწორმა პოლიტიკამ, ხევსურების, რაჭველების და თრიალეთის ქედის ფერდობების მოსახლეობის ბარად ჩამოსახლებამ, მთაში სოფლები გააუკაცრიელა, ამას ბოლო წლებში დაერთო სტიქიური უბედურებებიც. დაცარიელდა სვანეთი, რაჭა, ხევსურეთი, თუშეთი. თუშები მხოლოდ ზაფხულობით ადიან და ისიც ყველა არა. ამრიგად, ბარის მოსახლეობა მეტად გაიზარდა, მთისა კი შემცირდა, რაც ქვეყნის ნორმალური განვითარებისთვის მიუღებელია.

საქართველოში 61 ქალაქი და 51 დაბაა. აქედან სამრეწველო პოტენციალის თვალსაზრისით სამი ქალაქია მნიშვნელოვანი — თბილისი, ქუთაისი და რუსთავი. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ ქალაქებში ცხოვრობს.

საქართველოს სასაზღვრო სივრცეში გვაქვს მოსახლეობის რაოდენობისა და დინამიკის სრულიად განსხვავებული სურათი. სომხეთის საზღვრისპირა რეგიონი ნინოწმინდის, დმანისის, ბოლნისის და მარნეულის რაიონებს მოიცავს. თუ ამ რაიონებში დავაკვირდებით მოსახლეობის დინამიკას წლების განმავლობაში, ნათლად დავინახავთ, რომ ეს საზღვრისპირა

რეგიონი გამოირჩევა მოსახლეობის აღწარმოების მაღალი დონით. ამ რაიონებში მოსახლეობის ზრდას ხელს უწყობდა არა მარტო მაღალი შობადობა, არამედ იმიგრაციაც, აგრეტვე რელიგიური ტრადიციები და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები. XVIII საუკუნიდან აქ სახლდებოდნენ ჯერ ბორჩალოელი თათრები, ხოლო XIX საუკუნის დასაწყისიდან სომხები. თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სომხები ინტენსიურად ესწრაფოდნენ საქართველოში დასახლებას. ყოველივე ამას რუსეთი განსაკუთრებით უწყობდა ხელს. 1916 წელს ყარსის რეგიონიდან აყრილი ასი ათასამდე სომეხი გადმოვიდა ახალქალაქისკენ. მათი ნაწილი ჯავახეთში დარჩა, ნაწილი კი სომხეთში გადავიდა. ესე გაგრძელდა შემდეგ პერიოდშიც. სომეხი მოსახლეობა სამხრეთიდან ნელ-ნელა ითვისებდა საზღვრისპირა ზოლის ქართულ ნასოფლარებსა და სახნავ-საძოვარ სავარგულებს. აღნიშნული დემოგრაფიული პროცესების შედეგად საზღვრისპირა ზოლის მოსახლეობის ეროვნული შედგენილობა მეტად ჭრელია. აქ სახლობენ აზერბაიჯანელები 60%-მდე, სომხები 17%-მდე, ბერძნები 7%, რუსები — 4,3%. ქართველები 7,7% (1989 წლის მონაცემები) პროფესორ ჯ.კეკელიას მონაცემებით, აქაური აზერბაიჯანელები თურქმენული წარმოშობისანი არიან.

აღნიშნულ სასაზღვრო სივრცეში სოფელთა ხალხმრავლობის მიხედვით წამყვანი ადგილი უკავია პატარა და საშუალო სიდიდის სოფლებს. მთლიანობაში ისინი კომპაქტური დასახლების უბანს ქმნიან და ყოველი სოფელი სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციით ერთმანეთისგან განსხვავდება.

საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი აზერბაიჯანის რესპუბლიკას ემიჯნება. აქ საზღვრის გასწვრივ 15 კმ სიგანეზე განლაგებულია 78 სოფელი და ერთი ქალაქის ტიპის დასახლება — ლაგოდეხი. ეროვნული შედგენილობის მიხედვით 40 სოფელში ჭარბობს ქართველი მოსახლეობა, 25 სოფელში — აზერბაიჯანელები, 8 სოფელში — ოსები, 3 სოფელში — სომხები, 2 სოფელში — რუსები. სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ წლების განმავლობაში შეიმჩნევა აზერბაიჯანელი მოსახლეობის ზრდა. აზერბაიჯანის საზღვართან განლაგებული სოფლები მიეკუთვნებიან გარდაბნის, საგარეჯოს, სიღნაღის, დედოფლისწყაროს და ლაგოდეხის რაიონებს.

საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის ქედს გასდევს.

საზღვრისპირა დასახლებები სამხრეთი ფერდის კალთებზეა შეფენილი. ისტორიულად აქ გამოიყოფა საქართველოს შემდეგი მხარეები: აფხაზეთი, სვანეთი, რაჭა, სამაჩაბლოს მთიანეთის ზოლი, ხევსურეთი, ხევი, თუშეთი. აფხაზეთში ძირითადი მოსახლეობა ქართველები და აფხაზებია. დანარჩენ რეგიონებში ძირითადად ქართველებია, არიან ოსებიც.

სვანეთის, რაჭის, ხევსურეთის, ხევისა და თუშეთის მოსახლეობა, როგორც სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, წლების განმავალობაში შემცირდა. გაძლიერდა მიგრაცია ბარად, რაც გამოწვეული იყო არა მარტო ურბანიზაციის პროცესის გაძლიერებით, არამედ მთავრობის არასწორი პოლიტიკითაც, რაც მოსახლეობის ბარად ორგანიზებულ, მასიურ გადმოსახლებაში გამოიხატა. ამ რეგიონებში იკლო შობადობამაც, მოხდა მოსახლეობის დაბერება, რადგან იმატა მოხუცებულებმა და მკვეთრად შემცირდა შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა. ახალგაზრდობა ბარად გადასახლდა. გახშირდა სიკვდილიანობა არა მარტო მოხუცებულებში, არამედ ბავშვებშიც. ხშირად ქალთა რაოდენობა ჭარბობს მამაკაცებისას. ახალგაზრდობა ეკონომიკური პირობების გამო თავს იკავებს ქორწინებაზე, დაქორწინებულნი ერთ შვილზე ჩერდებიან. საქართველოს სასაზღვრო სივრცეში მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურასა და პროფესიულ შედგენილობას თუ გადავხედავთ ირკვევა, რომ აქ ძირითადად სოფლის მეურნეობის მუშაკები სახლობენ. ძალიან მცირე რაოდენობით არის პატარა საწარმოები. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია შრომის რესურსებში მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადება.

მოსახლეობის ეროვნული შედგენილობის მიხედვით სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ სასაზღვრო ზონაში ჭარბობენ აზერბაიჯანელები და სომხები. სამხრეთ-დასავლეთ, აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ სასაზღვრო ზოლში — ქართველები.

სასაზღვრო სივრცეში მცირე რაოდენობით გვხვდება ქალაქის ტიპის დასახლებები. მოსახლეობის უმეტესობა კომპაქტურადაა დასახლებული სოფლებში. აქედან ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სასაზღვრო ზოლში სოფლები მოსახლეობის სიმცირით ხასიათდება. არც გაუკაცრიელებული სოფლებია იშვიათი.

მეტად მნიშვნელოვანია სასაზღვრო სივრცეში სასაზღვრო დასახლებების შექმნა. სასაზღვრო დასახლებანი და საზღვრისპირა სოფლები რთული ობიექტებია. არსებობს მათი შექმნის გარკვეული გამოცდილება,

როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ისე ყოფილ საბჭოთა კავშირში. სასაზღვრო დასახლებებისათვის უპირველესად საჭიროა შეირჩეს ისეთი ადგილები, სადაც მოსალოდნელია გამოჩნდეს საზღვრის დამრღვევი. მოსახლეობა აქ მრავალრიცხოვანი არ უნდა იყოს (10-20 კომლი), რათა ადვილად მოხდეს საზღვრის დამრღვევის შემჩნევა და მისი დაკავება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. სასაზღვრო დასახლებაში სამეურნეო საქმიანობის ფორმები შესაძლოა სხვადასხვა სახისა და მიმართულების იყოს. მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქტებით სასაზღვრო დასახლებების მცხოვრებნი უზრუნველყოფენ თავის თავს და ამარაგებენ სასაზღვრო კომენდატურებს, პუნქტებსა და საგუშაგოებს. დასახლებები სასაზღვრო ზონაში ასრულებენ კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციასაც.

თავი V. საქართველოს სასაზღვრო სივრცის მეურნეობის ძირითადი ნიშნები

5.1 სასაზღვრო სივრცის აგროპოლიტიკის ძირითადი თავისებურება

სასაზღვრო სივრცის აგრარული განვითარება ყოველთვის ექვემდებარებოდა ერთიან საბჭოურ პრინციპზე აგებულ აგრარულ პოლიტიკას, რომელშიც არ იყო გათვალისწინებული დამოუკიდებელი ქვეყნის საზღვრისპირა ტერიტორიებზე სპეციფიკური მოთხოვნები, რომელშიც აისახებოდა მეურნეობის გაძღოლის ახალი ფორმები და სპეციალიზაცია.

დამოუკიდებელ საქართველოში მიმდინარე საბაზრო-ეკონომიკურმა გარდაქმნებმა მკვეთრად შეცვალა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და რესურსების ფორმირების გზები. შესაბამისად აუცილებელი გახდა ახალი აგრარული პოლიტიკის შემუშავება. 1995 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს აგრარული განვითარების პოლიტიკის კონცეფცია.

ახალი კონცეფციის მიხედვით, საქართველოს სასაზღვრო სივრცეში უნდა გატარდეს მიწის რეფორმა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეორგანიზაცია და მიწის პრივატიზაცია.

სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზაციის პირველ ეტაპზე განსახელმწიფოებრიობას არ დაექვემდებარა და სახელმწიფო სექტორში რჩება 2113 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, მათ შორის აფხაზეთსა და სამაჩაბლოში 37,7 ათასი ჰექტარი, თითქმის ამდენივე სამხრეთ სასაზღვრო სივრცეში და სასაზღვრო ზონაში არსებული საზამთრო საძოვრების 45 ათასი ჰექტარი.

ამ კონცეფციაში მნიშვნელოვანია ნატურალური პროდუქციით თვითდაკმაყოფილებაზე ორიენტირებული ორგანიზაციები. მათ შორისაა საზღვრის დაცვის დეპარტამენტიც.

აგროპოლიტიკის კონცეფციის შესაბამისად სასაზღვრო სივრცეში პრიორიტეტულ სასოფლო-სამეურნეო მიმართულებად ითვლება მემინდვრეობა — მარცვლეული კულტურების უპირატესი განვითარებით, მეკარტოფილეობა, მეცხოველეობა და სტაციონარული მეღორეობის განვითარება ნარჩენების ბაზაზე, მეფუტკრეობის ინტენსიური განვითარება და მეფრინველეობა.

მიწის რესურსები და მიწათსარგებლობის პრობლემები

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის მიხედვით საქართველოს სასაზღვრო სივრცეში მოქცეულია სხვადასხვა ზონები და ქვეზონები.

ა) დასავლეთ საქართველოს მეცხოველეობის ზონა

1. ონის რაიონი: სახნავი მიწა – 1558 ჰა; სათიბი – 1802 ჰა; საძოვარი – 23203 ჰა.

2. მესტიის რაიონი: სახნავი მიწა – 945 ჰა; სათიბი – 8182 ჰა; საძოვარი – 86246 ჰა.

ბ) აღმოსავლეთ საქართველოს სამთო მეცხოველეობის ზონა

1. ლუშეთის რაიონი: სახნავი მიწა – 8032 ჰა; სათიბი – 7046 ჰა; საძოვარი – 124337 ჰა.

2. ყაზბეგის რაიონი: სახნავი მიწა არა აქვს; სათიბი – 2856 ჰა; საძოვარი – 41969 ჰა.

3. ახმეტის რაიონი-თუშეთში: სახნავი მიწა – 31 ჰა; სათიბი – 46447 ჰა; საძოვარი – 64769 ჰა.

4. პირიქითას ხეობაში: სახნავი მიწა – 13 ჰა; სათიბი 124 ჰა; საძოვარი – 100 ჰა;

გ) სამაჩაბლოს სამთო მეცხოველეობის ზონა

1. ახალგორის რაიონი: სახნავი მიწა - 3735 ჰა; სათიბი – 2016 ჰა; საძოვარი – 30985 ჰა.

2. ჯავის რაიონი: სახნავი მიწა 2231 ჰა; სათიბი – 11191 ჰა; საძოვარი – 44210 ჰა.

საქართველოს სამხრეთი სასაზღვრო სივრცე ქვემო ქართლით, მესხეთ-ჯავახეთით და აჭარით იფარგლება. ამ სივრცეში შემდეგი ზონები გამოიყოფა:

დ) ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობის საგარეუბნო ზონა

1. გარდაბნის რაიონი: სახნავი მიწა – 41477ჰა; სათიბი – 1706ჰა; საძოვარი – 30393ჰა.

2. მარნეულის რაიონი: სახნავი მიწა 27519 ჰა; სათიბი 1370 ჰა; საძოვარი - 29191 ჰა.

3. ბოლნისის რაიონი: სახნავი მიწა 15455 ჰა; სათიბი 1378 ჰა; საძოვარი - 9468 ჰა.

ე) ჯავახეთის ზეგნის მეცხოველეობისა და მეკარტოფილეობის ზონა

1. ნინოწმინდის რაიონი: სახნავი მიწა - 26825 ჰა; სათიბი - 7423 ჰა; საძოვარი-80701 ჰა.

2. ახალქალაქის რაიონი: სახნავი მიწა - 31189 ჰა; სათიბი - 4538 ჰა; საძოვარი-55586 ჰა.

ვ) სამცხე-ჯავახეთის მეცხოველეობისა და მეხილეობის ზონა

1. ახალციხის რაიონი: სახნავი მიწა - 8537 ჰა; სათიბი - 6221 ჰა; საძოვარი - 30488 ჰა.

ზ) ზემო აჭარის სამთო მეცხოველეობისა და მეთამბაქოეობის ზონა

1. შუახევის რაიონი: სახნავი მიწა - 1767 ჰა; სათიბი - 2143 ჰა; საძოვარი - 10523 ჰა.

2. ხულოს რაიონი: სახნავი მიწა - 2255 ჰა; სათიბი - 4897 ჰა; საძოვარი - 17225 ჰა.

აღნიშნულ ზონებში, მთიან რაიონებში არის პატარა, ბარში კი საშუალო და მოზრდილი სასოფლო დასახლებები. მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჰიფსომეტრიული სიმაღლე ზღვის დონიდან. დაბალ ზონებში მისდევენ მარცვლეული კულტურების მოყვანას, მევენახეობას, მებაღეობას, მეთამბაქოეობას, მებოსტნეობას. საშუალო ზონაში და მაღალმთიანეთში ჭარბობს მესაქონლეობა, მეკარტოფილეობა, მეხილეობა. ჰიფსომეტრიულად ყველაზე მაღალ ზონებში ძირითადათ მესაქონლეობა და მეკარტოფილეობაა.

ნათესი ფართობებიდან უდიდესი ხვედრითი წილი მარცვლეულ და საკვებ კულტურებზე მოდის. ამ ფართობების რამდენადმე შემცირება ძირითადად გამოწვეული იყო მრავალწლიანი ნარგავების ფართობის გაზრდით. მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია სწორი თესლბრუნვის შემოღება და დანერგვა. საქართველოში მარცვლეულის ნათესების მთელი ფართობის 40,2%-ი სიმინდს უკავია, 36,8% კი საშემოდგომო ხორბალს. თავთავიანთა ნათესები, უფრო მეტად აღმოსავლეთ საქართველოშია, სიმინდისა კი მეტ-ნაკლებად ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. საქართველოში ფართოდაა გავრცელებული საგაზაფხულო და საშემოდგომო ხორბლის უხვმოსავლიანი ჯიშები. მარცვლეულის მოსავლიანობის ზრდა დაკავშირებულია მიწათმოქმედებ-

ის კულტურის ამაღლების ღონისძიებათა სისტემის შემუშავებასთან, რაც მოიცავს მექანიზაციის, მელიორაციისა და ქიმიზაციის ფართოდ გამოყენებას, ნიადაგის დამუშავების სწორი სისტემის შემოღებასა და თესლბრუნვის დანერგვას.

სამარცვლე-პარკოსანი კულტურებიდან გავრცელებულია: სოია, ლობიო, ბარდა, ცერცველა, მუხუდო და სხვა, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავენ მცენარეულ ცილებს.

მეთამბაქოეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ტრადიციული დარგია. თამბაქო ჩვენში XVII საუკუნის დასასრულს გავრცელდა. ქართული თამბაქო ცნობილია მაღალი ხარისხით. იგი საკმაოდ შრომატევადი კულტურაა. მოჰყავთ აფხაზეთში, აჭარაში, ქვემო ქართლსა და კახეთში.

აღმოსავლეთ საქართველოს სასაზღვრო სივრცის მემინდვრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მზესუმზირას. მისი მოსავლიანობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თესლბრუნვაში კარგი წინამორბედის შერჩევას (საშემოდგომო ხორბალი და სამარცვლე პარკოსნები). ეთერზეთოვანი კულტურები გავრცელებულია შავიზღვისპირა რაიონებში, ქვემო ქართლსა და შიგა კახეთში. აღსანიშნავია გერანი, რეჰანი, მსხვილყვავილა ჟასმინი, ყაზანლიყის ვარდი, ვეტივერია და სხვ.

მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფაში დიდ როლს ასრულებს მეკარტოფილეობა და მებოსტნეობა.

მეკარტოფილეობა ძირითადად განვითარებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიან ზონაში, სამხრეთ საქართველოში კი ჯავახეთსა და მესხეთში. კარტოფილის კარგ მოსავალს ღებულობენ სვანეთისა და რაჭის რეგიონებშიც.

ბოსტნეული კულტურები სასაზღვრო სივრცის ბარის ყველა რაიონშია გავრცელებული. ახალი ბოსტნეულით მოსახლეობის უწყვეტი მომარაგების მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს მებოსტნეობის განვითარებას დახურულ გრუნტზე. საგარეუბნო ზონაში (გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი) მოჰყავთ ქვეყანაში წარმოებული ბოსტნეულის მნიშვნელოვანი ნაწილი, დიდი რაოდენობით ხახვი, კომბოსტო, სტაფილო, მწვანილეული. აქ შინაური ცხოველების საკვები კულტურებიცაა გავრცელებული. ითესება უმთავრესად სასილოსე კულტურები, ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ბალახები.

მევენახეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი და მაპროფილებელი დარგია. მას ხანგრძლივი ისტორია აქვს. საქართველო ვაზის

კულტურის გავრცელების ერთ-ერთ კერად ითვლება. ჩვენში არსებობს მისი ხუთასამდე ჯიში. მათი უმრავლესობა ადგილობრივაა გამოყვანილი.

ვაზს საქართველოს ბევრ მხარეში აშენებენ, სასაზღვრო სივრცეში მევენახეობის ყველაზე ცნობილი რაიონებია: ყვარლის, ახმეტის, დედოფლისწყაროს და ლაგოდეხის. მნიშვნელოვანია აგრეთვე მარნეულის რაიონი.

მეხილეობას ძირითადად მისდევენ ზნაურის, ახალციხის, ასპინძის, ადიგენის რაიონებში.

სუბტროპიკული მეურნეობა მოიცავს: მეჩაიეობას, მეციტრუსეობას, დაფნის, ტუნგოს, ბამბუკის კულტურების მოყვანას და სუბტროპიკულ მეხილეობას (ლელვი, ბროწეული, ხურმა და სხვ.)

მეცხოველეობა. მეცხოველეობის ძირითადი დარგებია: მსხვილფეხა რქოსანი სახორცული და მერძეული პირუტყვის, მოშენება. მეცხვარეობა, მელორეობა, მეფრინველეობა, აგრეთვე მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა. წამყვან დარგად მეძროხეობა ანუ მსხვილფეხა მესაქონლეობა ითვლება, ძირითადად სარძეო-სახორცე. მეცხვარეობა საქართველოში მეცხოველეობის მნიშვნელოვანი დარგია. გავრცელებულია უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში, ის სამატყლე-მხორცული-მერძეული მიმართულებისაა. ხორცის წარმოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მელორეობაც.

ბოლო წლებში დიდი ყურადღება ექცევა მეფრინველეობის ინდუსტრიულ საწყისებზე გადაყვანას, აშენდა მეფრინველეობის ფაბრიკები.

საქართველოს სასაზღვრო სივრცის ბარის რაიონებში განვითარებულია მეაბრეშუმეობა.

მეფუტკრეობას მისდევენ სასაზღვრო სივრცის თითქმის ყველა უბანში.

სასოფლო სამეურნეო დარგის განვითარებისთვის აუცილებელია ტექნიკით უზრუნველყოფისა და მოვლის ახალი სისტემის შექმნა. სასაზღვრო უბნებში არ არსებობს მექანიზაციის საშუალებათა ადგილობრივი წარმოება, თუ არ ჩავთვლით ქუთაისის მცირე გაბარიტიანი ტრაქტორებისა და მოტობლოკების ქარხანას.

5.2. მრეწველობა. მისი როლი სასაზღვრო სივრცის მეურნეობაში

მრეწველობის როლი სასაზღვრო სივრცის მეურნეობრივი განვი-

თარების საქმეში მნიშვნელოვანია, რამეთუ იგი შრომითი რესურსების ადგილზე დამაგრების მტკიცე საფუძველს ქმნის და სასაზღვრო ძალების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს.

მთელს სივრცეში წარმოდგენილია მრეწველობის დარგთა გარკვეული სტრუქტურა. რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია სათბობ-ენერგეტიკული მრეწველობა. მის გარეშე წარმოუდგენელია სასაზღვრო სივრცის განვითარება. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ქვანახშირის მოპოვება ტყვარჩელში, რომლის ნედლეულის გამდიდრების შედეგად მიღებული მეორადი პროდუქტი გამოიყენება ტყვარჩელის თბოელექტროსადგურში. შავი ზღვისპირას (სუფსა), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს სასაზღვრო სივრცეში მნიშვნელოვან სათბობ-ენერგეტიკულ ბაზას ქმნის ბაიდა-ჩათმას ნავთობის საბადო.

საყურადღებოა ასევე ჰიდროენერგეტიკული მეურნეობა. მას ფართო მომხმარებელი ჰყავს ინფრასტრუქტურის დარგში, აქ დიდი წილი ენგურჰესსზე მოდის. მნიშვნელოვან ენერგოწყაროს წარმოადგენს ასევე აჭარისწყალზე აშენებული ჰიდროელექტროსადგური.

მრეწველობის მნიშვნელოვან დარგს მიეკუთვნება ლითონის წარმოებაც. საოჯახო, სამეურნეო და საბრძოლო დანიშნულების რკინის ნაწარმი უძველესი დროიდან მზადდებოდა კუსტარული წესით. XX საუკუნის 20-იან წლებში, სამხრეთ სასაზღვრო სივრცეში, მდ. ფოლადაურის ხეობაში, ჯერ კიდევ მოქმედებდა 1862 წელს აგებული, პრიმიტიული ტექნოლოგიით გამართული ჩათახის მეტალურგიული საწარმო, მაგრამ იგი აღარ პასუხობდა დროის მოთხოვნებს და გაუქმდა.

ფერად მეტალურგიას XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მისდევდნენ სასაზღვრო სივრცის სამხრეთ ნაწილში. ლითონებს ადნობდნენ მეფე ერეკლეს მიერ მოწვეული ბერძენი სპეციალისისტები. თანამედროვე ფერადი მეტალურგიის პირველი საწარმო ამოქმედდა 1949 წ. კვაისას ტყვია – თუთიის საბადოს ბაზაზე სამაჩაბლოში. სასაზღვრო სივრცეში ყველაზე მდიდარია მადნეულის საბადო, რომელიც სპილენძის და ტყვია-თუთიის გარდა, შეიცავს სამრეწველო მნიშვნელობის ძვირფას ლითონებს. ამ საბადოს ბაზაზე 1974 წლის ბოლოს ამოქმედდა სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი.

განვითარდა სამთო-ქიმიური მრეწველობა. ქიმიური მრეწველობა არც

ისე ფართოდაა წარმოდგენილი. მშენებლობის გაშლასთან დაკავშირებით რამდენიმე ადგილას, კერძოდ, ბათუმსა და ფოთში, შეიქმნა საღებავების წარმოება. ბათუმში მოქმედებს ფარმაცევტული ქარხანა, რომელიც ნედლეულად იყენებს ჩაის ფაბრიკებში მიღებულ კოფეინის შემცველ ნარჩენებს.

მანქანათმშენებლობიდან აღსანიშნავია ფოთსა და ბათუმში მოქმედი საწარმოები. ფოთში გემთმშენებელ-გემთშემკეთებელ ქარხანაში ამზადებენ მცირე წყალწყვის წყალქვეშაფრთიანი ჩქაროსნული „კომეტას“ ტიპის სამგზავრო გემებს. მათზე დიდი მოთხოვნაა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ბათუმში ამზადებენ კატარღებსაც.

ამჟამად ქ. ფოთში მუშაობს მცირე სიმძლავრის ელექტროტექნიკური ქარხანა, რომელიც ამზადებს სხვადასხვა სიმძლავრის ელექტროძრავებს, ჩამრთველებს, ავტომატიზაციის საშუალებებს.

ჩაის ფაბრიკებისა და ღვინის ქარხნების მანქანა-დანადგარებით უზრუნველყოფის მიზნით ბათუმში შექმნილია მანქანათმშენებელი ქარხანა.

საქალაქო და სასოფლო მშენებლობის განვითარებამ განაპირობა საშენი მასალების წარმოება, რითაც მდიდარია სასაზღვრო სივრცე. ასეთ საბადოებში ხდება კირქვების, მარმარილოს, თიხების, ქვიშის, ინერტული მასალების (ხრეში, ღორღი) და ზოგი სხვა მასალის მოპოვება. ბაზალტისა და ტუფის ფილებს ამზადებენ ქვემო ქართლის რამდენიმე პუნქტში. მსუბუქი შემავსებელი მასალის (ვულკანური წიდის) მოპოვება წარმოებს ახალქალაქის მახლობლად.

სასაზღვრო სივრცეში ტყეების ექსპლუატაცია და ხის კუსტარული წესით დამუშავება უძველეს დროიდან მომდინარეობს. უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე მოსახლეობის სწრაფმა მატებამ ბევრად დააჩქარა ტყეების გაჩეხვა, რის შედეგადაც შემცირდა ტყის ფართობები. ავეჯის ფაბრიკა და ხის დამამუშავებელი მხვილი საწარმო მოქმედებს ბათუმში, სოხუმში. წვრილი სახელოსნოები ფუნქციონირებს ბევრ დაბასა და სოფელში. ისინი მეტ შემთხვევაში ადგილობრივი მრეწველობის სისტემას ეკუთვნიან.

მსუბუქი მრეწველობის დარგები წარსულში შინამრეწველობისა და ხელოსნობის სახით იყო გავრცელებული და ადგილობრივი ნედლეულის ბაზას ემყარებოდა. ხდებოდა ტყავის დამუშავება, წუღების, ქსოვილებისა და ფართო მოხმარების საგნების დამზადება. მეწარმეობის ზოგი სახე სამრეწველო წარმოებაში მაპროფილებელ როლს ასრულებდა, მაგალითად,

ხალიჩების ქსოვა და სხვ. კუსტარული საფეიქრო ნაწარმით ადგილობრივი მოსახლეობა იკმაყოფილებდა საკუთარ მოთხოვნებს. სამხრეთ სასაზღვრო სივრცეში და ლაგოდეხისა და ყვარლის მიმდებარე ტერიტორიებზე ფართოდ აწარმოებდნენ ნატურალური აბრეშუმის ნედლეულს. მთიან რაიონებში დიდი რაოდენობით მზადდებოდა მატყლი. შესაბამისად ადგილობრივი შალეულის ნაწარმზე მოთხოვნილება და მოხმარება დიდი იყო.

სასაზღვრო სივრცეში მსუბუქი მრეწველობის მნიშვნელოვანი ქვედარგია ტყავის დამზადება, რისთვისაც მტკიცე სანედლეულო გარანტი სამთო მესაქონლეობაა. ქარხნული წესით ტყავის დამუშავებასა და ფეხსაცმლის წარმოებაში გარკვეული ადგილი უკავია სოხუმისა და ბათუმის საწარმოებს.

საგალანტერიო პროდუქციის წარმოება აქ არ გამოირჩევა საწარმოო სიმძლავრით. სასაზღვრო სივრცეში იგი შექმნილია საშუალო და პატარა ქალაქებში – მესტიაში, ყაზბეგში, ყვარელში, ლაგოდეხში, მადნეულში. ისინი ამზადებენ პროდუქციას მეტწილად ხისაგან, ტყავისაგან, შალის ქსოვილებისაგან და სხვა. ბევრ საგალანტერიო ნაწარმს ქმნიან ადგილობრივ ტრადიციულ სტილში.

კვების მრეწველობის განვითარება ყველაზე მეტად დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან. არსებითად იგი წარმოადგენს მის გაგრძელებას, ამიტომ ხშირად მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურაში მას აერთიანებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან და ორივე დარგი განიხილება როგორც ერთიანი აგროსამრეწველო კომპლექსი. ეს გარემოება განაპირობებს კვების მრწეველობის დამოკიდებულებას ბუნებრივ რესურსებთან. კვების მრეწველობის საწარმოთა განლაგებისათვის დამახასიათებელია ერთგვარი თავისებურება. ის საწარმოები, რომლებიც ადგილობრივ სანედლეულო ბაზას ემყარებიან, ორიენტირებული არიან სოფლის მეურნეობის შესაბამისი დარგის განლაგებაზე, რადგან ყოველმხრივ გამართლებულია ნედლეულის ადგილზე გადამუშავება. კერძოდ, ეს ეხება ჩაისა და ყურძნის პირველად გადამუშავებას. სასაზღვრო სივრცეში (შავი ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე) 20-იან წლებიდან ბევრი ჩაის ფაბრიკა ამოქმედდა.

მეღვინეობა კვების მრეწველობის უძველესი დარგია. შესაბამისად კახეთის სასაზღვრო სივრცეში შექმნილია ღვინის პირველადი გადამუშავების მსხვილი ქარხნები.

20-იან წლებში საქართველოს საზღვრისპირა რაიონებში ფეხი მოიკიდა საკონსერვო მრეწველობამ. საკონსერვო ქარხნებია ბათუმში, სოხუმში, ზუგდიდში, ლაგოდეხსა და სხვა დაბებში. ამ ქარხნებში დამზადებული პროდუქციის უმეტესი ნაწილი მოდის ხილის კონსერვებზე (კომპოტი, ხილის წვენი, მურაბა, ხილფაფა, ჯემი), მცირე ნაწილი — ბოსტნეულის კონსერვებზე. მათი გარკვეული რაოდენობა ქვეყნის ფარგლებს გარეთაც გადის.

XIX საუკუნიდან სასაზღვრო სივრცეში (აფხაზეთის, აჭარის და ყვარელ-ლაგოდეხის მიდამოებში) განვითარებულია თამბაქოს ნედლეულის პირველადი გადამუშავება. სიგარეტს ამზადებენ სოხუმის, ბათუმის თამბაქოს ფაბრიკები.

მნიშვნელოვანია ხორცისა და რძის წარმოება. მცირე საწარმოებია გახსნილი ყვარელში, ლაგოდეხში, ყაზბეგში, მესტიაში, თუშეთში, ჯავახეთსა და ქვემო ქართლში.

სასაზღვრო სივრცის მრეწველობის ამ მოკლე დახასიათების საფუძველზე შეიძლება გამოტანილი იქნეს შემდეგი დასკვნა: აქ არსებული სამრეწველო დარგები მნიშვნელოვან წინაპირობას ქმნიან სასაზღვრო სტრუქტურის სოციალურ-ეკონომიკური პირობების შემდგომი ორგანიზაციისა და განვითარებისათვის.

5.3. ტრანსპორტის როლი სასაზღვრო სივრცის მეურნეობაში

საქართველოს სატრანსპორტო სისტემა ყალიბდებოდა რელიეფისა და ჰავის, ჰიდროგრაფიული ქსელის თავისებურებათა შესაბამისად, აგრეთვე მოსახლეობის სიმჭიდროვის, მისი მოძრაობის ინტენსივობისა და განსახლების ტიპების მიხედვით.

ჩვენი ქვეყნის ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა შემდეგი ძირითადი ნიშნებით განისაზღვრება:

1. საქართველო მდებარეობს რუსეთის, თურქეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებს შორის;

2. ქვეყნის ტერიტორიაზე თავმოყრილია სახმელეთო კომუნიკაციები, რომლებიც აკავშირებენ შავ და კასპიის ზღვებს.

3. საქართველოს მომიჯნავე მდებარეობა რუსეთთან, თურქეთთან და სიახლოვე აზიის სხვა სახელმწიფოებთან, ხელსაყრელ პირობებს ქმნის ამ

ქვეყნებთან სატრანსპორტო-ეკონომიკური კავშირებისათვის.

სასაზღვრო სივრცე ისეთი ეკონომიკური რაიონია, სადაც ტრანსპორტის ყველა ძირითადი სახე არ არის წარმოდგენილი.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ამიერკავკასიაში ჩვენი სამრეწველო ცენტრების — თბილისის, რუსთავის, გორის, ხაშურის ცენტრალური მდგომარეობა, რაც მათ ოპტიმალური პუნქტების მნიშვნელობას ანიჭებს მსხვილ ეკონომიკურ რაიონში სამრეწველო პროდუქციის გასანაწილებლად.

ძირითადი სატრანსპორტო ქსელი თავმოყრილია უმთავრესად ტერიტორიის ცენტრალურ, მთათაშორის დადაბლებებში, მეურნეობრივად ათვისებულ და დასახლებულ ნაწილში. მთავარ გზებს განედური მიმართულება აქვს. კავკასიონის მთავარი ქედიდან და სამხრეთ მთიანეთიდან მათ უერთდება შიგასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები, რომლებიც ამ მთიანი რეგიონების ცენტრალურ გზებთან დამაკავშირებელია.

საქართველოს სასაზღვრო სივრცეში ძირითადად საავტომობილო მიმოსვლაა. ცენტრალური ქალაქებიდან სასაზღვრო სივრცეში მდებარე რაიონების ცენტრებამდე მოძრაობა ხდება შავი საფარით დაფარული გზით. ხშირად ამ გზებზე მოძრაობა ფერხდება სტიქიური მოვლენებისა თუ დიდთოვლობის გამო. ასეთი საავტომობილო გზებია: ზუგდიდი-მესტია, ქუთაისი-ლენტეხი, ქუთაისი-ამბროლაური, ზესტაფონი-ონი, თბილისი-ყაზბეგი, თბილისი-ბარისახო-შატილი, ფშაველი-ომალო. სასაზღვრო სივრცის შიგა გზები ადგილობრივი მნიშვნელობისაა და ის მხოლოდ მოხრეშილია.

საქართველოს როგორც ჩრდილოეთი, ისე სამხრეთი სახელმწიფო საზღვარი, მაღალმთიან რეგიონებზე გადის. აქ სახელმწიფო ტერიტორიის განსაზღვრელ ხაზამდე მიმოსვლა მხოლოდ ბილიკებითაა შესაძლებელი.

რკინიგზის ტრანსპორტი

აღმოსავლეთ საქართველოში რკინიგზა თბილისის განყოფილებას, ხოლო დასავლეთ საქართველოში სამტრედიის განყოფილებას მიეკუთვნება. რკინიგზის საექსპლუატაციო სიგრძეა 1521 კმ. იგი ფართოლიანდაგიანია, გარდა ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზის ხაზისა (სიგრძე 38 კმ.). 1969 წლიდან საქართველოს რკინიგზები მთლიანად ელექტროფიცირებულია.

სატრანსპორტო მეურნეობის მნიშვნელოვანი ელემენტებია რკინიგზის სადგურები, რომლებიც ჩატვირთვა-ვადმოტვირთვის ძირითადი ცენტრებია. ზოგი მათგანი მხოლოდ სატვირთო ოპერაციებს ასრულებს, ზოგი

მგზავრების გადაყვანას ემსახურება, ბევრი კი — ორივე ფუნქციას. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საკვანძო სადგურებს. ისინი მთავარი ხაზებისა და მათ განშტოებათა შესაყარზე მდებარეობენ. ასეთი სადგურებია: თბილისი, ხაშური, სამტრედია, გორი, ცხაკაია, ზესტაფონი, ოჩამჩირე და სხვა.

სასაზღვრო სივრცეში არ არსებობს რაიონი, რომელიც რკინიგზიდან 100-120 კილომეტრზე მეტი მანძილით იყოს დაშორებული. ყოველივე ეს ტერიტორიის საკმაოდ კარგი სარკინიგზო მომსახურების მაჩვენებელია.

საავტომობილო ტრანსპორტი

გარდა სამხედრო გზისა, რომელიც კავკასიონის მთავარი ქედის ჯვრის უღელტეხილზე გადის და თბილისი-სოხუმი-ნოვოროსიისკის მთავარი მაგისტრალისა, რომლებიც საქართველოს რუსეთთან აკავშირებენ, გზატკეცილები გაყვანილია სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებითაც:

თბილისი-თელავი-ყვარელი-გავაზი; თბილისი-კაჭრეთი-ბაკურციხე-სიღნაღი-ლაგოდეხი-ზაქათალა-ნუხა; თბილისი-ლენინაკანი; სურამი-ბორჯომი-ახალციხე; ბორჯომი-ბათუმი; თბილისი-მანგლისი-ხრამი; ბორჯომი-ახალქალაქი; ახალციხე-ახალქალაქი-არდაგანი-ართვინი-ბოხჩა-ბათუმი; ქუთაისი-ბაღდადი-ბენარა-ახალციხე; ქუთაისი-ხონი-ორპირ-ოზურგეთი-ბათუმი; ქუთაისი-ონი-შოვი; ორპირი-სენაკი-ზუგდიდი-სოხუმი-სოჭი-ნოვოროსიისკი; ზუგდიდი-მესტია; ქუთაისი-ლენტეხი; სოხუმი-აჯარა-გენცვიში; ზუგდიდი-ანაკლია-სენაკი-ნოქალაქევი; ფოთი-სუფსა; ოზურგეთი-ნატანები და სხვა.

ტექნიკური მაჩვენებლების მხრივ საქართველოს გზები II-III კატეგორიას განეკუთვნება (სახელმწიფო მნიშვნელობის გზები), ადგილობრივი მნიშვნელობისა — მეხუთე კატეგორიას. საავტომობილო გზების საერთო სიგრძე 22 ათასი კილომეტრია.

ურბანიზაციის პროცესთან დაკავშირებით მკვეთრად იზრდება საქალაქო და საგარეუბნო საავტომობილო მოძრაობა. ქალაქებში ავტობუსების მიმოსვლა, აგრეთვე კერძო მსუბუქი ავტომანქანების რაოდენობის მკვეთრი გადიდება, რაც ბოლო პერიოდში განსაკუთრებით საგრძნობია, ზრდის საგზაო მაგისტრალების გაუმჯობესებისა და ახალი გზების გაყვანის მოთხოვნას.

სასაზღვრო სივრცეში ძირითადი მნიშვნელობა ტრანსპორტს, საგზაო მაგისტრალებსა და კავშირგაბმულობის ობიექტებს ენიჭება. აქ მოძრაობა

უპირატესად საავტომობილო ტრანსპორტით ხდება, ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მაგისტრალურ, ისე შიგა რაიონული გზების მოწესრიგებას და მოვლა-პატრონობას.

საჰაერო ტრანსპორტი უზრუნველყოფს სწრაფ კავშირს ქვეყნის სამრეწველო და კულტურულ ცენტრებთან, ქალაქებთან, მნიშვნელოვან კურორტებთან, შორეულ მთიან რაიონებთან და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, უცხო ქვეყნებთან.

სპეცდანიშნულების საჰაერო ტრანსპორტი ემსახურებოდა გეოლოგიურ პარტიებს, გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და სოფლის მეურნეობის საჭიროებებს.

დიდი ყურადღება ეთმობოდა ადგილობრივ სამგზავრო გადაზიდვას, რასაც ემსახურებოდა როგორც თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ისე ადგილობრივი აეროპორტები — ფოთის, თელავის, ახალქალაქის, ლაგოდეხის, მესტიის, ამბროლაურის, ჩიხარეშის, ცაგერის, ზუგდიდის და სხვა.

ამჟამად საქართველოს სასაზღვრო სივრცის მაღალმთიან ადგილებში მიმოსვლა ძირითადად ხდება ვერტმფრენების საშუალებით.

საზღვაო ტრანსპორტი

საქართველოში საზღვაო ნაოსნობას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ მან განსაკუთრებით ინტენსიურად დაიწყო განვითარება 1967 წლიდან, როდესაც შეიქმნა საზღვაო სანაოსნო.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს შემადგენლობაშია სატრანსპორტო ფლოტი, ბათუმის, ფოთისა და სოხუმის საზღვაო ნავსადგურები, გაგრის, ბიჭვინთის, ახალი ათონის, ოჩამჩირის სანავსადგურო პუნქტები და ფლოტის მომსახურე საწარმოები. საზღვაო ფლოტის ტვირთგადაზიდვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს, მთელი ამიერკავკასიისა და სხვა რეგიონების ეკონომიკასთან დაკავშირებულ საგარეო-სავაჭრო გადაზიდვათა უზრუნველყოფაში. ტვირთგადაზიდვისა და სამგზავრო თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ფოთისა და ბათუმის ბორნები. არსებითია საზღვაო სამხედრო კატარღები და ხომალდები, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიული წყლების დაცვას ემსახურებიან.

აღსანიშნავია ბათუმისა და ფოთის ნავსადგურთა როლი როგორც ქვეყნის ეკონომიკაში, ისე საზღვაო აკვატორიის დაცვის საქმეში.

კიდული საბაგირო გზები

კიდული საბაგირო გზები 1970 წლიდან საკმაოდ გავრცელდა. ისინი ტრანსპორტის სხვა სახეობებზე უფრო ეფექტურია მთისა და მთისწინა რაიონებში. საქართველოში არის 38 სატვირთო, 30 სამგზავრო ბაგირგზა. პირველი ბაგირგზა მოეწყო ზესტაფონში, შემდეგ 17 გაკეთდა ჭიათურაში, 4 თბილისში და თითო-თითო რუსთავში, ქუთაისში, ტყვარჩელში, ჩორდში, აბასთუმანში, გუდაურში, გაგრაში, ბორჯომსა და სოხუმში. სატვირთო ბაგირგზაა ცანაში. საქართველოში სატვირთო-საბაგირო გზების განვითარების დიდი პერსპექტივაა.

მილსადენი ტრანსპორტი

ტრანსპორტის ამ სახეობიდან საქართველოში არის ნავთობსადენები და გაზსადენები. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გადის ბაქო-ბათუმის ნავთობსადენი. გაზსადენი წარმოდგენილია ორჯონიკიძე-თბილისის ხაზით, საქართველოზე გადის გაზსადენი სომხეთისათვისაც, გაზსადენი გაყვანილია აგრეთვე დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოს ბევრ ქალაქებამდე და რაიონებამდე.

საქართველოს სასაზღვრო სივრცის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში მნიშვნელოვანია ბაქო-სუფსისა და ბაქო-ჯეიჰანის (მშენებარე) ნავთობსადენები.

5.4. კავშირგაბმულობა

თბილისში პირველი სატელეფონო ქსელი 1893 წელს ამუშავდა. სულ იყო 120 აბონენტი. საფოსტო კავშირთან ერთად განვითარდა საქალაქთაშორისო, საქალაქო, სასოფლო, ფოტოსატელეგრაფო, რადიოსატრანსლაციო კავშირი, რადიოკავშირი და რადიომაუწყებლობა, შავთეთრი და ფერადი ტელევიზია.

ყველაზე მასობრივია ფოსტამტები. მუშაობს თბილისის რკინიგზის სადგურთან არსებული ფოსტამტი. საფოსტო გზავნილებათა გადასატანად გამოიყენება როგორც საავტომობილო ტრანსპორტი, ისე საჰაერო და სარკინიგზო ტრანსპორტი.

ელექტროკავშირის ყველა სახის მეშვეობით ინფორმაციის გადაცე-

მაში ფართოდ დაინერგა ავტომატიზაცია. სატელეფონო კავშირების ავტომატიზაცია ხდება სხვადასხვა (ფიჭური, დეკადურ-ბიჯური, კოორდინატული და სხვ.) ავტომატური სატელეფონო სადგურების მეშვეობით. ამოქმედდა საკაბელო ტელევიზია.

5.5 საკურორტო მეურნეობა და ტურიზმი

საკურორტო მეურნეობა და ტურიზმი სასაზღვრო სივრცის მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგად შეიძლება მივიჩნიოთ. აქ საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი ბუნებრივი გარემოა, სადაც გვხვდება სხვადასხვა ტიპის მთის ლანშაფტები. დიდი პერსპექტივები აქვს შავი ზღვის სანაპირო ზოლსაც.

საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია აგრეთვე მრავალფეროვანი სამკურნალო-საკურორტო და რეკრეაციული რესურსების კონცენტრაციის მაღალი ხარისხი. ქვეყნის ტერიტორიაზე შესწავლილია ორი ათასამდე მინერალური წყარო.

საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი საკურორტო ფაქტორია ჰავა. მთისა და ზღვის შერწყმული ჰავა საუკეთესო კლიმატურ პირობებს ქმნის მრავალი დაავადების სამკურნალოდ. მნიშვნელოვანი ბუნებრივი საკურორტო-რეკრეაციული რესურსია მდიდარი მცენარეულობა (მათ შორის წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები). სასაზღვრო სივრცე ბუნების სილამაზესთან ერთად, გამოირჩევა ისტორიულ-კულტურულ ძეგლთა სიმრავლითაც, რაც დიდად იზიდავს დამსვენებლებსა და ტურისტებს.

კურორტები საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევრიდან იქმნება, თუმცა ქართველი ხალხი მის ტერიტორიაზე არსებულ სამკურნალო მინერალურ წყაროებს უძველესი დროიდან იყენებდა.

ჩვენი ქვეყანა განთქმულია როგორც ზღვის სანაპირო, ისე მთისა და მინერალურ-სამკურნალო წყლების კურორტებით. საკმარისია ჩამოვთვალოთ სოხუმი, გაგრა, ბიჭვინთა, ახალი ათონი, მწვანე კონცხი, ბათუმი, წყალტუბო, ბორჯომი, ბაკურიანი, მახინჯაური, შოვი, უწერა, ახტალა.

სასაზღვრო სივრცეში არის დასასვენებელი ბაზები, სააგარაკო სახლები, ალპინისტური ბანაკები. ქვეყანას ყველა პირობა გააჩნია საერთაშორისო ტურიზმის განვითარებისათვის, მთის რეგიონში საოჯახო ტურიზმის დანერგვისათვის.

თავი VI. სასაზღვრო სივრცის შიგატერიტორიული სხვაობანი

6.1. აფხაზეთი

აფხაზეთი ისტორიულად საქართველოს ძირძველი კუთხეა. აქ აღმოჩენილი უძველესი კულტურის ძეგლები განეკუთვნება ქვედა პალეოლითის გვიანდელ ხანასა და ზედა პალეოლითის მატრიარქატის განვითარების პერიოდს.

ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში საქართველოში ყალიბდება ადრინდელი კოლხეთის სამეფო, რომლის შემადგენლობაში შედიოდა აფხაზეთი. აფხაზთა წინაპრები (აფსილები, აბაზგები) პირველად მოიხსენიებიან ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებში. ისტორიულად ისინი სვანურ-მესხურ-ზანურ (ლაზურ) ეთნოსუბსტრატზე ჩამოყალიბებულ ერთ-ერთ ქართველურ (მეგრულ) ტომს ეკუთვნიან. პირველი საუკუნის მიწურულს, აფხაზეთის ტერიტორიაზე აფსილების, აბაზგებისა და სანიგების სამთავროები ჩამოყალიბდა. მათ მთავრებს რომაელი იმპერატორები ამტკიცებდნენ. III-IV საუკუნეებში რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში შეიქმნა ლაზების სამეფო, მან თავისი ძალაუფლების ქვეშ კოლხეთთან ერთად აფხაზთა ტერიტორიაც გააერთიანა.

VI საუკუნის მეორე ნახევარსა და მთელ VII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში შესამჩნევად გაძლიერდა აბაზგების სამთავრო. VIII საუკუნეში აბაზგების ჰეგემონიით ჩამოყალიბდა აფხაზეთის სამთავრო, რომლის ცენტრი ანაკოფიაში იყო. VIII საუკუნის 80-იან წლებში დასავლეთი საქართველო პოლიტიკურად გაერთიანდა აფხაზეთის მთავრის ლეონ II-ის მეთაურობით. იმავე საუკუნის მიწურულს ლეონ II განთავისუფლდა ბიზანტიელთა დამოკიდებულებისაგან და მიიღო მეფის ტიტული. ახალ პოლიტიკურ ერთეულს — საქართველოში შექმნილ დასავლურ-ქართულ სახელმწიფოს „აფხაზთა სამეფო“ ეწოდა. მისი დედაქალაქი იყო ქუთაისი. აფხაზთა სამეფოს მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას ქართველობა შეადგენდა. IX—X საუკუნეებში ერთიანი ქართული სამეფოს შემადგენლობაში აფხაზეთი შედიოდა ძირითადად აფხაზთა საერისთაოს სახით, რომლის სათავეში იდგა შერვაშიძეთა (ჩაჩბათა) საგვარეულოს წარმომადგენელი.

XV საუკუნის დასასრულს საქართველო ცალკეულ სამეფოებად

დაიშალა. XVII საუკუნის დასაწყისამდე აფხაზეთი ოდიშის სამთავროზე იყო დამოკიდებული, შემდეგში კი თვითონაც დამოუკიდებელ სამთავროდ ჩამოყალიბდა. სწორედ XVII საუკუნიდან აფხაზეთში აფსუურ-აბაზურ-ადიღეური ელემენტის გარევის შედეგად მივიღეთ მეგრულ-ადიღეური ნარევი ტომი, ქართული ეთნიკური ელემენტების ძალიან დიდი (დაახლოებით 80%) უპირატესობით. XVII საუკუნიდან ისტორიული აფხაზების (ქართველების) სახელი ეწოდა ჩრდილოეთ კავკასიიდან აქ შემოსახლებულ და გათქვეფილ ადიღეური მოდგმის აფსუა-აბაზებს. მსოფლიო ისტორიამ ასეთი არაერთი ფაქტი იცის (მაგ., ამერიკა). XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე აფხაზეთი ცალკეულ — ბზიფის, გუმას, საძენის, აბჟუას, სამურზაყანოს სამფლობელოებად დაიშალა. ეს ოლქები თავის მხრივ უფრო წვრილ ერთეულებად — სათავადოებად დაიყო. XVIII საუკუნის მიწურულს აფხაზეთის მთავრებმა ისლამი მიიღეს და ოსმალეთთან კავშირი დადეს. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ქელეშ-ბეი შერვაშიძე (ჩაჩბა) აფხაზეთის სამთავროს რუსეთთან შეერთების მომხრედ გამოდიოდა. 1908 წელს იგი თურქეთის აგენტებმა მოკლეს. 1910 წელს მისი შვილი გიორგი (საფარ-ბეი) რუსეთის მთავრობამ ცნო აფხაზეთის მემკვიდრე მთავრად რუსეთის უმაღლესი მფარველობის ქვეშ. 1921 წლის 4 მარტს აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა.

ამჟამად, მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აფხაზეთი აღიარებულია საქართველოს განუყოფელ ნაწილად.

აფხაზეთის ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის წყალგამყოფ ქედს გასდევს. სამხრეთ-დასავლეთით მას შავი ზღვა აკრავს, ჩრდილო-დასავლეთით საზღვარი მდინარე ფსოუზე გადის, აღმოსავლეთით მიუყვება სვანეთ-აფხაზეთის ქედს და მდ. ენგურის ქვემო დინებას. აფხაზეთს ჩრდილოეთით ესაზღვრება კრასნოდარის მხარე და ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქი, აღმოსავლეთით — მესტიისა და წალენჯიხის რაიონები, სამხრეთით — ზუგდიდის რაიონი.

აფხაზეთის ფართობი 8,7 ათასი კვადრატული კილომეტრია, ე.ი. საქართველოს ტერიტორიის 12,5%, მოსახლეობა 1981 წლის აღწერით — 509,1 ათასი კაცი. აფხაზეთში 5 ადმინისტრაციული რაიონია: გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და სოხუმის. ერთი გაგრის საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებული ტერიტორიაა, ექვსი ქალაქი — გაგრა, გალი, გუდაუთა, ოჩამჩირე, სოხუმი, ტყვარჩელი. ოთხი დაბა: ახალი ათონი,

ბიჭვინთა, განთიადი, გულრიფში. აფხაზეთის დედაქალაქია სოხუმი.

გეოგრაფიულად აფხაზეთი ძირითადად მთაგორიანი ქვეყანაა — დაახლოებით 74% მთებსა და მთისწინეთს უჭირავს, დანარჩენი კი ვაკე დაბლობებს. ჩრდილოეთით მისი საზღვარია კავკასიონის წყალგამყოფი ქედი, რომელიც ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ არის გადაჭიმული. აქ არის მწვერვალები: აგებსთა (3257 მ.), ფსიში (3709 მ.), ერწახვი (3910 მ.), დონბაიულგენი (4046 მ.), გვანდრა (3985 მ.). აფხაზეთს სტავროპოლის მხარესთან აკავშირებენ ქლუხორის (2781 მ.) და მარუხის (2746 მ.) ულელტეხილები. მთავარი ქედი ციცაბოდ ეშვება მდინარეების — საკენის, ჩხალთისა და ბზიფის ტექტონურ-ეროზიული ხეობებისაკენ. აფხაზეთის მთიანი შუა ნაწილი კავკასიონის გვერდით ქედებს უჭირავს. ესენია გაგრის, ბზიფის, კოდორისა და სვანეთ-აფხაზეთის ქედები, რომელთაც თავის მხრივ მრავალი განშტოება აქვთ. გაგრის მერიდიანულ ქედზე, რომელიც მდინარეების — გაგრიფშისა და ჟოეკვარას ხეობებს ბზიფის ხეობისაგან გამოყოფს, უხვადაა განვითარებული რელიეფის კარსტული ფორმები. არაბიკის მასივზე კი ხშირია ძველმყინვარული ცირკები, კარები და ტროგები. აფხაზეთის თითქმის ცენტრალური ნაწილი მდინარეების: კოდორის, ხიფსთის, ააფსთის, გუმისთის, კელასურისა და ბზიფის აუზების წყალგამყოფ ბზიფის სუბგანედურ ქედს უჭირავს (მწვერვალი კაპიშისტრა — 3156 მ). ამ ქედის დასავლეთი ნაწილი კირქვებითაა აგებული და რელიეფის კარსტული ფორმებით ხასიათდება, აღმოსავლეთი ნაწილი პორფირიტულია, ჭარბობს მთა-ხეობათა ეროზიული და გლაციალური ფორმები. აფხაზეთის შუა, მთიანი ზოლის აღმოსავლეთი ნაწილი, მდინარეების კოდორისა და ენგურის ღრმა ხეობებს შორის აღმართულ კოდორისა და სვანეთ-აფხაზეთის ქედებს უჭირავს. მწვერვალ ხოჯალის (3309 მ.) დასავლეთით მდებარე კოდორის ქედი შედარებით დაბალია, მწვერვალ ხოჯალის ჩრდილო-აღმოსავლეთით აზიდული სვანეთ-აფხაზეთის ქედი კი გაცილებით მაღალია (მწვერვალები მოგუაშირხა — 3847 მ., ხარიხრა — 3710 მ.) და მარადი თოვლითა და მყინვარებით არის დაფარული. ამ ქედზე მდებარეობს ულელტეხილი ხიდა (2633 მ.), რომელიც აფხაზეთს ზემო სვანეთთან აკავშირებს.

აფხაზეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე გაჭიმულია რთული აგებულების მთისწინეთის ზოლი, რომელიც მკვეთრად დანაწევრებული გორაკ-ბორცვიანი, სერებიანი და ტაფობებიანი რელიეფით გამოირჩევა.

მთისწინეთში გამოიყოფა კირქვებით აგებული კარსტებისა (გაგრის, ახალი ათონის, სოხუმის, წებელდის) და არაკარსტული, ზოგან დამეწყრილი (განთიადის, მიუსერის, ეშერის და სხვა) უბნები. მთისწინეთს შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ აკრავს ალუვიური ვაკე-დაბლობები, რომლებიც ზღვისაგან დიუნებით არის გამოყოფილი. სოხუმის ჩრდილო-დასავლეთით ვაკე-დაბლობს მცირე ტერიტორია უჭირავს, სამხრეთ-აღმოსავლეთით კი თანდათანობით განივრდება (სამურზაყანოს დაბლობი). აფხაზეთის სანაპირო ზოლი სწორხაზოვანია. აღსანიშნავია სოხუმისა და გაგრის უბეები, ბიჭვინთისა და სოხუმის კონცხები.

აფხაზეთში ჰავის ტიპები სიმაღლებრივი ზონების მიხედვითაა გავრცელებული: ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავა თბილი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით ზღვის დონიდან 300-400 მეტრამდეა. ნოტიო ჰავა ზომიერად ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით – 300-400 მეტრიდან 1000-1100 მეტრამდე; ნოტიო ჰავა ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი გრილი ზაფხულით – 1000-1100 მეტრიდან 2000-2100 მეტრამდე; მაღალი მთის ნოტიო და გრილი ჰავა – 2000-2100 მეტრიდან 2800-2900 მეტრამდე და მაღალ მთის ნივალური ჰავა – 2900 მეტრის ზემოთ. ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა სოხუმში +40^0-ია, მთაში (თხემზე) +10–15^0-ს აღწევს. მკვეთრია ტემპერატურის რყევა მთათაშორის ქვაბულებში. აბსოლუტური მინიმუმი შესაბამისად სოხუმში -3^0, ხოლო მაღალ მთაში – -10^0.

აფხაზეთში უხვად მოდის ატმოსფერული ნალექები, მაგრამ იგი არათანაბრადაა განაწილებული, როგორც ცალკეულ რაიონებს შორის, ისე წლის სეზონების მიხედვით. დაბლობ და გორაკ-ბორცვიან ზონაში 1400-1500 მმ ფარგლებში მერყეობს. მთისწინეთსა და მთებში ნალექების რაოდენობა მატულობს – გაგრის ქედზე 1644-2280 მმ-ია, ავადხარაში, 1600 მეტრის სიმაღლეზე – 2480 მმ, ბზიფისა და კოდორის ქედის სამხრეთ კალთებზე კი 3000 მმ აღემატება.

აფხაზეთის მდინარეთა ქსელი ხშირია, მთავარი მდინარეებია: კოდორი, ბზიფი, ღალიძგა, გუმისთა, მოქვი და სხვ. ისინი მიეკუთვნებიან შავი ზღვის აუზს. მდინარეებზე ბევრი წყალვარდნილი და ჭორომია. კირქვების გავრცელების ზონაში ხეობები ღრმაა. ზოგიერთი მდინარე მიწაში იკარგება გარკვეულ მანძილზე და შემდეგ ისევ გამოედინება ზედაპირზე (კარსტული მდინარეები). კარსტული მდინარეებია მჭიშთა (შავწყალა) და რე-

მდ. ბზიფის ხეობის სათავის ლანდშაფტი

უღელტეხილი ადანგე. გრანიტის გამოსავლები

აფხაზეთი. მდინარე მარუხის სათავის ლანდშაფტი



აფხაზეთი. მდინარე ლაშიფსეს სათავის ლანდშაფტი

პრუა გაგრის რაიონში. ისინი კირქვიანი ქედების ძირიდან გამოსჩქეფენ. რეპრუა ზღვის ნაპირზე გაგრასთან გამოედინება და კარსტულ წყაროს (ვოკლუზს) ქმნის. საერთოდ აფხაზეთის მთავარ მდინარეებს ახასიათებს სწრაფი დინება. ისინი ზღვასთან შეერთებისას ქმნიან მცირე დელტებს. დროგამოშვებით (ხშირად შემოდგომით) აღინიშნება წყალმოვარდნები.

აფხაზეთში ბევრია ტბა — რიწა, ადუედააძიჟი, დერიკვარა, ყვარაში, პატარა რიწა, ამტყელი, ცისფერი ტბა და სხვ. ისინი მაღალ მთებშია განლაგებული და უმეტესად მყინვარული და კარსტული წარმოშობისაა. ზოგიერთი ტბა გაჩენილია დაგუბებით, მაგალითად, რიწა და ამტყელი. ტბების ნაწილი მდიდარია იქთიოფაუნით.

ზღვისპირა ვაკე დაბლობებზე არის ჭაობები. აფხაზეთის მაღალმთიან ნაწილში 376 მყინვარია (ფართობი დაახლოებით 70კმ^2), რომელთაგან მხოლოდ ხუთია პირველი თანრიგისა.

ზღვისპირა ვაკე ადგილებში ალუვიური და ჭაობიანი ნიადაგები ჭარბობს. ჭარბტენიან ვაკე დაბლობებზე ჭაობიანი და ტორფიან-ჭაობიანი ნიადაგებია (მაგალითად, გალის რაიონის ზღვისპირა ზოლი).

უკეთ დრენირებულ დამრეც ვაკე-დაბლობებზე ეწერი და ალუვიური კარბონატული ნიადაგები გვხვდება. გორაკ-ბორცვიან მთისწინეთში ყვითელმიწები და წითელმიწებია, კირქვებისა და მერგელების გამოფიტვის პროდუქტებზე — ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები (აქ კარგი პირობებია ჩაის, ციტრუსებისა და ვაზისათვის). აფხაზეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი მთის ტყის ნიადაგებს უჭირავს. ზედა ზონაში, ტყის ზედა სარტყლის კარბონატული ან ღია და გაეწრებული ტყის ყომრალი ნიადაგებია, სუბალპურ ზონაში კორდიანი და კორდიან-ტორფიანი მთის მდელოს, ხოლო ალპური მდელოების ზონაში — პრიმიტიული, მცირე სისქის კორდიან-ტორფიანი მთის მდელოს ნიადაგები.

აფხაზეთში მცენარეული საფარი გამოირჩევა მრავალფეროვნებით. აქ ორი ათასზე მეტი სახეობის მცენარეა, მათ შორის ასორმოცდაათი სახეობის ხე და ბუჩქოვანი მცენარე. აქაური ფლორა მდიდარია ენდემებით და რელიქტებით. გავრცელების მხრივ ქმნიან მკაფიოდ გამოხატულ სიმაღლებრივ ზონებს. ბიჭვინთაში ვხვდებით რელიქტურ ბიჭვინთის ფიჭვის კორომებს. გორაკ-ბორცვიანი მთისწინეთი და მთების ქვედა კალთები ზღვის დონიდან 600-700 მეტრამდე, კოლხურ ტყეებს უჭირავს. აქ გვხვდება: მუხა, რცხილა, წაბლი, წიფელი, იფანი, ცაცხვი, მურყანი, გარეული

ხილი, როგორიცაა: ლეღვი, პანტა, მაჟალო, ხურმა, ზღმარტლი, ტყემალი და სხვა. აფხაზეთის ტერიტორიის 55% ტყით არის შემოსილი. საშუალო მთიან ზონაში შერეული ტყეებია. აქ ტიპურია წიფლნარ-სოჭნარი,წიფლნარ-ნაძვნარი და ნაძვნარ-სოჭნარი. წიფლნარი ზოგან ტყის ზედა საზღვრამდე ადის. მთის ტყეებს ზემოთ სუბალპური ტანბრეცილი ტყეების, ბუჩქნარებისა და მაღალბალახეულობის ზოლი აკრავს. სუბალპური ტყეები ძირითადათ შედგება მთის ნეკერჩხლისა და არყის ტანბრეცილი ხეებისაგან. ბუჩქოვნებიდან იზრდება ღვია, მოცვი, დეკა, ასკილი, მაღალბალახეულობაში ნაირბალახი ჭარბობს. სუბალპური მცენარეულობა ზემოთ თანდათან გადადის სუბალპურ მდელოებში. მაღალი ქედების თხემები (2200-2800 მ.) უჭირავს ალპურ მდელოებს. აფხაზეთის კირქვიანი ქედების სუბალპური და ალპური მდელოები მდიდარია მცენარეთა ენდემური სახეობებით. აფხაზეთში უხვადაა ძვირფასმერქნიანი, სამკურნალო ნაყოფის მომცემი, საკვებად ვარგისი, თაფლოვანი მცენარეები.

აქ გვხვდება როგორც ბარისა და მთის ტყის, ისე მაღალმთის ცხოველთა სახეობები: ჯიხვი, არჩვი, კავკასიური ირემი, შველი, გარეული ღორი, მგელი, ტურა, მელა, მაჩვი, კვერნა, დედოფალა, ზოგან გვხვდება წავი. ტყეებში ბინადრობს მურა დათვი, ფოცხვერი და მთის კატა, კურდღელი, კავკასიური ციყვი, ძილგუდა, ტყის თაგვი. აფხაზეთში აკლიმატიზირებულია ნუტრია. ფრინველთაგან მაღალ მთებში არის კავკასიური შურთხი, კავკასიური როჭო, მაღრანი, ალპური ჭკა. ბევრია მწყერი, ტყის ქათამი, ყურყუმელა, იხვი, თოლია, ყანჩა, ოფოფი, ნამგალა, ძერა, ქორი, მიმინო, არწივი, ორბი, ბუ, ზარნაშო, ყვავი, ყორანი, მოლაღური, სკვინჩა და სხვ.

ქვეწარმავლებიდან გვხვდება: ხვლიკი, ბოხმეჭა, სპილენძა, გრძელი მცურავი, კავკასიური გველგესლა, ამფიბიებიდან — ჭაობის კუ და სხვ.

მდინარეებსა და ტბებში არის კალმახი, კოლხური წვერა, კოლხური ღორჯო, მურწა, ლოქო, გამბუზია. ზოგ მდინარეში შავი ზღვიდან შედის ორაგული, სვია, ატლანტური ზუთხი, ფორეკი და სხვ.

აფხაზეთის ბუნებრივი გარემოს ნაირგვარობის მნიშვნელოვანი მიზეზია ზღვისპირა მდებარეობა. მოსახლეობაც თავმოყრილია უპირატესად სანაპირო ზოლში და ამასთანაა დაკავშირებული ეკონომიკურ-სამეურნეო საქმიანობის ინტენსიურობაც.

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, დასახლებულია უძველესი დროიდან. 1979 წლის აღწერით აქ მუდმივად

ცხოვრობდა 486 ათასი კაცი, აქედან 213 ათასი (43,9% – ქართველი, 83,0 ათასი (17,1%) – აფხაზი, 80,0 ათასი (16,40%) – რუსი, 73,0 ათასი (15,1%) – სომეხი. ცხოვრობდნენ აგრეთვე უკრაინელები, ბერძნები, ესტონელები და სხვები.

აფხაზეთის სახალხო მეურნეობაში წამყვანია სუბტროპიკული აგრარულ-სამრეწველო კომპლექსი. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია არასაწარმოო დარგებს, განსაკუთრებით, საკურორტო მეურნეობასა და ტურიზმს. აფხაზეთის მრეწველობა მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგების პრიორიტეტული განვითარებით ხასიათდება. მნიშვნელოვანია აგრეთვე სათბობის მრეწველობა, ელექტროენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ჩაისა და თამბაქოს, ტყავ-ფეხსაცმლის, ქვანახშირის მრეწველობა და სხვა. აფხაზეთისათვის დამახასიათებელია ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის განვითარება.

ამ მხარის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის მაღალი ხვედრითი წილი. მთავარი დარგებია მეჩაიეობა, მეთამბაქოეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მეციტრუსეობა, ეთერზეთოვანი კულტურების მოყვანა. ნათესი ფართობების დიდი ნაწილი უკავია სიმინდის კულტურას. მეცხოველეობა აფხაზეთში შედარებით სუსტად განვითარებული დარგია, რაც აიხსნება საკვები რესურსების შეზღუდულობით. უმთავრესად მისდევენ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებას.

აფხაზეთის სატრანსპორტო-გეოგრაფიულ მდებარეობას ორი ძირითადი თავისებურება განსაზღვრავს: ზღვისპირა მდებარეობა და ძნელად გადასალახავი ბუნებრივი ზღუდის არსებობა კავკასიონის მთიანი სისტემის სახით.

ზღვისპირა ზოლში გადის სახმელეთო სატრანსპორტო კომუნიკაციები (რკინიგზის შავიზღვისპირა მაგისტრალი და საავტომობილო გზატკეცილი ნოვოროსიისკი-ბათუმი), რომელთა მეშვეობით საქართველო და ნაწილობრივ ამიერკავკასიის სხვა ქვეყნები ჩრდილოეთ კავკასიას უკავშირდება.

აფხაზეთში მნიშვნელოვანი ნავსადგურია სოხუმი. გარდა სოხუმისა, აქ არის გაგრის, გუდაუთის, ოჩამჩირის ნავსადგურებიც. აფხაზეთი ავიახაზებით დაკავშირებულია საქართველოსა და უცხოეთის მრავალ ქალაქთან.

აფხაზეთშია საზღვაო კლიმატური კურორტები გაგრა, ბიჭვინთა, ახალი ათონი, სოხუმი, გუდაუთა, განთიადი, ლესელიძე, ოჩამჩირე, გულრიფ-

ში. მთიან ზონაში მდებარეობს ბალნეოლოგიური კურორტები რიწა, ავადჰარა, ტყვარჩელი.

ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი სოხუმი გაშლილია სოხუმის ყურის ნაპირთან მიმდებარე გორაკ-ბორცვებზე. იგი საინტერესო ისტორიული წარსულის მქონე ქალაქია: ჯერ კიდევ პირველ ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მის ადგილას მდებარეობდა კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი უდიდესი ზღვისპირა ქალაქი დიოსკურია.

აფხაზეთი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულითაც. მდინარეების ფსოუსა და ბზიფის აუზში გვხვდება ქვანახშირის შემცველი თიხები და ქვიშაქვები. შუა იურული ასაკის ქანებთანაა დაკავშირებული ტყვარჩელის ქვანახშირის საბადო. აღსანიშნავია აგრეთვე ბზიფის ქვანახშირის საბადოც. მდ. ბზიფის სათავეებში არის ვერცხლისწყლის საბადო. ბევრგანაა ტყვიის, თუთიის, სპილენძის და სხვა ლითონების მადანგამოვლინებები. ბარიტი გვხვდება ბზიფის, კოდორის, მოქვისა და ააფსთის ხეობებში, აქვეა თაბაშირიც. საშენი და მოსაპირკეთებელი მასალებიდან გვხვდება: კირქვა, სააგურე თიხა, სერპენტინიტი, დიაბაზი, გრანიტი, დიორიტი. განსაკუთრებით უხვად არის სამკურნალო მინერალური წყლები (კოდორის, საკენის, გვანდრის, ჩხალთის, ბზიფის, ავადხარისა და სხვა). მნიშვნელოვანი რაოდენობითაა თერმული წყლები (ტყვარჩელში, სოხუმში, ოჩამჩირეში, ბესლეთში, ახალ ათონში, გაგრაში), რომელთა გამოყენებას როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში მეტად დიდი პერსპექტივა აქვს.

აფხაზეთი მდიდარია ქართული კულტურის ძეგლებით. აქ, ეშერასა და ამტყელ-აზანთას ტერიტორიაზე გვხვდება დოლმენები (ფილებისაგან ნაგები ოთახის ფორმის სამარხები). სოხუმიდან 45 კმ-ზე, მდ. კოდორის გაყოლებით წებელდიდან მარცხნივ, ხეობაში აღმოჩენილ იქნა მეზოლითის ხანის სადგომი. ადგილობრივი მოსახლეობა მას „ქვა-წარას“ ეძახის, რაც ნიშნავს წარწერას ქვაზე. გვხვდება სხვა დოლმენებიც, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულს ეკუთვნის. აზანთაში არსებული დოლმენები და აქაური ძველი ტოპონიმიკა (აზანთა, ამტყელი, ლარა და სხვა) მეგრულ-ჭანურ-სვანურია. აფხაზი ავტორები „აწანგურას“ განმარტავენ როგორც წანების სადგომს. წანები (ცანები-ჭანები) ანტიკურ და შუა საუკუნეების ისტორიულ წყაროებში დაფიქსირებული წანარებია, რომელიც ერთ-ერთი ქართველური ტომი იყო. მათი განსახლების არეალი მოიცავს ჯერ დასავლეთ საქართველოს, შემდეგ მის მთიანეთს - სვანეთს. დღემდე

შემორჩა ამ ხალხის სახელთან დაკავშირებული ტოპონიმები, კერძოდ: აცანა (სოფელი ლანჩხუთის რაიონში), ცანა (სოფ. ლენტეხის რაიონში), წანერი (უღელტეხილია სვანეთიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადასასვლელი) და აწანა აფხაზეთში. მკვლევარები წანარებს მიიჩნევენ ქართველურ სვანურ-მეგრულ ტომად.

მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს გაგრის ციხე, რომელიც, როგორც უცხოელ მკვლევართა ნაშრომები გვაუწყებენ, ძვ. წელთაღრიცხვის II საუკუნეში სუან-კოლხების მიერ არის აშენებული. ასეთი ქართული წარმოშობის ძეგლები და ტოპონიმები მრავლადაა აფხაზეთში. VII საუკუნის „სომხურ გეოგრაფიაში" დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ „ბულგარებსა და პონტოს ზღვას შორის ცხოვრობენ გარშკების, კუტებისა და სუანების ტომები". XVII საუკუნემდე დღევანდელ აფხაზეთის ტერიტორიაზე არ გვხვდება არც ერთი ადიღეური წარმომავლობის ტოპონიმი. ყველა დაფიქსირებული ტოპონიმი მხოლოდ ქართულია.

აფხაზეთ-სვანეთში, კოდორის ხეობის სათავეებში არსებულ ტერიტორიაზე, არის სოფლები ჩხალთა, აჟარა, გენცვიში, გვანდრა, საკენი, სადაც მხოლოდ ქართველები ცხოვრობენ. სოფელთა უმეტესობა პატარაა. მათი სამეურნეო საქმიანობა ძირითადად შემოიფარგლება მეცხოველეობითა და მემინდვრეობით. კოდორის ხეობას დალის ხეობასაც უწოდებენ. ამ მიწა-წყლის უძველესი მკვიდრნი, სვანებთან სისხლით მონათესავე ტომი, მისიმიანები იყვნენ. ძველთაგანვე დარჩენილა აქ სვანების ქალღმერთ დალის სახელი და ღვთაება ფუსტი.

თუ საერთოდ აფხაზეთის საზღვრისპირა დასახლებებს განვიხილავთ, აქ დასავლეთის, მდინარე ფსოუ — შავი ზღვისპირა უბანში, მოქცეულია 14 დასახლებული პუნქტი. სოფლები ძირითადად მდებარეობენ მდ. ფსოუს ხეობაში და ზღვის პირას. ამ უბანში სამეურნეო სპეციალიზაცია საკურორტო მომსახურება და სუბტროპიკული მიწათმოქმედებაა. მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის მიხედვით ეს რაიონი ჭრელია. მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევიან სომხები — 41,7%, რუსები — 25%. ქართველები — 22.2%. დაბალი იყო აფხაზი მოსახლეობის ხვედრითი წილი, სულ 3,2%. აქ სომეხი და რუსი მოსახლეობა ძირითადად XIX საუკუნის პირველ ნახევარში, რუსული იმპერიული პოლიტიკის გატარების პერიოდში გამოჩნდა.

დოურ-ანჩხოს ანუ მდ. ბზიფის სათავეების განსახლების უბანი მდებარეობს მდ. ბზიფის ზემო წელში. აქ თავმოყრილია 11 დასახლებული

პუნქტი, რომელთაგან 6 სოფელში ცხოვრობს რუსი მოსახლეობა, ერთში აფხაზები, 4-ში ჭარბობენ ქართველები, ხოლო დანარჩენში შერეულია ოთხი ეროვნების მოსახლეობა. აქ სომხებიც ცხოვრობენ, მაგრამ მათი რაოდენობა მცირეა. ამ უბანში ძირითადად სახორცე-სარძეევე მეცხოველეობას მისდევენ. მოჰყავთ მარცვლეული კულტურებიც.

აფხაზეთში მრავლადაა უღელტეხილები, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიაში გადადის. საქართველო-რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრის სტავროპოლის მხარის მონაკვეთის 172 კმ-იან ზოლში გვხვდება ახუკდარას უღელტეხილი (2072 მ.). ეს უღელტეხილი მოქმედებს მაისიდან სექტემბრამდე, როდესაც იგი თოვლისაგან თავისუფალია. ახუკდარას უღელტეხილით ერთმანეთს უკავშირდება მდ. ავადხარას და მდ. მზიმთას ხეობები (სტავროპოლის მხარე). მდ. ავადხარას ხეობაში კეთილმოწყობილი საავტომობილო გზაა (გაგრა-რიწის ტბა — კურორტი ავადხარა). ავადხარიდან უღელტეხილზე გადადის მხოლოდ საურმე გზა, რომელიც მზიმთას ხეობაში გრძელდება.

აფხაზეთისა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის საზღვარზე, რომლის სიგრძე 100 კმ-ია, თითქმის ყოველ 14 კილომეტრში ერთი უღელტეხილი მდებარეობს. აქ სულ 12 უღელტეხილია: დამხურცი (2452 მ.), აჩმახარა (2486 მ.), აძათა (2497 მ.), სანჩარო (2689 მ.), მათი მოქმედების პერიოდი მხოლოდ 5 თვეა (მაისი-აგვისტო). მაგანას (2265 მ.), წყარგეხულირის (2539 მ.), ლაბას (2575 მ.) და მარუხის უღელტეხილები მოქმედებენ 4 თვეს (ივნისი-აგვისტო), ნახარის (2839 მ.), მბიფკიზიჩის (2997 მ.), პტიშის (2996 მ.), ქლუხორის (2781 მ.), დალარის (3291 მ.) და ჩიპერის (3285 მ.) უღელტეხილები კი მოქმედებენ მხოლოდ სამ თვეს (ივლისი-აგვისტო). აქ მოძრაობა შეიძლება მხოლოდ ფეხით. ფაშისტურ გერმანიასთან ომის პერიოდში ქლუხორის გადასასვლელით ინტენსიური ავტოსატრანსპორტო მოძრაობა იყო. ამჟამად ეს გზა მოშლილია და გადასვლა მხოლოდ ფეხით არის შესაძლებელი.

აფხაზეთში რუსეთთან საზღვრისპირა სოფლებია გაგრის რაიონში: ლესელიძე, სალმე, სულევო, ხეივანი, კუტუბანი, წალკოტი, შაფრანოვო, განთიადი, მეხადირი, ვაშლოვანი, ზეგანი, კლდიანი, მუხნარი, სალხინო, წაბლიანი, ცოდნისკარი, დემერჩენცი, მიქელრიფში, ხაშუფსა, იმერხევი, ვაკე, ბაგრანი, აჩმარდა, ველი, მენდელეევო. გულრიფშის რაიონში: ქვემო აჟარა, ზემო აჟარა, ბუდზგური, გვანდრა, ზიმა, კვაბჩარა, მარჯვენა გენწვიში, მარცხენა

გენწვიში, მარცხენა — ფტიში, ბრამბა, ნახარი, ომარი-შარა, საკენი, ხეცკვარა, ჩხალთა, შაბაკვარა; სოხუმის რაიონში (ფსოუს სასოფლო საბჭო): ფსხუ, სანჩარა, აგურიისტა, რინზა, ბიტაგა, სერებრიანსკოე, რიცევიე, ხელრა, რამაში-ტოტოლაში.

6.2. ზემო სვანეთი (მესტიის რაიონი)

ზემო სვანეთი საქართველოს იმ კუთხეს ეწოდება, რომელიც მდინარე ენგურის ზემო აუზში მდებარეობს. ჩრდილოეთიდან კავკასიის მთავარი ქედი ესაზღვრება და გამოყოფს მას რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩერქეზეთისა და ბალყარეთისგან. სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან მას ესაზღვრება საქართველოს სხვა რაიონები — ქვემო სვანეთი, რაჭა, სამეგრელო და აფხაზეთი.

კავკასიონის მთავარი ქედი, ჩრდილოეთი საზღვარი სვანეთისა, შედგება შემდეგი მთებისაგან: ცურუნგალი, ალამა, ნამყვამი, შხარა, ჯინგითაუ, კაშტანთაუ, თეთნულდი, გისტოლა, ჯერბაში, ლალვორი, წანერი, სალსვანდაში, ტისტენგენი, ტვიბერ-ზაგარი, ბაშლანთანაღი, ლაცგა, გუმაჩი, ბაშკარა, ბუედუხი, დალაყორი, შხელდა, უშბა, ბეჩოსთანაღი, კოგუტომაში, ჭიბერი, დონგუზორუნი.



ზემო სვანეთის სამხრეთი საზღვარია სვანეთის ქედი. ის იწყება სოფელ უშგულის აღმოსავლეთით ყორულდაშის მთის ძირიდან, მდებარეობს ენგურსა და ცხენისწყალს შორის და მიემართება მათი სათავიდან სამეგრელომდე. სვანეთის ქედი შემდეგი მთებისაგან შედგება: ჰარეტ-ზაგარი, დადიაში, ლანქორი, ატკვერი, გორვაში, ლატფარი, მუშური, ღური, ლასილი, მექფაში, წიილდღვადარაში, ლაჰლა, ლეშნირი, ხელედურა, უჩახარხი, ნატარსდაშ, თხეიშის დული, ურულაპი და ტყაბედნიერი.

ლატფარის ქედი, სვანეთს ორ ნაწილად — ზემო (ანუ ენგურის ხეობა) და ქვემო (ცხენისწყლის ხეობა) სვანეთად ჰყოფს.

აღმოსავლეთი საზღვარი წარმოდგენილია შემდეგი მთებით: შარივცეკი, ფასის მთა, ლაფური, ვაცისწვერი, ნეშკა, მთა ზესხვა, გვანდარა, მოგვაშირხა, ხარხა.

როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთებზე ქედებითა და მწვერვალებით შემოფარგლულ, მუდმივი თოვლითა და მყინვარებით გარშემორტყმულ კუთხეში უძველესი დროიდან ცხოვრობენ იაფეტური მოდგმის ქართველური შტოს წარმომადგენლები — სვანები.

სვანეთი ზეპირსიტყვიერებასა და წერილობით ძეგლებში სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიება: სვანი, სანი, სუანი, სიონი, სანიგი, შონი, მშანი, მისიმიანი, სუანო-კოლხი, ეგროსუანი და სხვა. ამ სახელთა უმრავლესობა ეთნოსს: „მუშვანს“ და „შვანს“ უკავშირდება, რაც ქართულ შუანს (სუანს) ანუ შუაში მდებარეს უნდა ნიშნავდეს.

ყველაზე ძველი ძეგლები, რომლებიც სვანეთის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი, მიეკუთვნება ქვის ხანას — ნეოლითს. ერთი მათგანი მდებარეობს მესტიის რაიონში, სოფელ ლენჯერის ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 1600 მეტრის სიმაღლეზე, მდინარეების მესტია-ჭალისა და ენგურის წყალგამყოფი ქედის, ხაცვალის დასავლეთ ფერდზე. მეორე ამავე ასაკის ძეგლი აღმოჩენილია ცხენისწყლის ხეობაში მის მარჯვენა ნაპირზე, შემაღლებულ ადგილზე, რომელიც სოფელ რცხმელურიდან ჩრ. დასავლეთით მდებარეობს. ამ ადგილს „ლაზგა“ ეწოდება. ეს ძეგლები მიუთითებენ, რომ ენგურისა და ცხენისწყლის სათავეებში ცხოვრობდა ქვის ხანის ადამიანი.

არქეოლოგიური გათხრებისას ნაპოვნი ნივთები გვამცნობენ, რომ დაწყებული ნეოლითიდან, მდ. ენგურისა და ცხენისწყლის შუაწელი და სათავეები დასახლებული ყოფილა. ეს აღმოჩენები ნათელს ჰფენენ აქ

მცხოვრები სვანების საზოგადოებრივ-ეკონომიკურ და კულტურულ დონეს დაწყებული ნეოლითიდან რკინის ხანის ჩათვლით. ირკვევა, რომ აქაურ მცხოვრებთა ძირითად საქმიანობას მესაქონლეობა წარმოადგენდა. სვანეთში, გარდა სოფლის მეურნეობისა, ამ პერიოდში საკმაოდ განვითარებულია სამთო-მეტალურგიული, განსაკუთრებით სპილენძის, ბრინჯაოს და რკინის წარმოება. ამას ხელს უწყობდა სპილენძის, ტყვიის, თუთიის, დარიშხანის, ვერცხლისწყლის, რკინის მადანგამოვლინებები, ლითონის გამოსადნობად და დასამუშავებლად აუცილებელი დიდი რაოდენობით ხე-ტყე, უმთავრესად კი ეპოქალური მოთხოვნები ლითონის ახალ შრომის იარაღებზე. სწორედ ეს ქმნიდა ბაზას სვანეთში მრეწველობის ამ დარგის განვითარებისთვის. აქ იყო ძირითადი კერა მეტალურგიისა. მადნის მოპოვება და მისი დამუშავება ერთ-ერთი ძირითადი იყო სვანთა მეურნეობაში.

მეტალურგია, მესაქონლეობა, მიწათსარგებლობა და ნადირობა სვანეთის უძველესი მოსახლეობის როგორც შიგა, ისე საგარეო ურთიერთობების ეკონომიკურ საფუძველს ქმნიდა.

ძირითადი დასახლება ქართველთა იმ ტომისა, რომელთაც სვანები ეწოდება, ცხენისწყლისა და ენგურის ხეობაში იწყება ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულიდან. მართალია, ძველთაგანვე განვითარებულმა მესაქონლეობამ და მეტალურგიამ იმ დროისათვის შრომის ნაყოფიერება გაზარდა, როგორც მიწათმოქმედებაში, ისე მესაქონლეობაში, მაგრამ შემდგომში მას დიდი განვითარება არ მიუღია. მთიანი რელიეფი და კლიმატური პირობები არ ქმნიდნენ შესაძლებლობებს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. არ არსებობდა ასათვისებელი ახალი მიწის ფართობები. მძიმე კლიმატური პირობები, ბაზების სიმცირე არ იძლეოდა საშუალებას მესაქონლეობის განვითარებისთვის, გარდა ამისა, უგზოობის გამო სვანეთი მხოლოდ სეზონურად უკავშირდებოდა მეზობელ თემებს. ყოველივე ეს ხელს უშლიდა საზოგადოების ევოლუციის პროცესს — წინაკლასობრივიდან კლასობრივისკენ გადასვლას. მხოლოდ კაპიტალიზმის ეპოქაში გაზრდილი კომუნიკაციის პირობებში, სვანეთში დაჩქარდა კლასობრივ საზოგადოებაში გადასვლა, რომლის ნიშნები თუ საფუძველი, ჯერ კიდევ ბრინჯაოსა და რკინის ეპოქაში შეიმჩნეოდა. დრო იცვლებოდა და მის შესაბამისად იცვლებოდა და ვითარდებოდა სვანეთის სოციალურ-ეკონომიკური და მატერიალურ-კულტურული მდგომარეობაც.

როგორც ლინგვისტები ამტკიცებენ, სვანური დიალექტი ქართველური ფუძე ენის დიფერენციაციის შედეგად წარმოიშვა.

სვანებმა განსაკუთრებულ ძალას და ძლიერებას მიაღწიეს ძვ. წ. ბოლოს და ახ. წ. I საუკუნეში (სტრაბონი). ისინი ძალითა და ძლიერებით აღემატებიან მეზობელ ტომებს. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ (ნ. ა. სმირნოვი, ე. ნ. კუშევა, ნ. ნაკაშიძე, რ. კანდელაკი, ივ. ჯავახიშვილი, გ. მელიქიშვილი, დ. ლავროვა, გ. გასვიანი, თ. მიჩბანი, ივ. მარგიანი და სხვანი), ძველი სვანეთის საზღვარი იწევდა ჩრდილოეთისაკენ, კავკასიონის ქედის გადაღმა, მდინარე თერგისა და ყუბანის სათავეებში მდებარე ადგილებამდე. ისტორიულად, სვანური მოსახლეობა არამარტო დასავლეთ საქართველოს ბარში და კავკასიონის ქედის ვიწრომთიან ზოლში ბინადრობდა, არამედ კავკასიონის ქედის ჩრდილოეთითაც მკვიდრდებოდა. ამას ამტკიცებს ნიკონის მატიანეში მოყვანილი ცნობები სვანთა დასახლების შესახებ ყაბარდოში. მეცნიერები მიუთითებენ, რომ ძველი სვანეთის ტერიტორიაზე გამავალ გზებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა პოლიტიკურ-სტრატეგიული და სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით. ამან განაპირობა ირანისა და ბიზანტიის ხანგრძლივი ბრძოლა სვანეთისათვის. ამ ბრძოლამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბი მიიღო VI-VII საუკუნეებში.

სვანეთი, როგორც ადმინისტრაციული ერთეული, ჯერ კოლხეთის, შემდეგ ეგრისის და აფხაზეთის (დას. საქართველოს) სამეფოების შემადგენლობაში შედიოდა, ბოლოს სრულიად საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში (როგორც საერისთავო). საქართველოს დაქუცმაცებასთან დაკავშირებით, XVI საუკუნეში, სვანეთის საერისთავოც დაიშალა. მის ერთ ნაწილში (ბალის ქედს ქვემოთ) წარმოიშვა დადეშქელიანთა სამთავრო. სადადეშქელიანო სვანეთში ქვედა ხევებთან ერთად შედიოდა კოდორის — დალის ხეობა (ე. წ. აფხაზეთის სვანეთი), აგრეთვე მდინარეების ბაქსანჩეგემ-ჩერეკისა და ყუბანის ხეობათა სათავეები, ხოლო ბალს ზემოთ ხევები (ე. წ. „თავისუფალი სვანეთი“) ცალკეულ თემებად დაიშალა.

სვანებმა სხვა ქართველ ტომებთან ერთად ქრისტიანობა ბიზანტიისაგან მიიღეს. XIX საუკუნის ბოლოს აქ ორასამდე ეკლესია-მონასტერი იყო. ეს ეკლესია-მონასტრები ქართული კულტურის საუნჯე და საგანძურია. სვანები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საქართველოს ძველი და ახალი სამეფოების ცხოვრებაში. მაგალითად, შავლიანები აფხაზეთის

მთავრები და მეფეები იყვნენ, ფარჯანიანების, ვარდანაძეების, დადიანებისა და გელოვანების წარმომადგენლები — სვანეთის, ოდიშისა და გურიის ერისთავები, აგრეთვე ერთიანი საქართველოს სამეფოს მეჭურჭლეთუხუცესები, მანდატურთუხუცესები, ჩუხჩერახები* და სხვ.

სვანები და მათი დიდებულები განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ საქართველოს ოქროს ხანაში — დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს. ისინი ყოველთვის ბურჯად ედგნენ საქართველოს მიწა-წყალს, მუდამ იზიარებდნენ ქვეყნის ბედს, გამოირჩეოდნენ დედასამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულებით.

დღევანდელი სვანეთი მდებარეობს მდინარეების ენგურისა და ცხენისწყლის ხეობებში. ენგურის ხეობა ადმინისტრაციულად მიეკუთვნება მესტიის რაიონს და ეწოდება ზემო სვანეთი, ხოლო ცხენისწყლის ხეობა — ლენტეხის რაიონს და ეწოდება ქვემო სვანეთი. სვანებით დასახლებული საქართველოს ეს კუთხე, ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრულია მთავარი კავკასიონის ქედით, სამხრეთით ლეჩხუმისა და სამეგრელოს ქედებით, დასავლეთიდან კი კოდორის ქედით. ჩრდილოეთიდან ზემო სვანეთს ესაზღვრება: ყარაჩაი-ჩერქეზეთი და ბალყარეთი, აღმოსავლეთიდან — რაჭა, სამხრეთიდან — ლეჩხუმი და სამეგრელო, დასავლეთიდან კი — აფხაზეთი.

მესტიის რაიონი ანუ ზემო სვანეთი მოიცავს 344,5 კვადრატული კილომეტრის ტერიტორიას, მოსახლეობა 15114 სულს შეადგენს.

რაიონის ტერიტორია რელიეფურად მაღალმთიანი, ვიწრო ხეობაა, რომლის სიგრძეა 120 კმ, სიგანე — 20-25 კმ. სიმაღლეთა სხვაობა უმაღლეს და უდაბლეს წერტილებს შორის 4300 მეტრს შეადგენს.

რაიონის ყველაზე მაღალი სოფელია უშგული, მისი ერთ-ერთი უბანი ჟიბიანი — ზღვის დონიდან 2200 მეტრზე მდებარეობს. ხოლო ჰიფსომეტრიულად ყველაზე დაბლა მდებარე სოფელი ჰარჯაში 700 მეტრზე.

მესტიის რაიონში თექვსმეტი სათემო გაერთიანებაა: უშგულის, კალის, იფარის, წვირმის, მულახის, მესტიის, ლენჯერის, ლატალის, ბეჩოს, ცხუმარის, ეცერის, ფარის, ლახამულას, ნაკრას, ჭუბერისა და ხაიშის.

ზემო სვანეთი იწყება უშგულის თემის აღმოსავლეთით 6-7 კმ-ის მანძილზე შხარის მყინვარიდან და გრძელდება დასავლეთისაკენ.

---

*ჩუხჩერახები (ისტ.) საქართველოს სამეფო კარის საპატიო მოხელეთა ერთ-ერთი წოდებულება



უშბა ღრუბლებში

სოფელი მულახი სვანური კოშკებით

უშგულის თემი შედგება ოთხი სოფლისაგან: ჟაბიანი, ჩვაბიანი, ჩაჟაში და მურყმელი. ეს თემი ღარიბია ტყით. უშგულის თემის დასავლეთით 8 კმ-ის დაშორებით კალის თემია, რომელშიც შედის სოფლები: დავბერი, ლალხორი, იფრარი, აგრალი, ხალდე და ვიჩნაში, აქ არის უძველესი წმინდა კვირიკეს ტაძარი. კალის დასავლეთით იწყება იფარის თემი, რომლის შემადგენლობაში შედის სოფლები: ნაკიფარი, ზეგანი, ბოგრეში, ჰადიში, წვირმი, იელი და აცი.

სოფელ ლალხორთან ენგურს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ერთვის ხალდეს დიდი მყინვარიდან მომდინარე ხალდეშის ჭალა, სოფელ ბოგრეშთან კი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მომდინარე ჰადიშის ჭალა.

იფარის ჩრდილოეთით მდებარეობს მაღლობი უღვირ-ზაგარი, რომელიც თეთნულდის სამხრეთ-დასავლეთი კედლიდან მიდის ლატალამდე. იგი ჰყოფს იფარის თემს და მდ.ენგურს მულახის, მესტიისა და ლენჯერის თემებისაგან.

მულახის თემს შუაზე ჰყოფს მდ. მულხრა. იგი სათავეს იღებს ცანერისა და ტვიბერის მყინვარებიდან. აღმოსავლეთით მდებარე ნაწილს მუჟალი ჰქვია, დასავლეთისას კი მულახი. პირვილი მდებარეობს მდინარის მარცხენა ნაპირზე მეორე მარჯვენა ნაპირზე.

მულახის დასავლეთით კვლავ მაღლობია - კახურ ზაგარი, რომელიც მულახის თემს გამოჰყოფს მესტიის თემისაგან.

მესტიის თემი მდ. მესტია ჭალაის ხეობაში მდებარეობს და შედგება სოფლებისაგან: ლალამი, მარგიანალი, ლაჩვალი, ლაგვინიაში, სეტი, ლეხთაგი.

მდ. მესტია ჭალაის სოფელ სეტის შუაგულში ერთვის მდ. მულხრა ჭალაი. ამ ორი მდინარის შეერთების მარჯვენა ნაპირზე, მესტიიდან 3 კმ-ის დაშორებით იწყება ლენჯერის თემი, რომელშიც შედის სოფლები: ნეზგული, ლაშთხვერი, ლემსია, ქაშვეთი, კაერი, ხეშკილდი და სოლი.

ლენჯერის თემიდან დასავლეთით 6 კმ-ზე, მდ. მულხრას ხეობაში მდებარეობს ლატალის თემი. აქ სოფელ კვანჭიანართან მესტიიდან მომდინარე მესტია-მულახის მდინარე უერთდება ენგურს, რომელსაც ლატალის აღმოსავლეთით ერთვის 4 პატარა მდინარე: წილდრა, ლახვშტულდრა, გუბრა და შერაშიჭალა. ამ მდინარეთა შორის მდებარეობს ლახვშტულდის დანარჩენი სოფლები: კვანჭიანარი, ლამი, ენაში, მაცხვარიში,

შყალერი, ნამყვანი, ლეშუკვი, სიდიანარი და იფხი, გაშენებულნი ენგურის მარჯვენა ნაპირზე, ხოლო სოფლები ლაჰილი და სგობულდი - მარცხენა ნაპირზე. ამ სოფლის დასავლეთით ორი კილომეტრის დაშორებით სამხრეთიდან, ლაჰილის მყინვარებიდან, მდინარე ლაჰლა ჭალა უერთდება ენგურს.

ლატალის დასავლეთით მდინარე ბეჩოს ხეობაში მდებარეობს ბეჩოს თემი, რომელსაც ჩრდილოეთიდან დაჰყურებს მწვერვალი უშბა. ბეჩოს თემის სოფლებია: მაზერი, გული, ბაგვდარი, ლაშთქოლი, ტვიბიში, ჭოხულდი, დოლი, უშხვანარი, ჭკილიანარი და ქართვანი.

ბეჩოს დასავლეთით 9 კმ-ის დაშორებით მდებარეობს ეცერის თემი, რომელსაც მდ. ენგური ყოფს ორად — ცხუმარ-ეცერად. პირველი მდებარეობს ენგურის მარცხენა ნაპირზე და მასში შედის სოფლები: სვიფი, ტვიბერი, ლეზგარა, მაგარდელი, ლაბსყიდლი, გვალდერი და ღვებალდი.

ეცერი მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზეა. მის შემადგენლობაში შედის სოფლები: კალაში, ლაშხრაში, ლადრერი, ლანტელი, ისკარი, ცალანარი, ფხოტრერი, უღვალდი, ქურაში, ბარში და ჭელირი.

ეცერის თემის დასავლეთით 4 კმ-ზე ენგურის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს ფარის თემი. ამ თემის სოფლებია: ფარი, სვიფი, კაცხი, ლამხერი, ზაგარი, ჟაბე ლუპა, ჩვაბე ლუპა, ლაყვრი, ფალედ, ხოსვრარ და ლეშტვრირი.

ფარის დასავლეთით ჩუბეხევის თემია (ამჟამად ლახამულის). მის შემადგენლობაში შედიან სოფლები: კიჩხულდაში, თავრარში, ცალერში, ლაშხრაში, ნოღაში, შდუხარი, დიზი. დიზთან სამხრეთ-აღმოსავლეთით ენგურს ერთვის მდინარე ხუმპრერი, რომლის დასაწყისთან არის სოფელი უსგვირი, ხოლო მარჯვენა ნაპირზე სოფელი ყვანა.

დიზიდან დასავლეთით მდ. ენგურის ხეობაში მდებარეობს სოფლები: გუნწიში, იფარი, ჯორკვალი, ჭერი, ტობარი, ხაიში. სოფელ ტობართან ენგურს ერთვის მდინარე ნენსკრა, ხოლო სოფ. ხაიშთან მდ. ხაიშურა, რომლის ხეობაში მდებარეობს სოფელი ვედი. ხაიშის დასავლეთით არიან სოფლები: ლალხორალი, ციცხვარი, ნარქოღვარი, ისთოთანა. ამის შემდეგ იწყება სამეგრელო. სოფ. ლაშხრაშის დასავლეთით დონგუზორუნის მყინვარებიდან ჩამოდის მდ. ნაკრა, რომლის ხეობაში მდებარეობს სოფელი ნაკი, მდ. ნენსკრის ხეობაში კი — სოფ. ჭვიბერი.

მესტიის რაიონის თემთა შემადგენლობა ასე დეტალურად იმიტომ

ზემო სვანეთი. მთა ზგიმაზუკის ფერდობიდან მოჩანს ტვიბერის მყინვარი



ზემო სვანეთი. ლეხზირის უღელტეხილის მისადგომები

ზემო სვანეთი. სოფელი ჰადიში

განვიხილეთ, რომ ზემო სვანეთი ენგურის ხეობაში მდებარე საქართველოს კუთხეა, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება ჩრდილოეთით მდებარე ჩერქეზეთსა და ბალყარეთს. ქვემო სვანეთში კი, ცხენისწყლის ხეობის სასაზღვრო ზონაში მდებარეობს მხოლოდ სამი სოფელი: ყორულდაში, ცანა და ზესხო.

ჰიფსომეტრიულად ზემო სვანეთში გამოიყოფა ხუთი ზონა. პირველი ზღვის დონიდან 1000 მეტრამდეა. მდებარეობს მდ. ენგურის ხეობის დასავლეთ უბანში და ვიწრო ზოლად ვრცელდება სოფელ ლახამულამდე. მას უჭირავს 122 კმ^2. მეორე ზონა ზღვის დონიდან 1000-1500 მეტრის სიმაღლეზე მოიცავს როგორც ენგურის, ისე მისი მთავარი შენაკადების ქვედა წელს და ვრცელდება მდ. ადიშის ხეობამდე. უჭირავს 329 კმ^2, ე. ი. მთელი ტერიტორიის 11,1%. მესამე ზონა 1500-დან 2000 მეტრის სიმაღლეზეა, უჭირავს 565 კმ^2, ე. ი. ტერიტორიის 19%. მეოთხე ზონა 2000-3000 მ. სიმაღლეზე მდებარეობს და ძირითადად მოიცავს სუბალპურ ზონას, სულ 1254 კმ^2, ე. ი. ტერიტორიის 42,3%. მეხუთე ზონა ზღვის დონიდან 3000 მეტრზე მაღლაა და უკავია 696 კმ^2 ანუ 23,5% ტერიტორიისა. რაც შეეხება ზემო სვანეთის ლანდშაფტს, აქ გამოიყოფა შემდეგი ზონები:

1. მთა-ტყიანი ზონა; 2. სუბალპური ზონა; 3. ალპური ზონა; 4. სუბნივალური ზონა; 5. ნივალური ზონა — ესაა კლდოვანი ქედები და მწვერვალები მუდმივი თოვლითა და მყინვარებით.

1. **მთა-ტყიანი ზონა** 560-დან 1800 მეტრის სიმაღლეზეა ზღვის დონიდან და ხასიათდება ცივი, ნესტიანი ზამთრით და ზომიერი რბილი ზაფხულით. რელიეფი ამ ზონისა წარმოდგენილია ღრმა ხეობებით, რომელთაც ციცაბო ფერდობები და მოკლე წყალგამყოფი ქედები აქვს.

2. **სუბალპური ზონა** 1900-დან 2200 მეტრის სიმაღლეზეა ზღვის დონიდან. ხასიათდება რელიეფის რბილი ფორმებით ცივი და ნესტიანი ზამთრით, ზომიერად ცხელი ხანგრძლივი ზაფხულით.

3. **ალპური ზონა** 2200-დან 3000 მეტრამდეა, ხასიათდება ცივი და ნესტიანი კლიმატით, მოკლე გრილი ზაფხულით და ხანგრძლივი ზამთრით.

4. **სუბნივალური ზონაა** 3000-დან 3300 მეტრამდე ზღვის დონიდან, მოიცავს უწყვეტ ზოლს მთავარი კავკასიონის, სვანეთის და ყორულდაშის ქედებისა. გარდა ამისა, ნაწილობრივ ვრცელდება ლეჩხუმის, რაჭა-სვანეთის, სამეგრელოს და ხალდეს ქედების მონაკვეთებზე. აქ ძირითადად გავრცელებულია რელიეფის მყინვარული ფორმები და დამახასიათებელია მკაცრი კლიმატური პირობები.

5. **ნივალური ზონა** 3300 მეტრზე მაღლაა ზღვის დონიდან. ეს ზონა მოიცავს მთავარი კავკასიონის ქედს, სვანეთის ქედის დასავლეთ ნაწილს და ნაწილობრივ ლეჩხუმისა და ხალდეს ქედების მთავარ მწვერვალებს. ამ ზონისათვის დამახასიათებელია მკაფიო ალპური ფორმები, მკაცრი კლიმატი. ტერიტორიის უმეტესი ნაწილი დაფარულია მუდმივი თოვლითა და მყინვარებით.

ზემო სვანეთი ვერტიკალური ზონურობის მიხედვით მიეკუთვნება როგორც ზომიერად ცივ — მთა-მდელოს ნიადაგურ-კლიმატურ ზონას, ისე მთა-ტყიან და მთა-ველიანს. ამიტომ აქ განვითარებულია როგორც სამთო მესაქონლეობა, ისე მეხილეობა და მებოსტნეობა, ხოლო დაბლობ ზონებში მცირე მასშტაბით მევენახეობაც.

ზემო სვანეთი მდიდარია მცენარეულით. აქ გვხვდება მუხისა და წაბლის ფოთლოვანი ტყეები, წიფლნარი, რცხილნარ-წიფლნარი და წაბლნარ-წიფლნარი, მარადმწვანე წიწვიანი ტყეები, ნაძვნარი, აღმოსავლეთის ნაძვი (სოჭი), კავკასიური ანუ ნორდმანის სოჭი, ნაძვნარ-სოჭნარი, წიფლნარ-სოჭნარი და წიფლნარ-ნაძვნარ-სოჭნარი ტყეები. გვხვდება აგრეთვე

კავკასიური ანუ კოხის ფიჭვის ტყეებიც, რაც ისედაც თვალწარმტაც მთის წიწვიან ტყეებს განსაკუთრებულ სილამაზეს ანიჭებს. აქ ბევრგან შეხვდებით სუბალპურ ტყეებსაც-არყნარს, ცირცელიანს (კავკასიური ცირცელი), ნეკერჩხლიანს, მუხნარს, ტანდაბრეცილ არყნარებს და ნეკერჩხლიანებს. ტყის ნაკვეთებს ენაცვლება მაღალბალახეულობა და სუბალპური მდელოები. ჰიფსომეტრიულად მაღლა კი გავრცელებულია სუბნივალური სარტყლის მცენარეულობა დაბალი ბალახეულობისაგან შექმნილი ღია ცენოზებით. მაღალმთიანი ზონის მშვენებაა დეკის (კავკასიური როდოდენდრონი) მარადმწვანე ბუჩქნარი.

ტყეებისა და მცენარეული საფარის სიუხვე საშუალებას იძლევა ტყის რეწვისა (სანიტარიული ჭრა) და სამკურნალო ბალახეული მცენარეების დამზადებისათვის (მაღალ პროფესიულ დონეზე დაყრდნობით და გარკვეული დოზირებით).

მრავალფეროვანია სვანეთის ფაუნაც. მთებში და ტყეებში გვხვდება: დათვი, მგელი, მელა, ციყვი, კურდღელი, ფოცხვერი, ჯიხვი, გარეული კატა, გარეული თხა, ფსიტი (არჩვი), მთის ინდაური, მთის ქათამი. სვანეთის მდინარეებში ბინადრობს კალმახი.

მესტიის რაიონში გვაქვს სახნავი მიწები — 946 ჰექტარი, მრავალწლიანი ნარგავები — 51, დამუშავებული მიწები — 996, საკარმიდამო ნაკვეთები — 1186, სათიბი — 8182, საძოვარი — 86246 ჰექტარი.

სვანეთი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. მესტიის რაიონში დაფიქსირებულია მრავალრიცხოვანი მადანგამოვლინებანი. გვაქვს აგრეთვე არამადნეული საბადოები, რომელთა მარაგი დაზუსტებულია და ზოგიერთის ექსპლუატაციაც მიმდინარეობს. მადანგამოვლინებებიდან ცნობილია ქვიშრობის ოქრო ენგურისა და ცხენისწყლის ხეობებში. ოქროს შემცველი ახალი უბნები მესტიის რაიონში დაფიქსირებულია მდინარე ნენსკრის სათავეებში (ენგურის მარჯვენა შენაკადი) და სოფელ დიზის მიდამოებში. ოქროსა და ვოლფრამის გამოვლინება აღმოჩენილია მდინარეების ნენსკრისა და მულხურას შორის 100 კვ. კილომეტრზე. ნენსკრის ხეობაში არის ვამურალის სპილენძ-პოლიმეტალური საბადო. მდ. ნაკრის ხეობაში ცნობილია ვერცხლისწყლის გამოვლინებები. ასეთივე გამოვლინებაა ღებურცხილში, წითელხევში, ბარჯიმში. ვოლფრამის გამადნება არის ყვანარსა და ლალხორარში. აქვე ვხვდებით სპილენძს, სურმას, დარიშხანსა და კალას. რკინისა და თუთიის გამოვლინებები გვაქვს ოჯში, ცხუმარში, გულში.

ზემო სვანეთი. მდ. მულხრას ხეობა



ზემო სვანეთი. მყინვარი დზინალი. ტვიბერის უღელტეხილი

მაგნეტიტის სკარნული გამადნება ცნობილია კირარის მიდამოებში.

არამადნეული სასარგებლო წიაღისეულიდან მესტიის რაიონში ცნობილია: დიზის თეთრი მარმარილო, რომელიც მუშავდება, ჭუბერის ნაცრისფერზოლიანი მარმარილო, მესტიის ტრავერტინის საბადო, ხაიშის ბარიტის, ლენჯერის საკირე კირქვების, ჯორკვალის გაბრო-დიაბაზის, ხუმპრერის, აბაკურის, დიზის, კირარის დიორიტის, მესტია-ჭალის ქვიშა-ხრეშის, უშგულის კირქვის, მულხურის სილისა და ქვიშის კვაკვის (კირქვის) საბადოები.

სვანეთი მდიდარია მინერალური წყლებითაც. მესტიის რაიონში მათი რაოდენობა ორასს აღემატება. აქედან თავისი თვისებებისა და წყლის დებიტის მიხედვით სამრეწველო გამოყენებას ექვემდებარება ედბეეშის, ქვედიოაშის, ნაკრისის, დეგაბის მინერალური წყლები.

სვანეთი მეტად მდიდარია ჰიდროენერგეტიკული პოტენციალითაც. დიდ ჰიდროელექტროსადგურებთან ერთად მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების მოწყობის პერსპექტივა. ამ ტიპის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაში შესაძლებელია ადგილობრივი საშენი მასალებისა და მუშახელის გამოყენება, მათი მშენებლობა დასაშვებია მხოლოდ მდინარეების ენგურისა და ცხენისწყლის შენაკადებზე, რაც ხელს არ შეუშლის დიდი ჰესების მშენებლობას და არ გამოიწვევს ეკოლოგიურ დაზიანებას.

სვანეთი საქართველოს უნიკალური კუთხეა, სადაც არსებობს შესანიშნავი პირობები საკურორტო და რეკრიაციული მეურნეობის განვითარებისთვის.

ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა ისტორიულ-არქიტექტურული და კულტურული ღირსშესანიშნაობანი. ამ მხრივ მესტიის რაიონი ქართული მხატვრული შემოქმედების ყველა დარგის ნაწარმოებთა ჭეშმარიტი საგანძურია. აქ გვაქვს ბევრი ძველი საცხოვრებელი სახლი (მაჩუბი), საცხოვრებელი და თავდაცვითი დანიშნულების კოშკები, საკულტო ნაგებობანი – დარბაზული ეკლესიები, მონუმენტური მხატვრობის საფასადო მოხატულობანი და ხატწერის იშვიათი ნიმუშები, ჭედური ხელოვნების მდიდარი და მრავალფეროვანი ძეგლები, საეკლესიო რიტუალის ნივთები. სვანეთში დაცულია ქართულ ხელნაწერთა მნიშვნელოვანი ძეგლები, როგორიცაა ხადიშის, ენაშის, ლაბწყალდის ოთხთავები. მათი მეცნიერული და მხატვრული ღირებულება, შესრულების მაღალი დონე,

ზემო სვანეთი. ცანერის ულელტეხილის მიდამოები



ზემო სვანეთი. ზგიმაზუკის ქედის მიდამოები

ეკლესიის კედლებზე მოთავსებული წარწერები თვალნათლივ წარმოგვიდგენს ჩვენს მდიდარ წარსულს.

გარდა აღნიშნულისა, სვანეთი გამოირჩევა თავისი ეთნოგრაფიით, სოფლის მეურნეობის ტრადიციული ფორმებით, ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებით, წყლის აუზით. ბუნებრივი რეკრეაციული პირობები საუცხოო შესაძლებლობებს იძლევა ტურიზმის, სათხილამურო სპორტის, ალპინიზმის სხვადასხვა სახეობის განვითარებისთვის. სვანეთის ლანდშაფტის ველური ბუნება განუმეორებელი სილამაზისაა. ესაა ენგურისა და ცხენისწყლის ხეობები გარშემორტყმული ქედებითა და ისეთი ბუმბერაზი მწვერვალებით, როგორიცაა შხარა (5168 მ.), თეთნულდი (4853 მ.), უშბა (4711 მ.), ლასილი (4009 მ.), შხელდა (4363 მ.), ჯანგა (5059 მ.), აილამა (4525 მ.) და სხვ.

მთაგორიანი რელიეფი და მკაცრი კლიმატი მძიმე პირობებს უქმნის მთიელებს. აქ სახნავ მიწებზე მთელი ტერიტორიის ერთი პროცენტიც კი არ მოდის, სათიბებს უჭირავს 2,6%, საძოვრებს 28,9%. სულ კი სასოფლო სამეურნეო სავარგულები შეადგენს 98,7 ათას ჰექტარს (32,1 პროცენტს), ტყე და ბუჩქნარი 144,5 ათას ჰექტარს (47,0%). დანარჩენი ტერიტორია კლდეები და მყინვარებია.

რაიონის ცენტრი, ყველაზე დიდი დასახლებული პუნქტი, დაბა მესტიაა. იგი მესტია-ჭალის თვალწარმტაც ხეობაშია გაშენებული. მესტიას კოშკების დედაქალაქსაც ეძახიან. საერთოდ სვანური სოფლები და მათი შემოგარენი დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებენ მნახველზე. განუმეორებელია მულახი მრავალი ეკლესიითა და მურყვამით, ულამაზესია წვირმი, კალა, იფარი, უშგული კოშკებისა და მაჩუბების სამეფოთი, ლამარიას ეკლესიით, ჰადიში თავისი შემოგარენით და თეთნულდის სიახლოვით, დოლრის ნაპირზე გაშენებული ბეჩო, რომელიც ადრე ბალსქვევითა მაზრის ცენტრიც იყო, ლატალი და ლენჯერი აქ დაცული სიძველის მრავალი ძეგლით, ვაკე ადგილზე გაშენებული ცხუმარი განთქმული მინერალური წყლებით. საინტერესოა მისი ტოპონიმიკა. ის ან რცხილნარიდან (სვანურად ცხვიმრა) წარმოდგება, ან მოდის „ცხუმიდან" (ცხუმი-სოხუმი). ცხუმარის ექვს უბანში (სვიფი, ღვებალდი, ღეზგალი, ტვიბერი, მაგარდელი, ლებსყალდი) 14 ეკლესიის ნანგრევებია, აქედან 7 თლილი ქვითაა აშენებული, ქვებზე ამოკვეთილია ასომთავრული წარწერები. ამ ეკლესიებიდან დღეს ერთია შემორჩენილი — „ლაბსყადაშ თარგლზერ"— ლაბსყადარის

ზემო სვანეთი. ტვიბერის უღელტეხილის ხედი

მთავარანგელოზი. ეცერში შემონახულია დადეშქელიანების კოშკი და საგვარეულო საცხოვრებელი კომპლექსი. თავისი სილამაზით გამოირჩევიან ნაკრა, იდლიანი, ხაიში, ჭუბერი და ლახამულა.

მიწის სიმცირე აქ ხელს უშლის მიწათმოქმედების ფართოდ განვითარებას, ამიტომ ზემო სვანეთში შედარებით მაღალ დონეზე დგას მეცხოველეობა.

სვანეთი ძირითადად კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდზე მცხოვრები ხალხების — ბალყარელების, ნაწილობრივ კი ჩერქეზების მეზობელია. სვანებს საუკუნეების განმავლობაში თავისი დამოკიდებულება — მეზობლურ-მეგობრული, ხანდახან კი ნათესაურიც ჰქონდათ ამ მეზობელ ხალხებთან. კავშირი მათთან მყარდებოდა კავკასიონის მთავარ ქედზე არსებული უღელტეხილებით. ცენტრალურ კავკასიონზე სვანეთიდან 12 გადასასვლელი გზა არსებობს. ნაწილი ამ გადასასვლელებისა მათი ტექნიკური სირთულის გამო ხელმისაწვდომია მხოლოდ ალპინისტებისათვის და სამთო ტურისტებისათვის. მოსახლეობა ისტორიულად იყენებდა მხოლოდ შედარებით იოლ უღელტეხილებს, სადაც გადასვლა ხდებოდა ფეხით და

შესაძლო იყო საქონლის გადარეკვაც. ყველა უღელტეხილი მდებარეობს 3000 მეტრზე მაღლა ზღვის დონიდან, ამიტომ უმეტესად დაფარულია მუდმივი თოვლითა და ყინულით.

ბასა-ჭუბერის უღელტეხილი მდებარეობს მდინარეების ნენსკრისა და ყუბანის წყალგამყოფ კავკასიონის ცენტრალურ ქედზე და სვანეთს ჩერქეზეთთან აკავშირებს. ნენსკრის ხეობიდან გზა იწყება ტყიანი ფერდის გასწვრივ, შემდეგ კი ალპური საძოვრების გავლით მიემართება უთვირის უღელტეხილისაკენ (2700 მ. ზღვის დონიდან), საიდანაც ეშვება ნაკრის ხეობაში. სოფ. ნაკრიდან გზა მიჰყვება ამ ხეობას, შედის სუბალპურ ზონაში და აქ ადგილ ლეკებალიდან, რაც სვანურად შესაკრებ ადგილს და ალბათ ამ შემთხვევაში ბილიკთა გადაკვეთის ადგილს ნიშნავს, იყოფა ორად. გზის მარჯვენა განშტოება მიემართება ნაკრის (დონგუ-ორუნის) უღელტეხილისაკენ, მარცხენა განშტოება კი — უღელტეხილ ბასასკენ (3180 მ. ზღვის დონიდან) და კვლავ გადადის ნენსკრის ხეობაში. აქ ადგილ ლენეგრთან კვეთს მდ. ნენსკრის სათავეებს, ტოვებს მას მარჯვნივ და მიხვეულ-მოხვეული ბილიკით, ფერდობის გავლით მიემართება ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით. ბილიკი კვეთს თოვლიან ფერდობს, ადის საკმაოდ ფართო ჭუბერის უღელტეხილზე და ეშვება ჩრდილოეთისაკენ. აქ ის ჯერ გადადის თოვლითა და ლოდნარით დაფარულ პატარა მყინვარს, შემდეგ ეშვება ველზე, რომელიც დიდრონი ლოდებითაა მოფენილი. ამ ადგილს სვანები მეგრე ბაჩარს უწოდებენ. აქედან ბილიკი ტყიანი ზოლის გავლით ჩადის სათიბ მინდორში ხადჟილარასა და ლაბგვიარს შორის, მიჰყვება მდინარე ყუბანის სათავეს და შედის სოფელ ხურდზუკში. ამ სოფლიდან ადვილად შეიძლება გადასვლა ყარაჩაი-ჩერქეზეთსა და ყუბანში. ბასა-ჭუბერის უღელტეხილის ეს გზა ყველაზე მოსახერხებელია ზემო სვანეთიდან მდინარე ყუბანის ხეობაში გადასასვლელად. წინათ ამ გზით გადადიოდნენ ცხენოსანი მგზავრებიც. რადგან ამ გზით მიმოსვლა საკმაოდ ინტენსიური იყო, ბილიკი კარგად გატკეპნილი და საიმედოა. მეორე ბილიკი, რომელიც სოფელ ჭუბერიდან მიემართება ჭუბერის უღელტეხილისაკენ, მიუყვება მდინარე ნენსკრას ხეობას და ადგილ დუდაშშა ბაჩართან უერთდება მთავარ გზას, რომელიც აქ ნაკრის ხეობიდან ბასას უღელტეხილზე გავლით ჩამოდის. ეს უფრო მოკლე გზაა, მაგრამ აქვს ძნელად გასავლელი უბნები თვით ნაკრის ხეობაშიც, ამიტომ ამ გზით იშვიათად სარგებლობენ.

ჭუბერის უღელტეხილისაკენ მიმავალი გზის განშტოებაა ჩიპერის უღელტეხილზე (3263 მ.) გამავალი გზა. აქ ჭუბერის უღელტეხილამდე ძირითადი გზიდან მარჯვნივ უხვევს ბილიკი, რომელიც ჩიპერის უღელტეხილისაკენ მიემართება. აქედან ორი მიმართულებით შეიძლება გასვლა, ერთი — გადადის მდინარე ულუ-ოზენის ხეობაში და უერთდება მდ. ყუბანს, მეორე კი ეშვება ბაქსანის ხეობაში სოფელ ტერსკოლში. გზის სირთულის გამო აქ სიარული მხოლოდ ალპინისტებისა და სამთო ტურისტებისთვისაა შესაძლებელი.

ნენსკრის ხეობიდან მეორე, საკმაოდ რთული **უღელტეხილი დალარი** (3950 მ.) გადადის ჯერ მდინარე მორდის ხეობაში, შემდეგ დასახლება უზუნკოლში, აქედან კი ყუბანის ხეობაში.

უღელტეხილი ნაკრა (ჩუბეხევი) ან დონგუზ-ორუნი (3198 მ. ზღვის დონიდან). ეს უღელტეხილი ზემო სვანეთს აკავშირებს ბაქსანის ხეობასთან. სოფელ ნაკრიდან ბილიკი მიუყვება ამავე სახელის მდინარის ხეობას მისი სათავისაკენ. გზა ჯერ ტყიან ზოლში გადის, შემდეგ თანდათანობით მიემართება მდინარის მარჯვენა ფერდზე და შედის ალპურ ზონაში, მიუყვება ფერდობს. უღელტეხილის მისადგომიდან იწყება აღმართი. ბილიკი ადის თოვლითა და მყინვარით დაფარულ ფერდობზე, გადადის დონგუზ-ორუნის უღელტეხილზე და კვლავ მყინვარით ეშვება მდ. ტერსკოლის სათავისაკენ. მიუყვება მთა ჩეგეტის მარცხენა ფერდს და 2750 მეტრის სიმაღლეზე მიადგება საბაგირო გზას, რომელსაც ტურისტები და მოთხილამურეები (ზამთარში) სოფელ ტეგენეკლიში ჩაჰყავს. ზღვის დონიდან 2750 მ. სიმაღლეზე აშენებულია შესანიშნავი შენობა, რომელიც ემსახურება საბაგირო გზას, არის კაფე, გადასახედები და მოსასვენებელი ოთახი. არსებული ბილიკი სოფლამდე ეშვება.

დონგუზ-ორუნის უღელტეხილი ნაკლებსაშიშია ზვავების ჩამოწოლის მხრივ. მისი მონაკვეთები ტექნიკურად ადვილად დასაძლევია და ამიტომ მოსახლეობას აქ საქონელიც გადაჰყავს მთელი ზაფხულისა და ადრეული შემოდგომის განმავლობაში.

ჭუბერისა და ნაკრის უღელტეხილები ყველაზე იოლი გადასასვლელებია და ამიტომაც მოსახლეობა ისტორიულად ფართოდ იყენებდა მათ. ამ გზებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ქართველებისათვის, არამედ კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდზე მცხოვრები ხალხისთვისაც.

უღელტეხილი ბეჩო ცნობილია აგრეთვე იუსენგის სახელწოდებით.

მდებარეობს 3370 მეტრზე ზღვის დონიდან. ამ უღელტეხილით მდინარე დოლრას ხეობა უკავშირდება კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდზე იუსენგის ხეობას და სოფელ ტეგენეკლის. გზა ამ უღელტეხილისაკენ სოფ. ბეჩოდან იწყება, გადის სოფლებზე უშხვანარზე და მაზერზე, მიუყვება მდინარე დოლრას ხეობას მისი სათავისაკენ. გადაივლის მყინვარს და მთა ქვიშს და მიხვეულ-დაკლაკნილი გზით ადის უღელტეხილზე, გადადის ჩრდილოეთ ფერდზე არსებულ მყინვარზე და ეშვება მდინარე ბაქსანის სათავის მარჯვენა შენაკადის ხეობით, რომელსაც სოფელ ტეკენეკლიში იუსენგი ეწოდება.

ბეჩოს უღელტეხილი შედარებით უფრო რთულია, ვიდრე ნაკრისა. მდინარე დოლრის ხეობიდან ჩრდილოეთ კავკასიაში ორი უღელტეხილითაა შესაძლებელი გადასვლა. ერთია ბეჩო, მეორე საკმაოდ რთული — აუსუ.

უღელტეხილი მესტია მდებარეობს ზღვის დონიდან 3760 მეტრზე მდინარე მესტია-ჭალის სათავეებთან. გზა იწყება დაბა მესტიიდან, მიუყვება მესტია-ჭალის ხეობას, გადადის ლექზირის მყინვარზე. ამ მყინვარიდან იწყება ბილიკები სამი უღელტეხილისაკენ. პირველია: მესტიის, რომლითაც გადავდივართ მდინარე ადირ-სუს ხეობაში. ეს მდინარე ბაქსანის მარჯვენა შენაკადია და შედის დასახლება ზედა ბაქსანში. მეორე უღელტეხილია ლეხზირი, აქედან ბილიკი ჩადის მდინარე ბაშილ-აზაუსუს ხეობაში. ესეც მდ. ბაქსანის მარჯვენა შენაკადია. მესამე უღელტეხილია კარაკაია, რომლითაც კვლავ მდინარე ადირ-სუს ხეობაში გავდივართ. ყველა ეს უღელტეხილი ტექნიკური თვალსაზრისით საკმაოდ რთულია. შედარებით იოლად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მესტიის უღელტეხილი.

ტვიბერის უღელტეხილი — მდებარეობს 3607 მეტრზე ზღვის დონიდან. გზა უღელტეხილისაკენ იწყება სოფელ ჟაბეშიდან (ეს მულახის თემის ბოლო სოფელია), მიუყვება მდინარე ტვიბერის ხეობის მარცხენა ნაპირს. ეს არის საკმაოდ დამრეცი აღმართი, რომლის დაძლევის შემდეგ მგზავრი მოხვდება ტვიბერის მყინვარის ენასთან. აქ არის ტურისტთა თავშესაფარი — ერთსართულიანი მცირე მოცულობის ქვის შენობა. უღელტეხილზე გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ ღამე, რადგანაც დღისით მყინვარზე დადებული თოვლი დნება და სიარული ძნელდება თოვლში ფეხის ღრმად ჩაფლობის გამო. ტურისტული თავშესაფრიდან

გადიან დაახლოებით ღამის ორ საათზე. ამ დროისათვის თოვლი გაყინულია და მოძრაობაც ადვილია. ბილიკი მიუყვება რამდენიმე მყინვარს, ჯერ გადის ტვიბერის მყინვარზე, აქედან ასმაშის მყინვარზე, საიდანაც იწყება ბილიკი ასმაშის უღელტეხილისაკენ. ტვიბერის უღელტეხილისაკენ მიმავალი ბილიკი კი ასმაშის მყინვარიდან მიუყვება ტოტის, შემდეგ კი ძინალის მყინვარს. აქედან იწყება შედარებით დამრეცი აღმართი. მყინვარი მიადგება კლდოვან ფერდს, რომელზეც მდებარეობს ვიწრო უღელტეხილი. აქედან ციცაბო დაღმართით ბილიკი ეშვება მდინარე გარააუზუსუს ხეობაში. ეს მდ. ჩეგეტის სათავეა.

ცანერის უღელტეხილი - მდებარეობს 3887 მეტრზე ზღვის დონიდან. გზა ამ უღელტეხილისკენ სოფელ ჟაბეშიდან იწყება, მიუყვება მდინარე ცანერის ხეობას, გადის ცანერის მყინვარზე, შემდეგ ციცაბო კლდის ფერდზე, კვლავ მყინვარზე და საკმაოდ დაქანებული აღმართით გადადის უღელტეხილზე. აქედან კი ეშვება ბაშილ-აუზუსუს ხეობაში, რომელიც აგრეთვე მდ. ჩეგემის სათავეა. ორი მდინარის ბაშილ-აუზუსუს და გარააუზუსუს შეერთების ადგილიდან, რომელიც სოფელ ბულუნგუდან დაახლოებით 7 კმ-ში მდებარეობს, იწყება მდინარე ჩეგემი. ცანერის უღელტეხილიდან ბილიკი გადადის აგრეთვე მყინვარ ულუჩინარზე და მიუყვება მდ. ბეზინგის ჩერეკს სოფ. ბეზინგამდე.

როგორც ვნახეთ, ზემო სვანეთი ძირითადად ესაზღვრება ბალყარეთს და მდ. ნენსკრის ხეობის მხოლოდ მცირე მონაკვეთით — ჩერქეზეთს.

ქვემო სვანეთიდან ჩრდილოეთ ფერდზე გამავალ ბილიკთა შორის მნიშვნელოვანია ზესხოს უღელტეხილზე გამავალი ბილიკი. გზა იწყება სოფელ ზესხოდან და მიუყვება მდინარე ზესხოს ხეობას, შემდეგ გადადის ზესხოს უღელტეხილზე და რიონის სათავეებით ადის უღელტეხილ შარივცეკზე, რომლის აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან 3430 მეტრია. აქედან საკმაოდ ციცაბო დაღმართით ეშვება ხულამის ჩერეკის სათავეებში და მიემართება სოფელ ზემო ჩერეკისაკენ. ამრიგად, სვანეთი დაკავშირებულია ბალყარეთის ტერიტორიაზე გამავალი მდინარეების - ბაქსანის, ჩერეკის და ჩეგემის ხეობებთან. მდინარე ბაქსანის ხეობა გამოირჩევა ბუნების სილამაზითა და სიმშვენიერით, სწორედ აქაა იალბუზის სამხრეთი ფერდი. აქ მდებარეობს საქვეყნოდ განთქმული ტურისტული დასასვენებელი სახლები „იალბუზი“, „იტკოლი“, „ტერსკოლი“, „დინამო“, „აზაუ“, მთა ჩეგეტის ქედზე ზამთარ-ზაფხულ შესაძლოა თხილამურებით სრიალი.

განუმეორებელი სილამაზისაა აგრეთვე ჩეგეტისა და ჩეგემის ხეობები, სადაც ვხვდებით ვიწრო კლდოვან ხეობებს, უნიკალურ ჩანჩქერებს, მთის ტბებს და მაღალ მწვერვალებს.

ამ ხეობებში სახლობენ ბალყარელები. ესაა სტუმართმოყვარე, უფროსუმცროსობის ტრადიციათა დამცველი, მამაკაცის კულტის მატარებელი ხალხი. ისინი მუსულმანური სარწმუნოების მიმდევრები არიან. აღსანიშნავია მათი კეთილმეზობლური დამოკიდებულება ქართველებთან. სოფ. ბეზინგიში არის კოშკი, რომელიც თამარ მეფის სახელს ატარებს და ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემით მის დროს არის აშენებული. ბევრი ბალყარელი ქართველური წარ მოშობისად თვლის თავს და ამაყობს ამით. მაგალითად, მიაჩნიათ რომ რახაევები ყოფილი რეხვიაშვილები არიან. საჭიროა, რომ ჩვენი მესაზღვრეები გარკვეული პატივისცემით მოეკიდონ იმ ტრადიციულ ურთიერთობებს, რომელიც სვანებს ჰქონდათ მეზობელ ბალყარელებთან.

სვანეთის მოსაზღვრე ჩრდილოეთ კავკასიის ამ რეგიონში ბალყარელები დასახლების მხრივაც განსხვავდებიან ყაბარდოელებისაგან. ისინი ცხოვრობენ მთიან ნაწილში, ყაბარდოელები კი ვაკეზე და ამრიგად, საქართველოს მოსაზღვრენი მხოლოდ ბალყარელები არიან.

კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალური ნაწილის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს: მეზოზოური ასაკის თიხაფიქლები, პალეოზოური და პროტეროზოული-კრისტალური ფიქლები, გნეისები, ამფიბოლითები მარმარილოს შუა შრეებით. ყველა ეს ქანი იკვეთება ჰერცინული ასაკის (შუა-ზედა-პალეოზოური) გრანიტოიდებით. ტერმინ გრანიტოიდებში გაერთიანებულია სხვადასხვა შედგენილობის ინტრუზიული სხეულები: გაბრო, გაბრო-დიორიტი, კვარციონ-დიორიტი, გრანოდიორიტი, გრანიტის სხვადასხვა სახეობანი, ორქარსიანი გრანიტი, ბიოტიტიანი გრანიტი, მიკროკლინიანი გრანიტი, პორფირული გრანიტი. ყველა მათგანს კვეთს ძარღვული სხეულები, რომელთა უმეტესობაც ინტრუზიული წარმოშობისაა და წარმოდგენილია აპლიტებით, კვარციანი დიორიტებით, დიორიტებით და თვით გრანიტებითაც. ხშირია პეგმატიტებისა და კვარცის ძარღვებიც.

მეზოზოური ასაკის ქანები შედგება თიხაფიქლებისა და ქვიშაქვაფიქლებისაგან. ესაა შავი ფერის ფიქლებრივი, ზოგჯერ კი მკვრივი ქანები, რომელთა აგებულებაში მონაწილეობენ თიხა და ნახშიროვანი ნივთიერებანი, წვრილი ქარსები-სერიციტი და წვრილი კვარცის მარცვ-

ლები. ისინი ადვილად იხლიჩება ტკეჩვადობის გასწვრივ. ქვიშაქვაფიქლებში ვხვდებით წვრილმარცვლოვან კვარცის ზოლებსა და წვრილმარცვლოვან კვარცს, გაბნეულს სერიციტულ წვრილქერცლოვან მასაში. ეს ქანები თიხაფიქლებთან შედარებით უფრო მკვრივია.

პალეოზოური კრისტალური ფიქლები ძლიერი მეტამორფული (შეცვლილი) ქანებია, რომლებიც შედგებიან ან მთლიანად მუქი მინერალებისაგან, ან მუქი მინერალებისა და მინდვრის შპატისაგან, ხშირად კი მუქი მინერალებისა და კვარცისაგან. ამ ქანებს ახასიათებს ფიქლებრიობა და გარკვეული განაწილება მუქი და ღია ფერის მინერალებისა, რომლებიც ძალიან ვიწრო რამდენიმე მილიმეტრის სიმძლავრის ზოლების სახით ერთმანეთს ენაცვლება. ჭარბობს სუბპარალელურად და პარალელურად განლაგებული ბიოტიტები, მუსკოვიტები და ქლორიტი, იშვიათად არის ამფიბოლითის ბოჭკოები. ქანთა შედგენილობაში ჭარბობს ქარსები.

გნეისები უფრო მსხვილმარცვლოვანი ქანებია, ვიდრე კრისტალური ფიქლები, სადაც კვარცი, მინდვრის შპატი, გრანიტი, რქატყუარა და პიროქსენი მნიშვნელოვნად ჭარბობენ ბიოტიტსა და მუსკოვიტს. ფიქლებრიობა ამ ქანებში დარღვეულია. რქატყუარა და ქარსები ქმნიან განცალკევებულ წყვეტილ ზოლებს ან გაღუნულ ლინზებს, გარს ერტყმიან გრანატისა და კვარც-მინდვრის შპატების მსხვილ კრისტალებს, რომლებიც მრგვალ, თვალისებრ წარმონაქმნებს ქმნიან გნეისებში.

ამფიბოლითები და ამფიბოლითური ფიქლები უმეტესად გავრცელებულია კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდზე და გვხვდება კრისტალურ ფიქლებთან და გნეისებთან. წარმოქმნიან ლინზებსა და ფენებს, რომლებსაც არაკანონზომიერი გავრცელება აქვთ და კრისტალურ ფიქლებთან და გნეისებთან მონაცვლეობენ. ესაა მომწვანო-მოშავო, მკვრივი, მასიური ქანები. აქვთ სუსტად გამოხატული ზოლებრივი, უფრო კი მარცვლოვანი აგებულება. ისინი ძირითადად შედგებიან ამფიბოლისაგან, პლაგიოკლაზისა და კვარცისაგან.

მაგმური ქანები წარმოდგენილია გრანიტ-დიორიტული ტიპის სახესხვაობით. შედგება: კვარცის, ბიოტიტის, მუსკოვიტის, პლაგიოკლაზისა და მიკროკლინისაგან. იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობით არის ქანში პლაგიოკლაზი, მიკროკლინი, მუქი მინერალები და კვარცი, გამოყოფენ გრანიტების სხვადასხვა სახესხვაობებს.

მნიშვნელოვანია რღვევები, რომლებიც გასდევენ კავკასიონის მთავარ

ქედს მთელ მის გაშიშვლებაზე. აქ გამოიყოფა სხვადასხვა ტიპის რღვევები, რომელთაგან უმთავრესია მთავარი კავკასიონის რღვევა.

დღეს მესტიის რაიონში მუშაობს ერთი საავადმყოფო, კავშირგაბმულობის ცენტრი, ფოსტა, სასტუმრო, 12 საშუალო და 6 რვაწლიანი სკოლა. მესტია იღებს ტელეგადაცემებს, ფუნქციონირებს მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ამოქმედდა წმინდა გიორგის ეკლესია. დაუმთავრებელია მესტია-ჰაწვალის საბაგირო გზა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს აქ სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარებისათვის. რაიონში ფართოდაა განვითარებული სპორტის ისეთი სახეობები, როგორებიცაა: ჭიდაობა, კრივი, ალპინიზმი, კლდეზე ცოცვა, სამთო-სათხილამურო სპორტი.

6.3. ქვემო სვანეთი (ლენტეხის რაიონი)

ქვემო სვანეთი მდებარეობს მდინარე ცხენისწყლის აუზში. მდინარე სათავეს იღებს 2707 მეტრზე ზღვის დონიდან, კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე. ცხენისწყალს მარჯვენა მხრიდან ერთვის ხელედურა, ლასკადურა, მარცხნიდან — ზესხო, ლაფური, გობიშური, ლეუშერი, ხოფური და სხვა მცირე მდინარეები.

რაიონის რელიეფი მთიანია: ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრულია კავკასიონის მთავარი ქედით, აღმოსავლეთიდან ლეჩხუმის ქედით, სამხრეთიდან ლეჩხუმისა და სამეგრელოს, ხოლო დასავლეთიდან სვანეთის ქედებით. ჩრდილოეთით მისი მოსაზღვრეა რუსეთის ფედერაციაში შემავალი ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა. დანარჩენი მხარეებით ესაზღვრება საქართველოს რეგიონებს: ზემო სვანეთს, რაჭასა და ლეჩხუმს. რაიონის ფარგლებშია კავკასიონის მთავარი ქედი, მწვერვალით აილამა, რომლის სიმაღლე 4544 მეტრია ზღვის დონიდან, სვანეთის ქედის სამხრეთ კალთაზეა მწვერვალი ღვადარაში (3750 მეტრი ზღვის დონიდან). რაიონის ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს ეგრისის ქედის მონაკვეთი, რომელზეც აღმართულია მწვერვალი ცეკური (3173 მ.) და ლეჩხუმის ქედზე მდებარე უმაღლესი მწვერვალი თეთნარი (2965 მ.).

მოსახლეობა ქართველები — სვანებია. იმავე ენობრივი, ისტორიული და ეთნოგრაფიული თვისებებით, რითაც ხასიათდებიან ზემო სვანები. ერთია ტრადიციები, ადათ-წესები და ზნე-ჩვეულებანი. ისინი მხოლოდ სვანე-

ქვემო სვანეთი



თის ქედის სხვადასხვა მხარეს — ერთნი ენგურის, მეორენი კი ცხენისწყლის ხეობაში სახლობენ. როგორც ზემო სვანეთის აღწერისას აღვნიშნეთ, სვანებს ოდესღაც უფრო დიდი ტერიტორია ეკავათ.

ბუნებრივი პირობების მხრივ, ქვემო სვანეთიც ზემოს ანალოგიური პირობებით ხასიათდება, ოღონდ აქ ნაკლებადაა კლდეებისა და მწვერვალების ზონა. რაიონში ყველაზე დაბალი ადგილი მდებარეობს 560 მეტრის სიმაღლეზე (მურის ხიდი), ყველაზე მაღალი კი 4544 მეტრი — მწვერვალი აილამა.

ლანდშაფტების მიხედვით აქაც იგივე სურათია, რაც ზემო სვანეთში. გამოიყოფა: მთა-ტყიანი, სუბალპური, ალპური, სუბნიველური და ნიველური ზონები.

ვერტიკალური ზონალურობის მიხედვით, ქვემო სვანეთიც მიეკუთვნება როგორც ზომიერად ცივ, მთა-მდელოს ნიადაგურ კლიმატურ ზონას, ისე მთა-ტყიანს და მთა-ველიანს. ამიტომ აქაც განვითარებულია სამთო მესაქონლეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა და მევენახეობა, თანაც უფრო ფართოდ, ვიდრე ეს ზემო სვანეთშია.

მცენარეული საფარის მიხედვით, ქვემო სვანეთიც მეტად მდიდარია. აქ გვხვდება მუხისა და წაბლის ფოთლოვანი ტყეები: წიფლნარი, რცხილნარ-წიფლნარი, წაბლნარ-წიფლნარი, მარადმწვანე წიწვოვანი ტყეები, ნაძვნარი, სოჭნარი, ნაძვნარ-სოჭნარი, წიფლნარ-სოჭნარი და წიფლნარ-ნაძვნარ-სოჭნარი ტყეები. ბევრგან შეხვდებით სუბალპურ ტყეებსაც — არყნარს, ცირცვლიანს, ნეკერჩხალს, ტანდაბრეცილ არყნარებსა და ნეკერჩხლიანებს. მაღალ ტყიან ნაკვეთებს ენაცვლება მაღალბალახეულობა და სუბალპური მდელოები. მაღალმთიანი ზონის მშვენებაა დეკის მარადმწვანე ბუჩქნარი. ტყეების სიუხვე მათი მცირე რეწვის საშუალებას იძლევა (სანიტარიული ჭრა). მრავალფეროვანია ფაუნაც. აქ ვხვდებით: დათვს, მგელს, მელას, ციყვს, კურდღელს, ჯიხვს, გარეულ თხას, გარეულ კატას, მთის ინდაურს, მთის ქათამს, ფსიტს, მდინარეებში ბინადრობს კალმახი.

მიწის ფართობის მხრივ ლენტეხის რაიონში არის სახნავი 1122 ჰექტარი, სათიბი 6391, ხოლო სძოვარი — 31561 ჰექტარი. რაიონის საერთო ფართობია 1344,4 კვ.კმ.

ცხენისწყლის ხეობაში, ცანაში გვაქვს დარიშხანის საბადო და სპილენძ-პოლიმეტალური მადანგამოვლინება ზესხო-ლაფურის მიდამოებში. არა-

მადნეული სასარგებლო წიაღისეულიდან ქვემო სვანეთში აღსანიშნავია ჩოლურის მარმარილოს საბადო და მურის ხიდის კირქვის (საკირე კირქვის) საბადო. აქ არის კვარციტების მნიშვნელოვანი მარაგიც. მინერალური წყლის ბაზაზე მოქმედებს ადგილობრივი მნიშვნელობის ბალნეოლოგიური კურორტი მუაში.

ქვემო სვანეთი სამი თემისაგან შედგება: ლენტეხის, ჩოლურისა და ლაშხეთის. მოსახლეობა 15000 კაცია.

ქვემო სვანეთში ორი დიალექტია – ლაშხური და ლენტეხური. ამ ორი დიალექტიდან ერთი ზანურს მიემსგავსება, მეორე კი აღმოსავლეთ-ქართულს. ლენტეხის რაიონში მდებარეობს ალპინისტური ბანაკები „აილამა“ და „ზესხო“. რაიონის ტერიტორიაზე არის ისტორიული მნიშვნელობის მრავალი ძეგლი, მათ შორის წმინდა გიორგის ეკლესია სოფელ ჯახუნდერში „ჯგირაგ“ (X საუკუნისა), IX-X საუკუნეების ძეგლი – ჩეკულის მთავარანგელოზის ეკლესია – „თარგზელ“, X-XI საუკუნეების ღვთაების ეკლესია თეკალში, IX-X საუკუნეების ფაყის მთავარანგელოზის ეკლესია – „თარგზილ“, აგრეთვე ლექსურის კოშკები, რომლებიც შუა საუკუნეებშია აშენებული, დადიანების ციხე-დარბაზთა კომპლექსი ლენტეხში და სხვ.

რაიონის ცენტრია ლენტეხი. იგი მდებარეობს ზღვის დონიდან 760 მეტრზე, სვანეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდინარე ცხენისწყლის ნაპირზე. ლენტეხი ადმინისტრაციულად აერთიანებს სოფლებს: ბაბილს, კახურას, მელურას, ყარიშს, ლასკადურას და გულიდას.

ლენტეხის რაიონში მსხვილი დასახლებული პუნქტებია: რცხმელური, ჩიხარეში, ჩოლური, სასაში, ხელედი, ჯახუნდერი, ხოფური, ცანა და სხვ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზემო სვანეთის აღწერისას, ქვემო სვანეთიდან ჩრდილოეთ ფერდზე გამავალ ბილიკთა შორის მნიშვნელოვანია ზესხოს უღელტეხილზე გამავალი ბილიკი.

ჩრდილოეთ ფერდზე ქვემო სვანეთის მეზობლებიც ბალყარელები არიან. გეოლოგიური აგებულების თვალსაზრისით აქაც იგივე სურათი გვაქვს, რაც ზემო სვანეთში.

6.4. რაჭა

ისტორიული რაჭა ამჟამინდელი ონისა და ამბროლაურის რაიონებია, ნაწილობრივ ის ჯავის რაიონის ჩრდილოეთი ნაწილის ტერიტორიასაც

მოიცავდა. თავისი აგებულებით, ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, რაჭაში სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული ზოლი გამოიყოფა. ეს გახლავთ: მთის რაჭა, ქვემო რაჭის ჩრდილოეთი ნაწილი და ქვემო რაჭის სამხრეთი ნაწილი.

რაჭა მდინარე რიონის სათავეებში მდებარეობს. აქ ადამიანთა ცხოვრება ჯერ კიდევ ქვის ხანაში ჩქეფდა. ქვედისა და კუდაროს გამოქვაბულებში ნახულ პალეოლითის დროის კულტურულ მემკვიდრეობას აღტაცებაში მოჰყავს სწავლულები. რაჭის სოფლებში, მიწის ზედაპირზე, დღესაც პოულობენ ნეოლითური და ბრინჯაოს ხანის შესანიშნავ ძეგლებს.

რაჭა საქართველოს მძლავრი საერისთავო იყო, ლეჩხუმთან ერთად იგი თაკვერის სახელით, ქართულ ისტორიულ წყაროებში X საუკუნიდან იხსენიება. ამ დროს რაჭის საერისთავო მდიდარი და ხალხმრავალი იყო. XII საუკუნის დამდეგს აქ მსოფლიო ხუროთმოძღვრების შედევრი ნიკორწმინდა აშენდა. აქაური ერისთავები საქართველოს სამეფო კარზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. რაჭა ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვარს საიმედოდ იცავდა, ეს კუთხე ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარეობდა, რაც დიდად უწყობდა ხელს აქ მოსახლეობის სიმრავლესა და ცხოვრების მაღალ დონეს. რაჭა იმთავითვე ორ ძირითად სასოფლო-სამეურნეო რეგიონად: ზემო და ქვემო რაჭად ჩამოყალიბდა. მათ შორის



რაჭა

ზემო რაჭა. ბილიკი მამისონის უღელტეხილისაკენ

ზემო რაჭა. კირტიშოს უღელტეხილი. მოჩანს კირტიშოს მყინვარი

საზღვრად ხიდიკარის ბუნებრივი კლდეკარი გახდა. შეიცნეს რა მთის ვერტიკალური ზონალურობა, მოსახლეობა მთის ძირში დასახლდა, მაღალმთიანეთსა და ბარს შორის შუალედური ადგილები დაიჭირა და ვენახოვანი ზოლიდან მოკიდებული, მაღალმთის ყვავილოვანი კორდების ჩათვლით, შერწყმულ მეურნეობას ეწეოდა.

მთიანი რაჭა მდებარეობს მდინარეების — რიონის სათავისა და ჭანჭახისწყალს შორის, ჩრდილოეთი განედის 42°54' და აღმოსავლეთ გრძედის 43°22'—43°51" შუა. უჭირავს დაახლოებით 640 კმ² ფართობი. იგი მოქცეულია კავკასიონის მთავარ ქედსა და შოდა-კედელას ქედს შორის, საშუალო სიმაღლე 3800 მეტრს აღემატება ზღვის დონიდან. შემოზღუდულია მაღალი მთებით: ფასის მთა 3787 მ., გეზე — 3870 მ., ლაბო და წითელი მთა — 4317 მ., წიხვარგა — 4137 მ., ბურჭულა 4356 მ., შოდა — 3607 მ. ამ მთათა ფერდობები და კალთები 2600 მეტრამდე ტყითაა შემოსილი, ტყის საზღვარს მოჰყვება ალპური ზოლი, რომელიც სუბალპურ მდელოთა მთლიანი ხალიჩითაა დაფარული. მის შემდეგ იწყება ტიტველი კლდეები და თოვლ-ყინულიანი წვეტიანი მწვერვალები. ეს მყინვარები ასაზრდოებენ რიონის სათავის ტოტებს: ჩვეშურას, ნოწარულას, ჭანჭახს და სხვ. აქ წლის განმავლობაში ცივი ამინდია (წლის საშუალო ტემპერატურა +16,5°-ია), ზამთარი კი ძალიან ცივი და თოვლ-ყინულიანია. იანვრის ტემპერატურა -12°-დან -18°-მდეა. ზაფხული გვიან დგება, შემოდგომა — ადრე. ზაფხული გრილია და მოკლე (ივლისის საშ. ტემპერატურა 0+10°-დან 14°-მდეა). ატმოსფერული ნალექების რაოდენობა 1000 მილიმეტრს აღწევს და უმთავრესად თოვლის სახით მოდის.

კავკასიონის მთავარი ქედი ჭანჭახის მთასთან საკმაოდ დაბლდება (2850 მ.) და ქმნის ჭანჭახისა და მამისონის უღელტეხილებს, რომელიც რაჭას აკავშირებს არდონის ხეობასთან (ჩრდილოეთ ოსეთი). სოფელ ღებიდან და გლოლა-ჭიორიდან არის კირტიშოს, ღრეჯამის, ნოწარის უღელტეხილები, რომელთა მეშვეობით გადადიან დიგორში. მთის რაჭის სოფლებია ღები (1550 მ.), ჭიორა (1500 მ.), გლოლა (1400 მ.). მთის რაჭას დასავლეთით საზღვრავს რაჭა-სვანეთის ქედი (უმაღლესი მწვერვალებია ჭუთხარა და ლაფიწყალი 3500 მ.). აქ ორი უღელტეხილია, პირველი — ფასის მთით მარყალში, მეორე კი — ვაცის წვერი სვანეთში. ჩრდილოაღმოსავლეთით რაჭას საზღვრავს ოსეთი, ყარაჩაი და ბალყარეთი.

არქეოლოგიური მასალა გარკვევით უჩვენებს, რომ მთის რაჭაში



ზემო რაჭა. ბუბას ქედი



ზემო რაჭა. გეზევცეკის უღელტეხილის მიდამოები

ზემო რაჭა. მამისონის უღელტეხილი

ზემო რაჭა. ადგილი მთა ბუბასა და მთა თბილისას შორის

(ღები, ჭიორა, გლოლა) ადამიანს ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში, ქრისტემდე რამდენიმე საუკუნით წინ უცხოვრია, მაგრამ ამ მოსახლეობის ვინაობის გარკვევა ჯერჯერობით ვერ ხერხდება. შემდეგში ამ ტერიტორიაზე სვანები დასახლებულან და მთელი ეს კუთხე XV საუკუნის პირველ ნახევარში სვანეთის საკუთრება ყოფილა. შემდეგ სარგის ჯაფარიძეს სვანებისათვის ქვემო სვანეთიდან ლაშხეთი წაურთმევია და მთელი მთის რაჭა.

ზემო რაჭა შარიეცეკის (3434 მ.) და გეზევცეკის (3462 მ.) გადასასვლელებით უკავშირდება ბალყარეთს, ხოლო ჭანჭახის, მამისონის (2820 მ.), გებევცეკის (3461 მ.) და გურძიევცეკის (3349 მ.) გადასასვლელებით — ოსეთს.

ქვემო რაჭის სამხრეთი ნაწილი მოიცავს მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე კავკასიონის სამხრეთი ფერდის წინა ნაწილს. მისი აღმოსავლეთი მცირე ტერიტორია ონის რაიონის შემადგენლობაშია.

ჩრდილოეთი საზღვარი ემთხვევა მდინარე რიონს და გადის სოფლებს — ზუდალსა და ზედა ღვარდიას შორის. აღმოსავლეთი საზღვარი მდინარე ხეორას აუზის აღმოსავლეთ წყალგამყოფ ხაზს მიუყვება, გადადის ფოცხვრევის ქედის თხემზე (მწ. 2404,7 მ.) და ამ უკანასკნელზე გავლით რაჭის ქედის თხემზე გრძელდება, აქედან იწყება რაიონის სამხრეთი საზღვარი, რომელიც გასდევს რაჭის ქედის თხემურ ხაზს დასავლეთის მიმართულებით და გრძელდება მდ. რიონამდე, ჩრდილოეთი საზღვრის დასაწყისამდე. მოცემულ საზღვრებში ტერიტორიის ფართობი 672 კმ²-ია.

რაიონს უკავია რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის სამხრეთი ფრთა და საკმაოდ რთული რელიეფით ხასიათდება. აქ გვხვდება ქედები, რომელთა სიმაღლე 1500-2400 მ. ფარგლებში მერყეობს. გვხვდება აგრეთვე დაბალმთიან-ბორცვიანი და ტერასირებული რელიეფი, ღრმა ციცაბო ფერდობიანი და ვიწროფსკერიანი ხეობები, ადგილ-ადგილ კანიონებით. მდინარე რიონი ხასიათდება ფართო და შედარებით ბრტყელი ფსკერით. მორფოლოგიურად აქ სამ ნაწილს გამოყოფენ: 1. რაჭის ქედის თხემური ზოლი; 2. მდინარე რიონის ხეობა; 3. მათ შორის მდებარე მთა-ხეობიანი ზოლი.

რაჭის ქედი ასიმეტრიულია. აქ გვხვდება მწვერვალები: ფოცხვრევი — 2405 მ., ხიხათა — 2243 მ., ველტყევი — 1927 მ., საწალიკე — 1997 მ., უსახელო — 1829 მ., ნაქერალა — 1371 მ., წმინდა გიორგის — 1828 მ.,

თავშარა – 1760 მ., უნაგირები: შქმერი, უდაბნო, შხივანა, დოლწვერის მთა, ნაქერალა, თხმორი და სხვა. ქედის ჩრდილოეთი ფერდობის საერთო დახრილობა გართულებულია სერებით, ბორცვებით, ფლატეებით, ძაბრებით, დოლინებით, რაც რელიეფს უსწორმასწოროს ხდის.

რაჭის ქედსა და მდინარე რიონის ხეობას შორის მდებარე სივრცე ხასიათდება საშუალომთიანი, სერებიან–ბორცვიანი და ხეობიანი რელიეფით. მთათა სიმაღლე 1000-1500 მეტრია. გვხვდება საკმაოდ ღრმა და ვიწროფსკერიანი ხეობები: ხეორა, შარულა, კრიხულა, ზნაკვურა, შარეულა და სხვა. ეს ზოლი ტბების სიხშირითაც გამოირჩევა.

მდ. რიონის ხეობა ხასიათდება გორაკ-სერებიანი, ტერასისებური რელიეფით. თვით ხეობის ფსკერი სუსტადაა დახრილი, საკმაოდ ფართოა (300-400 მ.) და მდინარე მათზე მეანდრეებს ქმნის. ხეობის ფორმა ზოგ ადგილას კანიონისებურია (სოფლების სორის, წესის და ზემო ღვარადიის ქვემოთ).

ქვემო რაჭის ჩრდილოეთი რაიონი მდებარეობს ლეჩხუმის ქედის სამხრეთ ფერდზე და მოიცავს მდინარე რიონის მარჯვენა შენაკადებს – ასკისწყალს, რიცეულას, ლუხუნის წყალს და სონტარულას. მორფოლოგიურად ეს რაიონი შედგება რაჭის გასწვრივი ქვაბურის, ლეჩხუმის ქედისა და მისი სამხრეთი ტოტებისაგან. ქვაბულში გამოიყოფა ჩრდილოეთი ფრთა, რომელიც საშუალო სიმაღლის ქედს (სოჩიბი, საელიო) წარმოადგენს. ლეჩხუმის ქედის რაიონში გამოიყოფა ჭუთხარო-სამერცხლის მასივი (ჭუთხარო-კუპრის ქედი).

ლეჩხუმის ქედი რაიონში შედის მწვერვალ ლელაშხიდან (3152 მ.) აღმოსავლეთისაკენ მწვერვალ ლუხუნის წვერამდე (3185 მ.), სადაც იგი ებმის შოდას ქედს. ქედის ცალკეული მწვერვალები 3000 მეტრზე მაღალია (ჭუთხარო 3539 მ.). აქ არ გვხვდება მუდმივი თოვლი და ყინული, გარდა ჭუთხარო-სამერცხლის მასივისა, რომელიც გაცილებით მაღალია, ვიდრე ლეჩხუმის ქედის დანარჩენი ნაწილი. ლეჩხუმის ქედს მწვერვალ ლუხუნისწვერთან ებმის სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიმართული საკაოს ქედი, რომელიც მდინარეების საკაურას და ლუხუნისწყლის წყალგამყოფია.

ლეჩხუმის ქედსა (მწვერვალ ჭუთხაროსთან) და საკაოს ქედებს (მწვერვალ კოპრას) შორის გაჭიმულია ჭუთხარო-კუპრის ქედი. ლუხუნის ხეობით გაკვეთილ ამ ქედზე მდებარეობს მწვერვალები ჭუთხარო (3539 მ.), სამერცხლე (3584 მ.) და კარეტა (3078 მ.). რაიონს უჭირავს

მთისწინეთი და შედის რაჭა-ლეჩხუმის ქვეზონაში. რელიეფში სამი ტიპი გამოიყოფა: 1. მაღალი კლდოვანი თხემების რელიეფი, თანამედროვე გამყინვარებით (სამერცხლე-ჭუთხაროს მასივი); 2. მაღალი კლდოვანი მთების რელიეფი, ღრმა-გამკვეთი ხეობების სიჭარბით (ასკისწყლის, რიცეულას, ლუხუნისწყლის აუზები); 3. დაბორცვილი რელიეფი (რიონის ხეობა სოფლებს ღვარდიასა და კვაცხუთს შორის).

მთლიანად რაჭა დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ ორმოცდაათი კილომეტრის სიგრძეზეა გადაჭიმული, მაქსიმალური სიგანე კი (ქ. ონის მერიდიანზე) 45-50 კმ-ია. ტერიტორიის უმაღლესი პუნქტი, მწვერვალ ჭანჭახის წვერი, ზღვის დონიდან 4453 მეტრზეა, ხოლო უდაბლესი ადგილი რიონის ხეობის ფსკერი, დაახლოებით ტვიშის კლდეკარის ფარგლებში 320 მეტრზეა. რაჭის ტერიტორიაზე, როგორც ზემოთ მოყვანილი მონაცემები მოწმობენ, გამოიყოფა მაღალმთიანი, საშუალომთიანი და დაბალმთიან-ბორცვიანი რელიეფი. საქართველოს ეს მხარე მდებარეობს დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული კლიმატური ოლქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. აქ ჰაერის ტენიანობა ნაკლებია და ჰავაც უფრო კონტინენტურია, ატმოსფერული ნალექების რაოდენობა 1100-1200 მმ-ის ფარგლებში მერყეობს, ნაქერალას ქედზე კი ნალექების რაოდენობა 1600-2000 მმ-ს აღწევს.

მხარის ქვედა ზონაში, დაახლოებით 1200 მ სიმაღლეზე, ზაფხული ცხელია და ხანგრძლივი, ივლის-აგვისტოს ტემპერატურა +20-22,5 გრადუსია. ზამთარი ზომიერად ცივია, იანვრის საშუალო ტემპერატურა +1 გრადუსია, თოვლის საბურველი 1-2 თვე დევს წელიწადში.

ზღვის დონიდან 3000-3200 მეტრზე იწყება მუდმივი თოვლისა და ყინულის ზონა. ჰიდროგეოგრაფიული თვალსაზრისით, რაჭის მთელი ტერიტორია რიონის სისტემაში შედის, აქ გვაქვს მთის მდინარეების გაბატონებული როლი და ტბების ნაკლებობა. მდინარეთა დინება ჩქარია, კალაპოტი მეტწილად კლდიან-ქვიშიანი, წყალი ცივი. რიონის მარჯვენა შენაკადებიდან აღსანიშნავია საკაურა, ლუხუნისწყალი, ასკისწყალი, რიცეულა, ხოლო მარცხენათაგან — ჭანჭახი, ღარულა, ჯეჯორა (შენაკად ქვედრულათი), ხეორი, შარეული და სხვა. ტბებიდან აღსანიშნავია კარსტული და მყინვარული გენეზისის მქონე ტბები და შაორის წყალსაცავი. მდინარე ქვედრულას აუზში მთა კლებოძალას ჩამონგრევის შედეგად გაჩენილია ქედის ტბა.

რაჭა მდიდარია მინერალური წყლებით (შოვი, უწერა). აქ გვხვდება ნიადაგური საფარის მრავალფეროვნებაც, რაც ემორჩილება ვერტიკალური ზონური გავრცელების კანონზომიერებას. ფართოდაა გავრცელებული ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები, მათი საშუალო სისქეა 40-60 სმ. 300-400 მ-დან დაწყებული, ტყის ზონის ზედა საზღვრამდე გავრცელებულია ყომრალი ნიადაგები. მათი საშუალო სისქე 60-80 სმ აღწევს. ტყის ზონის ზემოთ ყომრალ ნიადაგებს მთა-მდელოს ნიადაგები ცვლის. მათ მცირე სისქე ახასიათებს — 30-40 სმ.

რაჭის მცენარეულობის ძირითად ტიპებად გვევლინება:

1. მუხნარ-რცხილნარი, წაბლნარ-რცხილნარი და ფიჭვის ტყეები, რომლებსაც უჭირავთ ჰიფსომეტრიული სიმაღლე — 600-1200 მ-მდე. ამჟამად, განადგურებულია და ბუჩქნარითა და მეორეული ბალახეულითაა შეცვლილი;

2. წიფლნარი ტყეები 1200-1500 მ. სიმაღლეზე, ალაგ-ალაგ 2000 მეტრამდეც, ქმნის მთლიან სარტყელს;

3. წიფლნარ-მუქწიწვოვანი და მუქწიწვოვანი (ნაძვნარ-სოჭნარი) ტყეები 1400-2000 მ-ზე, მაგრამ არა ყველგან, ზოგიერთ ხეობაში, მაგალითად, ლაჯანურის ხეობაში არ არის;

4. სუბალპური ტყეები, რომლებიც ვიწრო ზოლს ქმნიან ტყის ზედა საზღვართან გვხვდება არყის ან ტანბრეცილი ტყის სახით და შერწყმულია მაღალმთის ბუჩქნართან ან სუბალპურ შამბნარებთან;

5. სუბალპური და ალპური მარცვლოვან-ნაირბალახოვანი მდელოები.

ნადირთა სამყაროც ნაირფეროვანია. გვხვდება შველი, კავკასიური მურა დათვი, გარეული ღორი, ჯიხვი, არჩვი, მგელი, მაჩვი, ტყის კვერნა, კავკასიური დედოფალა, ტურა, გარეული კატა, მელა, ფოცხვერი, ციყვი, ტყის თაგვი, კურდღელი.

ფრინველებიდან არის შურთხი, ორბი, კრავიჭამია, ალპური ჭკა, მოლაღური, კულუმბური, ნიბლია (სკვინჩა), ტყის ტოროლა, ბულბული, ჩხიკვი, შაშვი, კოდალა, არწივი, ყვავი.

იქთიოფაუნიდან მდინარეებში გავრცელებულია: კოლხური ხრამული, ლოქო, წვერა, ქაშაყი, ბოლოწითელია და სხვა. რიონსა და მისი შენაკადების ზემო წელში არის კალმახი.

ონის რაიონის ტერიტორია 135368 ჰექტარია, ე.ი. 1354 კმ². 1989

წლის მონაცემებით, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები შეადგენდა 2901 ჰექტარს, სათიბებს ეჭირა 18702, საძოვრებს 23203, ტყეებს 63767, ბუჩქნარებს 1208, გზების ქვეშ ტერიტორიას 16180, მყინვარებს 3768, წყლის ფონდის მიწები შეადგენდა 14035 ჰექტარს.

რაიონის მოსახლეობა 1985 წლის პირველი იანვრისათვის შეადგენდა 14768 კაცს. დასახლებული პუნქტების რაოდენობა იყო 64 (სოფელი), რომლებიც გაერთიანებული იყვნენ 16 სასოფლო საბჭოში.

ონის რაიონში მუშაობდა მსუბუქი მრეწველობის საწარმოები — სამკერვალო ფაბრიკა, სამთო-ქიმიის საწარმო — ირი, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი დამხმარე საწარმოებით, კვების მრეწველობის საწარმოები — ყველ-კარაქისა და ღვინის ქარხანა, ხის დამამუშავებელი ქარხანა, სტამბა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმო. რაიონში მოქმედებდა 2 კურორტი — უწერა და შოვი. უმეტესობა დღეს მოშლილი ან გაჩერებულია. ონის რაიონის ცენტრია ქალაქი ონი, რომელსაც 216 ჰექტარი ფართობი უკავია. იგი გაშენებულია მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე, არის შესანიშნავი დასასვენებელი და საკურორტო ადგილი.

ამბროლაურის რაიონში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს 5522 ჰექტარი უჭირავს, სათიბებს — 3345, საძოვრებს — 19173 ჰექტარი. მნიშვნელოვანი საწარმოებიდან უნდა აღინიშნოს სამთო-ქიმიის ურავის დარიშხნის წარმოება, კვების მრეწველობიდან — ღვინის ქარხანა. არის სხვა საწარმოებიც, რომელთაგან დღეისათვის ზოგი გაჩერებულია, ზოგი ნახევარი დატვირთვით მუშაობს, უმეტესობა კი გაუქმებულია. ამბროლაურის რაიონის ცენტრი ქალაქი ამბროლაურია, რომელიც აგრეთვე მდინარე რიონის მარცხენა ფერდობზეა გაშენებული. იგი ერთ-ერთი ლამაზი დასახლებაა რაჭის ტერიტორიაზე. რაიონს აქვს შესაძლებლობა საკურორტო მეურნეობის განვითარებისათვის (სოფლები: ვალევი, ბეთლევი, შხივანა, წკადისი, სხარტალი, თლუღი). აქ შესაძლებელია ეთნოგრაფიული ნაკრძალის თუ პარკის შექმნა და მრავალი სხვა.

ქვემო რაჭის მეურნეობის მაპროფილებელი დარგი მევენახეობა-მეღვინეობაა, ხოლო ზემო რაჭისა — მესაქონლეობა.

რაჭის თბილი, ქარებისაგან დაცული ხეობები, მეტადრე საირმის გადასასვლელიდან ხიდიკარამდე, ვაზის კულტურის ჩასახვა-განვითარების ერთ-ერთ კერად უნდა მივიჩნიოთ. მევენახეობა-მეღვინეობას მოსახლეობა არა მარტო ქვემო რაჭის დაბლობ სოფლებში მისდევდა, არამედ ისეთ

სოფლებშიც, როგორიცაა: ნიკორწმინდა, ხორჭიორი, ნამანევი, ზედა შავრა, პატარა ონი, გორისუბანი, შხივანა, ბეთლევი, ველევი, სახარტალი, წკადისი, თლული, აგარა, უყეში, კაჩაეთი, მოტყიარა, შქმერი, მრავალძალი, ბაჯიხევი, გლოლა, ხიდეშლები, ბაჟიეთი, საკაო, ბორცო და სხვ. რაჭის ვენახები ათეულობით კილომეტრით იყო დაშორებული სამოსახლოს, აქაურები მას სათუთად უვლიდნენ. მესაქონლეობა ღებში, ჭიორასა და გლოლაში მომგებიანი იყო. რაჭაში ხარობდა ვაზის უნიკალური ჯიშები: ალექსანდრეული, მუჯურეთული, შავი კაბისტონი; გავრცელებული იყო იფქლი, დიკა, ხულოგო, დოლის პური (მარცვალი), რცხილი, მახა და ზანდური.

ათასწლოვანი რუდუნებით, ნიჭითა და ძალისხმევით, მრავალგზის ცდისა და დაკვირვების შედეგად წარმოიქმნა ყოფისა და მეურნეობის ფორმები, რაც თანდათან მტკიცე საწარმოო ჩვევად ჩამოყალიბდა.

რაჭველებს სახალხო დიპლომატიის დონეზე მუდამ ჰქონდათ კავკასიონის ჩრდილოეთ კალთაზე მცხოვრებ ხალხებთან ტრადიციული, ურთიერთსასარგებლო, მეგობრული ურთიერთობა.

1950 წლებიდან დაიწყო რაჭის მეურნეობის ინტენსიური მოშლა, დაქვეითდა შრომის ორგანიზაცია, გამოუყენებელი დარჩა სავარგულები. ყოველივე ამის გამო, გაძლიერდა რაჭის მოსახლეობის მიგრაცია.

მიგრაციული პროცესები რაჭაში ყოველთვის აღინიშნებოდა, ეს გამოწვეული იყო უფრო მიწის სიმცირით, ვიდრე მისი ცუდი გამოყენებით. რაჭიდან მოსახლეობის მიგრაციას 1878-1888 წლებში ილია ჭავჭავაძეც გამოხმაურებია. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიური 1951 წლიდან გახდა. მცირემიწიანობით გამოწვეული მიგრაცია (ძველად), შეცვალა შრომისა და ყოფითი პირობების გაუარესებით, შრომის შედეგებით მატერიალური დაუინტერესებლობით გამოწვეულმა მიგრაციამ. ყოველივე ამას მოჰყვა სოფლების გაუკაცრიელება.

რაჭა გამოირჩევა შესანიშნავი ლანდშაფტით, ბუნებრივი სიმდიდრით, წყლის რესურსებით, მინერალური წყლების სიუხვით, იგი საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა. მას დიდი პერსპექტივები გააჩნია სარეკრიაციო-ტურისტული და საკურორტო მეურნეობის განვითარებისთვის. სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების აღორძინება კი (მესაქონლეობა ზედა, ხოლო მევენახეობა-მეხილეობა ქვედა ზონაში) ხელს შეუწყობს აქ მოსახლეობის დამაგრებას და რაჭას ქვეყნის ეკონომიკის გაუმჯობესების ერთ-ერთ წამყვან რეგიონად გადააქცევს.



აღმოსავლეთ კავკასიონი

6.5. ხევი

ხევი ადრეულ შუა საუკუნეებში მოიხსენიებოდა როგორც წინარეთი. დღეს ის ყაზბეგის რაიონია და მდებარეობს კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდზე ცენტრალურსა და აღმოსავლეთ კავკასიონს შორის გარდამავალ ზოლში, თერგის სათავეებში.

სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის გამო იგი პოლიტიკური და ადმინისტრაციული თვალსაზრისით სამეფო ხელისუფლებას ექვემდებარებოდა, გარდა იმ პერიოდისა (XVII საუკუნის ოციანი წლებიდან 1743 წლამდე), როცა ხევი არაგვის ერისთავებს ემორჩილებოდა. XVII საუკუნეში ხევი სტეფანწმინდის, ფანშეტის, სნოს და მნის (თრუსოს ხეობა) სამოურავოებად იყოფოდა. 1744 წ. ხევის ოთხ მოურავს შორის დაწინაურდა სტეფანწმინდელი ყაზბეგ ჩოფიკაშვილი. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ხეობის პატრონი გახდა ყაზბეგის შვილი — გაბრიელი. სწორედ მისი მამის სახელიდან წარმოიქმნა ახალი გვარი — ყაზბეგი.

ხევის ლანდშაფტური რეგიონის სამხრეთი საზღვარი კავკასიონის მთავარი ქედის თხემს გასდევს მწვერვალ ზილგახოხიდან უღელტეხილ ბურსაჭირამდე. რაიონის დასავლეთი საზღვარი მწვერვალ ზილგახოხიდან არდონ-თერგის წყალგამყოფს მიჰყვება მწეერვალ სივერაუტისაკენ

ხევი
სძევატიური რუკა



და ხევს ჩრდილოეთი ოსეთისაგან (დასავლეთის ქვაბულისაგან) გამოყოფს. ჩრდილოეთიდან ხევს (ყაზბეგის რაიონს) ესაზღვრება ჩრდილოეთი ოსეთი (მდ. ფიაგდონის და გიზელდონის აუზები) და ჩეჩნეთ-ინგუშეთი. საზღვარი ემთხვევა გვერდითი ქედის შემადგენელი ხოხისა და სხვა მასივების ქედებს. იგი გადის მწვერვალების სუათისიხოხის, ჯიმარაიხოხის, მყინვარწვერის, შავანას, გველისმთის მწვერვალებზე და დარიალის კლდეკარს ჰკვეთს ლარსსა და გველეთს შორის. აღმოსავლეთი საზღვარი მთა გველისმთიდან თერგისა და ხევსურეთის არაგვის წყალგამყოფს მისდევს, მთა ჭაუხის გავლით, მიემართება ბურსაჭირის ულელტეხილისაკენ.

ხევისთვის დამახასიათებელია მაღალმთიანი რელიეფი, ძველი გრანიტებისა და ახალგაზრდა ვულკანური ქანების არსებობა, მნიშვნელოვანი გამყინვარებები და მდინარეთა მყინვარული რეჟიმი, მინერალური წყლების გამოსავლების სიმრავლე, ჰავის შედარებითი სიმშრალე, მაღალმთიანი ხეობების თითქმის სრული უტყეობა.

ხევის გეოლოგიურ აგებულებაში დამახასიათებელია იურული ნალექების გაბატონებული გავრცელება. ფიქლები გაკვეთილია ინტრუზიული დიაბაზური ძარღვებითა და დაიკებით, რომელთა ყველაზე ვრცელი გამოსავალი — ჭაუხის მასივი — ხევის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, ხევსურეთისა და მთიულეთის საზღვარზე მდებარეობს.

ხევის უმაღლესი პუნქტები მისი ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს და ხოხის ქედსა და მის აღმოსავლეთ გაგრძელებაზე მდებარე მასივების მწვერვალებს ემთხვევა.

ხევის კლიმატი კონტინენტურია. თუ სოფელ კობში, რომელიც ზღვის დონიდან თითქმის 2000 მ სიმაღლეზე, კავკასიონის მთავარი ქედის ძირში, სწორედ ჯვრის ულელტეხილის დაბალი უნაგირას პირისპირ მდებარეობს, წელიწადში 1070 მმ-მდე ნალექი მოდის, დაბა ყაზბეგში და აგრეთვე დარიალის კლდეკარის ახლოს მდებარე არმხის კურორტზე წლიური ნალექიანობა 650 მმ-ს არ აღემატება. საშუალო წლიური ტემპერატურა კობში +3,4^{0}C შეადგენს, ყაზბეგში — +5,8^{0}C, ყაზბეგში ივლისის საშუალო ტემპერატურაა +15,2^{0}C. მარადიული თოვლი 3500 - 3700 მ-ის სიმაღლიდან იწყება.

რაიონის მთავარი ჰიდროარტერია — მდ. თერგი, სათავეს იღებს ზილგახოხის მასივის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კალთების მყინვარებიდან. თერგის მარჯვენა შენაკადებიდან მხოლოდ ხდისწყალს (რუსუ-

ლად „კისტინკას“) შეიძლება ეწოდოს მყინვარული. გაცილებით ნაკლებად საზრდოობს მყინვარებიდან მეორე მარჯვენა შენაკადი - სნოს წყალი. თერგის თითქმის ყველა მარცხენა შენაკადი, პირიქით, ტიპობრივ მყინვარულ მდინარეებად გვევლინება. ისინი სათავეს ხოხის ქედზე იღებენ (მდ. რესიდონი, სუათისიდონი, მნაისიდონი, ჩხერი, ყაბახი).

უდიდესი მყინვარები — სუათისი, ორწვერი, დევდორაკი — 6-7 კილომეტრი სიგრძისაა.

ხევი, განსაკუთრებით კი თრუსოს ხეობა და ჯვრის უღელტეხილის მიდამოები,მდიდარია ჰიდროკარბონატული ტიპის მინერალური წყლებით.

ტყე, ადამიანთა მოქმედების გამო, ძალიან ნაკლებადაა, შემორჩენილია მხოლოდ ხდისა და ყაბახის ხეობათა ქვემო ნაწილებში და წარმოდგენილია უმთავრესად ფოთლოვანი ბუჩქნარით. ჰიფსომეტრიულად უფრო მაღლა (ფაქტობრივად რაიონის ძირითად სივრცეში) გავრცელებულია ალპური და სუბალპური მცენარეულობა. 2200-2800 მ. სიმაღლეზე ვხვდებით დეკიანებს, ტანდაბალი არყისა და ვერხვის ხეებს.

ფაუნიდან გვხვდება ჯიხვი, არჩვი.

მთა მცირე ხორისარი ჩამქრალკრატერიან ვულკანურ კონუსს წარმოადგენს. მთავარ ქედზე, ჯვრის უღელტეხილის ჩრდილო-აღმოსავლეთით ახალგაზრდა ვულკანებია: სახოკე, საძელე, მილიონა, წითელი და მთა ესიქომი (3572 მ.).

ხოხის ქედი განივი კავკასიონის გვერდითი ქედის ერთ-ერთი მძლავრი განშტოებაა, გადაჭიმულია მდინარე არდონიდან მდინარე თერგამდე, ის ხევს მხოლოდ მისი, მწვერვალ სივერაუტის აღმოსავლეთით მდებარე ნახევრით ეკუთვნის. ხოხის ქედი კავკასიონთან გადაბმულია განივი სერით, რომელიც არდონისა და თერგის წყალგამყოფია. მასზე თრუსოს უღელტეხილი (3150 მ.) მდებარეობს. ხოხის ქედის თხემზე — თერგისა და მისი მარცხენა შენაკადების ფიაგდონისა და გიზელდონის წყალგამყოფზე მდებარეობს (დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ): მთა სივერაუტი (3785 მ.), უღელტეხილი მიდაგრაბინი, მთა წითიხოხი (3905 მ.), სუათისიხოხი (4480 მ.), ჯიმარაიხოხი (4777 მ.), მაილიხოხი (4622 მ.) და მთა მყინვარწვერი (ხოხის ქედისა და მთლიანად კავკასიონის აღმოსავლეთი ნახევრის უმაღლესი მწვერვალი 5033 მ.). ქედის ღერძული ზოლი დიორიტებითა და დიაბაზებით არის აგებული, სამხრეთი კალთები კი — იურული თიხაფიქლებისა და ქვიშაქვების წყებებით.

ხოხის ქედის სამხრეთი ფერდობი მწვერვალ სივერაუტიდან მყინვარწვერამდე მყინვარებითაა დაფარული. უღელტეხილები ძნელი გადასალახავია და მოძრაობა მხოლოდ ალპინისტებს შეუძლიათ. სამხრეთი კალთები ალპური და სუბალპური ბალახეული მცენარეულობითაა შემოსილი, მხოლოდ ცალკეულ ხეობებშია (სუათისიდონი, მნაისიდონი) შემორჩენილი არყისა და ცირცელის, აგრეთვე ტირიფის ბუჩქნარი.

ხოხის ქედი აღმოსავლეთით მყინვარწვერის მასივით თავდება. მასივი დაგვირგვინებულია მყინვარწვერით, რომელიც ვულკანურ კონუსს წარმოადგენს. ფიქლებში ჩაჭრილ რადიალურად მიმართულ ხეობებს ქმნიან მყინვარწვერის მყინვარებიდან გამომავალი მდინარეები: მნაისიდონი, ჩხერი, ყაბახი (დევდორაკისწყალი) და სხვა. მყინვარწვერის ზედა ნაწილიდან მოცოცავენ საკმაოდ დიდი მყინვარები, რომელთაც არაერთხელ დაუზიანებიათ საქართველოს სამხედრო გზა დარიალში.

მყინვარწვერის მასივის მცენარეული საფარი წარმოდგენილია ძირითადად ალპური მდელოებითა და დეკიანებით. ყაბახის, ჩხერისა და ზოგიერთ სხვა ხეობაში შემორჩენილია სუბალპური ტანბრეცილი ტყებუჩქნარი, ცირცელით, არყითა და სიცივისამტანი სხვა ჯიშებით.

თერგის ხეობის მერიდიანული მონაკვეთის აღმოსავლეთით და სნოს ხეობის ჩრდილოეთით აღმართულია ხდის მთათა ჯგუფი, რომელიც გვერდითი ქედის ნაწილად გვევლინება. ამ მთების კალთებიდან გამოედინებიან თერგის მარჯვენა შენაკადები ხდისწყალი და არმხი. მთათა ჯგუფში შედის სამი მერიდიანული ქედი — ყურო, შავანა და კიდეგანი, რომელთა სამხრეთი ბოლოები ერთმანეთთან განედური ქედებითაა გადაბმული.

ყუროს ქედი თერგისა და ხდისწყალის წყალგამყოფია. მისი მწვერვალებია ყუროსწვერი (4091 მ.) და შანი (3948 მ.). იგი უშუალოდ დასცქერის თერგის მერიდიანულ ხეობას და დაბა ყაზბეგს.

შავანას ანუ შანის ქედი ხდისწყლისა და არმხის წყალგამყოფია. იგი ყუროს ქედზე საგრძნობლად მაღალია. მისი უმაღლესი მწვერვალი შავანა (შანი) 4439 მეტრი სიმაღლისაა.

ხევსურეთთან მოსაზღვრე კიდეგანის ქედზე აღმართულია მწვერვალები კიდეგანისმაღალი (4219 მ.), სახარისმაღალი (3906 მ.) და გველისმთა (3881 მ.).

ამ სამი ქედის შემაერთებელ განედურ სერზე ორი უნაგირისებური უღელტეხილია — კიბე და სამთრეხლოსღელე, რომლებითაც სნოს ხეო-

ბიდან საცალფეხო ბილიკები ხდისწყლისა და არმხის ხეობებში გადადის.

ხევის ხეობებიდან აღსანიშნავია თრუსოს ხეობა. იგი მოქცეულია კავკასიონის მთავარსა და ხოხის ქედებს შორის და მიმართულია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. მისი ფსკერი სოფელ კობთან 1950 მ-ის სიმაღლეზეა, სოფელ აბანოსთან 2200 მ-ზე, მდინარე სივერაუტის შესართავთან — 2450 მ-ზე.

თრუსოს ხეობაში მრავალი მინერალური წყაროა, ხშირად დიდი დებეტით. მაგალითად, სოფელ ქეთერისთან, სოფ. აბანოსთან, მდინარე ესიქომის ხეობაში. თრუსოს ხეობაში ტყე აღარ იზრდება, არის მხოლოდ ბუჩქნარი, ძირითადად დეკიანი, ხოლო ჩრდილოეთ ფერდზე შემორჩენილია უმთავრესად არყი და ცირცელი. თრუსოს ფარგლებში თერგის შენაკადთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სივერაუტდონი, რესიდონი, ტეფდონი, ჯამარაიდონი, სუათისიდონი, მნაისიდონი, რომლებიც მას მარცხნიდან ერთვიან. მარჯვენა შენაკადებიდან კი აღსანიშნავია წოწოლთაიდონი, დესიდონი და ესიქომდონი.

თერგის მარჯვენა შენაკადი სნოსწყალი სათავეს გველისმთასა და უღელტეხილ არხოტისთავისღელეს კალთებზე იღებს. იგი თერგს სოფელ ყაზბეგთან შეერთვის. სნოს ხეობა ისევე, როგორც თრუსოს ხეობა, გასწვრივ ქვაბულს წარმოადგენს, რომელიც ხდის მთათა კვანძსა და კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს შორის არის მოქცეული. სნოს ხეობაში ტყეების უმნიშვნელო ნაშთებია შენარჩუნებული. ვხვდებით ტირიფის, ცირცელისა და არყის ბუჩქებს.

სნოსწყლის შენაკადთა შორის მნიშვნელოვანია: შინოსწყალი, კორასწყალი, ჯორთხორხა, რომლებიც მარჯვნიდან შეერთვიან, მარცხენა შენაკადებიდან კი მდ. ხორხი, ქვენამთისწყალი, ართხმოსწყალი და ჭაუხისწყალი.

ხევი, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, ეწოდება თერგის ხეობის მონაკვეთს კობის ქვემოთ. ხევის განსაკუთრებულ უბანს დარიალის კლდეკარი წარმოადგენს. დარიალი ეწოდება თერგის ხეობის მონაკვეთს, რომელიც კავკასიონის ღერძულ ზონაშია ჩაჭრილი და კლდოვანი დერეფნის სახით არღვევს გვერდით ქედს. დარიალის დასაწყისად მდინარე ჩხერის შესართავი უნდა ჩაითვალოს. დარიალის ბოლო ლარსის ყოფილი საფოსტო სადგურის ახლოსაა. ამგვარად, კლდეკარის მთლიანი სიგრძე 11 კილომეტრს უდრის.

ლარსთან (უკვე საქართველოს საზღვრებს გარეთ) თერგი დარიალს ტოვებს და 10-12 კმ გავლის შემდეგ მიადგება კლდოვან ანუ კირქვიან ქედს, რომელსაც მეორე 8-9 კმ სიგრძის მქონე კლდეკარი კვეთს.

ხდისწყალი სათავეს კიბის მყინვარიდან იღებს, ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიედინება და თერგს სოფელ გველეთიდან 3 კმ-ით ქვემოთ ერთვის.

სამეურნეო საქმიანობის თვალსაზრისით ხევი აღმოსავლეთ საქართველოს სამთო მეცხოველეობის ზონას მიეკუთვნება. 1987 წლის მონაცემებით, რაიონის სახნავ-სათესი მიწის ფართობი 865 ჰექტარს შეადგენდა, სათიბი 2856 ჰა, ხოლო საძოვარი 41969 ჰა იყო. ყაზბეგის რაიონის საერთო ფართობი 1082 კმ^2-ია, ტყის მასივებს უჭირავს 4300 ჰა. რაიონში ერთი დაბაა, ხუთი სასოფლო საბჭო და ორმოცდახუთი სოფელი. აქედან ათი კაცი და უფრო ნაკლები ცხოვრობს 12 სოფელში. ქართველები ჭარბობენ 20 სოფელში, ოსები კი 22 სოფელში. რაიონის ცენტრი დაბა ყაზბეგია, სადაც 1924 კაცი ცხოვრობს, 98,2% ქართველია. სასოფლო საკრებულოებია: გორისციხისა — 1130 კაცი, სულ ქართველები; გუდაურისა — ცხოვრობს 81 კაცი, ჭარბობენ ოსები; კობისა 332 მცხოვრებით — სულ ოსებია; სიონისა 1807 მაცხოვრებლით — ყველა ქართველია და სნოსი 1075 მაცხოვრებლით, აქაც ყველა ქართველია.

რაიონში სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგი მეცხვარეობა იყო. ამჟამად, ეს დარგი თითქმის მოიშალა და მოსახლეობამ სათბურები ააშენა სხვადასხვა პროდუქტის მოსაყვანად.

რაიონში არის ქვის დამამუშავებელი ქარხანა, რომელიც ამზადებს მაღალხარისხოვან მოსაპირკეთებელ ფილებს. ეს წარმოება ჯერჯერობით მთელი სიმძლავრით ვერ მუშაობს.

ხევის მომავალი დამოკიდებულია სამეურნეო საქმიანობის ინტენსიფიკაციასა და მთლიანად რაიონის განვითარებაზე. ამ მხრივ დადებითი როლი უნდა შეასრულოს ხევის ბუნებრივმა, რეკრეაციულმა და ხელსაყრელმა სატრანსპორტო-გეოგრაფიულმა შესაძლებლობებმა, მისმა სასაზღვრო მდებარეობამ. ხევს დიდი პერსპექტივები აქვს სატრანსპორტო მიმოსვლის, სატრანზიტო ვაჭრობის, მეცხოველეობის, ალპინიზმის, ტურიზმისა და მათი დამხმარე დარგების ინტენსიური განვითარებისათვის.

ხევის ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული ღირსშესანიშნაობებიდან აღსანიშნავია: მწვერვალები (მყინვარწვერი, ყურო, ქაბარჭინა, ჭაუხი

და სხვ.); პერიგლაციალური ფორმები ყელის ტბის პლატოზე, ვულკანური ფორმები (ხორისარის ვულკანური მთა და სხვ.); ნარზანის ტიპის მინერალური წყაროები, ვოლკუზები, დარიალის ხეობა, ჩანჩქერები, მყინვარები, ხდის, სნოს, თრუსოს ხეობები, ბეთლემის ლეგენდარული გამოქვაბული, ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები — წმინდა სამების ეკლესია, ციხე-კოშკები (თამარის ციხე), სალოცავები, სხვადასხვა საკულტო ნაგებობანი, მოხეური ტიპის სახლები, ნასოფლარები, ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმი და სხვ.

6.6. ხევსურეთი

ხევსურეთი გახლავთ საქართველოს უნიკალური მხარე თავისი ტრადიციებით, ზნე-ჩვეულებებით, ეთნოგრაფიული ყოფით, რელიგიით, ფოლკლორით, მითოლოგიითა და სამეურნეო საქმიანობით. ეს არის საქართველოს განაპირა კუთხე, რომელსაც საქართველოს ჩრდილოეთი სასაზღვრო ზოლის ერთი ნაწილი უკავია.

ხევსურეთი მდებარეობს კავკასიონის ჩრდილოეთ და სამხრეთ კალთებზე ჩრდილოეთის განედის 42°27'-42°58' და აღმოსავლეთი გრძედის 62°28'-62°55' შუა. მას უჭირავს დაახლოებით 1050 კმ² ფართობი. კავკასიონის ქედი ხევსურეთს ყოფს ორ ნაწილად: ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარედ ანუ პირიქითა ხევსურეთად და სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარედ ანუ პირაქეთა ხევსურეთად. პირიქითა ხევსურეთი შედგება: არხოტის, შატილისა და არდოტის ხეობისგან, პირაქეთი — არაგვის ხეობისგან.

აღმოსავლეთით ხევსურეთს ესაზღვრება ჩეჩნეთი და თუშეთი, სამხრეთით — ფშავი, დასავლეთით — ხევი და მთიულეთ-გუდამაყარი, ჩრდილოეთით კი — ქისტეთი (ინგუშეთი).

ხევსურეთი მაღალმთიანი კუთხეა, რომელიც ღრმა ხევებითაა დასერილ-დაღარული.

პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთის წყალგამყოფი არხოტის თავია (3050 მ.), რომელზეც გადადის არხოტ-როშკის გადასასვლელი ბილიკი. სწორედ არხოტის თავიდან და ანატორის მთებიდან იღებს სათავეს ხევსურეთის არაგვი. ხევსურეთის არაგვის ხეობაშია მოქცეული პირაქეთა ხევსურეთი (ბარისახოსა და ბაცალიგოს თემი).

არხოტის ხეობა შემოზღუდულია მაღალი მთებით. არხოტის ხეობაში ჩამონადენი წყლები მდინარედ ერთდება და მასაც არაგვს უწოდებენ.

არაგვის ხეობა
სქემატური რუკა


თერგი
ბარისახო
ბაღი არაგვი
ბაღდადურის ტბები
ბუსურეთის არაგვი
ფასანაური
ფშავის არაგვი
ფინვალი
ფუნეთი
ფუნეთი
ფუნეთ

ხევსურეთი

სძემატიური რუკა



მდინარე არხოტის სათავე იწყება ცირცვლოვანისა და ჭიმღას წყლებისგან, რომლებიც ჩრდილოეთისაკენ მიედინებიან, მას ერთვის კალოთანის წყალი, ტანიის წყალი, ბისნის წყალი, ტერღის წყალი და თათელის წყალი. შემდეგ ეს მდინარე შედის ქისტეთში და აქ მას ასას უწოდებენ. აქვეა არხოტისა და ქისტეთის საზღვარი, რომელსაც საქარის მაღალი ჰქვია. არხოტის ხეობაში მცხოვრებ პირიქითა ხევსურებს „არხოტიონებს" უწოდებენ.

პირიქითა ხევსურეთის ტერიტორიაზე გაედინება მდ. არღუნი და მისი მარჯვენა შენაკადი ანდაკისწყალი. მათი სათავე მდებარეობს მთავარი კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე. მდ. ანდაკისწყლის სათავეები თუშეთისა და პირიქითა ალაზანის მდინარეებისაგან გამოყოფილია ანდაკის ქედით.

შატილ-არდოტის ხეობაში მცხოვრებ ხევსურებს „შატილიონებს" უწოდებენ.

ჰავა და კლიმატური პირობები ხევსურეთის სამივე ხეობაში არაერთგვაროვანია. ხევსურეთის ჩრდილოეთი მხარე (არხოტ-შატილ-არდოტი) სამხრეთთან (არაგვის ხეობა) შედარებით უფრო ცივი და სუსხიანია. პირიქითა ხევსურეთის სიმაღლე ზღვის დონიდან 2800-4500 მ-ს აღწევს და, ამდენად, ალპური ჰავის ზოლს ეკუთვნის. აქ მთელი წლის განმავლობაში ცივი ამინდებია. ზამთარი სუსხიანია და თოვლიან-ყინვიანი. იანვრის ტემპერატურა - 12-18 გრადუსია. გაზაფხული გვიან დგება, შემოდგომა — ადრე. ზაფხული გრილია (ივლისის საშუალო ტემპერატურა + 10-14 გრადუსია), მოკლე და ნესტიანი. პირაქეთა ხევსურეთში — ბარისახოსა და გუდანში ჰავა მიეკუთვნება მთის ტყეეთა ჰავის ზოლს, სადაც ზომიერად ცივა და წლის საშუალო ტემპერატურა + 11 გრადუსია. ზაფხული თბილია, შემოდგომა — მზიანი.

ხევსურეთის მთის კალთები შემოსილია ფოთლოვანი ტყით. პირაქეთა ხევსურეთში იზრდება: მუხა, ვერხვი, წიფელი, დგნალი, ტირიფი, მურყანი, არყი, ცაცხვი, ცირცელი, კაკალი, მსხალი, ვაშლი, ტყემალი, თხილი, ბალი, თელა, ღვია, ფიჭვი, უთხოვარი.

პირიქითა ხევსურეთი ტყით შედარებით ღარიბია. მაღლა იზრდება ფიჭვი და არყი. დაბლა — ცაცხვი, ცირცელი, დგნალი, თელა, კირცხალა, ქორაფი, იაფანი, ლეკი, ღვია, დეკა, ტირიფი და მურყანი. ამ მხარეში მრავლადაა სუბალპური და ალპური მდელოები. სუბალპების მაღალბალახო-

ვანი მდელო მდიდარია მცენარეთა სხვადასხვა სახეებით და იძლევა კარგ თივას.

ხევსურეთის კლდე-ტყეებში ბუდობენ ფრინველები: არწივი, სვავი, ყაჯარი, ბორა, იხვი, მტრედი, შაშვი, ჩხიკვი, ოფოფი, ყვავი, ბუ, მერცხალი, ქეროზა, პრანწია, მადოლიკა, კუდიტრისა, მწყერი, ტორილა, როჭო, შურთხი, კაკაბი, ძერა, ორბი, სამურია, კუდბეჭეტა; გავრცელებულია ნადირი: მგელი, დათვი, ტურა, მელა, კურდღელი, კვერნა, მაჩვი, ტყის კატა, ციყვი, კინდოლი, ავაზა, ფსიტი (არჩვი), ჯიხვი; ქვეწარმავლებიდან: გველი და ხვლიკი; მღრღნელებიდან: თაგვი; ამფიბიებიდან: ბაყაყი.

ხევსურეთის მთები უმთავრესად პალეოზოური ასაკის კრისტალური ფიქლებისა და იურული ასაკის თიხაფიქლებისგან შედგება. ყველა ეს ფიქლები, განსაკუთრებით კი იურული ასაკისა, ტკეჩვადობის გასწვრივ ადვილად იმსხვრევა. ის საშენ მასალადაც გამოიყენება. ინტრუზიული სხეულებიდან აქ ვხვდებით: დიაბაზს, გრანოდიორიტებს და დიორიტებს, ვულკანური წარმონაქმნებიდან — ბაზალტს.

სასარგებლო წიაღისეულიდან გვხვდება მცირე გამოსავლები ტყვიაცინკისა და სპილენძის გამადნებისა. მოსაპირკეთებელ მასალებად ვარგისია აქ არსებული დიაბაზური და ბაზალტური სხეულები. ხევსურეთი მდიდარია მინერალური წყლებით.

თუ ამ კუთხის ისტორიას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ძველ ქართულ წყაროებში ხევსურეთი და ფშავი ერთად იხსენიება „ფხოვის“ სახელით. ხოლო აქ ნაპოვნი არქეოლოგიური ნივთები („ბრინჯაოს ნივთები“) მიუთითებენ, რომ აქ ჯერ კიდევ პრეისტორიულ ხანაში უცხოვრია ადამიანს.

„მოქცევაი ქართლისაი“ გვამცნობს, რომ „ფხოვი“ მეოთხე საუკუნეში დასახლებული ყოფილა და წარმართ „ფხოველებს“ ე.ი. ხევსურებსა და ფშავლებს ქრისტიანობა არ მიუღიათ. როგორც ჩანს, ფხოველნი მეტად დაუმორჩილებელი და მებრძოლი ხალხი ყოფილა. მაგალითად, თამარ მეფის მეფობის უკანასკნელ წლებში ფხოველნი და დიდოელნი აჯანყებულან და მათ წინააღმდეგ თამარს ლაშქარი გაუგზავნია ივანე მხარგრძელის სარდლობით. ეს უკანასკნელი სასტიკად გასწორებია ფხოველებს და აჯანყებაც ჩაუხშია.

როგორც ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს „ქართლის ცხოვრებაში“, წინათ ქისტეთ-ჩეჩნები და ლეკები საქართველოსთან მეგობრულ კავშირში იყვნენ და ადმინისტრაციულად თუშ-ფშავ-ხევსურეთთან ერთად

შედიოდნენ ხუნძახისა და პანკის-კვეტარის სამოურავოში.

XI საუკუნეში ხევსურეთი (ფხოვი), ჩეჩნეთი (ძურძუკეთი) და ინგუშეთი (ქისტეთ-ღლიღვეთი), ადმინისტრაციულად შედიოდა კახეთში და ექვემდებარებოდა კვეტარის საერისთავოს. ხევსურთა მებრძოლი ბუნება ვერ ეგუებოდა სხვათა მორჩილებას და XV საუკუნეში გასდგომიან გიორგი I დავითის-ძეს (1471-1492 წწ). კახეთის მეფე ლევან II (1520-1574 წწ) უსისხლოდ მოუხერხებია ხევსურთა, ფშავთა და თუშთა შემორიგება, რადგან მათთვის კახეთის საძოვრები მიუცია.

XVIII საუკუნეში ხევსურები თეიმურაზ მეორესაც გადასდგომიან (1744-1760 წწ). ხევსურთა დასამორჩილებლად მეფე ერეკლე II, თეიმურაზის ვაჟიშვილი, ჯარით დაძრულა, მაგრამ მოუხერხებია ხევსურთა კვლავ უსისხლოდ შემორიგება.

ისტორიულად ხევსურები მუდამ იდგნენ საქართველოს სადარაჯოზე და მტკიცე მებრძოლ ძალას წარმოადგენდნენ ქვეყნის მტრებთან ბრძოლაში. ისტორიამ, განსაკუთრებით ხალხურმა თქმულებებმა და ლექსებმა, შემოგვინახეს ხევსურთა გმირობის ამბები. მეფე ერეკლე II გამორჩეულად აფასებდა ხევსურთა თავდადებასა და მათ მებრძოლ ბუნებას. ხევსურეთს, როგორც ქისტეთ-ჩეჩნეთისა და ლეკების მოსაზღვრეს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა ჩრდილოეთი საზღვრის დასაცავად. როდესაც მეფე ერეკლემ ლეკების თარეშის ასალაგმავად მორიგი ლაშქრობა წამოიწყო, თუშ-ფშავ-ხევსურნი გაათავისუფლა სამეფო ბეგარისგან, რადგან მათ ევალებოდათ ქისტეთ-ლეკეთის საზღვრის დაცვა.

მართალია, ხევსურეთი კახეთის სამოურავოში შედიოდა, მაგრამ ფაქტობრივად მას ხევისბერები განაგებდნენ თემური ადათ-წესების მიხედვით და თუ თემურ თავისუფლებას მეფის ხელისუფლებისაგან საფრთხე მოელოდა, ხევსურეთი მზად იყო გადადგომისა და ამბოხებისათვის. ეს კუთხე მხოლოდ მეფეს ემორჩილებოდა და იქ კერძო მებატონეს ხელი არ ჰქონდა.

ხევსურეთის თემური თავშესაყარი და მთავარი ადგილი იყო გუდანი, სადაც გუდანის წმინდა გიორგის ჯვარი და დროშა ესვენა. აქ იხდიდნენ ხევსურები საღვთოს, აქვე იყო გუდანის ჯვრის ქადაგი, რომელიც ხალხს აცნობდა გუდანის ჯვრის ბრძანებას ლაშქრობისა და ზავის შესახებ.

ხევსურეთში არსებულ ბუნებრივ კომპლექსებს განსაკუთრებული ეკოლოგიური, ისტორიულ-კულტურული და ესთეტიკური მნიშვნელობა აქვს, რადგან ქვეყნის კულტურა მეურნეობის ფორმებთან და ადგილობრივ

ლანდშაფტთან კავშირში ვითარდება. ძველი მემკვიდრეობის სულიერ და მატერიალურ ფასეულობებს მიეკუთვნება ხევსურეთში ჯერ კიდევ არსებული არქიტექტურული ძეგლები, რომლებიც ქართული ყოფითი კულტურის მნიშვნელოვან ნიმუშებს წარმოადგენენ და კავკასიონის ჩრდილოეთ კალთაზე თავისი არსებობით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საქმესაც ემსახურებიან. პირიქითა ხევსურეთის ტერიტორიაზე განთავსებული ძეგლებისათვის დამახასიათებელი ისაა, რომ ისინი თავის თავში აერთიანებენ საფორტიფიკაციო, საკულტო და საყოფაცხოვრებო ორიგინალურ ნიმუშებს. ასეთ ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნებიან შატილი, მუცო, კისტანი, არდოტი, ხახაბო და სხვ.

იმ უღელტეხილთა შორის, რომლითაც ხევსურეთი თუშეთს, ინგუშეთსა და ჩეჩნეთს უკავშირდება, აღსანიშნავია: შიბუ-ღელე (3447 მ.). ამ უღელტეხილით გადავდივართ მდინარე შან-ჩოჩის ხეობაში. ეს მდ. არმხის (ქისტაურის) მარცხენა შენაკადია. შიბუ-ღელედან გადავდივართ აგრეთვე სალაშქროს-ღელეზე, აქედან კი პირდაპირ მდინარე არმეხის სათავეებში. შიბუ-ღელეთი და სალაშქროს-ღელეთი ხევსურეთი ინგუშეთს უკავშირდება. ეს ორივე გზა ინგუშეთისაკენ მდ. არხოტის ხეობიდან იწყება.

აწუნთას უღელტეხილით გადავდივართ თებულოში (თუშეთში), აქედან ბილიკი გადის თუშეთზე და ჩადის სოფ. ჩამღაში, შემდეგ მიუყვება აღმართს ჩამღის გადასასვლელისაკენ და ჩადის ჩეჩნეთში.

ცნობილია, რომ მჭიდრო კავშირი ინგუშ-ჩეჩნებსა (ვაინახებსა) და ქართველ მთიელებს შორის განაპირობებდა ერთი ეთნიკური ელემენტის მეორეში შეჭრას. მთიან ჩეჩნეთში ქართული ელემენტის არსებობაზე მიუთითებს გვარებიც: ხაიაური, მუხაური, გადამაური, რომლებიც სოფელ მელხისტიდან არიან. ასეთივე ქართული წარმოშობისაა სოფლების შუნდი-მოხკის და ცაცახის მოსახლეობის ნაწილიც. ინგუშეთში მცხოვრები მელსაგოვებიც, რომლებიც ინგუშური გადმოცემით დამაარსებელი არიან ქალაქ „დზაუგისა“(ეხლანდელი ვლადიკავკაზი), წარმოადგენენ ერთ-ერთ შტოს ქართველი მარსაგიშვილებისა. ესეთივენი არიან ევლოევები და ევკუროვები (პროფესორ აბრამ შავხელიშვილის მონაცემები). მეორეს მხრივ, მიგრაცია ჩეჩნურ-ინგუშური ეთნიკური ელემენტისა, მიმდინარეობდა ხევსურეთშიც. ეს მიგრაცია განპირობებული იყო ამა თუ იმ პერიოდში ჩეჩნეთ-ინგუშეთში შექმნილი ეკონომიკური თუ პოლიტიკური ვითარებით.

6.7. ფშავ-მთიულეთი

ფშავ-მთიულეთი მდინარეების არაგვისა და ივრის აუზთა მთიან ზოლს მოიცავს და აერთიანებს აღმოსავლეთ საქართველოს შემდეგ ეთნოგრაფიულ პროვინციებს: მთიულეთს, ფშავს, სამხრეთ (პირიქით) ხევსურეთს და თიანეთს. საქართველოს დღევანდელი დაყოფის მიხედვით, ეს ლანდშაფტური რეგიონი, დუშეთის ადმინისტრაციული რაიონის კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე მდებარე მთიან ნაწილს და თიანეთის რაიონის ტერიტორიას მოიცავს.

რაიონის ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ხორისარ-ბორბალოს მონაკვეთზე გადის.

დასავლეთი საზღვარი ხარისაროს მასივიდან ჯერ თეთრ არაგვს ჩამოსდევს, შემდეგ მექეთის მთასთან ალევის ქედის თხემზე (ქსან-არაგვის წყალგამყოფზე) ამოდის და ამ უკანასკნელს მოჰყვება სამხრეთისაკენ ლორწომისკლდემდე, სამხრეთი საზღვარი პირობითია და ლორწომისკლდიდან მთა ბერტყეს გადავლით თიანეთ-ასმეტის უღელტეხილისაკენ მიდის. აღმოსავლეთი საზღვარი მთა ბორბალოდან კახეთის ქედის თხემს ჩამოსდევს იმავე უღელტეხილამდე.

ფშავ-მთიულეთის უმნიშვნელოვანესი ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანი, რომლებიც მას კავკასიონის დანარჩენი რეგიონებისაგან განასხვავებს, მდგომარეობს შემდეგში: ა) ეს რაიონი სამაჩაბლოდან (ყოფილი სამხრეთი ოსეთი) მთიანი კახეთისაკენ გარდამავალია, როგორც თავისი გეოგრაფიული მდებარეობის, ისევე ჰიფსომეტრიული განვითარების, გეოლოგიური აღნაგობისა და გამყინვარების ხარისხის მიხედვით. ბ) კლიმატი კონტინენტურია დასავლეთ და აღმოსავლეთ რაიონებთან შედარებით და გ) წიწვიანი ტყეები თითქმის არ არის.

რაიონის ოროგრაფიულ ხასიათს ძირითადად გარდიგარდმო ხეობები და მათი გამყოფი ეროზიული ქედები განსაზღვრავენ, მხოლოდ ფშავის არაგვის ზემო წელში გვაქვს მნიშვნელოვნი გასწვრივი ხეობა. ძველი გამყინვარება მთავარ ქედს შეხებია და ისიც არა ყველგან. თანამედროვე მყინვარი ჭიუხის მასივის კალთებზეა მდ. აბუდელაურის სათავეში.

ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა სიმაღლესთან ერთად მატულობს. ფასანაურში იგი 861 მილიმეტრს უდრის, მლეთაში — 1145, გუდაურში — 1371, ჯვრის უღელტეხილზე კი — 1444 მმ. საშუალო წლიური ტემპერატურა იმავე პუნქტებში, საქართველოს სამხედრო გზის

გასწვრივ, ცვალებადობს +2,5°-დან (ფასანაურში) — +0,3°-მდე (ჯვრის უღელტეხილზე). რეგიონის აღმოსავლეთით თიანეთში შესაბამისად საშ. წლიური ტემპერატურა +7,7°-ია, ნალექები — 778 მმ.

ფშავ-მთიულეთის ჰიდროგრაფიული სისტემა წარმოდგენილია არაგვის დატოტვილი სისტემით და მდინარე ივრით. გვხვდება წყაროები და მინერალური წყლები. ტბებით რაიონი ძლიერ ღარიბია. ხეობებში (განსაკუთრებით სამხედრო გზასა და ჟინვალ-ბარისახოს გზის გასწვრივ) დროგამოშვებით აღინიშნება ღვარცოფული მოვლენები, რომლებიც გზებსა და ზოგჯერ დასახლებულ პუნქტებსაც აზიანებენ.

ფშავ-მთიულეთის მცენარეული საფარი, მეზობელ სამაჩაბლოსა და მთიანი კახეთის რეგიონებთან შედარებით, ნაკლებად მდიდარია. რაიონის მჭიდროდ დასახლებულ ნაწილებში ტყე განადგურებულია ან მეორადი ტყე-ბუჩქნარითაა ჩანაცვლებული. წიწვოვანი ტყეები თითქმის არ გვხვდება, თუ არ ჩავთვლით ფშავის არაგვის აუზში არსებულ ნაძვის განცალკევებულ ტყეს.

ფშავ-მთიულეთი ორ ლანდშაფტურ ქვერაიონად შეიძლება დაიყოს: ჩრდილოეთი ანუ მლეთა-უკანაფშავისა და სამხრეთი ანუ ანანურ-თიანეთისა. მათი გამყოფი საზღვარი ალევის ქედის ყურყუტას მასივიდან ჯერ ფასანაურისაკენ მიემართება, შემდეგ მთიულეთის ქედის მწვერვალ ლუთხუბისაკენ, გადაივლის სოფელ ორწყალს ქვემოთ ფშავის არაგვის ხეობას, ბოლოს ავა ჭიჩოს მთასთან ქართლის ქედის თხემზე და ამ უკანასკნელით აღწევს ქართლისა და კახეთის ქედების შეერთების ადგილს. ჩრდილოეთი ქვერაიონი განსხვავდება სამხრეთისაგან მაღალმთიანი რელიეფით, ალპური სარტყლის ფართო განვითარებით, ძველი გამყინვარების ნაკვალევითა და ჭიუხთა ლანდშაფტის კუნძულებით.

კავკასიონის მთავარი ქედის მონაკვეთი, რომელიც ფშავ-მთიულეთს ჩრდილოეთიდან ეკვრის, მტკვრის მარცხენა შენაკადების — არაგვისა და ქსნის აუზებს გამოყოფს თერგის და მისი შენაკადების: ასას, არლუნისა და სულაკის აუზებისაგან. ამ მონაკვეთზე მდებარეობს ჯვრის ანუ ხევის ყელის უღელტეხილი (2388 მ.), მთა საძელე (3308 მ.), მილიონა (3007 მ.), ქვენამთა (3146 მ.), როშკა-ხოხი (3572 მ.): უღელტეხილები საძელისღელე (3085 მ.), ბაღავაჩო (2965 მ.), არხოტისღელე (2932 მ.), კალოთანისღელე (2995 მ.), მთა არხოტისთავი (3246 მ.), ცროლი (3500 მ.). უღელტეხილი ანატორისღელე (2602 მ.), დათვისჯვრისღელე (2663

ფშავი
სქემატიური რუკა

მთიულეთი

სქემატიური რუკა

3842
3688 მ.ჭაუში
3644
3318. მ. ნარეანი
3118
2918. მ. ხიბილი
3201
2653
2334
ქ. ოლეთა
ბეგლარი
ბაბილანი
ბუბანი
ბეგლარი
ბეგლარ
ბეგლარ
ბეგლარ

მ.), მთა ბროლა (2806 მ.), ულელტეხილი ანდაქი (2748 მ.), მთები დიდი და პატარა ბორბალო (3295 და 3135 მ.).

მყინვარები მხოლოდ ჭიუხის კალთაზეა შემორჩენილი. ჭიუხის, საკოხისა და საძაგლის ახალგაზრდა ვულკანური ქანების გარდა, კავკასიონის მთავარი ქედი, ფშავ-მთიულეთის ფარგლებში, ფიქლებით, ქვიშაქვებით, მერგელებით და კირქვებით არის აგებული.

მთიულეთის არაგვი სათავეს მთავარი ქედის კალთებზე იღებს, ლაგარისარისა და ხარისარის მასივებს შორის. სოფ. ფასანაურამდე მდინარეს სამხრეთ-აღმოსავლეთი მიმართულება აქვს. ეს მონაკვეთი თეთრი არაგვის სახელს ატარებს. ფასანაურის ქვემოთ შეიერთებს შავ არაგვს, მდინარე სამხრეთის მიმართულებას ღებულობს და მას მთიულეთის არაგვი ეწოდება. მხოლოდ ანანურთან ხდება მდინარის მიმართულება კვლავ სამხრეთ-აღმოსავლური და ასეთი რჩება ჟინვალამდე.

მლეთის ზემოთ არაგვის ხეობა სრულიად უტყეოა. მლეთიდან დაწყებული, ქვემოთ მთიულეთის არაგვის ორივე ნაპირზე მთათა ფერდობები ტყითაა დაფარული, რომელიც უმთავრესად ფოთლოვანი ჯიშებისაგან შედგება, მლეთასა და ფასანაურს შორის არაგვის ხეობის მარცხენა ფერდობზე ფიჭვნარიცაა.

მთიულეთის არაგვის მარცხენა შენაკადი შავი არაგვი მთიულეთის ტერიტორიის გუდამაყრად წოდებულ ნაწილზე მოედინება. შავი არაგვის სათავე მთავარ ქედზეა — ჭიუხისა და ქვენამთის კალთებზე. შავი არაგვის ორი ძირითადი შემადგენელი მდინარე —ბაკურხევი და ბურსაჭირი ერთიმეორეს სოფელ ზანდუკთან უერთდება. თეთრი არაგვისა და შავი არაგვის ხეობები გუდამაყრის ქედით (კავკასიონის სამხრეთი ტოტი) არის გაყოფილი. გუდამაყრის ქედი მთავარ ქედს 3196 მეტრი სიმაღლის მწვერვალთან გამოეყოფა, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ არის მიმართული და დაგვირგვინებულია ჭალისთავის (2739 მ.), სამადლისა (2800 მ.) და წიფორის (2574 მ.) მწვერვალებით.

მთიულეთის ქედი მთავარ ქედს ჭიუხთან გამოეყოფა. თითქმის ზუსტი მერიდიანული მიმართულებით მიდის სამხრეთისაკენ და სოფელ ჟინვალის მიდამოებში თავდება. მისი თხემი ეთნოგრაფიულ მიჯნას-მთიულეთისა და ფშავ-ხევსურეთის საზღვარს ქმნის. ამ თხემზე, ჩრდილოეთიდან-სამხრეთისაკენ, შემდეგი მწვერვალები და ულელტეხილებია განლაგებული: მთა სამხრეთი ჭიუხი (3657 მ.), ულელტეხილი ფხიტული (2750 მ.),

საჩალისმთა (2914 მ.), ლუთხუბი (2572 მ.), უღელტეხილი უკანტბა (2275 მ.), ლაღიძისმთა (2601 მ.), საფსიტისმთა (2275 მ.), სახაროსმთა (2345 მ.), ხმალი (2137 მ.).

მთიულეთის ქედის ფერდობები მთელ სიგრძეზე წიფლნარი და შერეული ფოთლოვანი ტყით არის შემოსილი, ხოლო თხემური ზოლი, ქედის ჩრდილოეთი ბოლოდან მწვერვალ ხმალამდე (ჟინვალიდან 10 კმ მანძილზე), ალპური და მეორეული მდელოებით იმოსება.

ფშავის არაგვი სათავეს მთა ბორბალოს კალთებზე იღებს, სოფელ ორწყალამდე კავკასიონის მთავარ ქედსა და ქართლის ქედის ჩრდილოეთ ნაწილს შორის გასწვრივი ხეობით დასავლეთისკენ გაედინება. ორწყლიდან დაწყებული ბოლომდე (სოფ. ჟინვალამდე) მდინარეს სამხრეთ-დასავლეთის მიმართულება აქვს.

ფშავის არაგვის მცენარეული საფარი წარმოდგენილია ფოთლოვანი (წიფლნარი და შერეული ფოთლოვანი) ტყეებით, რომლებიც 2100-2200 მ. სიმაღლემდე აღწევენ, და ალპური მდელოებით, რომლებიც მთავარ ქედსა და მთიულეთ-ქართლის ქედის თხემებზეა გავრცელებული. ფშავის არაგვის მარჯვენა შენაკადის კაწალხევის აუზში, სოფელ ინოს მახლობლად, ნაძვნარი ტყის რელიქტური ფრაგმენტია შემორჩენილი.

ქართლის ქედი, რომელიც ფშავის არაგვის აუზს ალაზნისა და ივრის აუზთაგან გამოჰყოფს, მთავარი ქედის ბორბალოს მასივს უკავშირდება. ბორბალოდან იგი ჯერ თითქმის დასავლეთისაკენ არის მიმართული, შემდეგ კი სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ქედი თავდება კავკასიონის ფარგლებს გარეთ, განედურად გაწოლილ კახეთის (საგურამო-იალნოს) სერთან ცხვარიჭამიას უღელტეხილით. ქართლის ქედის თხემი სამხრეთისაკენ თანდათან დაბლდება. მასზე მდებარეობს: უღელტეხილი ფუტკარული (დაახლ.2300 მ.), ჭიჩოსმთა (3076 მ.), ჩარგლისთავი (2767 მ.), სოლომონისხიდა (2351 მ.), ემისნიში (2263 მ.), თვალივისმთა (1977 მ.), დოლოშა (1412 მ.), ხეობა (1492 მ.), ნოჯიკეთისმთა (1657 მ.).

ქართლის ქედის უმეტესი ნაწილი (ჭიჩოსმთიდან თიანეთის ქვაბულის ჩრდილო-დასავლეთ კიდემდე) ცარცული ნალექებით არის აგებული. ქედი გარდიგარდმოა მიმართული რთული ტექტონიკური სტრუქტურის მიმართ.

ბორბალოს მთაზე უშუალოდ მიკრული მონაკვეთისა და ჭიჩოსმთის მასივის გამოკლებით, ქართლის ქედის მორფოლოგიურ წარმოქმნაში გაბატონებული როლი მდინარეულმა ეროზიამ შეასრულა. ქედის კალთები

ფოთლოვანი (უმთავრესად წიფლნარი) ტყით არის შემოსილი. ნამდვილი ალპური მდელოები ქართლის ქედის თხემურ ზოლში სამხრეთისაკენ მწვერვალ ემისნიშამდე ვრცელდება, უფრო სამხრეთით, თიანეთის ქვაბულის საზღვრამდე, თხემი უტყეოა, რაც ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგია.

მდინარე იორი სათავეს იღებს ქართლისა და კახეთის ქედების გასაყარზე და სოფელ ქვემო არტანამდე სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიედინება, შემდეგ კი სამხრეთით მიემართება კავკასიონის ლანდშაფტური ოლქის ფარგლებიდან გასვლამდე. ივრის მარჯვენა შენაკადია ხაშარისხევი (1850 მ სიმაღლეზე ერთვის). თიანეთის ქვაბულში იორი ზღვის დონიდან 1080 მ.-ზე მიედინება. უკიდურესი მონაკვეთების გამოკლებით, რომლებიც სოფელ ხილიანს ზემოთ და თიანეთის ქვაბულის ქვემო გასასვლელის ჩამკეტი სერების ქვემოთ მდებარეობს, ივრის ხეობა ცარცულ ფლიშურ წყებაშია გამომუშავებული. მისი ფერდობები შემოსილია ფოთლოვანი ტყით, რომელიც 1800-2200 მ. სიმაღლიდან მთის მდელოებით იცვლება. მდელოთა გავრცელების ზოლები ქართლისა და კახეთის თხემებთან არის დაკავშირებული, ქართლის ქედის თხემურ ზოლში მდელოები გაცილებით უფრო შორს არის შემოჭრილი სამხრეთისაკენ, ვიდრე კახეთის ქედისაში.

მდინარე იორი კალმახით არის განთქმული.

ივრის ხეობის სამხრეთი ნაწილი კავკასიონის მთიანი ოლქის ფარგლებში თიანეთის ქვაბულს უკავია.

აკუმულაციური ვაკე, რომელზეც რაიონული ცენტრი თიანეთი მდებარეობს, თავის სამხრეთ, ყველაზე დაბალ ნაწილში ზღვის დონიდან 1050 მ. სიმაღლეზეა. ბრტყელი ვაკე ივრის გასწვრივ დაახლოებით 15 კმ მანძილზე (სოფ. ბოდახევამდე) ვრცელდება, ხოლო მისი შტო ივრის მარჯვენა შენაკად ქუსნოს აღმა 10კმ-ზე მიდის. ივრისპირა ვაკე შუა ნაწილში 5 კმ-მდე არის გაგანიერებული და მოიცავს ივრის მარცხენა შენაკადის, მდ. საგამის აუზის მნიშვნელოვან ნაწილს — ჩაბანოს ქვაბულს.

ივრის კალაპოტი თიანეთის ქვაბულის ფარგლებში მიმართულებას ხშირად იცვლის.

კახეთის ქედი, რომელიც ქართლის ქედს მწვერვალ ბორბალოდან 5 კმ-ის სამხრეთით გამოეყოფა, გეოლოგიურად და გეომორფოლოგიურად განსხვავებული ორი მონაკვეთისაგან შედგება. მისი ჩრდილოეთი მონაკვეთი ანუ საკუთრივ კახეთის ქედი, ფშავ-მთიულეთის ლანდშაფტურ რაიონ-

ში შედის. მეორე ნაწილი კი — გომბორის ქედი, ცენტრალური ამიერკავკასიის ოლქის შემადგენელი ნაწილია. კახეთის ქედი სამხრეთ-დასავლეთით არის გადაჭიმული და მთა შახვეტილამდე მოდის. ეს ქედი გარდიგარდმო ჰკვეთს დანალექ წყებებს. ქედის სამხრეთ ნაწილში, თიანეთ-ახმეტის უღელტეხილის რაიონში, დარჩენილია მოსწორებული ზედაპირები, რაც წყალგამყოფის მდებარეობას ამ ადგილებში ართულებს, ხლარ-თავს, ძნელგასაკვლევს ხდის.

კახეთის ქედის უმეტესი ნაწილი წიფლნარი ტყეებით არის შემოსილი, ხოლო მის ჩრდილოეთ ნახევარში (მთა მუხათის ჩრდილოეთით) თხემი ალპური მდელოებით არის დაფარული.

6.8. თუშეთი

თუშეთი მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა მის ჩრდილოეთ კალთაზე ჩრდილოეთის განედის 42°32' — 42° 22' და აღმოსავლეთი გრძედის 63°17' — 63°2' შორის. მას უჭირავს დაახლოებით 796 კვადრატული კილომეტრი ფართობი და წარმოადგენს უსწორო ხუთკუთხედი ფორმის ქვაბნარს, რომელიც ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ორმოცდაათ კმ სიგრძეზეა გადაჭიმული. მისი სიგანე 20-30 კილომეტრს არ აღემატება.

თუშეთს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება დაღესტანი, ჩრდილოეთიდან — ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთიანი მხარე. დასავლეთი საზღვარი ხევსურეთთან გადის მდინარე ალაზნის სათავეებში, ანდაქის ხეობაში. შემდეგ ის მიუყვება გზას, რომელიც გადის ალაზნის სათავეებზე, აბანოს უღელტეხილზე, ანდარაზანის, ფურთკალოს მწვერვალებზე, ყადორის უღელტეხილზე და ეშვება კახეთის ველზე. სამხრეთიდან კი თუშეთს ესაზღვრება კახეთი. თუშეთი შემოსაზღვრულია წყალგამყოფი მაღალი ქედებით, რომელთა სიმაღლე 3000-4500 მეტრამდე აღწევს. მათ შორის თავისი ბუმბერაზობით გამოირჩევა ჩრდილოეთის ქედი, სადაც აღმართულია მაღალი მწვერვალები: თებულოს მთა (4507 მ.), ქერიგო (3272 მ.), ქაჩუ (3493 მ.) და კვავლო (3988 მ.). ეს მწვერვალები ქმნიან თუშეთის ალპს, რომელიც მას ჩეჩნეთ-ინგუშეთისაგან ყოფს. თუშეთის რელიეფი დანაწევრებულია. პირიქითა ქედი ამუგოსა და ორივე ალაზნის სათავიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიემართება და თუშეთს ორად ყოფს: ჩრდილოეთის მხარეს პირიქითას ხეობად და სამხრეთით — გომეწრის ხეობად. პირიქითას



თუშეთი. სოფელი დართლო. ჩანახატი ილია ჭრელაშვილის.



თუშეთი. სოფელი დოჭო. ფოტო ილია ჭრელაშვილის.

თუშეთი. ყადორის უღელტეხილი. ფოტო ი. ჭრელაშვილის.



თუშეთი. სოფელი ჰელო. პირიქითა ალაზანი. ფოტო ი. ჭრელაშვილის.

ქედზე სამი მთაა. ესენია: ლაროვნის – 3296 მ., ნაყაეჩოსი – 2941 მ. და ჩიღოსი – 2416 მ.

ამ მთაგორიანი მხარის მთელი ზედაპირი ხევხუვებითაა დახრამული, სადაც მოშხუიან მაღალი მწვერვალებიდან ჩამონაყური ნაკადები და იწურებიან თუშეთის ორ მდინარეში - გომეწრისა და პირიქითა ალაზანში. გომეწრის ალაზანი ბორბალოს მთიდან (3522 მ.) გამოდის და სწრაფად მიედინება აღმოსავლეთის მიმართულებით. მას სოფელ გოგრულთასთან უერთდება ორწყალი, ხოლო სოფელ ხახაბოსთან – ალატოვან-ნოკვის შენაერთი, ნაკიდურის წყალი.

პირიქითა ალაზანი ამაგოს (3965 მ.) მთიდან გამოდის, ნასოფლარ ჰელოსთან მას უერთდება ლაროვანის წყალი და გომეწრის ალაზანის პარალელურად მიექანება ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. გზაზე უერთდება თუშეთის ალპიდან ჩამონადენი წყლები: ჰაშაკის წყალი, კაცის წყალი, დონის წყალი, კვავლოს წყალი და სხვა. შენაქოს მახლობლად ალაზანი სცილდება თუშეთის საზღვრებს და გადადის დაღესტანში. აქ ალაზანს ანდის ყოისუს უწოდებენ და ავარიის ყოისუსთან შეერთების შემდეგ ის სულაქის სახელით კასპის ზღვაში ჩადის.

მთელი თუშეთი ამ ორი ალაზნის აუზშია მოქცეული. როგორც აღვინიშნეთ, თუშეთი მდებარეობს კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ მხარეზე. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 2800-4500 მეტრამდე აღწევს. ჰავა აქ ცივია და ეკუთვნის ალპური ჰავის ზოლს. თუშეთში მთელი წლის განმავლობაში ცივი ამინდია (წლის საშუალო ტემპერატურა +5 გრადუსია). ზამთარი სუსხიანი და თოვლიან-ყინვიანია. იანვრის ტემპერატურა – 12^0-დან – 18^0-მდე აღწევს და მდინარე ალაზანიც იყინება. ზაფხული გვიან დგება, შემოდგომა – ადრე, ხშირად სექტემბერში თოვლი მოდის. გაზაფხული გრილია (ივლისის ტემპერატურა + 10^0-დან 14^0-მდე), მოკლე და ნესტიანი. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა 1000 მილიმეტრს აღწევს და უმთავრესად თოვლის სახით მოდის.

თუშეთი მდიდარია მცენარეულობით. მთები შემოსილია სუბალპური ტყით, რომელშიც ფიჭვნარი ჭარბობს, განსაკუთრებით პირიქითა ალაზნის ხეობაში. ფიჭვს გარდა, აქაურ ტყეში იზრდება: ცაცხვი, შებუსვილი არყი, ჭნავი, ბოკვი, მურყანი, ვერხვი და სხვა.

ტყის ზემო სარტყელი შემოსილია სუბალპის მაღალი ბალახით. აქ დამზადებული თივა კარგი ხარისხით გამოირჩევა. სუბალპური ზოლის

ზემოთ გადაჭიმულია ალპური მდელო. ამ ფართო და ნოყიერ იალაღებზე ზაფხულობით თუშები ცხვარს აძოვებენ.

აქაურ ტყე-კლდეებში ბუდობენ ფრინველები: როჭო, შურთხი, არწივი, ბაყვი, ქორი, მიმინო, ყვავი, ყორანი, სოია (სვავი), ჩხიკვი, ტყის ქათამი, გუგუტა, ოფოფი, შაშვი, ჯღართვი (ჭროლა შაშვი), ბულბული, მწყერი, ქერა ჩიტი (მოწითალო ფერისაა), ტოროლა, იელელა (ტანი ლეგა და ყელი თეთრი აქვს), ღალღა, ქედანი, ხის კოდალა.

ცხოველებიდან გვხვდება: ჯიხვი, მთის თხა, ირემი, დათვი, მგელი, აფთარი, მაჩვი, მელა, კვერნა (ტყის კატა), კურდღელი.

ქვეწარმავლებიდან — შხამიანი გველი, შიტყორი (ხვლიკი);

მღრღნელებიდან — თაგვი, დედოფალა (ციყვის მსგავსია);

ამფიბიებიდან — ბაყაყი;

თევზთაგან აქ ორივე ალაზანში ბუდობს კალმახი.

თუშეთი სამ თემად იყოფა: პირიქითა, გომეწარი და ჩაღმა. პირიქითა თემი მოქცეულია პირიქითა ალაზნის ხეობაში. გომეწრისა — გომეწრის ალაზნისაში სოფელ ხისომდე. ჩაღმის თემი კი მოქცეულია ორივე ალაზნის შეერთების აუზში.

დღევანდელ ვითარებაში თუშეთის მცნებაში ეკონომიკური პირობებისა და თუშთა კომპაქტური დასახლების გათვალისწინებით, გაერთიანებულია მთათუშეთი (ანუ თვით თუშეთი), კახეთის ტერიტორიაზე მდებარე სამი სოფელი — ზემო და ქვემო ალვანი და ლალისყური (ზემო და ქვემო ალვანი მიეკუთვნება ახმეტის რაიონს. მასვე ეკუთვნის მთათუშეთიც; ლალისყური შედის თელავის რაიონში) და შირაქის ველის ნაწილის დასახლება კასრის წყლით, რომელიც ადმინისტრაციულად დედოფლისწყაროს რაიონის შემადგენლობაში შედის.

საქართველოს ეს კუთხე, რომელსაც თუშეთს ვუწოდებთ (ვითვალისწინებთ მას, როგორც ეკონომიკურ ერთეულს — ზემო და ქვემო ალვანი, ლალისყური, კასრის წყალი — შირაქის ნაწილი) ქართველებითაა დასახლებული. ზემო ალვანის სასოფლო საბჭოში შედის სოფლები ზემო ალვანი და ხორბალო, ქვემო ალვანის სასოფლო საბჭოში - ქვემო ალვანი და ბაბანაური. კასრის წყლის სასოფლო საბჭოში სოფელი კასრისწყალი, ომალოს სასოფლო საბჭოში კი სოფლები: ომალო, დართლო, დიკლო, დოჭუ, ქუმელაურთა, შენაქო, შტროლთა, ხახაბო, ხისო, დანო და სხვა.

თუშეთი უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული. როგორც

თემსაზოგადოება	თემსაზოგადოებაში შემავალი სოფლები	ხეობა ან მხარე
დართლო	1. ჩიღო 2. დართლო 3. კეკელო 4. დახო 5. ჭერო	პირიქითი
ფარსმა	1. ფარსმა 2. ბისო 3. გირევი 4. დაქივრთა 5. ნაკუთურთა 6. ჭონთიო 7. ჰელო	პირიქითი
ომალო	1. დიკლო 2. შენაქო 3. აგეურთა 4. ცოკალთა 5. ქუმელაურთა 6. ომალო 7. ბოჭორნა	ჩალმა
ნაციხარი	1. ხახბო 2. ჩიგლაურთა 3. ყველურ●ა 4. მტროლთა 5. ნაციხარი 6. ხისო	ჭანჭახოვანი
წარო	1. წარო 2. ინდურთა 3. საგირთა 4. ეთელთა 5. ძოზართა	წუათა
ეკვარბოსელი	1. დოჭუ 2. ბელელა 3. გუდანთა 4. დადიკურთა 5. ვერხოვანი 6. ეკვარსოფელი 7. ალისგორი 8. კოკლათა 9. ვერძისხევი 10. ვაკისძირი 11. ბიქეურთა	გომეწარი
ილურთა	1. ილურთა (გომეწარი) 2. ბურუხთა	ხუცეურთა
ილიურთა	1. ვისტომთა 2. ვესტმო 3. საჩიოლო 4. გოგრულთა 5. საბუე 6. ჩირდილი	ივანაურთა (გომეწარი)

კლავდიოს პტოლომეუსი თავის გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში წერს (II საუკუნე ძვ. წ.), „კავკასიის მთასა და კერვანის მთებს შორის ცხოვრობენ ტუსკები და დიდურები“. აქ მოხსენებული ტუსკების შესახებ ივანე ჯავახიშვილი განმარტავს: „ტუს (კოი) ქართული თუშის ბერძნული კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია“. თუშებმა ქრისტიანობა მიიღეს, მათ გარკვეული წილი შეჰქონდათ საქართველოს დაცვასა და მეურნეობაში. XIV საუკუნეში თუშეთი მონღოლებს დაურბევიათ. ვერც XV საუკუნეში გადაურჩა თუშეთი თემურ-ლენგის შემოსევებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში თუშეთი დიდ გასაჭირში იყო, მას არც სარწმუნოება გამოუცვლია და არც თავისი მიწა-წყალი დაუტოვებია. თუშებმა შემდეგაც ბევრჯერ მოიგერიეს მუსულმანთა შემოტევები.

გადიოდა წლები, ძველ ნანგრევებზე თუშეთში ახალი დასახლებები ჩნდებოდა. აქ 48 სოფელი და ნასოფლარია შემორჩენილი. XVIII საუკუნიდან მოყოლებული, ხშირი იყო პატარ-პატარა შემოსევები, მაგრამ თუშები მედგრად იდგნენ ქვეყნის სადარაჯოზე. 1837 წელს მოხდა დიდოელთა მიერ თუშეთის სოფლების დიკლოსა და შენაქოს მთლიანი განადგურება.

ამ სოფლებიდან დღეს 8-10 სოფელიღა შემორჩა. 1830 წლიდან დაიწყო თუშთა ჩამოსახლება კახეთში. 1931 წლისათვის თუშეთში თუში მოსახლეობის მხოლოდ 37% ცხოვრობდა, ხოლო 1975 წლისათვის აქ მხოლოდ 10 სოფელი აღირიცხებოდა. დღეს ომალოს სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში ცხრა სოფელიღა დარჩა და გარდა ომალოსი, ყველგან ორი-სამი კომლი თუ რჩება ზამთრობით.

1978 წლის 23 სექტემბერს მთათუშეთში — ომალოში პირველად შევიდა ავტომანქანა. მანამდე საცალფეხო ბილიკები კავკასიონის თითქმის გაუვალ ფერდობებს მიუყვებოდა. ეს ბილიკებია: ყადორის, ანდარაზანის, კეპნის, ნაქერალის, ალაზნის თავის და აბანოს ხევის (ეს ძირითადი გზა იყო) გზა, მას ადრე ჯაყოს გზას უწოდებდნენ. სამანქანო გზა კახეთიდან,სოფელ ფშავლიდან იწყება, სტორის ხეობას მიუყვება, თორღვას აბანოს ძირზე მდინარის მარცხენა მხარეს გადადის და მიჰყვება მიხვეულ-მოხვეულ აღმართს, გადადის 2970 მეტრის უღელტეხილზე თუშეთისაკენ და ეშვება ჭანჭახოვანის ხეობაში, ფიცრის ჭალაში, გაივლის სამ ხევს: ურციეხს, ხისოს, ცოკალთის ჭალას და შედის ომალოში, რომელიც 2100 მეტრზეა ზღვის დონიდან. მანძილი სოფელ ფშავლიდან ომალომდე 90 კილომეტრია.

თუშეთი. სოფელი დანო. პირიქითა ალაზანი. ფოტო ი. ჭრელაშვილის.

თუშეთის მეურნეობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მეცხვარეობა. ამით თუშებს გარკვეული წვლილი შეჰქონდათ საქართველოს ეკონომიკაში. სწორედ მეცხვარეობამ დაუდო საფუძველი თუშთა მომთაბარული მეურნეობის ფორმას. ქართველი მეფეები დიდ ყურადღებას აქცევდნენ თუშეთის ეკონომიკის განვითარებას. ეს იყო მიზეზი, რომ თუშებს საკუთრებაში გადასცეს კახეთის ტერიტორიის გარკვეული ფართობი.

თუშეთის სამხრეთი საზღვარი კავკასიონის მთავარ ქედზე გადის, რომლის სიგრძე 50 კმ-ია. მასზე განლაგებულია შემდეგი მწვერვალები და უღელტეხილები: საყორნის უღელტეხილი (3100 მ.), საგველის სერი (3080 მ.), სამყურისწვერი (3240 მ.), საყინოს (3100 მ.), შხამიან-სერი (3170 მ.), თორღვას აბანოს უღელტეხილი (2970 მ.), ბულანჩოს წვერი (3250 მ.), ზეთავის წვერი (3100 მ.), ნაწიდროის წვერი (3100 მ.) და სხვა. აღმოსავლეთით, ქედიდან, მთა შავლეკიდან (3570 მ.) გამავალ თხემზე არის მწვერვალები და უღელტეხილები: ენჭოსსერი (3299 მ.), მერცხალი ბუდის სერი (3100 მ.), ხარაის წყაროის გადასასვლელი (2750 მ.), სახორცის სერი

(3100 მ.), ცხრაწყაროს სერი (2800 მ.), ბოჭორთის სერი (2800 მ.), ქიბლუხ-ის სერი (2500 მ.), ციხაისელის უღელტეხილი (1800 მ.).

ჩრდილოეთით პირიქითას ქედზე, რომელიც თუშეთს ქისტეთისაგან გამოჰყოფს (სიგრძე 52 კილომეტრია), ყველაზე მაღალია თებულოს მწვერ-ვალი (4500 მ.) და დიკლოს მთა (4270 მ.), ყველაზე დაბალი უღელ-ტეხილია უყურეჩო (3040 მ.), ქერიგოს უღელტეხილი (3200 მ.), თებუ-ლოსა და ქაჩუს უღელტეხილთა სიმაღლე კი — 3400 მ.

თუშეთსა და ხევსურეთს შორის მდებარე ქედი თუშეთის დასავლე-თი საზღვარია, რომლის სიგრძე 10 კმ-ია. აქაა პირიქითა ალაზნის სათ-ავეები. ამ ქედზე აღსანიშნავია უღელტეხილი აწუნთა (3400 მ.), მწვერ-ვალები: პირჩიტა, ამაგო (3800 მ.). მწვერვალ ბორბალოს სიმაღლეა 3200 მ., უღელტეხილისა — 2950 მ.

თუშეთი დაღესტნის საზღვრიდან ზევით სოფელ ბოჭორნამდე და პირიქითის ხეობაში სოფელ ჩიღომდე წყლის ნაკლებობას განიცდის. მოზრდილი ნაკადები თითქმის გამორიცხულია, წყაროთა გამოსავლებიც აქა-იქაა, რაც არის, ისიც მცირედებიტიანია. ცოტაა აგრეთვე მინერალური წყლებიც. სულ ოთხ ადგილზეა მათი გამოსავლები. გოგირდოვანი წყლებია შენაქოსა და ომალოს ჭალებში. რკინიანი წყალი გამოდის სოფელ ჩიღოს დაბლა, მდინარის მარჯვენა მხარეს, მას „ალოტს“ უწოდებენ.

თუშეთში ყველაზე დაბალ ადგილებში, 2500 მ. სიმაღლეზე, დიკლოს, შენაქოსა და ომალოს ირგვლივ, წყაროთა გამოსავლებია: სოფელ დიკლოს მიდამოებში — წისქვილხევი (სათავეს იღებს დიკლოს ვაკის ბოლოში, ჩატეხილთანაში), ნივრისწყარო (აქედანაა გაყვანილი სოფელში სასმელი წყალი), დროშაწყარო, ტბათანა, გუბი, უბაჭის წყარო, აგეურთწყარო, რეკუს-წყარო, ვილისწყარო, გიჩოსწყარო; სოფელ ომალოს ტერიტორიაზე სიქუე-ტის წყარო, ხიბრეტის წყარო, ბაკურხევი, სოფლის წყარო, ქუის წყარო, მორგველაის ხევი, მტრელდაუთის წყარო. ბოჭორმის ბოსლებთან ზემოთ ჩამოთვლილი წყაროები მცირედებიტიანია, თუ არ ჩავთვლით წისქვილხ-ევს. დანარჩენ წყაროებში წყლის ხარჯი წამში 1-7 ლიტრამდეა. გვალვი-ან ამინდში ბევრი მათგანი შრება.

თუშეთში რამდენიმე სახის ნიადაგია. პირველია კარგად განვითარე-ბული ტყის ღია ყომრალი, მეორეა ტყის ღია ყომრალი, სუსტად განვი-თარებული და ძლიერღორღიანი ნიადაგები. ამ ჯგუფის ნიადაგები გავრ-

ცელებულია 15-30^0 დაქანების ფერდობებზე, უფრო მეტად მთის სამხრეთ და აღმოსავლეთ კალთებზე, იქ, სადაც ფიჭვნარი და ფიჭვნარ-ფოთლოვანი მცენარეული საფარია. მესამეა პრიმიტიული კორდიან-ღორღიანი ნიადაგები. გავრცელებულია როგორც ტყის, ისე სუბალპურ და ალპურ ზონებში, ყველაზე მეტად 2700-2800 მ-ის ზემოთ. ამ ზონაში ფერდობთა უმეტესობის დახრილობა 30^0 აჭარბებს. ნიადაგსაფარის შექმნაში ხემცენარეთა გავლენა დაქვეითებულია. მეოთხეა ჭალის ნიადაგები (პროლუვიურ-დელუვიური), გავრცელებულია თუშეთის ალაზნის ორივე ხეობაში ახალგაზრდა ტერასებზე, სადაც მდინარისაგან მოტანილმა სილამ ქიმიური და ფიზიკური გარდაქმნის პროცესები ნაკლებად განიცადა; მეხუთეა სუბალპური ზონის ნიადაგები. გავრცელებული 2000-2400 მ-ზე, უმთავრესად ფიჭვისა და არყის გამეჩხერებულ ტყეებში, სუბალპური ბალახეულობის ან დეკიანების ზონაში. მეექვსეა ტორფიან-ღორღიანი (დეკიანები) ნიადაგი. გავრცელებულია როგორც სუბალპურ, ისე ალპურ ზონაში 2900-3000 მ სიმაღლეზე. მეშვიდე — სუბალპური ზონის კლდიან-ღორღიანი ნიადაგებია. დამახასიათებელია სამხრეთ-აღმოსავლეთით მკვეთრად დაქანებული ფერდობებისათვის, სადაც ზედაპირი მუდმივი გამოფიტვის გავლენის ქვეშაა (ჩამოშლა, ჩამორეცხვა).

ახალმა ცხოვრებამ თუშეთის ყოფაში დიდი ძვრები მოახდინა. ხალხმა გეზი კახეთისაკენ აიღო. ეს გამოწვეული იყო მთაში მძიმე საცხოვრებელი პირობით, უმეტესად კი სახნავი მიწის სიმცირითა და მეცხვარეობისთვის დამახასიათებელი ტრადიციული მომთაბარეობით. წინათ თუშები სოფლების მშენებლობისას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ სავარგული ფართობების რაოდენობას. სახლებს აშენებდნენ მზიან, შემაღლებულ ადგილებში, რათა თოვლის ზვავისაგან დაცული ყოფილიყო. სახნავი სამხრეთ ფერდობებზეა, რადგან ჩრდილოეთ ფერდობებზე თოვლი გვიან დნება. ამიტომაც თუშეთის სოფლები თავისი მდებარეობით ადგილთან შირჩეული და შერწყმული არიან. ბოლო პერიოდში სახლები აღარ შენდება, დაიწყო მასიური გადმოსახლება ბარად, რაც უფრო გაძლიერდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის შემდეგ. მოსახლეობის 95% ბარად გადასახლდა. სოფლები დაიცალა. სახლების უმეტესობა დაინგრა. მხოლოდ ზაფხულობით ადიან თუშები მთათუშეთში და ისიც არა ყველა სოფელში. ისინი საცხოვრებელად კახეთის სოფლებში დამკვიდრდნენ, ახმეტის რაიონის ზემო და ქვემო ალვანსა და თელავის რაიონის სოფელ

ლალისყურში. მეცხვარეობაც, ეს მეტად მნიშვნელოვანი დარგი სოფლის მეურნეობისა, დაკნინების გზაზეა. თუში მეცხვარე იშვიათად გვხვდება. ახალგაზრდობა აღარ მისდევს ამ დარგს. იკარგება ისეთი იშვიათი სპეციალობები, როგორიცაა ცხვრის დამთვლელი, თუშური ყველის ამომყვანი და სხვ. დღეს თუშეთის აღორძინებისათვის აუცილებელია თუშებით დასახლებული კახეთის სამი სოფლისა და შირაქის საძოვრების ეკონომიკური კავშირების გაფართოება. მთათუშეთის მიტოვება ნიშნავს არა მარტო მეცხვარეობის მოსპობას, არამედ საქართველოს უნიკალური კუთხის მთლიანად დაკარგვასაც.

6.9 კახეთი

ა) კახეთის კავკასიონი

კახეთის კავკასიონს, კავკასიონის სამხრეთი ფერდობის უკიდურესი, კახეთის ქედსა და აზერბაიჯანს შორის მოქცეული ნაწილი უკავია. აქ სასაზღვრო სივრცის ტერიტორია მოიცავს ალაზნის ზემო წელის ხეობას, ე.წ. პანკისს, ალაზნის მარცხენა შენაკადთა აუზებს და მარჯვენა შენაკადის მდინარე ილტოს აუზს. რაიონი ჩრდილოეთით და ჩრდილოაღმოსავლეთით თუშეთსა და დაღესტანს ესაზღვრება. საზღვარი კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის თხემს გასდევს მთა ბორბალოდან მთა ტინოვროსამდე. სამხრეთი საზღვარი პირობითია, ის კავკასიონის კალთებში ჩაჭრილ ეროზიული ხეობების აკუმულაციურ ვაკეს ემიჯნება და კახეთის კავკასიონს ალაზნის ვაკისაგან გამოყოფს. კახეთის კავკასიონის მთები კავკასიონის დასავლეთ ნაწილთან შედარებით დაბალია. თანამედროვე მყინვარები საერთოდ არ არის, დამახასიათებელია უხვნალექიანობა. ნალექების რაოდენობა აქ უფრო მეტია, ვიდრე სამაჩაბლოში (ყოფილ სამხრეთ ოსეთში) და ფშავ-ხევსურეთში. ამიტომაც კახეთის ამ ნაწილში ფლორა მდიდარია. განივი ხეობებით დასერილი მთიანი კედელი ამ რაიონს სხვა რაიონებისაგან განასხვავებს. კახეთის კავკასიონი უმთავრესად იურული ქანებით არის აგებული.

ალაზნის მარცხენა შენაკადთა აუზებში ბევრია ჩანჩქერი და ულამაზესი ადგილი, მაგრამ არ არსებობს პირობები სამეურნეო საქმიანობისა და გზათა გაყვანისათვის, რადგან ხეობები კლდოვანი და ვიწროა.

ჰავა გამოირჩევა მნიშვნელოვანი ტენიანობით. ყვარელში, ლაგოდეხში, ჯოყოლოსა და სხვაგან, ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენო-



კახეთი

ბა 600-1000 მმ-ია, უფრო მაღალ ჰიფსომეტრიულ სიმაღლეზე — კავკასიონის კალთებსა და თხემზე 1500-2000 მმ-დეა.

რაიონი გადაკვეთილია მთის მდინარეებით მდ. ალაზნის ზემო წელით და მისი მარცხენა შენაკადებით.

კახეთის მთიანეთის მცენარეული საფარი მთისწინეთში 2000-2200 მეტრ სიმაღლეზე წიფლის ტყეებითაა წარმოდგენილი, უფრო ზევით ალპური მდელოებია. აქაურ ხეობებში გვხვდება: ურთხელი, ძელქვა, წყავი, ბზა და სხვა. კახეთის კავკასიონზე ფლორა და ფაუნა კარგადაა შემონახული, განსაკუთრებით გამოირჩევა ლაგოდეხის ნაკრძალი.

კავკასიონის მთავარი ქედი კახეთის ფარგლებში შედარებით ზომიერი აბსოლუტური სიმაღლით ხასიათდება, მისი თხემის უსწორმას-

წორობაც (მწვერვალებსა და უღელტეხილებს შორის ჰიფსომეტრიული სხვაობა) შედარებით მცირეა. მწვერვალ ბორბალოდან რომ გავყვეთ ამ თხემს სამხრეთ-აღმოსავლეთით, აზერბაიჯანის საზღვრისაკენ, სულაკ-ალაზნის წყალგამყოფზე შევხვდებით შემდეგ ძირითად უღელტეხილებსა და მწვერვალებს: უღელტეხილი საყორნე (3050 მ.); მწვერვალი სამყურისწვერი (3258 მ.); უღელტეხილი საყინოსღელე (3241 მ.); მწვერვალები დიდგვერდი (3334 მ.), ბულანჩოსწვერი (3259 მ.); უღელტეხილი აბანოსსერი (2900 მ.); მწვერვალი შავი კლდე (კახეთის კავკასიონის უმაღლესი წერტილი (3576 მ.); საბუე (3097 მ.); დიდი ანდარაზანი (3029 მ.); საქორისწვერი (3027 მ.); უღელტეხილი ყადორი (2399 მ.); მწვერვალები ხუბიარა (3109 მ.), ასაკიდისთავისწვერი (3039 მ), ნინიკასციხე (3111 მ.), დიდგორი (2910 მ.); უღელტეხილი ვანტლიაშეთი; მწვერვალები მოურავისწყაროსთავი, ხიმრიკი (3100 მ.); ტებელსერი (3033 მ.); ხოჩალდაღი (3494 მ.); უღელტეხილი მაჩხალროსა; მწვერვალი ტინოვროსი (3384 მ.).

მთავარი ქედის სამხრეთი ტოტები სწრაფად დაბლდება ალაზნის ვაკისაკენ. მათ შორის ყველაზე თვალსაჩინოა: პანკისის ქედი, მდინარეებს ილტოსა და ალაზანს შორის; სპეროზას ქედი, რომელიც ალაზნის ორი ძირითადი შემდგენლის — წიფლოვანისხევისა და სამყურისწყლის აუზებს ყოფს და სამხრეთით საკუთრივ სპეროზას არკოზული კლდოვანი მასივით ბოლოვდება; ნაქერალას ქედი წყალგამყოფია ალაზან-სტორის ხეობებისა; ანდარაზანის ქედი დიდხევ-ლოპოტის წყალგამყოფია.

პანკისი ალაზნის ხეობის ზემო კავკასიონის მთიანი ზოლის ფარგლებში მოქცეული (ბახტრიონის ზემოთ მდებარე) მონაკვეთის სახელია. ალაზნის ორი შემადგენელი — წიფლოვანის ხევი და სამყურის წყალი, სათავეებს ილებენ მთავარ ქედზე ბორბალოსა და დიდგვერდის მასივებს შორის. ისინი ერთდებიან ზღვის დონიდან დაახლოებით 950 მ სიმაღლეზე. ამ პუნქტის ქვემოთ, სოფელ ქორთაბუდესთან, ალაზანი ვიწრო ხეობიდან გადადის პანკისის ფართო ხეობაში და ვრცელდება 15 კმ სიგრძეზე ალაზნის მთათაშორის ვაკემდე. ქორთაბუდეს ზემოთ ალაზნის აუზი ფოთლოვანი ტყითაა შემოსილი, სადაც გაბატონებულია წიფელი, ალაგ-ალაგ შემონახულია ურთხმელის რელიქტური ტყეები. მათი ყველაზე დიდი მასივი ალაზნის მარჯვენა შენაკადის მდ. ბასარას ხეობაშია 1000-1100 მ სიმაღლეზე. ამ მასივს 800 ჰექტარი ფართობი უჭირავს და უდიდესი მასივია ურთხმელის ტყეებისა. ხეების ასაკი აქ 300-500-დან

1500 წლამდე ცვალებადობს.

ალაზნის მარჯვენა შენაკადი ილტო სათავეს იღებს კახეთისა და პანკისის ქედების განტოტვის ადგილას და ჯერ სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ მოედინება, ალაზნის ზემო დინების პარალელურად, შემდეგ კი მკვეთრად აღმოსავლეთისაკენ უხვევს და ერთვის ალაზანს, რაიონულ ცენტრ ახმეტის ცოტა ზემოთ. მთელი აუზი, კახეთისა და პანკისის ქედთა ჩრდილოეთი ნაწილის მდელოებით დაფარული თხემების გამოკლებით, ფოთლოვანი ტყით არის შემოსილი.

კავკასიონის მთიანი ნაწილი, რომელიც მოქცეულია პანკისის ხეობასა და აზერბაიჯანის ქალაქ ნუხის მიდამოებს შორის, გრანდიოზული რღვევით ჩამოყალიბებული თითქმის სწორხაზოვანი მთიანი კედელია, რომელიც 180-200 კმ (საქართველოს ფარგლებში 90 კმ) სიგრძეზეა გაჭიმული. კახეთ-შირვანის ჩამონასხლეტი კედლის ნაწილში, რომელიც კახეთს ეკუთვნის, ჩაჭრილია ალაზნის მარცხენა შენაკადების — სტორის, დიდხევ-ლოპოტას, ინწობის, ჩელთის, დურუჯის, ავანისხევ-კაბალის, ჭართლისხევის, ლაგოდეხისწყლის, მიწისწყლის მოკლე, ღრმა და ვიწრო ეროზიული ხეობები. მდ. დურუჯის ხეობაში ხშირია ღვარცოფები. სტორის ხეობაში მოსჩქეფს ცხელი გოგირდოვანი წყლები, რომელზედაც უხსოვარი დროიდან არსებობს კურორტი თორღვაის აბანო. დასავლეთით, სოფელ ბაბანაურის მიდამოებში — პანკისის ხეობასა და სტორის ხეობას შორის მდებარე ფერდობებზე იზრდება ძელქვა. ძელქვის კორომებს აქ 300-400 ჰექტარი უკავია. მდ. დიდხევის მარცხენა შენაკადის — ფათალოსხევის ხეობას 4-5 კმ სიგრძეზე აუყვება წყავის მარადმწვანე ბუჩქნარი. ყვარლის მახლობლად მდინარე ბურსას ნაპირებზე ბზის ტევრებია, რომელთაც 50 კმ^2-ზე მეტი ფართობი უკავია.

ლაგოდეხის ნაკრძალს მთიანი კახეთის უკიდურესი აღმოსავლეთი (აზერბაიჯანთან მოსაზღვრე) ნაწილი — ალაზნის მარცხენა შენაკადების ლაგოდეხისწყლისა და მთის წყლის აუზი უჭირავს. ნაკრძალის ფართობი 13500 ჰექტარია, მისი ზედაპირი ჰიფსომეტრიულად 450-3500 მ. სიმაღლეზეა. ნაკრძალის ტერიტორიის უმაღლესი წერტილი ხოჩალდაღის მწვერვალია, რომელსაც ძველი მყინვარების ზემოქმედების აშკარა ნიშნები ემჩნევა. ნაკრძალის უმეტესი ნაწილი მთიანია, დანაწევრებული რელიეფი აქვს და მხოლოდ მთავარი ქედის წყალგამყოფ ზოლში — დაღესტნის საზღვართან გვაქვს მშვიდი რელიეფის რელიქტები.

ტყის მცენარეულობა, რომლითაც ნაკრძალის ტერიტორია 2200-2300 მ-ის სიმაღლემდეა დაფარული, სიუხვით ხასიათდება. ლაგოდეხის ნაკრძალში მცენარეთა ათასამდე სახეობა იზრდება.

ლაგოდეხისა და მის მოსაზღვრე ზაქათალის ნაკრძალებში ბინადრობს კავკასიონის ფაუნის ისეთი წარმომადგენლები, როგორიცაა: ირემი, ჯიხვი, არჩვი, როჭო და სხვ.

ახმეტის რაიონს 2207 კმ² ტერიტორია უკავია. აქ არის ერთი ქალაქი — ახმეტა 8850 მოსახლით, 12 სასოფლო საბჭო და 60 სოფელი. 32 სოფელში ჭარბობენ ქართველები, 12-ში ოსები. ახმეტის რაიონის რამდენიმე სოფელი ჩეჩნებით არის დასახლებული. სახნავ-სათესი მიწების ფართობი 16098 ჰექტარია, სათიბი 461, საძოვარი 67602 ჰა, ტყეებს უკავია 86843 ჰა.

ყვარლის სასაზღვრო სივრცის ფართობია 1001 კმ². აქ არის ერთი ქალაქი 11271 მოსახლით, ცხრა სასოფლო საბჭო და 16 სოფელი. ქართველობა ჭარბობს 12 სოფელში, ერთ სოფელში — ოსები, ორში (თივი, სარუსო) — ლეკები, ორ სოფელში კი (თხილისწყარო და ჩანტლისყურე) ქართველები და ლეკები თანაბარი რაოდენობით არიან.

ტყის მასივებს უჭირავს 5842 ჰექტარი, სახნავ–სათესი მიწები 23583 ჰექტარია, სათიბები არა აქვთ, საძოვრის ფართობი კი 15064 ჰექტარია.

ლაგოდეხის რაიონის საზღვრისპირა ტერიტორია 890,2 კმ²-ია აქ არის ერთი ქალაქი — ლაგოდეხი 8969 მუდმივი მოსახლით, თოთხმეტი სასოფლო საბჭო და 63 სოფელი. ქართველები ჭარბობენ 37 სოფელში, ოსები — 12-ში, აზერბაიჯანლები — 4-ში. სახნავ-სათეს მიწებს უჭირავს 28080 ჰექტარი, საძოვრებს 10705, ტყის მასივებს 20250 ჰექტარი. ლაგოდეხის რაიონი აზერბაიჯანს ესაზღვრება, აქ საზღვრისპირა დასახლებული პუნქტებია: ქალაქი ლაგოდეხი, სოფლები: მაწიმი (ყოფილი ცოდნა), შრომა, რაჭისუბანი, კავშირი, განათლება, გელათი, სვობოდნოე, ცოდნისკარი, შეერთება, ჩადუნიანი, ვარდისუბანი, წიფლისწყარო, ყარსუბანი, სვიდება, თამარიანი, მშვიდობიანი, ულიანოვკა, წითელგორი.

კახეთის ზონიდან აზერბაიჯანს ესაზღვრება საგარეჯოს რაიონის უდაბნოს სასოფლო საბჭოს ტერიტორია, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით ქიზიყი.

ბ) ქიზიყი

ქიზიყი ისტორიული სასაზღვრო სივრცეა საქართველოსი. იგი შორეულ წარსულში უცნაური სახელით — „კამბეჩოვნით“ მოიხსენიებოდა. ბერძენი გეოგრაფი და ისტორიკოსი სტრაბონი მას „კამბისენეს“ უწოდებს. ქართულ საისტორიო წყაროებში „კამბეჩოვანის“ ასეთი ვარიანტებიც გვხვდება: „კამბეჩიანი“, „კამბეჩოანი“. როდის და რატომ ეწოდა ამ მხარეს ეს სახელი, არავინ იცის. ვახუშტი ბაგრატიონი ამას კამეჩთა სიმრავლით ხსნის.

ქიზიყის დღევანდელი ტერიტორია მდინარე მტკვრის ჩრდილოეთით, ყარაიას ველის ქვემოდან დაწყებული, ივრისა და ალაზნის ქვემო წელის აუზებს (დღევანდელი სიღნაღისა და დედოფლისწყაროს რაიონები) მოიცავს.

კამბეჩოვანს XI საუკუნის ქართველ მემატიანე — ლეონტი მროველი ჰერეთის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს. გაერთიანებისათვის ბრძოლის ხანის ქართულ წყაროებში (IX-X სს.) ტერმინები „კახეთი“ და „ჰერეთი“ ერთმანეთს ენაცვლება. XI საუკუნის დასაწყისში კახეთ-ჰერეთის გამაერთიანებელ კვირიკე დიდს თავის სამეფოში შვიდი საერისთავო დაუარსებია. ამ დროიდან კამბეჩოვანი მოხსენიებულია, როგორც ხორნაბუჯის საერისთავო. კამბეჩოვანს იმ დროისთვის ესაზღვრებოდნენ იბერნი, ალბანელნი და სომხები (თანამედროვე აზერბაიჯანის ჩრდილოეთ ოლქებს და დაღესტნის მნიშვნელოვან ნაწილს ძველად ალბანეთს უწოდებდნენ).

კამბეჩოვანის ბუნებრივი საზღვრები, მტკვარ-ალაზან-ივრის ხეობების სახით, უხსოვარი დროიდანვე აკავშირებდა მას იბერიასთან. მტკვარსა და იორს შუა მდებარე მისი ტერიტორიის ნაწილი ჰერეთის ფარგლებში იყო, ხოლო კამბეჩოვანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი კი იბერიის (ქართლის) სამფლობელოში შედიოდა.

კამბეჩოვანის ისტორია საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ამიტომაც ამ კუთხის წარსული განიხილება საქართველოს წარსულთან კავშირში. ამ მხარეში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ადამიანი უხსოვარი დროიდან ცხოვრობს.

პირველი ქართველი ქრისტიანი მეფის — მირიანის დროს (IV საუკუნის პირველი ნახევარი) ბოდბე (დაბა ბუდი) ჰერეთს (კერძოდ კამბეჩოვანს) ეკუთვნოდა და ქართლის სამეფოში შედიოდა. აქ შეუქმნიათ იბერიის ერთ-ერთი უდიდესი ქრისტიანული სარწმუნოებრივ-კულტურული ცენტრი ბოდბის მონასტერი, სადაც დაკრძალულია ქართველთა განმანათლე-

ბელი წმინდა ნინო.

472-474 წლებში ვახტანგ გორგასალმა კამბეჩოვანის შემოერთებულ ნაწილში, დაბა ბუდეში (ბოდბეში) „დასუა“ თავისიანი ეპისკოპოსი, ხოლო მოღვაწეობის უკანასკნელ წლებში (გარდაიცვალა 502 წელს) კამბეჩოვანი მთლიანად შემოუერთა ქართლის (იბერიის) სამეფოს. ამ დროიდან მოყოლებული კამბეჩოვანი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული თვალსაზრისითაც, ქართლის ორგანული ნაწილი ხდება, თუმცა ხელიდან ხელში მისი გადასვლის ფაქტები კვლავაც აღინიშნებოდა.

ბრძოლა კამბეჩოვნის შემოერთებისთვის აიხსნებოდა ამ მხარეში დიდი საზამთრო საძოვრების არსებობით და საქვეყნო გზების ხელში ჩაგდების უდიდესი ეკონომიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობის სწორი შეფასებით.

კამბეჩოვანი VII-X საუკუნეებში ცალკე ადმინისტრაციულ ერთეული იყო. ამაზე მიგვითითებენ სომხური და არაბული წყაროები. თამარ მეფის დროს ხორნაბუჯის (კამბეჩოვანის) საპატრონო ცალკე პოლიტიკურ ერთეულად წარმოგვიდგება — „ჰერეთის ერისთავები არ ფლობდნენ კამბეჩოვანს“. ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემით, მონღოლთა ბატონობის წინ, იორ-ალაზნის ხეობები (კამბეჩოვანის ფარგლებში) მჭიდროდ დასახლებული და მდიდარი მხარე ყოფილა.

კამბეჩოვანის შესატყვისი გვიან ხანებში ქიზიყი გახდა. ეს სახელწოდება წყაროებში XV საუკუნიდან გეხვდება. გვიან შუა საუკუნეებში ქიზიყი იყო კახეთის ძირითადი ძალა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. 1616 წელს შაჰ-აბას I დაარბია მხარე, მოსახლეობა ხორნაბუჯის ციხეში გაიხიზნა და მტერმა ვერ მოახერხა მისი აყრა. XVII საუკუნის 60-70-იან წლებში კახეთში გაბატონებულ ყიზილბაშ ხანებს მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, ყარაღაჯში ჰქონდათ სამხედრო საყრდენი პუნქტი. ქიზიყშივე ჰქონდა საზამთრო (ყარაღაჯში) და საზაფხულო (მაღაროში) რეზიდენციები კახეთის მეფე დავით II (იმამყული-ხანი, 1703-22 წლები).

თეიმურაზ II და ერეკლე II მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მრავალჯერ ყოფილან ქიზიყში და ერთიანი ძალით გაუნადგურებია დაღესტნელთა და ჭარ-ბელაქელთა ყაჩაღური ბანდები; ქიზიყელთა მხედრობა ქართველ მეფეთა საყრდენი და ნამდვილი გვარდია იყო. ისტორიული პირობების გამო ამ მხარის მოსახლეობას გამოუმუშავდა და დაუმკვიდრ-

და ბრძოლასა თუ შრომაში დიდი ამტანიანობა და კოლექტიური მოქმედების ჩვევები. ვახუშტი ბაგრატიონი ასე ახასიათებს მათ: „არიან კაცნი ბრძოლნი, მხნენი, ახოვანნი, შემმართებელნი, მაგარნი, მიმყოლნი ურთიერთთა“. ვახუშტი ბაგრატიონივე გვაძლევს საკუთრივ ქიზიყის ანუ „პირველი კამბეჩოვანის“ ტერიტორიის საზღვრებს. მან უძველესი კამბეჩოვანის ტერიტორიაზე გამოყო ამ მხარის მთაგორიანი ნაწილი, რომლის ფარგლებში, როგორც ჩანს, ეგულება მჭიდროდ დასახლებული მკვიდრი მოსახლეობა და მისი კუთვნილება — დიდი ველები და ზეგნები, რომლებიც „ქართლის ცხოვრებაშიც“ წარმოდგენილი აქვს, როგორც „კამბეჩოვანის ვაკენი“ მისი საძოვარ-სადგომებითა და სახნავ-სათესი ფართობებით. ვახუშტი ასე აღწერს ქიზიყის საზღვრებს: „ხოლო საზღვრის აღმოსავლეთით ველი შირაქი, ალაზანი; დასავლეთით ლაკბის-ხევი და ხაზი მისი იორამდე გასული, უფადარი და წმინდა მინდორი ხორანთა, იორი ანუ მტკვარი სამხრეთით, ხოლო ჩრდილოეთით მთა ცივისა კარდანახსა და ქიზიყს შორის, და ხაზი ასანურ-საქვაბეს შორის გასული ალაზნამდე“. ცივ-გომბორის ქედის ბოლო მონაკვეთს „ცივი“ ეწოდებოდა.

1860 წელს ქიზიყს ახსენებს რუსეთის ელჩობის ხელმძღვანელი მიშეცკი. მას ღამე „ქიზიყის გორასთან“ გაუთენებია. გ. ჩუბინაშვილი „ქიზიყის გორას“ დღევანდელ სიღნაღის მაღლობად მიიჩნევს. 1711-1716 წწ. წმინდა ნინოს მონასტრისადმი მიცემულ სიგელში აღნიშნულია, „რომ გადასახადი ევალებოდათ თანაბრად ბოდბეს, ხევსა და „ხიზიყს“. ქიზიყს ეხება ბაგრატ ბატონიშვილის მიერ 1800 წლის ნოემბრით დათარიღებული ცნობა, რომ „წარემართნენ და მივიდნენ წინამხარს, ძველს ანაგად წოდებულსა ადგილსა, რომელიცა შორაგს ქიზიყსა ორითა... ფარსანგითა“ (ფარსანგი 6,5 კმ-ს უდრის).

გეოგრაფიულ პუნქტში „ქიზიყი“ ყველგან ნაგულისხმევია მაღარო-სიღნაღის მიდამოები.

პლატონ იოსელიანი ერთგან მიუთითებს, რომ ჭარელი ლეკები განსაკუთრებით თავს ესხმოდნენ „სამეფოსა ქალაქსა ქიზიყსაო“. მიკრორაიონი „ქიზიყი“ უნდა წარმოვიდგინოთ მთელი მხარის დიდმნიშვნელოვან საკვანძო, გამაგრებულ ობიექტად. მას მოიხსენებენ თეიმურაზ I და არჩილ მეფეც. თანამედროვე სიღნაღის ეს წინაპარი (ქიზიყი, ხისიყი), უნდა ყოფილიყო მემკვიდრე ამავე არეში არსებული უძველესი ქალაქისა კამბეჩოვანისა“, აღნიშნავს ივანე შაიშმელაშვილი

ამრიგად, თავის მხარის მოსახელე „ქიზიყი“ თავდაპირველად მაღარო-ნუკრიან-„ქიზიყ გორის“ ფარგლებს ემთხვევა, შემდეგ კი მხოლოდ „ქიზიყის გორას“ (სიღნაღის მაღლობს) გულისხმობს და ქართლ-კახეთის აღმოსავლეთი კარის ციტადელად გვევლინება.

კამბეჩოვანის მხარეს ხორნაბუჯის დაარსებამდე, უნდა ჰქონოდა თავისი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრი და ასეთი იყო ქ. კამბეჩოვანი, რომელიც დაარბია „ხუასრო მეფემ“ ვახტანგ გორგასლის მეფობის უკანასკნელ წელს (V საუკუნის მიწურულს). ამ დროიდან ქალაქ კამბეჩოვანის შესახებ არაფერი ვიცით.

ქიზიყის დღევანდელი მოსახლეობის დიდი ნაწილი ძირითადად სისხლიან ქარტეხილთა შემდეგ არის ჩასახლებული მთიანი კახეთიდან, ქართლიდან, ნაწილობრივ იმერეთიდან, გურიიდან და რაჭიდან. ამიტომ მათ უძველეს კამბეჩოვანსა და ძველი ქიზიყის ტრადიციებზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ, „ლეკიანობაზე“ კი საკმაოდ ნათელი გადმოცემები შემოუნახავთ.

ქიზიყის მთავარი ქალაქი სიღნაღია. ქალაქის აღმოცენება უკავშირდება ამ ადგილებში აბრეშუმის გზის ლეკეთის განშტოებით მოდენილ საქარავნო გზის არსებობას, რამაც ასევე შეუწყო ხელი ქიზიყის, ხორნაბუჯის (ძველი) და კამბეჩოვანის განვითარებას, სადაც ფეხი მოიკიდა ვაჭრობამ, ხელოსნობამ, მაღალპროდუქტიულმა მესაქონლეობამ.

სიღნაღი მდებარეობს ციე-გომბორის ქედის მთავარი წყალგამყოფი ზურგის დასასრულთან, მკაფიოდ გამოკვეთილ მაღლობზე. მისი კოორდინატებია ჩრდილოეთი განედის 41°37’ და აღმოსავლეთი გრძედის 45°55’. ამ მაღლობის უმაღლესი წერტილი ზღვის დონიდან 800 მეტრზე მაღალია.

სახელწოდება „სიღნაღი“ ქართული წარმოშობისა არ არის. იგი თავშესაფარს ნიშნავს (თურქული „სიღინაკ“). ქალაქი გაშენებულია მეტისმეტად უსწორმასწორო მაღლებზე, მოსჩანს კახეთის მთელი წინა მხრიდან და 500 მეტრი სიმაღლიდან გადასცქერის ალაზნის ველს.

სიღნაღი — ყოფილი ქალაქი ქიზიყი, საქართველოს ქალაქთა სიაში 1770 წელს შეუტანიათ. იგი სულ მალე კახეთის ვაჭრობა-ხელოსნობის მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა. ეს ქალაქი ისტორიულად თავიდანვე ქართველ მეფეთა ხელისუფლებას ექვემდებარებოდა და ფეოდალური სისტემის არსებობისას, მისი მეურნეობის მართვაში მეფის ხელისუფლებას არავინ ჰყავდა მოქიშპე.

აღორძინების გზაზე დამდგარი მხარის განახლებულ ცენტრში, სიღნაღის მაღლობზე 1762 წ. ახალი ციხე-გალავანის აგება დაუმთავრებიათ. მისი ორნახევარ კილომეტრზე მეტი სიგრძის გალავანი 23 კოშკით და ამდენივე კონტრფორსით არის დამშვენებული და ექვსი ჭიშკარი აქვს.

მაღარო — ბოდბის უღელტეხილის ჩრდილოეთ კარიბჭეზე აღმართული სიღნაღის სიმაგრე-თავშესაფარი არა მარტო ქიზიყის მოსახლეობის დაცვის საქმეს ემსახურებოდა, იგი წარმოადგენდა დაღესტნელთა ავაზაკური ბრბოების წინააღმდეგ ბრძოლის ბაზასაც, რომელიც დაღესტანსა და მის ავანპოსტზე — ჭარზე, იყო გამიზნული.

ქიზიყის მოურავს სიღნაღის მამასახლისიც ემორჩილებოდა და მეფის საჭიროებისათვის შეეძლო გამოეყვანა 3000 ცხენოსანი და შეიარაღებული კაცი. სიღნაღი იმთავითვე ყურადღებას იქცევდა, როგორც სამხედრო მნიშვნელობის უდიდესი ციხე-თავშესაფარი და ივერიის ერთ-ერთ უდიდეს სარწმუნოებრივ ცენტრთან მდებარე ქალაქი და, ბოლოს, როგორც ვაჭრობა-ხელოსნობის მნიშვნელოვანი ცენტრი კახეთში.

1802 წელს სიღნაღის მაზრაში შესულა სოფლები: კოშკი, გურჯაანი, ვეჯინი, ბაკურციხე, კარდანახი, ჩალაუბანი, მელაანი, ქოდალო, ფხოველი, ზიარი, აგრამი, ჯიმითი, ანაგა, ვაქირი, საქობო, მაშნაარი, ჯუგაანი, ტიბაანი, ფანიანი, ნუკრიანი, ჭოტორი, ბოდბისხევი, ქედელი, მაღარო, ბოდბე, ასანური და ნასომხარი ანუ ახალი სიღნაღი.

რუსეთის ბატონობის პერიოდში მონაპირე ქალაქები, მათ შორის სიღნაღიც, მეფის მოხელეთა ყურადღებას იქცევდა არა როგორც აღორძინება-წინსვლის ობიექტები, არამედ როგორც რუსის ჯარის ყაზარმა.

1844 წელს გამოცხადდა იმპერატორის ბრძანება სიღნაღის მაზრის ჩამოყალიბების შესახებ, მასში შესულა სიღნაღის, უკანა მხარისა და შირაქის (ამ დროისათვის კვლავ აღდგენილი) უბნები,ხოლო ქალაქი სიღნაღი სამაზრო ქალაქთა სიაში შეუტანიათ.

ისტორიულ ქიზიყში ძველთაგანვე ცნობილი იყო წმინდა ნინოს მონასტერთან არსებული სასწავლებელი. გარდა ამისა, წერა-კითხვისა და იმ დროის შესაფერისი ცოდნის გავრცელებაში სათანადო როლს ასრულებდა ამ მხარეში ცნობილი სხვა უძველესი სარწმუნოებრივი ცენტრები. 1884 წლიდან უმეტესად საეკლესიო-სამრევლო სკოლების ქსელმა იწყო გაფართოება. აქ პირველდაწყებითი განათლება მიუღიათ ისეთ თვალსაჩინო წარმომადგენლებს ქართველი ერისა, როგორებიც იყვნენ:

ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებაში ღრმად განსწავლული იონა ხელაშვილი (1775-1837 წწ), განმანათლებელი, ფილოსოფოსი, ჟურნალისტი და აღმზრდელ-მასწავლებელი სოლომონ დოდაშვილი (1805-1836 წწ.) და სხვა მრავალი სახელოვანი მამულიშვილი. ქიზიყში სოფელ ზემო მაღაროში დაიბადა ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი და პედაგოგი გაიოზ რექტორი (1746-1821).

1921 წლამდე ქალაქი სიღნაღი რჩებოდა ხელოსნობისა და ვაჭრობის კერად. ოფიციალურ ქალაქად გამოცხადებიდან უკვე საუკუნენახევარი იყო გასული. ამ დროის განმავლობაში მისი პირვანდელი სახე მნიშვნელოვნად შეიცვალა. დღეისათვის, როგორც მთელი ეს ციხე-ქალაქი, ისე მისი ძველი ნაგებობანი, გარკვეულ არქიტექტურულ ინტერესს იწვევს.

კახეთის რკინიგზის აღმოსავლეთი განშტოების ბოლო სადგურთან, სიღნაღიდან სულ რაღაც 4 კილომეტრის დაშორებით გაჩნდა სრულიად ახალი დასახლება — წნორი, რომელიც დღეს თანამედროვე ქალაქს წარმოადგენს.

სიღნაღის რაიონში ეს ორი საქალაქო და თორმეტი სასოფლო საბჭოა. ქალაქ სიღნაღში არსებობს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, კულტურისა და დასვენების პარკი, კინოთეატრი, ბიბლიოთეკა, მექანიკური ქარხანა და ღვინის ქარხნები (აქ მზადდება „ტიბაანი“ და „ხირსა“).

სიღნაღის რაიონი და საერთოდ ქიზიყი, პირველ ყოვლისა, მძლავრი სასოფლო-სამეურნეო მხარეა. აქ უძველესი და უმთავრესი დარგებია მარცვლეულის, ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოება, ბოლო წლებში კი განვითარდა მევენახეობა-მეღვინეობა.

დღევანდელი ქიზიყი მოიცავს სიღნაღის და დედოფლისწყაროს რაიონებს; სიღნაღის რაიონის სახნავ-სათესი ფართობი 1985 წლის მონაცემებით 51017 ჰექტარია; სათიბი — 900; საძოვარი — 45806 ჰექტარი; რაიონის საერთო ფართობი 9691 კმ^2-ია. ტყის მასივებს უჭირავთ 40220 ჰექტარი. დედოფლისწყაროს რაიონის სახნავ-სათესი სავარგულები შეადგენს 64890 ჰექტარს, სათიბი — 3790, ხოლო საძოვარი — 115251 ჰექტარს.

ტერიტორიულად დედოფლისწყაროს რაიონი ესაზღვრება აზერბაიჯანს. საზღვრისპირა სოფლებია: ქვემო ქედი და წითელი საბათლო.

სიღნაღის რაიონი

ტერიტორია 1251,7 კმ²
ქალაქი - 2
სოფლის საბჭო - 12
სოფელი - 21
ქართველები ჭარბობს 19 სოფ.

რაიონის, სოფლის, ქალაქის დასახელება	მოსახლეობის რაოდენობა	ეროვნება %-ში
რაიონების მოსახლეობა სულ	49161	ქართველი 92,5% რუსი 4,3% სომეხი 1,5%
ქ. სიღნაღი	3147	ქართველი 91,8% სომეხი 5,7%
ქ. წნორი	2911	ქართველი 69,9% რუსი 14,2% სომეხი 5,5%
წნორის საქალაქო საბჭოს		
სოფლის მოსახლეობა	4178	
ანანური	1990	ქართველი
კვენაკელი	2188	ქართველი
ანაგის სასოფლო საბჭო:		
ანაგა	3728	ქართველი
ბოდბის სასოფლო საბჭო:		
ქვემო ბოდბე	3907	ქართველი
ზემო ბოდბე	800	ქართველი
ბოდბისუბნის სასოფლო საბჭო:		
ბოდბისუბანი	4028	ქართველი
ეაქირის სასოფლო საბჭო:		
ეაქირი	3266	ქართველი
ჯუგაანის სასოფლო საბჭო:		
ჯუგაანი	3164	ქართველი
ძველი ანაგის სასოფლო საბჭო:		
ძველი ანაგა	2275	ქართველი
ქვემო მაჩხანის სასოფლო საბჭო:		
ქვემო მაჩხანი	2130	ქართველი
ყარაყაკი	295	ქართველი 60% აზერბაიჯანელი 23%
მაღარის სასოფლო საბჭო:		
ქვემო მაღარო	2822	ქართველი
ზემო მაღარო	264	ქართველი
ძველი ანაგის სასოფლო საბჭო:		
ძველი ანაგა	2275	ქართველი
ნუკრიანის სასოფლო საბჭო:		
ნუკრიანი	2339	ქართველი
ჭოტორი	690	ქართველი
საქობის სასოფლო საბჭო:		
საქობი	4165	ქართველი
მაშხარი	1019	ქართველი
ტიბაანის სასოფლო საბჭო:		
ტიბაანი	1962	ქართველი
პრასიანი	577	ქართველი
ულიანოვკის სასოფლო საბჭო: ულიანოვკა	1360	რუსი

დედოფლისწყაროს რაიონი

ტერიტორია 2529,2 კმ²
ქალაქი - 1
სასოფლო საბჭო - 11
სოფელი - 15
ქართველები სჭარბობს 11 სოფელში
სომხები 1 სოფელში.

რაიონის, სოფლის, ქალაქის დასახელება	მოსახლეობის რაოდენობა	ეროვნება %-ში
ქალაქი დედოფლისწყარო	10110	ქართველი 75% რუსი 11,7% სომეხი 8,5%
არბოშიკის სასოფლო საბჭო:		
არბოშიკი	2148	ქართველი
არხილოსკალოს სასოფლო საბჭო:		
არხილოსკალო	1578	ქართველი
აღაბნის წყალსაცავის დასახლება	4	ქართველი
გამარჯვების სასოფლო საბჭო:		
გამარჯვება	1689	ქართველი
ჯაფარიძის სასოფლო საბჭო:		
ჯაფარიძე	2394	ქართველი
ზემო ქედის სასოფლო საბჭო:		
ზემო ქედი	4028	ქართველი 64% რუსი 23%
ზემო მარხაანის სასოფლო საბჭო:		
ზემო მარხაანი	3304	ქართველი
მირზაანი	760	ქართველი
ქვემო ქედის სასოფლო საბჭო:		
ქვემო ქედი	2558	ქართველი
ოზაანის სასოფლო საბჭო:		
ოზაანი	737	ქართველი
ცღუკაანი	656	ქართველი
სამთაწყაროს სასოფლო საბჭო:		
სამთაწყარო	1997	ქართველი
წითელი სამთელოს სასოფლო საბჭო:		
წითელი სამთელო	587	ქართველი
დედოფლისწყაროს სასოფლო საბჭო:		
დედოფლისწყარო	2820	ქართველი 70% რუსი 30%
ლელინოვკა	138	რუსი 48% ბოშა 27%

6.10. ქვემო ქართლი

ქვემო ქართლი შემოსაზღვრულია თრიალეთის, ჯავახეთისა და ბამბაკ-ერევნის ქედებით. მდებარეობს მდ. მტკვრის დინების ქვემო წელში მის მარჯვენა მხარეს. იკავებს გაჩიანისა და გარდაბნის ტერიტორიებს (იგივე სამშვილდისა და ხუნანის საერისთავოებს). საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ქვემო ქართლი ძირითადად მოიცავს ახლანდელი ბოლნისის, დმანისის, გარდაბნის, მარნეულის, თეთრი წყაროს რაიონებსა და მათ მომიჯნავე ტერიტორიებს.

ადრინდელ ფეოდალურ ხანაში ეს რეგიონი ქართლის პიტიახშს ემორჩილებოდა, VII-XI საუკუნეებში ქვემო ქართლის ტერიტორიაზე შეიქმნა თბილისის საამირო, კლდეკარის საერისთავო და ტაშირ-ძორაგეტის სამეფო, XII-XIII საუკუნეებში ქვემო ქართლში გაგისა და ლორის სანაპირო საერისთავოები იყო. მონღოლებისა და თემურ-ლენგის ლაშქრობების (XIII-XIV-XV სს.) შემდეგ საქართველომ დაკარგა ხუნანის საერისთავო და სახელმწიფო საზღვარმა ქცია-მტკვრის შესაყარზე გადაინაცვლა. XV საუკუნიდან დაიწყო მომთაბარე თურქმანული ტომების ჩამოსახლება. ამავე პერიოდში ქვემო ქართლში შეიქმნა სათავადოები: საბარათიანო, საორბელო და სხვ. XVII საუკუნეში შაჰ აბას I დებედის ხეობაში ბორჩალუს მომთაბარე ტომი ჩამოასახლა; ამავე დროს დააარსა ლორის სახანო. XVIII საუკუნეში ლეკი ფეოდალების გამუდმებული თავდასხმების გამო ქვემო ქართლი მკვიდრი მოსახლეობისაგან თანდათან დაიცალა. შემდეგ ხანებში აქ დამკვიდრდენ ქართველი თურქულენოვანი, სომეხი და სხვა მოსახლენი.

ქვემო ქართლი სამხრეთ საქართველოს ზეგანის ერთ-ერთი ნაწილია. აღნიშნული ზეგანი, რომელიც ამიერკავკასიის ვულკანური ზეგნის ჩრდილოეთი ნაწილია, შესაძლოა ფიზიკურ-გეოგრაფიული ნიშნების კომპლექსის მიხედვით შემდეგ რაიონებად დაიყოს:

I. ჯავახეთის ზეგანი, 2. სამსარ-კეჩუთის რაიონი და 3. ზემო ხრამის პლატოების რაიონი.

ქვემო ქართლის ვაკე. ეს არის ალუვიური ვაკე მდინარე მტკვრის ორივე სანაპიროზე, მტკვარ-არაქსის ვრცელი დაბლობის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. შემოზღუდულია თრიალეთისა და ლოქის ქედების, შუა ხრამის მთათა ჯგუფისა და ივრის ზეგანის კალთებით. ვაკის სიგრძე მტკვრის გასწვრივ 40 კმ-ია. მტკვარი ყოფს ორ ნაწილად –

მარნეულისა და გარდაბნის ვაკეებად. ძირითადი ნაწილი (ბრტყელი დაბლობი) აგებულია ალუვიონით. მარნეულის ვაკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აღმართულია ნეოგენური მოლასებით (კონგლომერატებით, ქვიშაქვებით) აგებული იაღლუჯის სინკლინური მაღლობი.

ქვემო ქართლის ვაკის ჰავა კონტინენტურია, საშუალო წლიური ტემპერატურა +12-13 გრადუსია. უცივესი თვის — იანვრის საშუალო ტემპერატურაა — 0,3°. წელიწადში საშუალოდ 350-500 მმ ნალექი მოდის. ქვემო ქართლის ვაკის ჰიდროგრაფიულ ქსელში შედის მდინარეები: მტკვარი, ხრამი, ალგეთის ქვემო დინებები. ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს კუმისის ტბა, ხოლო გარდაბნის ვაკეზე — ჯანდარის ტბა. ბუნებრივი მცენარეულობა (სტეპი და ტყესტეპი), მეტწილად მოსპობილია. ჭარბობს კულტურული ლანდშაფტები, ნათეს-ნარგავები.

გომარეთის პლატო კვირიკეთისა და შინდლარის მთიან მასივებს შორისაა მოქცეული და თითქმის მთლიანად ხრამის მარჯვენა შენაკადის ყარაბულახის აუზში შედის. ყარაბულახის ხეობა პლატოს თითქმის შუაზე ჭრის. მისი აღმოსავლეთი კიდე ქარაფისებურად აწყდება ხრამის ხეობას და მდინარე ორმაშენისწყლის (ყარაბულახის მარჯვენა შენაკადის) ხეობას. პლატოს ზედაპირის აბსოლუტური ნიშნულები ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 1250-1350 მ-ია, სამხრეთ-დასავლეთით კი 1400-1450 მ-მდე იზრდება.

პლატო აგებულია დოლერიტული ლავებით. რელიეფი გართულებულია მდ. ყარაბულახისა და მისი შენაკადების კანიონთა ქსელით, ასევე პლატოს პერიფერიაზე არსებული ხეობებით.

მდინარე ყარაბულახს უერთდება მდინარეები: თოზდუხი, უსეინქენდი, ახა და სხვ., რომლებიც წყალს იკრეფენ ჯავახეთის ქედის აღმოსავლეთი კალთებიდან მთა ჩათახსა და მთა ქოლბაქს შორის.

გომარეთის პლატოს ბრტყელ ნაწილში ნიადაგის საფარი წარმოდგენილია გამოტუტვილი და დაწიდული შავმიწებით. არის აგრეთვე მეტნაკლები სიდიდის მძიმე თიხნარი შავმიწები, შავმიწა და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების კომპლექსი, ნესტიან-მდელოსებრი და დაჭაობებული ნიადაგები. პლატოს შემომზღუდველი მაღლობების კალთებზე განვითარებულია ტყის ყომრალი ნიადაგები.

მცენარეულობა წარმოდგენილია უმთავრესად ზეგნის ნაირბალახოვან-მარცვლოვანი სტეპით, რომელშიც ჩაწინწკლულია წყალ-ჭაობური ფორმაციები.

დმანისის პლატო. ზემო ხრამის რაიონის უკიდურესი სამხრეთი ნაწილია მდინარე მაშავერათი დრენირებული დმანისის პლატო. შინდლარის მასივით, სომხითის ქედის დასავლეთი დაბლობებითა და ჯავახეთის ქედის კალთებით შემოზღუდულ ამ პლატოს გეგმაზე სამკუთხა ფორმა აქვს; იგი ვიწროდება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, მაშავერას დინების ჩაყოლებით. მისი ზედაპირი ჯავახეთის ქედის ძირიდან 1600-1700 მ სიმაღლეზეა, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთ ბოლოსთან (სოფელ დიდი დმანისის მიდამოებში) — 900-950 მ-ზე.

დმანისის პლატოც აგებულია დოლერიტული ლავებით. ზედაპირის გასწვრივ პროფილში პლატოს კიბისებურობა მჟღავნდება — მკაფიოდ გამოიყოფა სამი საფეხური: ქვედა საფეხური ვრცელდება სოფელ დიდი დმანისიდან და გორინჯუკიდან დაბა დმანისამდე 900-1250 მ სიმაღლეზე; შუა საფეხურზე (1350-1450 მ) მდებარეობს სალულლიგელის ტბა, მესამე, ყველაზე მაღალი საფეხური 1600-1700 მ სიმაღლეზეა, ის სოფელ ზემო ბეზაკლოსა და ხელოვნური წყალსატევის საფუძველია.

დმანისის პლატო დანაწევრებულია ეროზიულ კანიონთა სისტემით, რომელთა სიღრმე 70-80 მ აღწევს. ძირითად კანიონს, რომელშიაც მდ. მაშავერა გაედინება, შტოსებურად გამოეყოფა მისი შენაკადების (მდ. მამუთლიდარის, შაჰმარლოს, ყარაქლისას და სხვ.) კანიონები. კანიონთა შვეულ კლდოვან გვერდებში მრავალი ხელოვნური და ნახევრადხელოვნური გამოქვაბულია, რომლებიც შუა საუკუნეებში თავდასაცავად ან განდეგილი ბერების თავშესაფრად იყო გამოყენებული.

ძირითად მდინარე მაშავერას ერთვის: მდ. ფინეზაური, მაჰმარლო, ყირმიზიბულაღდარა, სარფადარა, ყირმიზიბულაღი შენაკად მამუთლიდარით, ყარაქლისა. ისინი ჯავახეთის ქედზე იღებენ სათავეს. მათში ბევრია კალმახი. სალულლიგელის (ორმოზანის) ტბა ზღვის დონიდან 1358 მეტრ სიმაღლეზეა. გამოირჩევა კლაკნილი სანაპირო ხაზითა და გარშემორტყმული ლერწმიანებით.

პლატოზე ზემო ბეზაკლოსა და ლენინოს მიდამოები მდიდარია მნიშვნელოვანი დებიტის მქონე წყაროებით.

ნიადაგური საბურველი გამოსახულია ტიპობრივი კარბონატული და გამოტუტვილი შავმიწებით, რომლებიც პლატოს ზედა საფეხურზე მთის მდელოს შავმიწისებრ ნიადაგებში გადადის.

მცენარეულობა წარმოდგენილია ზეგანის მარცვლოვანი და ნაირ-

ბალახოვან-მარცვლოვანი სტეპებით, რომლებიც მაღალ საფეხურზე მდელოსებრ სტეპებში გადადის. ალაგ-ალაგ, მეტად კი კანიონების გვერდებსა და პლატოზე მიკრულ მთათა კალთებზე შემორჩენილია ტყის ნაშთები.

ტაშირის (ირგანჩაის) ქვერაიონი — დმანისის პლატოს სამხრეთით, სომხეთის საზღვართან მდებარეობს. ტაშირის ანუ ირგანჩაის ქვერაიონი, საქართველოს ტერიტორიის მცირე ნაწილია, რომელიც ჰიდროგრაფიულად მდინარე ძორაგეთის (მდ. დებედას შუაწელის მარცხენა შენაკადის) აუზს ეკუთვნის, გეოგრაფიულად კი შეადგენს ძირითადად სომხეთში მდებარე ლორეს (ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით ტაშირის) ვულკანური პლატოს განაპირა ნაწილს.

რაიონს უკავია მდინარე ჯილდას (ძორაგეთის მარცხენა შენაკადის) სათავეები და თავისი წარმოშობით ტაშირის ლავური ღვარით შეგუბებული და ფხვიერი მასალით ამოვსებული ძველი ხეობაა. ბრტყელი, ნაწილობრივ დაჭაობებული და მდორე ნაკადულებით დასერილი ვაკე ზღვის დონიდან 1600 მ სიმაღლეზეა და აგებულია ტბური ნალექებით. იგი თითქმის ყველა მხრიდან ბორცვისებური მაღლობებით არის გარშემორტყმული და მხოლოდ სამხრეთით გრძელდება — უერთდება ლორის სტეპურ ვაკეს, რომელიც დაფარულია მცირე სისქის ქვიანი შავმიწებით, მათში ჩაწინწკლული ნესტიან-მდელოსებრი და დაჭაობებული ნიადაგებით, ზეგანის სტეპის მცენარეულობით (ნაირბალახოვან-მარცვლოვანი დაჯგუფებებით).

აზერბაიჯანის რესპუბლიკას ესაზღვრება გარდაბნის რაიონის სოფლები: ჯანდარი, მზიანეთი, ლემშვენიერა, კესალო, ნაზარლო, ვახტანგისი (ყოფილი ახალი ულიანოვკა) და რუისბოლო; მარნეულის რაიონის სოფლები: ხანდში-გაზლო, მეორე კესალო, პირველი კესალო, კირაჩ-მუღანლო.

სომხეთის რესპუბლიკას ესაზღვრება მარნეულის რაიონის სოფლები: ახკერპი, ჩანაზი, ოპრეტი, ულიანოვკა, ხოხმელი, ჯანხოში, ხოდჯარნი, ბურდაზორი,ციპი,მოლაოღლი,დამნია,სადახლო,მამია,ტაზაკინდი,წერაქვი, სიონი, ლამია-გიაურარხი, ავკულარი, ახალი ლალალო, ზემო სარალი, ბიტალო, ულაშლო, ბეიტარაფჩი, კასუმლო, აგამედლო; ნინოწმინდის რაიონის სოფლები: კალინინო, ჟდანოვი, ეფრემოვკა. დმანისის რაიონის სოფლები: ირგანჩაი, ბეზაკლო, ამამლო, ტყისპირი, საკირე, გორა, მუღანლო, გუგუთი, კამიშლო და ლოქჯანდარი.

6.11. სამცხე-ჯავახეთი



სამცხე-ჯავახეთი

სამცხე-ჯავახეთი ან ზემო ქართლი; ტერიტორიულად შეადგენდა ქართლის განუყოფელ ნაწილს და უკავშირდებოდა შიდა და ქვემო ქართლს. იგი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ქართლის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილია, რომელსაც დასავლეთიდან ემიჯნებოდა ბიზანტია, სამხრეთიდან კი სომხეთი და თურქეთი. ეს კუთხე ძველთაგანვე იყო ქართლის სამხრეთის ბუნებრივი საზღვარი. ჭოროხისა და მტკვრის ხეობებში ზემო ქართლი იყოფოდა: ტაო-კლარჯეთად და სამცხე-ჯავახეთად. კლარჯეთი ეწოდებოდა იმ ნაწილს, რომელიც მდებარეობდა ჭოროხის ხეობაში და შედგებოდა: შავშეთის, არტანუჯის, ტაოს, თორთუმისა და ბასიანისაგან. აქ პარხალის მთები და ბასიანი იყო ქართლისა და ბიზანტიის ბუნებრივი საზღვარი.

ზემო ქართლის მეორე მნიშვნელოვანი ნაწილი — სამცხე-ჯავახეთი მოქცეული იყო მტკვრის ზედაწელში, იწყებოდა ტაშისკართან და თავდებოდა არსიანის მთასთან. მასში შედიოდა აჭარაც. სამცხის აღმოსავლეთით იყო ჯავახეთი, რომლის ნაწილს შეადგენდა: ერუშეთი, არტაანი და კოლა. „ხევი კოლაისი“-ს ეჭირა მტკვრის სათავე და აქედან იწყებოდა ზემო ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი, იქ, სადაც მესხეთისა და კოლა-არტაანის მთები მტკვრის ხეობას გამოყოფს არეზისაგან. ზემო

ქართლისა და სომხეთის ეს საზღვარი გამაგრებული იყო არტაანისა და კარის (ყარსის) ციხეებით. ქართლის სამეფოს თავდაცვისათვის მტკვრის ხეობას უდიდესი სტრატეგიულ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ხეობიდან შემოდიოდა ქართლში ყველა გზა და ამიტომ მტკვრის ხეობის დაცვა-გამაგრებას წარსულში დიდი ყურადღება ექცეოდა. ამას მოწმობს აქ არსებული ციხე-სიმაგრეების სიმრავლე. ამ მხარეშია კლდეში გამოკვეთილი ციხე-ქალაქი ვარძია, თმოგვის ციხე, ხერთვისის ციხე და სხვ.

I-V საუკუნეებში სამცხე-ჯავახეთი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა იმ დიდ ბრძოლებში, რომელსაც ირანი და ბიზანტია აწარმოებდნენ იბერიაში. VII საუკუნეში არაბთა შემოსევამ ბოლო მოუღო ამ ტერიტორიაზე ბიზანტიისა და ირანის ქიშპობას. ისტორიულად ზემო ქართლის სახელწოდება სიტუაციის შესაბამისად იცვლებოდა - VIII-X საუკუნეებში, როდესაც ბაგრატიონთა გვარის ერისთავებმა ტაო-კლარჯეთში დააარსეს თავიანთი საერისთავო, ამ მხარეს ეწოდა ტაო-კლარჯეთი. XI-XIII საუკუნეებში ზემო ქართლის საზოგადოებრივი ცენტრი ხდება მესხეთი (სამცხე) და ამ მხარესაც სამცხე ან სამცხე-ჯავახეთი უწოდეს. XIV საუკუნეში კი მონღოლთა შემოსევის შემდეგ ის სამცხე-საათაბაგოდ მოიხსენიება. 1123 წელს დავით აღმაშენებელმა თურქები განდევნა სამცხე-ჯავახეთიდან. თამარ მეფის დროს (1184-1214 წწ.) ეს მხარე გადაიქცა სამხედრო მოქმედების მთავარ ასპარეზად, სადაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის დიდი ბრძოლები მიმდინარეობდა. სამცხე-ჯავახეთის დაწინაურება თამარის ეპოქაში უმთავრესად გამოწვეული იყო მისი, როგორც მეწინავე სადროშოს პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობით. სამცხე-ჯავახეთი შეადგენდა სამხედრო ვეზირის, ამირსპასალარის სახელისუფლოს.

ამ მხარემ XII საუკუნეში დიდი როლი შეასრულა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. ქრისტიანული იდეოლოგია, ბერძნული ფილოსოფია და განათლება აქ შემოდიოდა ჭოროხის ხეობით, მაჰმადის მოძღვრება, სუფიზმი და არაბული განათლება კი — არეზ-მტკვრის ხეობით. კულტურის ეს ორი ნაკადი თავს იყრიდა სამცხე-ჯავახეთში, სადაც საკმაოდ ძირმომაგრებული იყო ქართული კულტურა და მწერლობა. ამ კუთხის კულტურულ დაწინაურებას ხელს უწყობდა აქ არსებული ძველი და ახალი სკოლები, რომლებმაც მოგვცა შესანიშნავი მწერლები და ლიტერატურული მოღვაწენი:

გიორგი მთაწმინდელი — დაიბადა სამცხეში, სწავლობდა ხახულის მონასტერში, შემდეგ კი კონსტანტინოპოლში. იგი მოღვაწეობდა მთაწმინდის ლავრაში, სადაც ბერძნულიდან ქართულ ენაზე თარგმნა მრავალი საღვთისმეტყველო თხზულება;

ეფრემ მცირე — შესანიშნავი მეცნიერი და ფილოლოგ-ფილოსოფოსი — ტაოდან იყო. ეფრემმა ქართული მწერლობაში მთელი ეპოქა შექმნა და თავისი ლიტერატურული მოღვაწეობით ნიადაგი მოუმზადა ქართული მწერლობის განვითარების შემდეგ პერიოდს;

იოანე პეტრიწონელი — გამოჩენილი ფილოსოფოსი — ნეოპლატონისტი, შემდგომში სწავლობდა კონსტანტინოპოლში;

იოანე ჭიმჭიმელი — დაიბადა და აღიზარდა სამცხეში. იგი იყო თამარ მეფის ეპოქის ცნობილი ფილოსოფოსი;

იოანე ანჩელი ანჩიდან იყო, მან შეადგინა ანჩისხატის საგალობელი;

სარგის თმოგველი — თმოგვის მფლობელი, დაწერა „დილარიანი";

იოანე შავთელი — ცნობილი პოეტი, ავტორი „აბდულმესიისა", შავშეთიდან იყო. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე „გალობანი ვარძიის ღვთისმშობლისადმი";

ჩახრუხაძე — გამოჩენილი პოეტი, თამარის კარის მეხოტბე, „თამარიანის" ავტორი. დაიბადა მესხეთში.

და ბოლოს, დიდი შოთა რუსთაველი, რომელიც, როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, დაიბადა მესხეთში, სოფელ რუსთავში. ეს სოფელი მოქცეული იყო იმ დიდ სამხედრო გზაზე, რომელიც მტკვრის სათავიდან კოლა-არტაანით საქართველოში შემოდიოდა. სამხრეთის ეს გზა გამაგრებული იყო ციხეებით: ვარძია-თმოგვი-ხერთვისი-ასპინძა-აწყური და სხვა. ამ დიდ სამხედრო გზაზე ხერთვისსა და ასპინძას შორის იყო რუსთავიც. იგი აკავშირებდა მესხეთ-ჯავახეთის ორ დიდ ცენტრს - ვარძიასა და სამცხეს, ამიტომ მას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მესხეთ-ჯავახეთის თავდაცვისა, კულტურისა და ეკონომიკური დაწინაურების საქმეში.

XIII-XIV საუკუნეებში მონღოლთა შემოსევამ შეარყია ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური ძლიერება. საქართველო გაყვეს რამდენიმე სამთავროდ. ჯავახეთი ერგო თორელ-გამრეკელს, ხოლო სამცხე - კარნუ ქალაქამდე — ცოტნე დადიანს. XIII საუკუნის მიწურულს მესხეთ-ჯავახეთში გაძლიერდნენ ჯაყელები. მათ ათაბაგობა მიიღეს. ათაბაგის მუდმივი რეზიდენცია ახალციხეში იყო, სადაც მათ სასახლე და ციხე-სიმაგრე ჰქონდათ.

XV საუკუნეში აღმოსავლეთში გაძლიერდა ოსმალეთი, რომელიც ხელს უწყობდა საქართველოს სამეფოს სამთავროებს შორის ბრძოლას. 1466-1475 წლებში სამცხე-საათაბაგო პოლიტიკურად ჩამოშორდა საქართველოს სამეფოს (ბაადურ ყვარყვარეს-ძის დროს) და აქ გაძლიერდა თურქეთისადმი პოლიტიკური ორიენტაცია. XV-XVI საუკუნეებში სამცხის საათაბაგო მოექცა მეტად რთულ პოლიტიკურ პირობებში და იგი გადაიქცა ხანგრძლივი ბრძოლის ასპარეზად. ამ კუთხის დასაპყრობად იბრძოდნენ: ირანი, ოსმალეთი, ქართლისა და იმერეთის მეფეები. 1578 წელს სამცხე-საათაბაგო ოსმალეთს დამორჩილდა. 1625 წელს ამ ტერიტორიას ოსმალებმა უწოდეს ახალციხის ან ჩილდირის საფაშო. აქ XVIII საუკუნის ბოლომდე ფაშებად ინიშნებოდნენ ათაბაგის სახლის წევრები. მაჰმადიანობასთან ერთად სამცხე-საათაბაგოში ვრცელდებოდა ოსმალური ენა, ზნე-ჩვეულებანი, სამართალი და მწერლობა. მაჰმადიანობის გავრცელება გლეხობაშიც დაიწყო, რითაც მათ საშუალება ეძლეოდათ უფლებრივი მდგომარეობა გაეუმჯობესებინათ.

ამგვარად, ძველი სამცხე-საათაბაგო, რომელიც ტერიტორიულად ქართლის ზემო ნაწილი იყო და ადმინისტრაციულად შედიოდა საქართველოს სამეფოში, ოსმალეთის ძალმომრეობით თანდათანობით მოექცა მისი პოლიტიკურ-კულტურული და ეკონომიკური გავლენის ქვეშ. იგი საქართველოს მოსწყდა ტერიტორიულადაც და სტრატეგიულადაც და ეს ფრიად მნიშვნელოვანი მხარე მთლად გამაჰმადიანდა.

1801 წელს, ქართლ-კახეთის შემოერთების შემდეგ, რუსეთი შეუდგა დანარჩენი საქართველოს დაპყრობა-შემოერთებას, 1829 წლის ანდრიანოპოლის ხელშეკრულებით ოსმალეთმა დაუთმო რუსეთს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები. ამას მოჰყვა გაქრისტიანების შიშით საათაბაგოს მაჰმადიანი მოსახლეობის დიდი ნაწილის გადასვლა ოსმალეთში. განსაკუთრებით ჯავახეთისა და ახალციხის მაზრის ქართველმა მაჰმადიანებმა დატოვეს თავიანთი სამშობლო და გაიხიზნენ ოსმალეთში. მათ ნაფუძარზე პასკევიჩმა არზრუმიდან ლტოლვილი 100000 სომეხი ჩაასახლა. თვითმპყრობელობა აქ აწარმოებდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას, რომლის შედეგი იყო ხელოვნურად შექმნილი ეროვნული და სარწმუნოებრივი სიჭრელე. ამრიგად, მეფის რუსეთის პოლიტიკის მეოხებით, სამცხე-საათაბაგოს ქართველი მაჰმადიანები თავისივე სამშობლოში გადაგვარდნენ, მათ თანდათანობით დაივიწყეს სამშობლოს ისტორია,სარწმუნოება და მშობ-

ლიური ენა.

აღმავლობის გზაზე მდგომ ძველ ჯავახეთში, აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის მონაცემებით, უნდა ყოფილიყო 240-250-მდე სოფელი, რომელთა დიდი ნაწილი ძნელბედობის ჟამს განადგურდა. 1983 წელს აქ აღწერილ იქნა 122 ნასოფლარი.

სამცხე-ჯავახეთში რუსეთის ხელისუფლების დამპყრობლური პოლიტიკის ხელშეწყობით XIX საუკუნის დასაწყისშიც გრძელდებოდა თურქეთიდან დევნილი სომეხი მოსახლეობისა და იმპერიის შიდა რაიონებიდან რუსი მოსახლეობის (დუხბორების) ჩასახლება.

ქალაქებიდან მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიაზე გამოირჩეოდა: ახალციხე, ართვინი, არტანუჯი, ახალქალაქი. ეს ქალაქები გახლდათ ცენტრები ვაჭრობისა და ხელოსნობისა. განსაკუთრებით დაწინაურებული იყო მეთუნეობა, მჭედლობა, კალატოზობა, დურგლობა, ოქრომჭედლობა და სხვ. მესხ ვაჭრებს ურთიერთობა ჰქონდათ, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებთან, ისე უცხოეთთან (სტამბული, თავრიზი, თეირანი, ინდოეთი და სხვ.).

სამცხე-ჯავახეთში შეიქმნა მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრების ძეგლები. მტრის შემოსევისას ადგილობრივი მცხოვრებლები მათ თავშესაფრადაც იყენებდნენ. ასე წარმოიშვა „ლარნები“ და „მაღაროები“ ანუ სამალავები ქვესკნელში. ეს არის პატარა გვირაბები, სადაც თითქმის ფორთხვით შეიძლება შესვლა. გვირაბები სხვადასხვა განშტოებებს იკეთებენ, ადგილ-ადგილ კი ფეხზე გასამართი დარბაზებიც გვხვდება.

სამცხე სამხრეთ საქართველოში ისტორიული მხარეა, რომელიც მოიცავს ახლანდელ ახალციხის, ასპინძის, ადიგენის რაიონებს და თურქეთის საქართველოსთან მომიჯნავე ტერიტორიის ნაწილს. სახელწოდება „სამცხე“ წარმოდგება მესხთა ტომის ქართული სახელისაგან. მესხეთის უძველესი ცენტრები იყო ოძრხე და აწყური.

ჯავახეთი ახლანდელი ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონების მაღალმთიან ვაკე-ზეგანს მოიცავს. მისი სახელიც აქ მაცხოვრებელი ტომის სახელწოდებიდან წარმოიშვა (ისე, როგორც სვანი, ჭანი და სხვ.).

სამცხე-ჯავახეთის შესახებ ილია ჭავჭავაძე წერდა: „ჩვენი ყოფილი ცხოვრება აქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს აქ უჩქეფნია, ჩვენი სულის ძლიერებას აქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა“.

ჯავახეთის ტერიტორიაზე რელიეფის თავისებურებისა და

სამცხე
სქემატური რუკა



გეოლოგიური აგებულების მიხედვით გამოიყოფა ოთხი მსხვილი ოროგრაფიული ერთეული. ესენია: 1. ახალქალაქის პლატო; 2. აბულ-სამსარის ქედი; 3. ჯავახეთის ქედი; 4. გეოქთაფის ქედი.

ახალქალაქის პლატოს ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ, ახალქალაქის ზეგანს 1200-1300 კმ^2 ფართობი უჭირავს. მისი სიგრძე მერიდიანული მიმართულებით 45 კმ აღწევს, ხოლო სიგანე 25-30 კმ-ია. მორფოლოგიურად იგი წარმოადგენს პლატო-ქვაბულს, რომლის ყველაზე დაბალი ჰიფსომეტრიული სიმაღლე მის ცენტრალურ ნაწილში 1650 მ აღწევს. ჩრდილოეთით და სამხრეთით პლატოს ზედაპირი თანდათან მაღლდება და მის პერიფერიულ ნაწილში 1900-2000 მ. სიმაღლეს აღწევს. პლატო ლავური შედგენილობით ხასიათდება. ზედაპირული ნაწილი ტალღისებრი და გორაკ-ბორცვიანია. თუმცა გვხვდება იდეალური ვაკეებიც, რომლებიც ბეჟანოს, ბარალეთის, ზაკის, ტურცხის, აზმანის, გა-

ჩიანის, სულდის, ფილიპოვკის, მადათაფის, საღამოს და სხვათა ძველ ნატბეურებს ემთხვევა. აქვე აღსანიშნავია ტბები: ფარავანი, საღამოს ტბა, მადათაფა, ხანჩალი, ხოზაფინი და ზრესი. რელიეფის დადებითი ფორმები მორფოლოგიურად ქმნიან სერებს, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით კვეთენ პლატოს ზედაპირს. მათგან აღსანიშნავია: მურჯის ამაღლება, ვარგასა და ალასტანის, კოთელიასა და ტურცხის (სოფლებს — ტურცხასა და ბარალეთის შორის) ამაღლებები, რომელთა პლატოსთან შეფარდებითი სიმაღლე 50 მ-ს არ აღემატება.

პლატოს სამხრეთით მკაფიოდ გამოხატულია აზმანის, მურაკველის, ხანჩალის სერები. მათზე აზიდული მწვერვალებიდან (ცალკეული ბორცვებიდან) გამოირჩევა: ქოროღლი (2213 მ.), დიდი გიუნეი (2060 მ.), პატარა გიუნეი (2031 მ.), სურპისარი (2001 მ.).

ახალქალაქის პლატოზე ყურადღებას იქცევს ლავების წაკვეთილი კონუსები დაახლოებით ორი ათასი მეტრის სიმაღლისა და მეორე მხრივ — გუმბათური და კონუსური ფორმის ვულკანური ბორცვები.

აბულ-სამსარის ქედი. იგი ვულკანური მთიანეთის გეომეტრიული ღერძია, მოიცავს ჯავახეთის ყველაზე ამაღლებულ მონაკვეთს და უკავია ვულკანური მთიანეთის ცენტრალური ნაწილი. აბულ-სამსარის ქედის სიგრძე 40 კმ აღწევს, მაქსიმალური სიგანე — 18-20 კმ-ია. ქედის აბსოლუტური სიმაღლე სხვადასხვა მონაკვეთში 2500-3000 მ. ფარგლებში მერყეობს, ხოლო მისი შეფარდებითი მაჩვენებლები 1000-1500 მ. არ აღემატება.

მორფოლოგიური თვალსაზრისით სამსარის ქედი ორი ნაწილისაგან შედგება:

1. ქედის ფართო საფუძველი (კვარცხლბეკი). მისი საშუალო სიმაღლე 2200 მ-ია. ასიმეტრიული დასავლეთი ფერდობი კარგად გამოსახული საფეხურებით გადადის ახალქალაქის პლატოზე, ხოლო აღმოსავლეთი ფერდობი ეშვება და შეუმჩნევლად გადადის წალკის ქვაბულსა და ფარავნის დეპრესიაში. ქედის ღერძის პარალელურად სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ განლაგებულია გუმბათური ფორმის მთები: ეშტია (2276 მ.), ვარტიგამი (2661 მ.), კარადჟანი (2047 მ.), მაჩატია (2265 მ.), ოლავერდი (2304 მ.), კოლუნთი (2244 მ.), შაბახანტო (2134 მ.).

2. სამსარის ქედის კვარცხლბეკზე, მის ღერძულ ნაწილში, დიდი სიმაღლის კონუსური ფორმის ვულკანური მთებია, რომლებიც სამხრეთიდან

ჩრდილოეთით შემდეგი თანმიმდევრობითაა განლაგებული: პატარა აბული (2801 მ.), დიდი აბული (3364,4 მ.), გოლორები (3190 მ.), დასავლეთ ქოროღლი (2924,1 მ)., სამსარი (3284 მ.), ყარაყუზეი (3183 მ.), პატარა შავნაბადა (2900 მ.), დიდი შავნაბადა (2929,4 მ.) და თავკვეთილი (2585 მ.). პატარა და დიდ აბულს შორის მდებარეობს ამავე სახელწოდების გადასასვლელი (2317 მ.), რომელიც ქედის დასავლეთ და აღმოსავლეთ სოფლებს ერთმანეთთან აკავშირებს. ასეთივე გადასასვლელია თავკვეთილსა და შავნაბადას შორის (2100 მ.), რომელზედაც გადის ახალქალაქისა და წალკის რაიონების დამაკავშირებელი საავტომობილო გზა.

ჯავახეთის ანუ ქეჩუთის ქედი მდებარეობს ჯავახეთის მთიანეთის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში. იგი ახალქალაქის პლატოს გამოყოფს გომარეთის პლატოსაგან. ჯავახეთის ქედს მკვეთრად გამოხატული მერიდიანული მიმართულება აქვს და აბუ-სამსარის ქედისაგან ფარავნის მთათაშორისი დეპრესიით გამოიყოფა. ქედის სიგრძე 60 კმ-ს უდრის, აქედან დაახლოებით 40 კმ მდებარეობს საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო დანარჩენი ნაწილი — მწვერვალ ლეგლის სამხრეთით, სომხეთში ვრცელდება. ქედის სიგანე სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვაა და მერყეობს 5 კმ-დან 20 კმ-მდე.

ქედის სიმაღლე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მატულობს და უმაღლეს წერტილს მთა ლეგლიზე აღწევს (3157 მ.).

სამსარის ქედისაგან განსხვავებით, ჯავახეთის ქედისთვის დამახასიათებელია რელიეფის რბილი ფორმები, აქ არის ტალღური რელიეფის პლატო.

ჯავახეთის ქედის ჩრდილოეთ ნაწილსა და სამსარის ქედის ჩრდილოეთ დაბლობებს შორის მდებარეობს მთა დალიდაღი. იგი შედგება სამი მასივისაგან — საკუთრივ მთა დალიდაღისაგან (2661,9 მ.), გრეჩენშაიასა (2514 მ.) და ბიკეიტისაგან (2278,7 მ.). ეს მასივი ერთგვარი ხიდია სამსარისა და ჯავახეთის ურთიერთპარალელურად მდებარე ქედებისათვის.

ჯავახეთის ქედისთვის დამახასიათებელია მრავალი ვულკანური, ეროზიული და აკუმულაციური ფორმის არსებობა.

გეოქთაფის ქედი. გეოქთაფის ქედი ეწოდება ჯავახეთის მთიანეთის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში მდებარე განედური მიმართულების ქედს, რომლის ღერძულ ნაწილში გადის სახელმწიფო საზღვარი საქართველოსა და თურქეთს შორის.

ქედის საერთო სიგრძეა 60 კმ., სიგანე სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვაა. მაქსიმუმს ტბა ხანჩალის მერიდიანზე აღწევს (15 კმ), ქედის აბსოლუტური სიმაღლეა 3011 მ. (მთა უჩტეპელირი). მთის შეფარდებითი სიმაღლე ჯავახეთის პლატოს ზედაპირიდან 500 – 1000 მ-ის ფარგლებში მერყეობს.

გეოქთაფის ქედის ღერძულ ნაწილში დასავლეთიდან აღმოსავლეთით განლაგებულია მრავალი გუმბათური ფორმის მწვერვალი: ზიარეთი (2257 მ.), გეოქთაფი (2781 მ.), ინიაკტებე (2884 მ.), უჩტეპელირი (3011 მ.), ორტულდაღი (2443 მ.), აქვეა გუმბათური ფორმის ბორცვებიც, რომელთა შეფარდებითი სიმაღლე არ აღემატება ორ ათეულ მეტრს. გეოქთაფის ქედის ჩრდილოეთი ფერდობები დანაწევრებულია ღრმად ჩაჭრილი V-მაგვარი ხეობებით.

ჯავახეთის ჰავის მრავალფეროვნება, რაც მკვეთრად გამოსახულ ვერტიკალურ ზონურობას ემორჩილება, განპირობებულია მხარის რელიეფის სირთულით, მისი ოროგრაფიული შემოფარგლულობით და მაღალი ჰიფსომეტრიული მდებარეობით. ჯავახეთის კლიმატური რაიონი შედის მშრალი სუბტროპიკული მაღალმთიანეთის ზოლში და აქ კონტინენტური კლიმატია. ჯავახეთის დასავლეთით, სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით აღმართულია აჭარა-იმერეთის, ერუშეთისა და ჩილდირის ქედები, რომლებიც შავი ზღვიდან შემოჭრილ ნოტიო ჰაერის მასებს წინ ეღობებიან. ჯავახეთისა და სამსარის ქედები კი ხელს უშლის აღმოსავლეთიდან მოსული ჰაერის გავრცელებას. ჯავახეთის კლიმატურ რეჟიმზე დიდ გავლენას ახდენს სამხრეთიდან შემოჭრილი ჰაერის მასები. ნოემბერ-თებერვალში აღინიშნება ტემპერატურის მკვეთრი დაცემა და შესამჩნევი სიმშრალე. აბსოლუტური ტემპერატურა +15-დან – 30^{0}C ფარგლებშია. ზაფხულში დღის საშუალო ტემპერატურამ შესაძლოა მიაღწიოს +30^{0}C-მდე, ღამით დაეცეს 5-10^{0}C-მდე. ნალექების წლიური რაოდენობა ნაკლებია, ვიდრე საქართველოს სხვა რაიონებში და მერყეობს 471-720 მმ-ის ფარგლებში. ნალექების მინიმუმი ზამთრის პერიოდში მოდის. ივლისსა და აგვისტოში ხშირია სეტყვა. თოვლის საფარის სისქე ჯავახეთის ზეგანზე სხვადასხვაა. პლატოზე 40-50 სმ-ს უდრის, ხოლო მაღალმთიან ზოლში ერთ მეტრსა და მეტს აღწევს.

ჯავახეთის ზეგანზე მთელი წლის განმავლობაში გაბატონებულია ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარები.

შიგა წყლების გავრცელების მიხედვით, ჯავახეთი მოიცავს მდინარე ფარავნის ქვერაიონს.

ახალქალაქის პლატოზე მდინარეები ზემო წელში მდორედ მოედინებიან და განიცდიან მეანდრირებას, ქვემო წელში კი წარმოქმნიან ღრმა კანიონისმაგვარ ხეობებს. ასეთებია: მდ. ფარავნის მარჯვენა შენაკადები: ჩობარეთის წყალი, მედჟურა, აბლარი და სხვა.

ჯავახეთის მთიანეთის ვულკანური რელიეფის მთავარ ჰიდროგრაფიულ ქსელს მტკვარი წარმოქმნის. აქ მისი სიგრძე არ აღემატება 42 კმ-ს. მდ. მტკვარი სახელმწიფო საზღვრიდან თმოგვამდე მოედინება სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, აქედან კი იღებს ჩრდილო-დასავლეთ მიმართულებას და მას ინარჩუნებს ჯავახეთის საზღვრამდე — სოფელ ასპინძამდე. მტკვრის ხეობა ახალქალაქის პლატოს გამოყოფს ერუშეთის მთიანეთისაგან. მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადებიდან აღსანიშნავია: აზმანა, კოდალასუ, ფარავანი. მდ. ფარავნის სიგრძე 80 კმ-ია. სათავეს იღებს ფარავნის ტბიდან. მდ. ფარავნის შენაკადებიდან აღსანიშნავია: ჭობარეთი, მედჟურა (მარჯვენა შენაკადები), კირბულახი და ბულაშენისწყალი (მარცხენა შენაკადები).

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ტბების 30% ჯავახეთის მთიანეთზე მოდის. მნიშვნელოვანი ტბებია: ტაბაწყური, ფარავანი, საღამო, ხანჩალი, მადათაფა, ხოზაფინი, ზრესი, აბული და წუნდა.

ნიადაგური საფარი. ჰიფსომეტრიული სიმაღლის მიხედვით გამოირჩევა წაბლისფერ-ალუვიური ნიადაგები 1100-1600 მეტრზე ზღვის დონიდან, შავმიწა ნიადაგები 1600-2300 მეტრზე.

ჯავახეთის ტერიტორიაზე ტყის მცენარეულობა ძალზე მცირედაა შემორჩენილი. ტყე ძირითადად გვხვდება ჭობარეთის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდზე (ფიჭვი, ნაძვი), სამსარის აღმოსავლეთით და ხუმრის-მერენიას მახლობლად. აქ მეტწილად დაბალი ფოთლოვანი მცენარეებია: რცხილა, ნეკერჩხალი, არყი, ვერხვი, ტირიფი, თელა, თხილი და სხვა სახეობები. გარდა ამისა, სოფლების: აზავრეთის, მერენიას, დიდი სამსარის, ბულაშენის, თავშანთაფას, დილიფის, ჯიგრაშენის ტერიტორიაზე გაშენებულია ფიჭვის ტყეები. მდ. ფარავნის მარცხენა ნაპირზე, ჭალის ტერასაზე გაბატონებულია ხელოვნურად გაშენებული ფოთლოვანი ხემცენარეები: ალვა, ვერხვი, მურყანი, თხმელა, ტირიფი, პანტა, მაჟალო.

სუბალპური და ალპური მდელოები გავრცელებულია ახალქალაქის

პლატოსა და სუბალპური მდელოების ზოლში, დიდი ტბების ირგვლივ, დაჭაობებულ ტაფობებსა და მდინარეთა ნაპირებზე, ფართოდაა განვითარებული წყლის მოყვარული და ჭაობის მცენარეულობა: ჩალამკალამი, ჯორისძუა და სხვა.

მესხეთი ანუ ახალციხის ქვაბული მდებარეობს მტკვრის ზემო აუზში (სოფ. აწყურის ზემოთ). იგი ესაზღვრება აჭარის ქვაბულს, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობს, თრიალეთის ქედს და ჯავახეთის ზეგანს.

გეოლოგიურად და გეომორფოლოგიურად ახალციხის ქვაბულის რაიონი სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. ესენია: ა) აჭარა-იმერეთის ქედი სამხრეთი ფერდობებით; ბ) ღერძული ნაწილი, რომელიც მოიცავს მდინარეების მტკვრისა და ფოცხოვის ხეობებს და გ) ერუშეთის მაღლობი.

რაიონის უმაღლესი წერტილები განლაგებულია აჭარა-იმერეთის ქედის თხემზე (მწვერვალები: მეფისწყარო, დიდმაღალი, ნაგება და სხვა) და თურქეთთან მოსაზღვრე ერუშეთის მაღლობზე (მწვერვალები: ჰარმანთაფა, აირილიანბაში, გუმბათი). მათი სიმაღლე 2500-3000 მ-ს აღწევს.

ახალციხის ჰავა ხასიათდება შემდეგი მონაცემებით: საშუალო წლიური ტემპერატურა +10-16^0, უცივესი თვის — იანვრის ტემპერატურა — 4-6^0. წლიური ნალექიანობა 400-600 მმ.

რეგიონის ჰიდროგრაფიული ქსელი წარმოდგენილია მდინარე მტკვრით და მისი შენაკადებით, აგრეთვე წვრილი ტბებით და საკმაოდ მრავალრიცხოვანი მინერალური და მტკნარი წყაროებით.

მტკვარი რაიონის აღმოსავლეთ ნაწილს ჰკვეთს. მესხეთის ფარგლებში იგი იერთებს რამდენიმე მნიშვნელოვან მდინარეს: მარცხნიდან ფოცხოვს (შენაკადებით ქვაბლიანითა და ოცხეთი) ურაველს, წინუბნისწყალს; მარჯვნიდან კი ახალქალაქისწყალს, კოდალას, ოთასწყალს, ოშორისწყალს და სხვ.

ტბები გვხვდება მტკვრის ხეობაში (წუნდის ტბა), ერუშეთის მაღლობის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (ტბა სათახვე) და აჭარა-იმერეთის ქედის თხემზე. მინერალური წყლები არის აბასთუმანში (ოცხე), ასპინძასთან, ურაველში და ა.შ.

ახალციხის ქვაბურის ლანდშაფტი რამდენიმე ტიპად იყოფა, ქვედა სარტყელი 1300-1400 მ სიმაღლემდე უჭირავს ტყე-სტეპურ ლანდშაფტს

ყომრალ-ყავისფერი და ყავისფერი ნიადაგებით. შუა სარტყელში, რომელიც ვრცელდება 2000-2200 მ სიმაღლეზე, გაბატონებულია ტყიანი ლანდშაფტი ყომრალი ნიადაგებით, რომელიც ერუშეთის მაღლობსა და ფერსათის მასივის ზოგ ადგილში შერწყმულია მდელო-სტეპურ ლანდშაფტთან. რეგიონის ჩრდილოეთი და სამხრეთი მთის თხემური ნაწილი ხასიათდება ალპური ლანდშაფტით, მთის მდელოთა საკმაოდ მდიდარი მცენარეულობით.

ფერსათის მასივი მდებარეობს ქვაბლიანის მარცხენა შენაკადების — ღაღვისა და ოცხე-კურცხანას შუაწელში. მისი ფართობია 50 კმ². მაქსიმალური სიმაღლე 2258 მ (მთა საბურთალო). იგი წარმოადგენს მაგიდისებურ მასივს მობრტყელებული, პლატოსებური ზედა ნაწილით და ქარაფოვანი კიდეებით, რომლებიც რამდენიმე ათეული მეტრის სიმაღლეზეა შვეულად აზიდული. მასივის ბრტყელი ზედაპირი უტყეოა.

ცენტრალური ქვერაიონი ემთხვევა რაიონის უდაბლესსა და უტყეო ნაწილს, რომელიც ვრცელდება სოფელ აწყურიდან სოფელ მლაშემდე (ადიგენის ზემოთ) ქვაბლიანის ხეობაში, ფოცხოვის ხეობაში თურქეთის საზღვრამდე და სოფელ მინაძემდე — მტკვრის ხეობაში. ამ რაიონის რელიეფი გორაკ-ბორცვიანია, მდინარეული ხეობებით, ხევებით, წყალგამყოფი სერებით. ვაკე ემთხვევა მდინარეთა ტერასებს.

ქვედა ზონაში ახალციხის ქვაბულის ლანდშაფტი ტყესტეპური ხასიათისაა. აქ იზრდება ბუჩქნარისა და მუხნარის ნაშთები. ნიადაგი ალუვიური თიხნარ-კარბონატულია. ზოგან ყოფილი ტყის ნიადაგებია. აქ მათ რუხ-ყავისფერი და ყავისფერი ნიადაგების იერი აქვთ.

დასავლეთი ქვერაიონი. ამ რაიონში შედის არსიანის ქედის ჩრდილოეთი ნაწილის აღმოსავლეთი ფერდობები. აქ არის გოდერძის უღელტეხილი და მდინარე ძინძის აუზი. რაიონში შედის თლილის, ყაიბაშისა და ზოგი სხვა მასივი.

თლილის მასივს წესიერი, გუმბათისებური მოყვანილობა აქვს. ქვაბლიანის მარჯვენა შენაკადებით დანაწევრებული არსიანის ქედის აღმოსავლეთი კალთები 2000-2100 მ. სიმაღლეზე შემოსილია წიწვოვანი ტყით, რომელშიც გაბატონებულია ნაძვი და ფიჭვი, უფრო ნაკლებადაა სოჭი.

სამხრეთი ქვერაიონი. ახალციხის ქვაბულის რაიონის სამხრეთი ნაწილი უკავია ვრცელ მაღლობს, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი თურქე-

თის ტერიტორიის ფარგლებშია. ესაა ერუშეთის მაღლობი. საქართველოს ფარგლებში შემოდის მწვერვალები: გუმბათი (2964 მ.), კასრისსერი (2946 მ.), ჰარმანთაფი (2950 მ.), აირილიანბაში (2582 მ.), შაბანიბელი (2646 მ.), ვანდადი (2737 მ.), შელოშეთი (2330 მ.), უღელტეხილებიდან უმნიშვნელოვანესია ხანიორი (2435 მ.). მასზე გადადის ახალციხე-არტაანის გზატკეცილი.

სამხრეთი ქვერაიონის მორფოლოგიურ იერს განსაზღვრავს მისი აზევება ირგვლივ მდებარე რაიონებთან (ახალციხისა და არტაანის ქვაბურებთან და მტკვრის ხეობასთან) შედარებით. ქვერაიონის ზედაპირი დანაწევრებულია საშუალო მთის ტიპის მდინარეული ხეობებით. ერუშეთის პლატოს სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს არის ქარზაშეთის პლატო (რომელიც საქართველოს საზღვართანაა 1800 მ.) და ნარიმანის მაგიდისებური მასივი. სოფელ ხერთვისის მახლობლად ერუშეთის მაღლობის ჰიდროგრაფიული ქსელი წარმოდგენილია მცირე მდინარეებით, რომლებიც მტკვრის მარცხენა შენაკადებს წარმოადგენენ (ქარზამეთისწყალი, თაშლექეშლა, ძეწნობი, წყალწითელა, ტობა, ურაველი), ან ფოცხოვის მარჯვენა შენაკადებია (ბორბალა, წყალთბილა, ჯაყისწყალი), ან ქვაბლიანისა და ძინძეს მარჯვენა შენაკადები (მდ. უდე, კართუბნისღელე, თლილისხევი). პატარა ტბები არის მთა გუმბათის ძირში და თლილის მასივის გარშემო. სოფლების ზარზმისა და ადიგენის სამხრეთით ზღვის დონიდან 1910 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს სათახვის ანუ ყარაგელის ტბა.

ერუშეთის მაღლობი ჰიფსომეტრიული სიმაღლის მიხედვით იყოფა სარტყლებად. ტყიანი სარტყელი 2000-2100 მ სიმაღლემდე ვრცელდება. ტყეები შედგება სოჭისა და ნაძვისგან, ზოგან ფიჭვიც გვხვდება. ტერიტორიის უმეტესი ნაწილი უჭირავს ალპურ ლანდშაფტს, რომელიც ალაგ-ალაგ მთისა და ზეგანის მდელოსებურ სტეპში გადადის. მობრტყელებული მდინარეთშუეთში ნიადაგური საფარი უმთავრესად მთის მდელოთა ტორფიანი ნიადაგებითაა წამოდგენილი.

აღმოსავლეთი ქვერაიონი. სოფელ მინაძეს ზემოთ, რომელიც მდინარე ურავლის შესართავის ახლოს მდებარეობს, მტკვარი მიედინება საკმაოდ ღრმა ხეობაში, რომლის მარცხენა სანაპირო წარმოქმნილია ერუშეთის მაღლობის აღმოსავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი კალთებით, ხოლო მარჯვენა სანაპირო — ახალქალაქის პლატოს კიდით (ასპინძის ზემოთ) და თრიალეთის ქედის დასავლეთი ბოლოს ტოტებით. ზემოთ, მტკვრის

ხეობაში ხშირია მეწყრული მოვლენები. აქ აღსანიშნავია გამოქვაბულებიც, არის სამონასტრო ციხე-ქალაქი ვარძია, გამოქვაბულთა დიდი ჯგუფებია აგრეთვე ვანის ქვაბში, თმოგვში, გელსუნდარში, ჯოლდაში, აჩხიაში და სხვაგან.

ზემოთ განხილულ ადგილებში მტკვარი ზამთრობით ალაგ-ალაგ იყინება.

ხეობაში ერთადერთი ტბაა — წუნდა (1340მ). მისი ფართობია 0,056 კმ², მაქსიმალური სიღრმე კი — 13 მ. მდებარეობს მტკვრის მარჯვენა მხარეს, გზის პირას, სოფლებს — თმოგვსა და ხერთვისს შორის. საზრდოობს აღმოსავლეთიდან შემდინარე ნაკადულებით, აქვს მიწისქვეშა სადინარი მტკვრისაკენ. ზამთრობით იყინება. ტბის შუა ნაწილი. ასპინძასთან გოგირდოვანი წყლებია, რომლებიც ბალნეოლოგიური მიზნებისათვის გამოიყენება.

მტკვრის ხეობა ზემოთ უტყეოა, ხე მცენარეებიდან აქ მხოლოდ არყის ტყის ელემენტები გვხვდება, რომლებიც უმნიშვნელო ფრაგმენტებს ქმნიან მდინარეთა გასწვრივ.

მტკვარში ბინადრობს: კალმახი, ხრამული, ლურჯა, წვერა, კარჩხალი.

სამცხე-ჯავახეთში სოფლის მეურნეობის დარგებიდან ძირითადად განვითარებულია მეცხოველეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა და მემინდვრეობა. ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მთიანია, რაც ზღუდავს მრეწველობის განვითარებას. მეცხოველეობა უპირატესად ჯავახეთის ზეგანზეა, ხოლო მეხილეობა — მესხეთში. მესხეთ-ჯავახეთი მარცვლეულის მოყვანისა და მეკარტოფილეობის ერთ-ერთი მთავარი ზონაა საქართველოში. აქ უძველესი დროიდან მისდევენ მიწის ნაკვეთების დატერასებას, ამ მხრივ ის ჩვენს ქვეყანაში კლასიკურ მხარეს წარმოადგენს.

ამ რაიონების ეკონომიკურ აღმავლობაში დიდი როლი შეასრულა ბორჯომ-ახალციხე-ვალეს რკინიგზამ და საავტომობილო მაგისტრალმა.

სამცხე-ჯავახეთში მრეწველობის დარგებიდან აღსანიშნავია ახალციხეში ქვანახშირის, ვულკანური წიდის, დიატომიტის, თაბაშირის და აქატის მოპოვება. მნიშვნელოვანია კვებისა და საშენ მასალათა მრეწველობა. მეცხოველეობის პროდუქციის გადამუშავებას ემსახურება ყველ-კარაქის ქარხნები, ჯავახეთში მზადდება მაღალხარისხოვანი ყველი.

6.12. აჭარა

აჭარა საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული პროვინციაა. ისტორიულ-გეოგრაფიულად იგი ზემო ქართლის, კერძოდ, მესხეთის ნაწილს შეადგენდა. ისტორიულ წყაროებში აჭარა მოხსენებულია, როგორც „აჭარის ქვეყანა“, „აჭარის ხევი“ ან „აჭარის ხეობა“. იგი მოიცავდა აჭარისწყლის ხეობას ჭოროხ-აჭარისწყლის შესართავამდე „აჭარის ხევი“ ორ ძირითად ნაწილად იყოფოდა: ზემო აჭარად ანუ ზეგნად და ქვემო აჭარად. აჭარის ცენტრალურ ნაწილს შუახევი ერქვა. აჭარა დასახლებულია ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული ჯგუფით — აჭარლებით.

ზემო აჭარის ცენტრი ძველად დიდ-აჭარა იყო. შუა საუკუნეებში, როგორც ზემო, ისე ქვემო აჭარა მრავალ წვრილ ადმინისტრაციულ ერთეულად-ხევად იყოფოდა. მაგ: ზემო აჭარაში იყო ხულოს, ღორჯომის, ბელლეთის, სხალთის და სხვა ხევები. აჭარის ტერიტორია დასახლებულია ახალი ქვის ხანიდან. ამ ხანის ძეგლები ნაპოვნია ბეშუმთან. აჭარაში აღმოჩენილია ადრინდელი რკინის ხანის, ნეოლითის და ადრინდელი შუა საუკუნეების ძეგლები. ლეონტი მროველის ცნობით, ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნის მეორე ნახევარში აჭარა ქართლის სამეფოს ნაწილი იყო. ამ კუთხეში ქრისტიანობა ადრე გავრცელდა. ა.წ. VIII საუკუნიდან აჭარა ბაგრატიონთა სამფლობელოს, „ქართლის სამეფოს“ ნაწილად იქცა. IX საუკუნიდან XVI საუკუნემდე, აჭარა საქართველოს სხვადასხვა საერისთავოს შემადგენლობაში შედიოდა. XVI საუკუნის 70-იან წლებში აჭარა ოსმალებმა დაიპყრეს. XVII საუკუნის მეორე ნახევარში აჭარელმა ფეოდალებმა მუსლიმანობა მიიღეს, გლეხობა კი ქრისტიანობას იცავდა. ქრისტიანობა აჭარაში XVIII საუკუნის მიწურულამდე შემორჩა. ოსმალეთზე აჭარის დამოკიდებულება ძლიერდება XVIII საუკუნეში, მას შემდეგ, რაც თურქებმა გურიის სამხრეთი ნაწილი (მდ. ჭოროხიდან მდინარე ჩოლოქამდე) დაიპყრეს. 1851 წლიდან აჭარაში თურქები გაბატონდნენ. მათი ბატონობის მთელ მანძილზე აჭარის მოსახლეობის სალაპარაკო ენად ქართული დარჩა.

1878 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ აჭარა ახლად შექმნილი ბათუმის ოლქის შემადგენლობაში შევიდა აჭარის ოკრუგის სახით და რუსეთს დაექვემდებარა. აჭარის ოკრუგში შედიოდა სამი უბანი: ზემო აჭარის, ცენტრი — სოფელი ხულო, ქვემო აჭარის, ცენტრი — სოფელი ქედა და მაჭახელის, ცენტრი — სოფელი მაჭახელისპირი. 1883 წელს

ბათუმის ოლქი ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა. აჭარის ბათუმის ოკრუგის შემადგენლობაში შედიოდა გონიოსა და კინტრიშის უბნებიც. 1918 წლის აპრილში ოსმალთა ჯარმა დაიკავა ბათუმი, არდაგანი, ოზურგეთი და ახალციხე. აჭარის მოსახლეობა მოითხოვდა ოკუპანტთა განდევნას და აჭარის საქართველოსთან გაერთიანებას. 1918 წელს საქართველოში შემოვიდნენ ანტანტის ძალები და აჭარაში დაბანაკდა ინგლისელთა საოკუპაციო ჯარის ნაწილი. 1921 წლის 16 მარტს რუსეთმა და ოსმალეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც აჭარა აღიარებულ იქნა საქართველოს განუყოფელ ნაწილად. საკმაოდ დიდი ნაწილი აჭარის ქართული ტერიტორიისა (ტაო-კლარჯეთი) თურქეთს გადაეცა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდება-რეობს, შავი ზღვის სანაპიროზე. სამხრეთიდან ესაზღვრება თურქეთი. საზღვარი გასდევს ჭანეთისა და შავშეთის ქედებს, აღმოსავლეთიდან — არსიანის ქედი, ჩრდილოეთი საზღვარი მიუყვება მესხეთის ქედსა და მის განშტოებას (მდინარეების ნატანებისა და კინტრიშის წყალგამყოფს), დასავლეთით აკრავს შავი ზღვა. აჭარის ფართობი 2,9 ათასი კვადრატული კილომეტრია (საქართველოს ტერიტორიის 4,2%). მოსახლეობა 1981 წლის აღწერით 362,4 ათასი კაცი იყო.

აჭარაში ხუთი ადმინისტრაციული რაიონია: ქედის, ქობულეთის, შუახევის, ხელვაჩაურისა და ხულოს. არის ერთი რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი — ბათუმი და ერთი რაიონული დაქვემდებარების ქალაქი — ქობულეთი, შვიდი დაბა: მახინჯაური, ოჩხამური, ქედა, შუახევი, ჩაქვი, ხელვაჩაური, ხულო. აჭარის დედაქალაქია ბათუმი.

აჭარის რელიეფი ძლიერ დანაწევრებულია. ტერიტორიის უმეტესი ნაწილი მთებს, მთისწინეთსა და ღრმა ხეობებს უჭირავს. კოლხეთის ვაკე-დაბლობის გაგრძელებაზე, ზღვის პირას, მცირე ფართობი უკავია ქობულეთისა და კახაბრის ვაკე-დაბლობებს. მესხეთის ქედის გაგრძელებასა და ზღვის სანაპირო ვაკე-დაბლობებს შორის, დაბალი ბორცვიანი მთისწინეთია. აჭარის ოროგრაფიულ საფუძველს ქმნის მესხეთის, შავშეთისა და არსიანის ქედები, რომელთა შორის მდებარეობს აჭარის ქვაბული. ამ ქედების საშუალო სიმაღლე 2000-2500 მეტრს აღწევს. აჭარის უმაღლესი მწვერვალია ყანლისმთა (3007 მ.) არსიანის ქედზე. მესხეთისა და შავშეთის ქედებს ერთმანეთთან აკავშირებს არსიანის ქედი. მესხეთის ქედის განშტოება — ქობულეთის ქედი, აჭარას ორ ნაწილად ყოფს —

ზღვისპირა და შიგა მთიან აჭარად. იგი კლიმატგამყოფიცაა. არსიანის ქედზეა გოდერძის უღელტეხილი (2025 მ.), რომელზეც გადის ბათუმ-ახალციხის საავტომობილო გზა. აჭარის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ვრცელდება ჭანეთის ქედის ჩრდილოეთი მონაკვეთი. დიდი გეომორფოლოგიური ერთეულებია აგრეთვე მდინარეების ჭოროხისა და აჭარისწყალის ხეობები, რომლებიც ზოგან გაშლილია ფართოდ, ზოგან კი ვიწროა. აჭარის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი მდებარეობს ჭარბი აზევების მხარეში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ეროზიულ-დენუდაციური ქედები და მასივები. შედარებით მცირე ნაწილი — ვაკე-დაბლობები — აკუმულაციის მხარეშია. აჭარის რელიეფისათვის ნიშანდობლივია ძლიერი დანაწევრება და მდინარე აჭარისწყლის დონიდან საერთო ამფითეატრული ამაღლება, წყალგამყოფებისა და ხეობების განედურ-მერიდიანული მიმართულების სიჭარბე, ხეობათა ღრმა ჩაჭრა და ალაგ-ალაგ კანიონისებრი ფორმა, ტერასების განვითარება, დატერასებული ვაკეზედაპირიანი მობრტყელებული წყალგამყოფები.

აჭარა გეოლოგიურად მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის დასავლეთ ნაწილს და აგებულია შუა და ზედა ეოცენურ-ოლიგოცენური ვულკანოგენური ქანებით (ბაზალტები, ანდეზიტები, დაციტები). მრავლად არის გავრცელებული მცირე ინტრუზივები, რომელთაგან ყველაზე დიდია მერისის ინტრუზივი (სიენიტები, დიორიტები, გრანო-სიენიტები). აჭარაში ცნობილია სპილენძის კოლჩედანური, სპილენძ-პოლიმეტალური, გოგირდის კოლჩედანური და სხვა საბადოები და მადანგამოვლინებები. ისინი თავმოყრილია პალეოგენურ ვულკანოგენურ წყებებში, ინტრუზივების მახლობლად. აჭარა მდიდარია მინერალური წყლებითაც. წარმოებს მინერალური წყლის „კოკოტაურის“ ჩამოსხმა.

ზღვისპირა ვაკე-დაბლობზე ჭარბად ნოტიო, სუბტროპიკული ჰავაა. იცის თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული. მთელი წლის განმავლობაში ქრის ზღვიური ქარები. ნალექების მაქსიმუმი შემოდგომა-ზამთარში მოდის, მინიმალური — მაისში. გორაკ-ბორცვიან მთისწინეთში ნოტიო ჰავაა, ზამთარი ზომიერად ცივია, ზაფხული კი ხანგრძლივი და თბილი. საკმაოდ ტენიანი ჰავა, ზომიერად ცივი ზამთარი და შედარებით მშრალი, ცხელი ზაფხული ახასიათებს მდ. აჭარისწყლის ხეობის ფსკერს და ქვემო ფერდობებს. საშუალომთიან ზონაში ჰავა ტენიანია, ზამთარი ცივი, ზაფხული ხანგრძლივი და გრილი. მაღალმთიან ზონაში ტენიანი ჰავაა, ზამთარი

ცივია, ზაფხული მოკლე. ვაკე-დაბლობ და გორაკ-ბორცვიან ზონაში საშუალო წლიური ტემპერატურა +14-14,5°C, იანვრის – +6-7°C, ბათუმში – +7,1°C, მწვანე კონცხზე – +6,5°C, აგვისტოში – +22-23°C, შავი ზღვის სანაპირო ზოლში აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა +9°C-ზე ქვევით არ ეშვება, აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა +40-43°C აღწევს. მაღალმთიან ზონაში (2000 მ) ზაფხულის საშუალო ტემპერატურა +12°C-მდე ეცემა, ღრუბლიანობა ზღვისპირა რაიონებში მეტია, მთიან რაიონებში ნაკლები. ვაკე-დაბლობებზე და გორაკ-ბორცვიან ზონაში წლის ცივ პერიოდშიც კი ატმოსფერული ნალექები წვიმის სახით მოდის, მთიან აჭარაში – თოვლის სახით. ვაკე-დაბლობ და გორაკ-ბორცვიან ზონაში თოვლი შეიძლება მოვიდეს ნოემბრიდან მარტამდე, მაგრამ მყარი თოვლის საბურველი იშვიათია. მთიან ზონაში თოვლი მოდის ოქტომბრიდან აპრილამდე, საბურველის სისქე 1-მეტრზე მეტია. აჭარა ხასიათდება ნალექების დიდი სიუხვით. მაქსიმალური რაოდენობა ზამთარშია, მინიმალური – ზაფხულში.

აჭარის თითქმის ყველა მდინარე შავი ზღვის აუზს ეკუთვნის, მხოლოდ მდინარე ქვაბლიანია კასპიის ზღვის აუზისა. ყველაზე წყალუხვია მდინარე ჭოროხი, რომელიც სათავეს თურქეთში იღებს (სიგრძე 438 კმ). მისი აუზის ფართობია 22,1 ათასი კმ², თუმცა აჭარის ტერიტორიაზე მხოლოდ 26 კილომეტრზე მიედინება. ჭოროხს აქვს საკმაოდ დიდი დელტა, რომლის ნაწილზეც გაშენებულია ქალაქი ბათუმი, დანარჩენი კი კახაბრის ვაკეს უჭირავს. აჭარის ერთ-ერთი მთავარი მდინარეა აჭარისწყალი (სიგრძე 90 კმ, აუზის ფართობი 1540 კმ²). მისი შენაკადებია მარჯანიდან ჭვანისწყალი, მარცხნიდან – მერისი, ჩირუხისწყალი, სხალთა და სხვ. აჭარისწყლის აუზის მდინარეები უმთავრესად თოვლისა და წვიმის წყლით საზრდოობს, ნაწილობრივ მიწისქვეშა წყლითაც. აჭარისწყალმა წყალდიდობა გაზაფხულსა და შემოდგომაზე იცის, წყალმცირობა – ზაფხულსა და ზამთარში. შავ ზღვას უშუალოდ ერთვის მდინარეები: კინტრიში, ჩაქვისწყალი, ყოროლისწყალი და სხვ. ისინი უმთავრესად წვიმის წყლით საზრდოობენ. მდინარე აჭარისწყალზე სოფელ ზედა მახუნცეთთან აგებულია „აწჰესი“. აჭარაში ტბები ცოტაა, სანაპიროზეა ლაგუნური ტბები, პიონერის ტბა (ნურიე) და ორი პატარა უსახელო ტბა ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე. მთებში – მწვანე ტბა, შავი ტბა, ბოძაური, წიფლნარის ტბა და სხვა. აჭარაში უხვად არის სასმელი და სამკურნა-

ლო მინერალური წყლები (მახინჯაურის, კოკოტაურის). ჭაობებს ვხვდებით ქობულეთისა და კახაბრის ვაკე-დაბლობზე.

აჭარაში ნიადაგები ძირითადად სიმაღლებრივ ზონებადაა განლაგებული. ზღვისპირა ვაკე-დაბლობზე და მდინარეთა ტერასებზე ალუვიური ნიადაგები და ჭაობის ლამიანი, ტორფიანი, ეწერ-ლებიანი და სუბტროპიკული ეწერი ნიადაგებია. სანაპირო გორაკ-ბორცვებსა და დაბალი მთების ქვემო კალთებზე უმთავრესად წითელი მიწებია. დიდი ფართობი უჭირავს ტყის ყომრალ ნიადაგს. დაბალი და საშუალო მთების ფოთლოვანი ტყის ზონაში გვხვდება მუქი ყომრალი ნიადაგი. მთა-მდელოს (სუბალპურ და ალპურ) ზონაში განვითარებულია მთის მდელოს კორდიანი, კორდიან-ტორფიანი და ზოგან პრიმიტიული ნიადაგი.

მცენარეული საფარი აჭარის სხვადასხვა ზონაში სხვადასხვა სიხშირითაა. გორაკ-ბორცვიანი მთისწინეთის კოლხური ტყეები გაჩეხილია. ფართობი გამოყენებულია სუბტროპიკულ და სხვა მცენარეთა გასაშენებლად. მცირე ნაკვეთებად კოლხური ტყე შემორჩენილია ჭოროხის (ქვემო დინება), ჩაქვისწყლისა და კინტრიშის ხეობებში (კინტრიშის ნაკრძალი). ტყეში უმეტესად გვხვდება წაბლი და წიფელი. არის წყავის, შქერისა და ბზის ხშირი მარადმწვანე ქვეტყე. აჭარის მთების შუა სარტყელში კარგად არის შემონახული წიფლის ტყეები, რომლებშიც ურევია რცხილა, წაბლი, იფანი, ცაცხვი, ნეკერჩხალი და სხვ. მდინარე აჭარისწყლის ხეობის გასწვრივ ტყე ძლიერ გაჩეხილია, აქ უმეტესად არის მუხა, ფიჭვი და რცხილა. მთების ზედა ზონაში გვხვდება ნაძვნარ-სოჭნარი, ხოლო ტყის ზედა საზღვართან — არყნარი. ამ ზონაში ზღვისკენ მიმართულ კალთებზე შერეული ტყეებია, სადაც ნაძვთან ერთად ნეკერჩხალიც იზრდება. ქვეტყეში გვხვდება წყავი, შქერი, მოცვი და იელი. იზრდება აგრეთვე გვიმრა, ანწლი და სხვ. აჭარის ტყეებს უმთავრესად ნიადაგ და წყალდამცავი მნიშვნელობა აქვს. ბევრია ხილი: ბალი, პანტა, ვაშლი, კაკალი, წაბლი, ხურმა, წყავი, მოცვი, ტყემალი და სხვ. სუბალპური და ალპური მდელოები კარგი სათიბ-საძოვრებია. მწვანე კონცხზე არის ბათუმის ბოტანიკური ბაღი. აქ შემოტანილი და გაშენებულია მრავალი ქვეყნის ეგზოტიკური მცენარეულობა.

მრავალფეროვანია აჭარის ცხოველთა სამყაროც. აქ გვხვდება, როგორც ბარის, ისე საშუალო და მაღალი მთისათვის დამახასიათებელ ცხოველთა სახეობები. სუბალპურ და ალპურ მდელოებზე აქა-იქ ბი-

ნადრობს არჩვი, ტყეში მრავლადაა შველი, მგელი, მელა, ზოგან — გარეული ღორი, ყველგანაა მაჩვი, კვერნა, დედოფალა და წავი. ზოგ ტყეში ბინადრობს მურა დათვი, ჭანური დათვი, ფოცხვერი და ტყის კატა. ბევრია კურდღელი, ციყვი, ძილგულა, ტყის თაგვი, ჭაობიან ადგილებში — ნუტრია. მრავლადაა ზღარბი, თხუნელა. ფრინველებიდან აჭარის მაღალ მთებში ბინადრობს შურთხი, როჭო, მაღნარი. ბევრია მწყერი, ტყის ქათამი, ყურყუმელა, იხვი, თოლია, ყანჩა, ოფოფი, ძერა, მიმინო, ქორი, არწივი, ორბი, ბუ, ზარნაშო, ყორანი, ყვავი და სხვა. ქვეწარმავლებიდან გვხვდება აჭარული ხვლიკი, ხვლიკი, ბოხმეჭა, ანკარა, კავკასიური გველგესლა, ჭაობის კუ, ამფიბიებიდან — გომბეშო, ტბის ბაყაყი, ვასაკა, ტრიტონი, სალამანდრა. აჭარის მდინარეებში არის კალმახი, კოლხური ხრამული, კოლხური ტობი, კოლხური შამაია, მურწა, წვერა, ჭანარი, ღორჯო, ლოქო და სხვა. ზღვიდან მდინარეებში შემოდის ორაგული, სვია, ატლანტური ზუთხი, ტარაღანა და სხვა.

აჭარის ძირითადი მოსახლეობა ქართველობაა, ცხოვრობენ აგრეთვე რუსები, უკრაინელები, სომხები, ბერძნები, ებრაელები, აზერბაიჯანელები და სხვა ეროვნების ხალხები. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი (55%-მდე) ცხოვრობს სოფლად. ქალაქის მოსახლეობა უმთავრესად თავმოყრილია ბათუმსა და ქობულეთში. აჭარა მჭიდროდ დასახლებული მხარეა, განსაკუთრებით ზღვისპირა რაიონები. მთაში უმეტესად გაფანტულია პატარ-პატარა სოფლები.

აჭარის მდიდარმა ბუნებრივმა რესურსებმა და ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ ხელი შეუწყო მეურნეობის მრავალი დარგის განვითარებას. მეურნეობის სტრუქტურაში წამყვანია სუბტროპიკული მეურნეობა, სასურსათო — სამრეწველო პროდუქტებისა და ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობა, ნავთობგადამუშავება, მანქანათმშენებლობა, ფარმაცევტული წარმოება, საკურორტო მეურნეობა.

მრეწველობა მრავალდარგოვანია. გაიზარდა მძიმე, კვების, ენერგეტიკული მრეწველობის მოცულობა. მუშაობს „აწჰესი", ჰესები მაჭახელასწყალზე, მახოზე, აჭყვასა და კინტრიშზე, შენდება მცირე ჰესებიც. მნიშვნელოვნად გაიზარდა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის პროდუქციის მოცულობა. მუშაობს ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა. მნიშვნელოვანია ქიმიური მრეწველობა, რომელიც ძირითადად ვითარდება ადგილობრივი ნედლეულის, განსაკუთრებით მცენარეულობის ბაზაზე. კვების მრეწველობაში მთავარია ჩაის გადამუშავება. აქ მუშაობს 14 ჩაის ფაბრი-

კა. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხე-ტყის დამუშავებას და ავეჯის წარმოებას. მსუბუქი მრეწველობიდან აღსანიშნავია ტყავ-ფეხსაცმლის და ტრიკოტაჟის ფაბრიკები. ბათუმის ნავსადგურიდან სხვადასხვა რაიონებსა და საზღვარგარეთ გადის ნავთობპროდუქტები, კვების მრეწველობისათვის საჭირო მანქანა-მოწყობილობა, ტუნგის ზეთი, კონსერვები, ციტრუსები, ჩაი, თამბაქო, წყალქვეშა ფრთიანი ნავები და სხვ.

აჭარის ბუნებრივი პირობები ხელსაყრელია მრავალგვარი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელებისათვის. რელიეფის დიდი დახრილობა და ძლიერი დანაწევრება ძალიან ამცირებს სასარგებლო მიწის ფონდს. დამუშავებული მიწის, განსაკუთრებით სახნავი მიწის ხვედრითი წილი დაბალია (6,3%). ძვირფას მრავალწლიან კულტურებს აჭარაში საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით პროცენტულად უფრო მეტი ფართობი უკავია. იგი სპეციალიზირებულია სუბტროპიკულ კულტურებზე. განვითარებულია მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მეთამბაქოეობა, მეხილეობა, მევენახეობა. სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია მეცხოველეობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მსხვილფეხა-რქოსან საქონელს, რაც ყველა რაიონშია გავრცელებული. აქ არის ადგილობრივი მთის და და ველის წითელი ჯიშის საქონელი, რომელსაც ბაგური და ბაგურ-სამოვრული წესით ინახავენ. ცხვარი და თხა ჰყავთ მთიანი რაიონების მოსახლეობას. ვაკე-დაბლობის ზონაში ვითარდება მელორეობა და მეაბრეშუმეობა. მოშენებულია ქართული მთის რუხი ფუტკარი. ეს კუთხე საქართველოში თევზ-ჭერის მნიშვნელოვანი რაიონიცაა.

ზღვისპირა და მთიან აჭარას შორის არის შიგა ეკონომიკური სხვობა, რაც გამოწვეულია განსხვავებული ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით, მეურნეობის სტრუქტურით, განვითარების დონით, სატრანსპორტო მდებარეობით და ისტორიული წარსულით.

ზღვისპირა აჭარა მოიცავს ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონებს. ესენია აგრარულ-ინდუსტრიული და საკურორტო რაიონები, სადაც ცხოვრობს მოსახლეობის 75%. აქ თავმოყრილია ნავთობგადამამუშავებელი, მანქანათმშენებელი, ქიმიური, ფარმაცევტული და კვების მრეწველობის საწარმოები. აქვეა მცენარეული ნედლეულის გადამამუშავებელი ფაბრიკები. ინტენსიურადაა განვითარებული მეცხოველეობა და მეაბრეშუმეობა.

მთიანი აჭარა მოიცავს ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონებს. მათ აჭარის ტერიტორიის 3/5 უჭირავს. აქ ცხოვრობს მოსახლეობის 25%.

განვითარებულია მეთამბაქოეობა, მეხილეობა-მევენახეობა, მეცხოველეობა და მეკარტოფილეობა. კარტოფილის ნათესები ძირითადად ხულოს რაიონშია. აქ ძველთაგანვე მისდევდნენ იყო ალპურ მესაქონლეობას.

აჭარა საზღვაო, სარკინიგზო, საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტის კვანძია. წამყვანია საზღვაო ტრანსპორტი. ბათუმის ნავსადგური ერთ-ერთი საუკეთესოა. იგი ფართო პროფილის კომპლექსურ-მექანიზებული მსხვილი საწარმოა. აჭარის ტერიტორიაზე მთავრდება (ქ. ბათუმში) ამიერკავკასიის რკინიგზის (ბაქო-თბილისი-ბათუმი) მაგისტრალი, რომელსაც უკავშირდება სენაკი-სოხუმ-ტუაფსეს რკინიგზის ხაზი.

აჭარის მეურნეობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ავტოტრანსპორტს. აღსანიშნავია შავი ზღვისპირა და სამხრეთ საქართველოს გზატკეცილები. პირველი აჭარას ჩრდილო კავკასიასთან აკავშირებს, მეორე — გოდერძის უღელტეხილით სამხრეთ საქართველოს რაიონებთან და სომხეთის რესპუბლიკასთან. ბათუმის აეროპორტიდან თვითმფრინავები დაფრინავენ რუსეთისა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. მეტად მნიშვნელოვანია ბაქო-ბათუმის ნავთობსადენი, რომელსაც ამჟამად უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. 1980 წელს მწყობრში ჩადგა სამგორ-ბათუმის ნავთობსადენი. მშენებლობის პროცესშია მეტად მნიშვნელოვანი ბაქო - ჯეიჰანის ნავთობსადენი.

უღელტეხილებიდან აღსანიშნავია ქვის-ტახტი (2420 მ.) არსიანის ქედზე.

ხელვაჩაურის რაიონში თურქეთის საზღვრისპირა სოფლებია: სარფი, გონიო, კვარიათი, მურმანეთი, ზედა თხილნარი, კირნათი, ზედა კირნათი, მირვეთი, მაჭახლისპირი, მარადიდი, გვარა, კობალეთი, შუშანეთი, ძაბლევეთი, სინდიეთი, კედკედი, სკურდიდი, ზედა ჩხუტუნეთი, ქვედა ჩხუტუნეთი, ჩიკუნეთი, ცხემლარი, კოკოლეთი, ქვედა კოკოლეთი.

ქედის რაიონში — ოქტომბერი, მედზინა, სიხალიძიბი, გარეტიე.

შუახევის რაიონში — გაგაძიბი, შუბანი, ტომაშეთი, ცელათი, დარჩიძიში.

ხულოს რაიონში — თხილვანი, მთის უბანი, ქვედა ტყისუბანი.

6.13. კოლხეთი (შავიზღვისპირეთი)

კოლხეთი არის საქართველოს ტერიტორიის ნაწილი აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრიდან აჭარის ადმინისტრაციულ საზღვრამდე, რომლის მერიდიანული გაჭიმულობა თითქმის 90 კმ-ს აღწევს. ეს სივრცე

რეალურად ერტყმის შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირს. მისი რელიეფი ვაკე დაბლობს წარმოადგენს. ზოგ ადგილებში ზღვის დონეზე დაბლაც მდებარეობს და ტორფიან ნიადაგებით ხასიათდება. სანაპირო ზოლში კი გვხვდება დიუნური ფორმის შემაღლებები. ტერიტორიის სამხრეთი (აჭარისა და გურიის ფარგლებში) და ჩრდილო დასავლეთით (აფხაზეთის ფარგლებში) წარმოდგენილია ძირითადად გორაკ ბორცვიანი რელიეფით, რომელშიც ალაგ-ალაგ ჩართულია ვაკე ადგილები. გორაკ ბორცვიანი ზოლის სიგანე არ აღემატება 8-10 კმ-ს, სიმაღლე ზღვის დონიდან კი 200-250 მ-ს აღწევს. ზღვისპირა ცენტრალური ნაწილი მდინარე კოდორიდან მდინარე სუფსამდე წარმოადგენს ვაკეს, იგი კოლხეთის დაბლობის უკიდურესი დასავლითი ნაწილია. ვაკის სიგანე აქ 10 კმ-ს აღწევს და ჩრდილო-აღმოსავლეთში, აფხაზეთის და სამეგრელოს ფარგლებში გორაკ-ბორცვიანში გადადის.

კოლხეთში ჰავა ბევრად უფრო ტენიანი და რბილია, ვიდრე ამავე განედზე მდებარე საქართველოს სხვა რეგიონებში. შესაბამისად ნესტიანობა მაღალია და მეტია ღრუბლიან დღეთა რაოდენობაც.

ამ სასაზღვრო სივრცეში მდინარეთა ხშირი ქსელია, ისინი მდორე დინებით ხასიათდებიან და ადგილობრივი მოსახლეობისათვის სატრანსპორტო მნიშვნელობა აქვთ. ტერიტორია ხასიათდება ჭაობთა დიდი რაოდენობით. აქ მდებარეობს პალიასტომის ტბა, რომლის ფართობი 18,2 კმ^2 შეადგენს. მისი სიღრმე 3 მ-ს აღემატება.

ზღვისპირა ტერიტორიაზე სამეურნეო საქმიანობას ძველთაგანვე შესაძლებელს ხდიდა ხელსაყრელი ჰავა, ტემპერატურული რეჟიმი, უხვი ნალექები, გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი გარემო. ყოველივე ამან შექმნა ხელშემწყობი გარემო, რათა აქ უძველესი დროდან ჩასახულიყო მატერიალური და სულიერი კულტურის ერთ-ერთი უძველესი კერა.

შავი ზღვის სანაპირო ზოლი, ისე როგორც საქართველოს სხვა პროვინციები, მრავალჯერ გამხდარა უცხოელთა შემოსევის ობიექტი XI-XII საუკუნეებში. შავიზღვისპირა ტერიტორიები განვითარების მაღალი დონით გამოირჩეოდა, მაგრამ მომდევნო პერიოდში ფეოდალური დაქუცმაცებისა და გარეშე მტრების მუდმივი შემოსევის ვითარებაში ისინი ვერ გადაურჩნენ სოციალურ-ეკონომიკურ დაქვეითებას. მეტად მძიმე იყო გვიანფეოდალური ეპოქა, როცა იმძლავრა თურქეთის ბატონობამ. მხოლოდ

XIX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულში დასრულდა დღევანდელი საქართველოს შავიზღვისპირეთის თურქთა ბატონობისაგან მთლიანად განთავისუფლება.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში აქ აღინიშნა მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლილებები. ზღვის სანაპიროზე განლაგებული დასახლებული პუნქტები ისტორიულად დიდ როლს ასრულებდნენ კოლხეთის სავაჭრო და კულტურულ ცხოვრებაში. მათ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდათ ბერძნულ სამყაროსთან - გაჰქონდათ სხვადასხვა ნედლეული (რკინა, ოქრო, ხე-ტყე) და ხელოსნური ნაწარმი. მთელს ანტიკურ სამყაროში იყო განთქმული კოლხური სელის ქსოვილი, რომელიც ეგვიპტურსაც კი უწევდა მეტოქეობას. კოლხური კერამიკის ნიმუშები მრავლადაა აღმოჩენილი შავიზღვისპირეთში.

კოლხეთის შავიზღვისპირა სასაზღვრო სივრცეში ძირითადად მოქცეულია ზუგდიდის, ხობის, ლანჩხუთის, ოზურგეთის რაიონების ტერიტორიის დასავლეთი ნაწილი და ქ. ფოთის ტერიტორია: მოსახლეობის დიდი ნაწილი უმთავრესად ქალაქებშია თავმოყრილი. ეროვნული შემადგენლობის მიხედვით ქართველების შემდეგ ყველაზე მეტი წილი 24% მოდის რუსებზე. სხვა ეროვნების მოსახლეობა აქ ძალზე მცირეა.

ამ სივრცის სამეურნეო და კულტურული განვითარების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მისი მოსახლეობის საქმიანობამ საკმაო ცვლილება განიცადა. მრავალი წლის განმავლობაში მოსახლეობის ზრდასთან ერთად, იზრდებოდა დასაქმების სფეროს მასშტაბები და სახეობრივი მრავალფეროვნება. პირველ რიგში ეს ეხება აგრარულ სფეროში მიმდინარე ცვლილებებს. საბჭოთა პერიოდში შავიზღვისპირა ზოლში მთავარი ყურადღება გადატანილ იქნა სუბტროპიკულ კულტურებზე. ფართოდაა გავრცელებული მეცხოველეობაც, რასაც ხელს უწყობს აქ არსებული ბუნებრივი საკვები სავარგულების (საძოვრების) სიუხვე. საძოვრები და სათიბები უმეტესად დაჭაობებულ და ჭარბტენიან უბნებშია გავრცელებული. კოლხეთში რე-ვოლუციამდე რამდენიმე წვრილი საწარმო მოქმედებდა. საბჭოთა ხელისუფლების დროიდან დაიწყო ამ სივრცეში მრეწველობის განვითარება. მნიშვნელოვანია მანქანათმშენებლობა, კვების მრეწველობა, რომელშიც გამოირჩევიან: ჩაის, საკონსერვო, ეთერზეთების, საფქვავი, თევზჭერის, მინერალური წყლების ჩამოსხმის, ხორცის, ღვინის, ლუდის, უალკოჰოლო სასმელების, ყველ-კარაქისა და სხვა, რომელთა

პროდუქცია უმეტესად საქალაქო და რაიონულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურებოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ სივრცის ეკონომიკურ აღმავლობაში და მოსახლეობის მატერიალური პირობების გაუმჯობესებაში მეჩაიეობის ბაზაზე განვითარებული ჩაის მრეწველობა.

საქალაქო ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ფოთს (ფაზისს), ისტორიულად იგი გამაგრებულ ციხე-ქალაქს წარმოადგენდა. აქ იყო უმაღლესი საფეხურის სასწავლებელი - აკადემია (III-IV ს.ს.). მეორე მნიშვნელოვანი საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური იყო მდინარე ენგურის შესართავთან მდებარე ანაკლია. მისი მნიშვნელობის გამო თურქებმა აქ 1703 წელს ააგეს ციხე-სიმაგრე და ის ტყვეთა ვაჭრობის ძირითად პუნქტად გადაიქცა. 1803 წ. ანაკლიასაც და ფოთსაც რუსეთის ჯარი დაეპატრონა. აქედან მოყოლებული რუსეთის იმპერიამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი შავიზღვისპირეთში. იგი სამხრეთის მნიშვნელოვან საზღვრად იქნა მიჩნეული და ფართო პოლიტიკური, სტრატეგიული და ეკონომიკური შეფასება მიეცა. ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მდინარე რიონის შესართავში მდებარე ქ.ფოთში ნავსადგურის მშენებლობას, რომელიც 1856 წელს დაიწყეს, ხოლო 1870 წლიდან კი მან უკვე მნიშვნელოვანი ნავსაყუდელის ფუნქციის შესრულება დაიწყო, დღეს ქალაქი ფოთი წარმოადგენს კოლხეთის უმნიშვნელოვანეს ქალაქს აქ არის მანქანათმშენებლობის უმსხვილესი საწარმო, გემთმშენებელი ქარხანა. 1981 წლიდან, იგი ძირითადად უცხოელებისათვის აგებდა "კოლხიდას" სწრაფდმავალ სამგზავრო წყალქვეშაფრთიან გემებს. მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით 1989 წლის მონაცემებით ქ.ფოთში ცხოვრობდა 50,9 ათასი კაცი. ამჟამად ფოთი შავი ზღვის ნავსადგურებს შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იჭერს, მასზე მოდის ქვეყნის საზღვაო ტვირთბრუნვის უმეტესი ნაწილი. აქ არის აგრეთვე ნავთობგადასამუშავებელი ტერმინალი. როგორც ნავსადგური მნიშვნელოვანია ბათუმი, რომლის ტვირთბრუნვა დღითი-დღე იზრდება. შავი ზღვის სანაპირო ზოლში მდებარეობენ აგრეთვე სოხუმის ნავსადგური, გაგრის, ბიჭვინთის, ახალი ათონის, ოჩამჩირის სანავსადგურო პუნქტები.

კოლხეთის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში წამყვანი ადგილი უკავია ტრანსპორტს. მის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს ზღვისპირა გეოგრაფიული მდებარეობა, რაც საერთაშორისო კავშირების დამყარების მძლავრი ფაქტორია.

კოლხეთის ტერიტორიაზე არის პალიასტომის ნაკრძალი, რომლის ფართობი 561 ჰექტარია. ნაკრძალის მიზანია კოლხეთის დაბლობისათვის დამახასიათებელი რელიქტური ფლორისა და ფაუნის მთლიანი კომპლექსის დაცვა. ნაკრძალის დიდი სამეცნიერო-კვლევითი და ისტორიული მნიშვნელობა აქვს. აქ შემონახულია კოლხეთისათვის დამახასიათებელი ჭაობისა და დაბლობის ტყეების ლანდშაფტი. გავრცელებულია მურყანი, წიფელი, რცხილა, კოლხური სურო, წყავი, შქერი და რელიქტური ბალახოვანი მცენარეები. ცხოველებიდან შველი, გარეული ღორი და სხვა. გარეული ფრინველებიდან აღსანიშნავია ხოხობი, რომლის ლათინური სახელწოდება "ფასიანო" დაკავშირებულია ფაზისთან და მსოფლიოს ყველა ენაზე ამ სახელით მოიხსენიება.

შავიზღვისპირა სასაზღვრო სივრცე ხასიათდება მნიშვნელოვანი საკურორტო-ტურისტული რესურსებით, რომელიც უცხოური ტურისტების მოზიდვის წინაპირობას ქმნის. ტუ-რიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ დამტკიცებულ ნუსხაში შეტანილია კურორტები: ანაკლია, მალთაყვა (კლიმატური); მენჯი, სქური, ცაიში (ბალნეოლოგიური); ყულევი, ჭკადუაში (კლიმატურ-ბალნეოლოგიური). მნიშვნელოვანია აჭარისა და აფხაზეთის საზღვაო კურორტები: ქობულეთი, მწვანე კონცხი, ურეკი; გაგრა, ახალი ათონი, გუდაუთი, სოხუმი, კელასური, ოჩამჩირე და სხვა.

ანტროპოლოგიურმა ფაქტორებმა უარყოფითად იმოქმედა სანაპიროს მდებარეობაზე. მდინარეების მყარი ნატანის შემცირებამ და სანაპირო ზოლში ინერტული მასალის უსისტემო მოპოვებამ ბევრ ადგილას ნაპირის რეცხვა გამოიწვია, რის შედეგადაც პლაჟები დიდი საფრ-თხის წინაშე აღმოჩნდა. არა იშვიათად ზღვის ტალღები სანაპირო ზოლში გამავალ მნიშვნელოვან სატრანსპორტო კომუნიკაციებსაც აზიანებს.

მნიშვნელოვანია შავი ზღვის და მისი სანაპირო ზოლის ეკოლოგიური მდგომარეობა. ის განსაკუთრებულ ყურადღებასა და მოვლას საჭიროებს, რადგან ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად, როგორც ზღვის, ისე სანაპირო ზოლის ეკოლოგიური წონასწორობა დარღვეულია.

ამჟამად შექმნილია შავი ზღვის ქვეყნების წარმომადგენელთა საკოორდინაციო საბჭო, რომელიც შეიმუშავებს ეკოლოგიურ დასკვნებს და იზრუნებს შავი ზღვის ეკოლოგიურ დაცვაზე.

1. წიგნში გამოყენებული ტერმინების განმარტებანი

სახელმწიფო ტერიტორია — დედამიწის ზედაპირის გარკვეული ნაწილი, რომელიც გარკვეული სახელმწიფოს სუვერენულ დაქვემდებარეებაში იმყოფება და სხვა სახელმწიფოსაგან გამოყოფილია საზღვრებით, მოიცავს ხმელეთს, შიდა წყლებს, ტერიტორიულ წყლებს, წიაღსა და საჰაერო სივრცეს. სახელმწიფო ტერიტორიად ითვლება აგრეთვე მოცემული სახელმწიფოს დროშით ზღვებსა და ოკეანეებში მოცურავე გემები, საჰაერო ხომალდები.

სახელმწიფო საზღვარი — მეზობელ სახელმწიფოებს შორის დელიმიტაციისა და დემარკაციის საფუძველზე დადგენილი სახელმწიფო ტერიტორიის გავრცელების განმსაზღვრელი ხაზი. მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტია კანონი საზღვრის შესახებ.

ტერიტორიული წყლები _ ტერიტორიული ზღვა, ზღვის სივრცე, რომელიც უშუალოდ ეკვრის ხმელეთს ან მის ტერიტორიაზე მოქცეულ სახელმწიფოს შიდა წყლებს. ტერიტორიული წყლების სიგანე 12 მილია. ტერიტორიული წყლების რეგულირება ხდება 1958 წლის ჟენევის კონვენციით.

საზღვრის დელიმიტაცია _ დელიმიტაცია ნიშნავს სახელმწიფოთა შორის შეთანხმების საფუძველზე, პარიტეტულ საწყისებზე მათ შორის საერთო სახელმწიფო საზღვრის დადგენას. ეს არის საზღვრის დადგენის პირველი ეტაპი, რომელიც მდგომარეობს სპეციალურ შეთანხმებაში ან საზავო ხელშეკრულებაში საზღვრის ხაზის მიმართულების დაწვრილებით — ტოპოგრაფიულ აღწერასა და შესაბამისი ხაზის გავლებაში მსხვილმასშტაბიან რუკაზე, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას. დელიმიტაციის საფუძველზე ხორციელდება დიპლომატიური მოლაპარაკება სახელმწიფო საზღვრის თაობაზე და მტკიცდება მომიჯნავე სახელმწიფოთა შორის სპეციალური ხელშეკრულებით.

საზღვრის დემარკაცია _ გულისხმობს სახელმწიფოს საზღვრის გატარებას ადგილზე. ეს არის სახელმწიფოებს შორის საზღვრის დადგენის მეორე ეტაპი, რომლის დროსაც ხდება რუკიდან ადგილზე სასაზღვრო წერტილების გეგმილების განსაზღვრა და შესაფერისი სასაზღვრო ნიშნების დადგმა. ხდება ე.წ. „კროკების“ შედგენა, დეტალური ინვენტარიზა-

ცია და გეოგრაფიული აღწერა. დემარკაცია ხორციელდება საზღვრის დელიმიტაციის მასალის საფუძველზე. მას ახორციელებს მოსაზღვრე სახელმწიფოების შერეული კომისია, რომელიც დაფიქსირებული უნდა იქნას სახელშეკრულებო დოკუმენტში.

დემარკაციის სამართლებრივ საფუძველს ქმნის სადელიმიტაციო დოკუმენტები, ხოლო დელიმიტაციის რატიფიცირება იურიდიული საფუძველია დემარკაციის შედეგებისთვის.

ორ სახელმწიფოს შორის სადემარკაციო კომისიები იქმნება პარიტეტულ საწყისებზე. ასეთი კომისიების შემადგენლობა და ინსტრუქცია მტკიცდება მთავრობის დადგენილებით. ამავე დადგენილებით განისაზღვრება მოსამზადებელი და საველე სამუშაოების ჩატარება, ყველა დოკუმენტისა და მასალის გაფორმების ვადები, განისასზღვრება დაფინანსების და სხვა საშუალებათა ნუსხა. სადემარკაციო კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ: ისტორიული გეოგრაფიის, ტოპოგრაფია-კარტოგრაფიის, ისტორიის, სამართალმცოდნეობისა და გეოგრაფიის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები: ექსპერტები, მდივნები, მთარგმნელები. კომისიის წევრებს შეარჩევენ სასაზღვრო ძალების შტაბის წარმომადგენლები, მთელ საქმიანობას კურირებს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

სადემარკაციო კომისიას უფლება აქვს თავისი შეხედულებებისამებრ მოიზიდოს დამხმარე ტექნიკური პერსონალი, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება საზღვრის სიგრძისა და სირთულის შესაბამისად.

სახელმწიფო საზღვრის ხაზი, რომელიც დემარკაციას ექვემდებარება, იყოფა ცალკეულ უბნებად (სექტორებად). ყველა უბნისათვის დგება ქვეკომისია.

ჩვეულებრივ შერეული სადემარკაციო კომისიის მუშაობა იყოფა 3 სტადიად: მოსამზადებელი, საველე და დასკვნითი.

საზღვრის სადემარკაციო ხაზი.

1. ხაზი, რომელიც დაზავების დროს მეომარ სახელმწიფოთა ჯარებს გამიჯნავს მუდმივი საზღვრის დადგენამდე სასაზღვრო ხელშეკრულებით თუ სხვა შეთანხმებებით.

2. ხაზი, რომელიც დამარცხებული სახელმწიფოს ტერიტორიას საოკუპაციო ზონებად ყოფს.

3. მეზობელ სახელმწიფოთა შორის სადავო ტერიტორიაზე დროე-

ბით დადგენილი ხაზი (ზოლი).

საზღვრის რედემარკაცია — საზღვრის ხაზის გადასინჯვა, ცვლილებების შეტანის ან დაკარგული ნიშნების მდებარეობის განსაზღვრისა და აღდგენის მიზნით.

2. სახელმწიფო საზღვრის დადგენის ზოგადი პრინციპები და თვალსაზრისები

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სახელმწიფო საზღვრის დადგენა ორ ძირითად ეტაპს — დელიმიტაციას და დემარკაციას საჭიროებს. განვიხილოთ ის სამუშაოები, რომლებიც სრულდება ქვეყნის ტერიტორიაზე სახელმწიფო საზღვრის გატარებისას. სახელმწიფო საზღვრის გატარებას აწარმოებენ სპეციალური ორმხრივი კომისიები, რომელიც იქმნება მომიჯნავე სახელმწიფოების ინიციატივით და ფიქსირდება სახელმწიფო დოკუმენტით. შესაძლოა, ამ კომისიების მუშაობაში მონაწილეობდნენ ნეიტრალური სახელმწიფოს წარმომადგენლებიც.

ორ სახელმწიფოს შორის სადემარკაციო კომისიები იქმნება პარიტეტულ საწყისებზე. მისი შემადგენლობა, ინსტრუქციები, მოსამზადებელი და საველე სამუშაოების ჩატარება, დოკუმენტებისა და მასალების გაფორმების ვადები, დაფინანსება და სხვა საშუალებათა ნუსხა მტკიცდება მთავრობის დადგენილებით.

სადემარკაციო კომისიაში, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან — ისტორიკოსებთან, გეოგრაფებთან, ტოპოგრაფ-კარტოგრაფებთან და სხვ. მონაწილეობენ სასაზღვრო ძალების წარმომადგენლები, ექსპერტები, მდივნები, თარჯიმნები, დამხმარე ტექნიკური პერსონალი, რომელთა რაოდენობა განისაზღვრება საზღვრის სიგრძისა და სირთულის მიხედვით. მთელს საქმიანობას ხელმძღვანელობს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

სახელმწიფო საზღვრის ხაზი, რომელიც ექვემდებარება დემარკაციას, იყოფა ცალკეულ უბნებად (სექტორებად). ყოველი უბნისათვის დგება ქვეკომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან ორივე მხარის წარმომადგენლები. ქვეკომისიებში მუშაობენ აგრეთვე ტექნიკური ჯგუფის წარმომადგენლები, საზღვრის წერტილების განსაზღვრის დამაგრებისა და უზრუნველყოფის ბრიგადები.

სადემარკაციო კომისიის საქმიანობა სამ სტადიად იყოფა: ესაა მოსამზადებელი, საველე და დასკვნითი სტადიები.

მოსამზადებელ სტადიაში ხდება ყველა მასალის მოგროვება, რომელიც საზღვრის ხაზის გატარებასა და მის ისტორიულ ცვალებადობას შეეხება, ამ მასალების შესწავლა და სისტემაში მოყვანა, რუკებისა და ინსტრუქციების გაცნობა გაანალიზება და დამუშავება.

ერთობლივ სადემარკაციო კომისიის სხდომებზე ზუსტდება მხარეთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და რუკების სანდოობა, მტკიცდება სადემარკაციო სამუშაოების ჩატარების წესი, თანმიმდევრობა და შესრულების ვადები, აგრეთვე დებულება ერთობლივი კომისიის მუშაობის შესახებ, სადაც განსაზღვრულია კომისიის კომპეტენცია და ამოცანები. აქვე მტკიცდება ინსტრუქციები სახელმწიფო საზღვრის სასაზღვრო ნიშნებით აღნიშვნის წესების შესახებ. მუშავდება და განისაზღვრება წარმოდგენილი დოკუმენტების, აეროფოტო, ტოპოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალების მიღებისა და გადაცემის წესი და ვადები.

საველე სტადიაში ხდება გასვლა საზღვრის რაიონში და ადგილზე საზღვრის ხაზის გატარება, წერტილების დასმა და მათი სასაზღვრო ნიშნებით აღნიშვნა. საზღვრის ხაზი ადგილზე გაკეთებული უნდა იქნეს კომისიის მიერ შედგენილი დოკუმენტების მიხედვით. წერტილები განისაზღვრება ზუსტი ინსტრუმენტული მეთოდით. კომისიის წევრები შემდეგ ამოწმებენ ტექნიკური პერსონალის მუშაობის შედეგებს და ღებულობენ საბოლოო გადაწყვეტილებას სასაზღვრო ნიშნების სახეების, ნიშნების შერჩევის და დადგმის შესახებ. მიღებული სასაზღვრო ნიშნები ადგილზე მყარად მაგრდება კომისიის წევრების თანდასწრებით. ყოველი სასაზღვრო ნიშნის დადგმისას ზუსტად განისაზღვრება მათი გეოგრაფიული კოორდინატები და დგება კროკები. ტარდება ნიშნის მიმდებარე ტერიტორიის ბუნებრივი რესურსების: წყლის, მთის ფერდობების, სათიბის, საძოვრის, ტყეების, ბუჩქნარის, გამადნებული ზოლის და სხვათა გეოგრაფიული აღწერა, ინვენტარიზაცია, ნიშნის დაკავშირება გარემო პირობებთან, რათა მათი გადაადგილების ან დაკარგვის შემთხვევაში შესაძლებელი იყოს ნიშნის ძველ ადგილზე აღდგენა. ნიშნის დამაგრების შემდეგ ფორმდება ოქმი. სასაზღვრო ნიშანზე იწერება მისი ნომერი, სექტორის ანუ უბნის ნომერი, ზოგიერთ შემთხვევაში კი თვით ნიშნის გეოგრაფიული კოორდინატებიც. არის შემთხვევები, როდესაც წერტილებს შორის დგება შუალედური სასაზღვრო ნიშნები. ამ შემთხვევაშიც, როგორც წერტილების გეოგრაფიული კოორდინატების განსაზღვრისას, აღწერილობაში მოცემუ-

ლი უნდა იყოს საზღვრის ნიშნის მაორიენტირებელი ადგილობრივი საგნებისა და ზოგადგეოგრაფიული ელემენტების დაწვრილებითი აღწერა.

საქართველოს იმ რაიონებში, სადაც საზღვრის ხაზი კავკასიონის მთავარ ქედზე ან სამხრეთ მთიანეთზე გადის, საზღვრის წერტილებს შორის დაშორება არ უნდა აღემატებოდეს 500-1000 მეტრს. აუცილებელია, რომ აქ ყოველი წერტილის მარჯვნივ და მარცხნივ გარკვევით ჩანდეს ერთი მეზობელი წერტილი მაინც.

არსებობს განსხვავებული პრინციპები და სპეციფიკა საზღვრის ხაზის გატარებისა ხმელეთზე, კონტინენტურ წყლებზე, ზღვაზე და ჰაერში, რადგან ბუნების ამ ზოგადგეოგრაფიულ ელემენტებს განსხვავებული პირობები ახასიათებს.

მთიანი რელიეფის პირობებში აუცილებელია რელიეფის ფორმების: ბორცვების, წყალგამყოფების, ხრამების და სხვა კომპონენტების საფუძვლიანი ანალიზი. აქედან გამომდინარე, საზღვრის ხაზის გატარებისას, გეოგრაფიული პრინციპები შეიძლება გამოყენებულ იქნეს,რათა არ მოხდეს ბუნებრივი პირობების, რესურსების, მათი ერთიანობის უხეში, გაუმართლებელი და ხელოვნური გახლეჩა. ამასთან, საზღვრის ხაზის გატარება არ შეიძლება ბუნების ისეთი კომპონენტის გავრცელების ზონაში, რომელიც დინამიკურობით ხასიათდება. ასეთად გვევლინება ტყე და მისი საზღვარი. აუცილებლობის შემთხვევაში, ტყეზე საზღვრის ხაზის გატარება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ მის მიმართულებაზე მოეწყობა ტყისგან თავისუფალი ზოლი — განაკაფი. სხვა შემთხვევაში, ტყის კონტურზე მყარად უნდა დამაგრდეს სასაზღვრო წერტილები ყოველ 150 მეტრში და დაფიქსირდეს მათი კოორდინატები.

სხვა მდგომარეობაა საზღვრის ხაზის გატარებისას ხმელეთის მდინარეებზე, ტბებზე, ხელოვნურ წყალსაცავებზე. აქ სრულიად განსხვავებული მიდგომაა საჭირო. მდინარეებზე, სადაც სამდინარო ხომალდების მოძრაობა შეიძლება, საზღვრის ხაზს, მის ტალღებზე ატარებენ. სხვა შემთხვევაში, მდინარეზე საზღვრის ხაზმა უნდა გაიაროს დინების ცენტრში და მოხვევის ადგილებში. სანაპიროზე დანიშნული უნდა იყოს კვეთის წერტილები. შეთანხმებაში ითვალისწინებენ მოცემული მდინარის წყლის რეჟიმს, კალაპოტის ცვალებადობის ინტენსივობასა და სხვა ბუნებრივ თავისებურებებს.

ტბაზე, საზღვრის ხაზმა უნდა გაიაროს ტბის შუა ხაზზე, რომლის ბოლოები ტბის სანაპიროზე დამაგრებული იყოს მყარად. მოქმედ ხე-

ლოვნურ წყალსაცავებზე საზღვრის ხაზი უნდა გატარდეს წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. მშენებარე წყალსაცავზე გამავალ საზღვრის ხაზს ადგენენ მშენებლობის დაწყებამდე.

საქართველოს დასავლეთი საზღვარი შავ ზღვაზე გადის და რადგანაც საქართველო საზღვაო ქვეყანაა, ამიტომ უნდა დადგინდეს ტერიტორიული წყლების საზღვარი და მისი ფართობი. შეთანხმების საფუძველზე რუსეთთან და თურქეთთან უნდა დადგინდეს მათთან ჩვენი გამიჯვნის ხაზები ტერიტორიულ წყლებზე. ამ შეთანხმებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ შავი ზღვის ქვეყნებმაც. არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1982 წლის კონფერენციის საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, რომლის მიხედვითაც ხმელეთიდან ზღვაში მართობულად ტარდება თორმეტი მილის (ერთი მილი - 1,85 კმ) სიგრძის საზღვრის ხაზი. მისი წერტილი ზღვის სანაპიროზე ინიშნება მყარად 2,5 მეტრის სიმაღლის რკინაბეტონის მონოლითით.

რაც შეეხება საჰაერო სივრცეს, კოსმოსური სივრცის გამუდმებულმა ათვისებამ განაპირობა სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმის შექმნა, რომლის მიხედვითაც კოსმოსში საერთაშორისო საზღვარი და ნაციონალური რეჟიმით გათვალისწინებული სახელმწიფო საჰაერო სივრცე საჭიროებს ამ სივრცის სიმაღლის განსაზღვრას.

დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოსათვის გადაუდებელია მეზობელ ქვეყნებ-თან საზღვრების მოწესრიგება და დაკანონება იმ სამუშაოთა ჩატარებით, რაც დემარკაციისთვისაა საჭირო.

დღეისათვის ერთობ ძნელია 1921 და 1936 წლებში საქართველოს დაკარგული ტერიტორიის (6105 კმ^2) დაბრუნება. აქედან სომხეთს მიეკუთვნება 2478 კმ^2, აზერბაიჯანს - 3627 კმ^2 ტერიტორია. ალარას ვამბობთ თურქეთის მიერ მიტაცებულ 16039 კმ^2 ტერიტორიაზე.

3. მეკვლე ცხოველთა შესახებ

მესაზღვრემ კარგად უნდა იცოდეს იმ მხარის ფლორა და ფაუნა, სადაც იგი სამსახურს გადის და ამ ადგილებში ბინადარი ცხოველების ჩვევები და თავისებურებები. უნდა შეეძლოს, მათი ქცევის მიხედვით, გაანალიზოს და სწორი დასკვნები გააკეთოს სამსახურის უფრო მაღალ დონეზე შესასრულებლად. კვალმაძიებლობის საიდუმლოებათა ცოდნა ბევრ რამე-

ში ეხმარება საგუშაგოზე მყოფთ. ცხოველებზე დაკვირვებით მესაზღვრეს შეუძლია დროულად შეიტყოს ამინდის ცვალებადობის, მოსალოდნელი სტიქიური უბედურების, საზღვრის დამრღვევთა ადგილ-სამყოფელის შესახებ; შეამჩნიოს საზღვრის დარღვევის მცდელობა.

შინაურ და გარეულ ცხოველებზე დაკვირვება მესაზღვრეს ბევრ რამეს ასწავლის. გამოცდილი კვალმაძიებელი, ცხოველთა ქცევიდან გამომდინარე, დასკვნას აკეთებს. მაგალითად, თუ არწივი ცაში წრიულ მოძრაობას ასრულებს, მესაზღვრე ხვდება, რომ იქ სადღაც ადამიანია ჩასაფრებული.

ცხოველთა მოქმედება არასოდეს არ არის უმიზნო და უმიზეზო. იგი ყოველთვის თავდაცვის ინსტიქტითაა გამოწვეული. მესაზღვრე, რომელიც აკვირდება და სწავლობს მის გარშემო მყოფ ცხოველთა საქციელს, ყოველთვის აღმოაჩენს იმას, რაც მას თვალთახედვიდან გამორჩა. თუ ცხოველი დაფრთხა, ეს იმის უტყუარი მაჩვენებელია, რომ ახლოს ადამიანი ან სხვა საშიშროებაა. თუ ცხოველი დაწყნარებულია, მშვიდად სძინავს, ისვენებს, მზეს ეფიცხება, ღებულობს წყლის ან ქვიშის აბაზანებს, იწმენდს ბეწვს ან ბუმბულს, საჭმელს ან წყალს მიირთმევს, ნადირობს, ნაშიერს კვებავს, ლოკავს, თამაშობს, გალობს — ნიშნავს, რომ ამ მონაკვეთზე სიმშვიდეა. დამფრთხალი ან მყუდროებადარღვეული ნადირის საქციელი ახსნას საჭიროებს.

დამფრთხალი, დაძაბული ნადირი ან მისი ნაშიერი გაუნძრევლად, თავაწეული ან თავდახრილი ზის ან დგას. თუ ნადირი მოძრაობის პოზაშია გაშეშებული, წინ გადადგმული ტორით, ეს იმას ნიშნავს, რომ მან უეცრად რაღაც საეჭვო დაინახა ან გაიგონა. ძილის ან დასვენების დროს დამფრთხალი ცხოველები ფეხზე წამოიჭრებიან, სხეული დაჭიმული აქვთ, მომზადებული არიან ნახტომებისათვის. ასაფრენად მომზადებულ ფრინველს ფეხები ჩაწეული აქვს, რომ უცებ შეძლოს მოსწყდეს მიწას, ნადირის სხეულზე კუნთები დაძაბულია, ბეწვი ან ფრინველის ბუმბული სხეულს ეკვრის. თუ ნადირი განრისხებულია ან გაღიზიანებული, ბეწვი კეფაზე და ხერხემალზე ყალყზე უდგება.

სხვადასხვა ცხოველს სხვადასხვა ჩვევა ახასიათებს:

თავი-კისერი წამოწეულია საგნის მიმართულებით ან ზემოთ, ნადირი ცდილობს წამოიწიოს: დათვი, კურდღელი, ციყვი უკანა ფეხებზე დგება, ფრინველი ფეხებზე წამოიწევს, ძუძუმწოვრების მზერა მიმართულია შეშ-

ფოთების საგნის მიმართ. ფრინველების ნისკარტი მიმართულია საგნისაკენ ოდნავ მოშორებით, რადგან ფრინველი მათ ერთი თვალით ათვალიერებს, იგი თავითა და კისრით ასრულებს მოკლე თავის ქნევის მოძრაობას.

მიყურადება — მგელი, მელა, ტურა, ძაღლი — აფორიაქებულ მდგომარეობაში დაცქვეტენ ყურებს. ცხენი, ვირი, ირმები, მელია, ჯიხვი, კურდღელი, თხა და ცხვარი ყურს იქითა მხარეს მიაბრუნებენ, საიდანაც საშიშროება ელით, ყური დამოუკიდებლად მოძრაობს იქით, საიდანაც მოდის ხმა. ეს როდესაც ხმა მოდის 20-30 მ სიშორიდან, როდესაც ახლოდან, არა უშორეს 20 მ-ისა — ორივე ყური აცქვეტილია და წინისაკენაა მიმართული. ამგვარი მდგომარეობა მეტყველებს დაძაბულ ყურადღებაზე.

ყნოსვა — ცხოველი გაჩერებულია ჰორიზონტალურად გამოწეული კისრით, ჰაერს შეიწოვს ნესტოებით, თავით კი ასრულებს მოკლე მოძრაობას, ეს დამახასიათებელია ირმების, ჯიხვების, ძაღლების, მელიებისა და მგლებისათვის.

მოძრაობა — დამფრთხალი ცხოველის მოძრაობა გამოირჩევა მოკლე ნაბიჯებით, ხანმოკლე შესვენებებით, აწეული თათი შეყოვნდება ჰაერში, ცხოველი ფრთხილად, მიპარვით მოძრაობს, კისერი ოდნავ ზეაწეულია. დამფრთხალი დათვი, კურდღელი, ციყვი, თრითინა, უკანა ფეხებზე დგებიან და გარშემო მიმოიხედავენ.

გაქცევა-გაფრენა — ცხოველი ჯერ განზე გახტება, მერე თავს მაშფოთებელი საგნის საწინააღმდეგო მხარეს მიაბრუნებს. ფრინველი სცილდება სახიფათო ადგილს მოუბრუნებლად. თუკი შეშფოთების საგანს წააწყდება, ცხოველი იცვლის მიმართულებას. ზოგიერთი ცხოველი მიყურადების პირველ მომენტში და გაქცევისას გამოსცემს მოკლე, ხახისმიერ ბგერას.

შეშფოთებისა და შეშინების ხმები — გაბმული, ხმამაღალი, შენელებულ ტემპში ან ხმათა სიმრავლით გამორჩეული შერწყმული ბევრად თუ ნაკლებად განსხვავებული ხმები არ წარმოადგენს შეშფოთების ნიშანს. ესაა მოხმობის ყივილი. აღელვებისა და განგაშის ძახილი საშუალო სიმაღლისაა, წყვეტილი, მონოტონური, რაც უფრო სწრაფია მისი ტემპი, მით უფრო შეშინებულია ცხოველი.

გაფრთხილება შესაძლებელი საფრთხის შესახებ — დაბალი, უწყვეტი, გაბმული ხმით ხასიათდება, უმეტესად ძალიან დაბალი ტონისაა. ცხენი გაფრთხილების მიზნით ხვიხვინებს, მთის თხა უსტვენს, ყვავი ჩხავის, მტრედი ხმოვან „უ“-სმაგვარ ბგერას გამოსცემს, ქათამი კაკანებს.

ამ ხმების „შინაარსი“ „ყურადღებას“ — ნიშნავს.

მღელვარება და აგზნებულობა — ფრინველებისა და ცხოველთა მოძრაობა თითქოს კითხვას სვამს: „ეს რა არის?“

შეშფოთებისა და შიშის ხმები — თხა კიკინით გარბის, ყვავი იწყებს ჩხავილს მაღალ ხმაზე, მწყერი აფრინდება ხშირი შეძახილებით.

დამფრთხალი ცხოველის მიერ დატოვებული კვალი — დამფრთხალი ცხოველები შეჩერდებიან, რათა გაერკვნენ შეშფოთების მიზეზში. შემდეგ კი თავს გაქცევით შველიან. ჩლიქოსანი ხტუნვით გარბის, მგელი და ძაღლები — ხტომით. გაქცევისას ტოვებენ ოთხივე ფეხის კვალს.

ცხოველები გრძნობენ ადამიანის მოახლოებას ათი-ასი მეტრის მანძილზე. განსაკუთრებით ეს ინსტიქტი განვითარებული აქვთ იმ ცხოველებს, რომლებზეც ადამიანი ოდითგანვე ნადირობს. ასეთი ცხოველები ადამიანის მიახლოებას ას კილომეტრამდე მანძილზეც კი გრძნობენ.

ცხოველები უმეტესად მოძრავ სხეულებზე რეაგირებენ. უძრავად მყოფი ადამიანი მათი ყურადღების მიღმა რჩება. გამონაკლისს წარმოადგენენ სვავი და ყვავი, რომლებიც შესანიშნავად არჩევენ უძრავი სხეულების ფორმასაც.

ძუძუმწოვრები ხიფათის დროს სმენას უფრო ეყრდნობიან, ხშირად ყნოსვითაც იგებენ მოახლოებულ საშიშროებას.

ცხოველები და ფრინველები განსხვავდებიან თვისებებით:

მგელი — ძალიან ფრთხილია, თავისი არსებობის შესახებ ძლიერი ყმუილით გვატყობინებს;

ტურა — ჯგროდ დადის, ხშირად კივის;

ზოლებიანი აფთარი — მძორითა და ნარჩენებით ირჩენს თავს. ბინადრობს დასახლებული ადგილების ახლოს. აქვს შესანიშნავი ყნოსვა და სმენა, მოძრავია და მისი ხმა შორს ისმის;

მელა — მეტად ფრთხილია, ადამიანს გაურბის. იკვებება სხვადასხვა სახის ნარჩენებით, ამიტომ ცდილობს ადამიანთა საცხოვრებელი ადგილების ახლოს ყოფნას;

დათვი — ადამიანს გაურბის. შეშინებული დათვი გამოსცემს ოხვრისმაგვარ ხმას. დაძაბული ყურადღებისას უკანა თათებზე დგება. საშიშროების შემთხვევაში შემობრუნდება და გარბის იმ მხარის საწინააღმდეგოდ, საიდანაც საშიშროება ემუქრება. სირბილისას ტყის ტოტების ლაწუნისა და მტვრევის ხმას იწვევს, რაც დიდ მანძილზე ისმის;

ტახი — ყოველთვის ხმაურით გვატყობინებს თავის არსებობის შესახებ. დამფრთხალი ტახი თავს ასწევს და გაშეშდება. თუ კოლტია, ყველა შეშდება. შეშინებული გამოსცემს ხრუტუნის ხმას და გარბის;

შველი — შეშინებისას გამოსცემს ძაღლის ყეფისმაგვარ ხმას, მაგრამ უფრო მძაფრად და უხეშად. ამ ხმის გაგონებაზე ჯოგი ძოვას შეწყვეტს და ყურებს დაცქვეტს. თუ ეს გაფრთხილება გამეორდება, ცხოველი ნელა იწყებს მოძრაობას, ხოლო ნიშნის გამეორებისას გამოსცემს ყეფისმაგვარ ხმას და გარბის იმ მხარის საწინააღმდეგოდ, საიდანაც ხიფათი ელოდება. ხარი ყეფისმაგვარ ხმას „გავ-გავ" გამოსცემს, ფური კი ჩუმად გარბის. ნაკლებშეშინებული შველი ადამიანს 200 ნაბიჯზე მიუშვებს, ისე კი 200-400 მეტრის მოშორებით ჩერდება და გამოსცემს ყეფის ხმას;

მთის თხა — ხიფათის მოახლოებისას უძრავად გაჩერდება, პირით მიბრუნებულია მოსალოდნელი ხიფათისაკენ, თავი აწეული აქვს, ყურები დაცქვეტილი. ასე ჩერდება რამდენიმე წამს, შემდეგ თუ ვაცია, უსტვენს და გარბის (ხშირად მთელი ფარა) შერწყმული ნახტომებით. ქვიან საყარზე მორბენალი ჯოგი ჩამოყრის წვრილი ქვების ძლიერ ნაკადს. ტყეში დამახასიათებელი შრაშუნი გაისმის. ჯიხვები წინამძღოლის გამაფრთხილებელი სტვენისას ასევე გარბიან;

კურდღელი — საეჭვო ხმაზე კურდღელი გაუნძრევლად იმზირება, ხმაურის განმეორებისას მოკლე მოძრაობით ისე გადაინაცვლებს, რომ პირით იყოს ხმაურის ადგილისაკენ. ორივე ყური დაცქვეტილია და წინისაკენაა მიმართული. შემდეგ უკანა თათებზე წამოიწევა, გამოწევს წინ თავს და ჰაერს ყნოსავს. ზოგჯერ თითქოს ვერტიკალურ მდგომარეობაშია. თუ განგაში შიშში გადაიზარდა, კურდღელი სწრაფად წამოიწევა წინა თათებზე, ყურებს უკან გადაიყრის და მოკურცხლავს. თუ კურდღელი ძალიან არ არის დამფრთხალი, ასი მეტრის სიშორეზე შეჩერდება და ისევ პირით მობრუნდება შემშინებლისკენ;

ფრინველებში ხიფათის შეგრძნება გამოიხატება მოუსვენარ მოძრაობაში და ყვირილში. განსაკუთრებით მაშინ, თუ ადამიანი ბუდის მახლობლადაა.

იხვი — შეშინებული იხვი კისერს გამოსწევს და ასრულებს თავით სწრაფ და ქნევით მოძრაობას, შიშის გამომწვევ საგანს აკვირდება, ნისკარტი კი განზე აქვს გაწეული, წამოიყვირებს და თუ ხიფათი ფრენისას შეამჩნია, ზევით აიჭრება, თუ ბუდესთან შეამჩნია საშიშროება, წყალზე გადაიფრენს და მიიმალება;

პრანწია — ბუდობისა და ბარტყების გამოჩეკის პერიოდში მწვავედ რეაგირებს ადამიანის მოახლოებაზე. მიწას მოსწყდება ორი ან ერთი ფრინველი, ჰაერში დაფრინავენ სხვადასხვა მიმართულებით, მომტირალი ყვირილით გაჰკივიან: „ჰიი-ზიკ", „ჩი-ვი". პრანწია კარგად არჩევს ადამიანსა და ცხოველს, მხოლოდ ადამიანისა ეშინია. ამ ფრინველის მოქმედება უკვე შორიდანვე მიგვითითებს ამ მიდამოებში ადამიანის ყოფნის შესახებ;

ლომარწივი და სვავი — ამ ფრინველთა თავშეყრა და წრიული ნავარდი ცაში იმის ნიშანია, რომ მიაგნეს ნადავლს, მაგრამ ჭამისას ისინი დააფრთხეს. თუ ერთი ან ორი ლომარწივი საკმაოდ დიდ სიმაღლეზე ფართო წრეზე ქმნის კამარას, ეს ნიშნავს, რომ აღმოაჩინა რაღაც საინტერესო და აკვირდება მას;

წერო — ძალიან მგრძნობიარე და ფრთხილი ფრინველია. მძაფრად რეაგირებს ადამიანის მიახლოებაზე და განგაშს იწყებს. ისინი კოლონებად ბუდობენ. ფრინველთა გადაფრენას სხვადასხვა მიმართულებით საერთო ყაყანი მოჰყვება. შეშინებული ფრინველები ჰაერში თავიანთ ბუდეებს დასტრიალებენ და აქეთ-იქეთ აწყდებიან. საერთო ყაყანი, გაბმული ყვირილით იცვლება, რომელშიც განგაშის ხმები გამოიკვეთება;

თოლია — ფრენის დროს ნავში და წყლის პირას მჯდომი ან მოსიარულე ადამიანებისგან მკვეთრად გაიწევიან განზე, ოდნავ შეაჩერებენ ფრენას და გამჭოლავად ყვირიან. ხშირად, ადამიანს რომ დაინახავენ, მიფრინავენ მასთან და მეორედ დაიყვირებენ. დამახასიათებელია დიდი რაოდენობით თოლიების თავმოყრა წყალზე მოტივტივე ან ნაპირზე დაყრილ ნარჩენებთან;

ყორანი — მის ბუდესთან ადამიანის მიახლოებისას შიშისაგან ხშირად ყრანტალს იწყებს. საერთოდ ან მარტოა ან წყვილადაა. ივლისსა და აგვისტოში ნაშიერების გამოყვანა—დაბუდება იმის მაჩვენებელია, რომ აქ რაიონში ლეშია და ბუდე აქვთ გაკეთებული;

ყვავი — როდესაც საეჭვოს ამჩნევს, იწყებს დაბალ ხმაზე ჩხავილს, ხის ერთი კერწეროდან მეორეზე გადის. დაჟინებული ჩხავილი, მოკლე ინტერვალებით სხვა ყვავებსაც მიიზიდავს და მალე მთელი გუნდი გროვდება. ასეთი რამ ხდება მაშინ, როდესაც ბუდის მახლობლად ადამიანია.

შეიარაღებული ადამიანის დანახვაზე ფრინველი იწყებს შეშინებულ ჩხავილს, ხშირ-ხშირად აყრინდება და გაფრენას ცდილობს. ყვავების თავშეყრა, საცხოვრებელი ადგილიდან შორს, მიუთითებს იქ ადამიანის ყოფნაზე.

ყვავი არ რეაგირებს ადამიანის ჩვეული მარშრუტით მოძრაობაზე მათი ბუდეც რომ იყოს იმ ადგილას;

კაჭკაჭი — გაბმულ ყვირილს იწყებს, თუკი მისი ბუდის მახლობლად ადამიანი გამოჩნდა;

ჩხიკვი — ზამთრისა და გაზაფხულის თვეებში თავისი ყვირილით ატყობინებს ყველას, რომ აღმოაჩინა რაღაც არაჩვეულებრივი და გასაკვირველი;

ჭილყვავი — მის ბუდესთან ადამიანის მიახლოებისას გუნდად აფრინდება და განგაშიანი ყვირილით თავს დასტრიალებს ბუდეს.

მესაზღვრისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე მცოცავთა ჩვევების ცოდნა: გველი, ხვლიკი, კუ, მწვანე გომბეშო — მზეს ეფიცხება, ეს ნიშნავს, რომ 5-10 წუთის წინ აქ ადამიანს არ გაუვლია.

გომბეშოების, „მწვანე ბაყაყების" ყიყინი ნიშნავს, რომ იქ საიდანაც ის ისმის, სრული სიმშვიდეა. თუკი მათი ხმა ერთბაშად მიწყდა, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ადამიანი გამოჩნდა;

კლდის ხვლიკი — საშიშროებისას ათი-თორმეტი ნაბიჯის მანძილზე იმალება და გამოჩნდება თხუთმეტი-ოცი წუთის, ზოგჯერ კი ნახევარი საათის შემდეგ. თუ ყველგან სიმშვიდეა, ხვლიკი კუდს სწევს. საფრთხის დროს კი კუდს ქვევით დასწევს და გაიტრუნება;

ჭაობის კუ — ტბის ან წყალსაცავის ნაპირზე მზეს მიფიცხებული კუ ადამიანის გამოჩენისას ხმაურით ჩაეშვება წყალში და ფსკერზე იმალება. ამოდის მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ;

ანკარა — მზეს რომ ეფიცხება, წყალსაცავთან ადამიანის გამოჩენისას წყალში მოადენს ზღართანს.

საინტერესოა მწერების ქცევაც: კალია, ჭრიჭინა, ციკადა გაუთავებლად ჭრიჭინებენ, გაჩუმდებიან ხიფათის დროს; თუ ხის შტოებზე, ფოთლებსა და ღეროებზე აღმოვაჩენთ ხოჭოებსა და მათ ჭუპრებს, ეს ნიშნავს, რომ მათ უკანასკნელი საათის დროს ადამიანი არ შეხებია.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

ბაგრატიონი ვახუშტი — „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“, „ქართლის ცხოვრება“
ტ. IV, თბ. 1997

ბერძენიშვილი დ. — „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან“ (ქვემო ქართლი) ნაწ. I 1979

გაბლიანი ევგენი — „ძველი და ახალი სვანეთი“. თბილისი 1925 წ. სსრ სახელმწიფო გამომცემლობა.

გეგეჭკორი ა. — „ღრუბლებს ზემოთ თუშეთია“. თბილისი. „საბჭოთა საქართველო“ 1983.

გიგაური გ. — „საქართველოს ტყის ბიომრავალფეროვნება“ — თბილისი, 2000 წ.

დოლუხანოვი ა. ნახუცრიშვილი გ. — „საქართველოს მცენარეულობა“, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი „საქართველო“. თბილისი 1981

დონდუა დ. — „სამხედრო გეოგრაფია“, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების გამოცემა. თბილისი 1942

ითონიშვილი ვ. — „ხევის ტოპონიმიკა“ — თბილისი 1971

ითონიშვილი ვ. — სგაზეთო წერილები, გაზეთი „შანსი“ №№15,16,17. 1996

კაპანაძე ჯ. — „საქართველოს მთიანი რეგიონების ურბანიზაციის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების ტენდენციები“; „რეგიონალური გეოგრაფია“, „მეცნიერება“. თბილისი 1991

კვერენჩხილაძე რ. — „საქართველოს შავი ზღვისპირეთის სატრანსპორტო გეოგრაფიული თავისებურებანი“; „რეგიონალური გეოგრაფია“, „მეცნიერება“. თბილისი 1991

კეკელია ჯ. — „საქართველოს ტერიტორია და საზღვრები“. თბილისი 1996

კეკელია ჯ. — „საქართველოს ტერიტორია და საზღვრები ვახუშტი ბაგრატიონის შრომების მიხედვით“. ვახუშტი ბაგრატიონი გეოგრაფი თბ. 1997

კოხრეიძე გ. — „უშეცდომოდ განვსაზღვრავთ“ — გაზეთი „ბჭე“ 9.XII-1998

მათურელი ი. — ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა“. თბილისი 1990

მაკალათია ს. — „მესხეთ-ჯავახეთი“. თბილისი, გამომც. ფედერაცია 1938

მაკალათია ს. — „მთიანი რაჭა“ გამომცემლობა „ნაკადული“ 1987
მაკალათია ს. — „ხევსურეთი“. თბილისი 1935
მანველიშვილი ა. — „საქართველოს საზღვრები“ პარიზი 1938 გაზეთი „მომავალი“
მარუაშვილი ლ. — „საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია“, ტომი I-II, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი 1970
მელიქსედბეგი ლ. — „საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა“ 1886
მილუტინი დ. ა. — „სამხედრო გეოგრაფიისა და სამხედრო სტატისტიკის მნიშვნელობის შესახებ“, წიგნი I ს.პ. 1847
მროველი ლეონტი — „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, ტ. I. თბ. 1955
მუსხელიშვილი დ. — „ქიზიყის ძველი ისტორია“. თბილისი 1997
ოჩიაური თ. — „სტუმრად თუშეთში“. თბილისი, „ნაკადული“ 1961
პაპუაშვილი თ. — „ჰერეთის ისტორიის საკითხები“. თბილისი 1970
საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია VIII კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „განათლება“ 1989
საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია IX კლასის სახელმძღვანელო, თბილისი, გამომცემლობა „განათლება“ 1988
საქართველოს ტერიტორიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. ტფილისი 1930
საქართველოს სსრ ატლასი. მოსკოვი-თბილისი 1964
„საქართველოს აღმოსავლეთ-ცენტრალური ეკონომიკური რაიონი“. შრომათა კრებული, თბილისი, „მეცნიერება“ 1981
ტატაშიძე ზ., მეტრეველი რ. — „ვახუშტი ბაგრატიონი დიდი მეცნიერი და მამულიშვილი“, „მეცნიერება“. თბილისი, 1997
უკლება დ. — „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი მხარეების ლანდშაფტები და ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონები“, „მეცნიერება“, 1974
ფრუიძე ლ. — „რაჭა ეთნოგრაფის თვალით“, „მეცნიერება“. თბილისი 1986
ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი „საქართველოს სსრ“. თბილისი 1981
ქაჯაია გ. — „ბიოსფერო და საზოგადოება“. თბილისი 1997
ყალიჩავა მ., არველაძე გ., ლორთქიფანიძე ი. — „ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში“ ნაწ. 1-4. თბილისი 1935-38

შაიშმელაშვილი ი. — „ქიზიყი“. თბილისი 1973

წერეთელი ჯ. — „ჯავახეთის მთიანეთის ვულკანური რელიეფი“ — სადისერტაციო ნაშრომი გ. მ. მეცნ. კანდ. ხარისხის მოსაპოვებლად 1969

ჯავახიშვილი ი. — „საქართველოს საზღვრები“. თბილისი 1996

ჯაოშვილი ვ. — „საქართველოს შავიზღვისპირეთის საწარმოო ტერიტორიული კომპლექსი“ (ზოგადი ნიშნები) წიგნი „რეგიონალური გეოგრაფია“ „მეცნიერება“ 1991

Бурнашев С.Д. "Картина Грузии или описание политического состояния царств Картлинского и Кахетинского". Тифлис 1896

Грузия 2000 Регионы Комплексная программа экономического и социального развития регионов Грузинской ССР на перспективу до 2000 года. Тбилиси 1987

Веиденбаум В.Н - "Путеводитель по Кавказу". Тифлис 1888

Владикин М.М. "Путеводитель и собеседник в путешествии по Кавказу" 1885

Дубровин Н.Н. - "История войны и владичества русских на Кавказе", т 1, С.П. 1871

Жомини Г.А. - "Очерк военного искусства" т 1-2. М. 1939

Клаузевиц К. - "О войне" второе издание М. 1940

Левашов В.И.-"Документы по взаимоотношениям Грузии с Северным Кавказом в XIII веке" 1733 Выпустил В. Гарекели Тбилиси 1968

Окупация и фактическая анексия Грузии. Документы и материалы Тбилиси 1990

Снесарев А.С. - "Введение в военную географию". М. 1924

Судаков А.К. - "Что такое военная география" журнал "География в школе", 1940

Цагарели А.Н. - "Грамоты СГП" 1891, т.1

Штедер - "Дневник одного путешествия из пограничной крепости Моздок в центр Кавказа в 1781 году". Орджоникидзе 1940

Эсадзе Б.С. - "Летопись Грузии". Тифлис 1913

Языков П.А. - "Опыт теории военной географии" Б.2, С.П. 1838